აკაკი ბაქრაძე

სულის ფრთა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი. 1986

83.3Гр7
ბ 325

ამ წიგნში თავმოყრილია კრიტიკული წერილები, რომელნიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო ჩვენს პრესაში. წერილები ეხება ქართული მწერლობის მიერ დასმულ პრობლემებს. ავტორი მსჯელობს ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურებებზე, დღევანდელი პროზის საჭირბოროტო საკითხებზე.

ლეგენდა

ერთი შემთხვევა უნდა გაგახსენოთ. იგი დოსტოევსკის ცხოვრებაში მოხდა.

მოსკოვში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი ლევ ივანეს ძე პოლივანოვი. 1880 წელს იგი იყო რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების დროებითი მდივანი და პუშკინის საიუბილეო ზეიმის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე. ქმარს გვერდით ედგა და ბეჯითად ეხმარებოდა მარია ალექსანდრეს ასული პოლივანოვა.

პუშკინის იუბილე ჩატარდა, როგორც მთელი რუსული კულტურის დღესასწაული. 1880 წლის 8 ივნისს დოსტოევსკიმ წარმოთქვა თავისი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა. მან ახლებურად დაანახვა პუშკინი რუსეთს და ისიც ვიცით — რა გამოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მან დამსწრე საზოგადოებაზე.

მაგრამ დოსტოევსკის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მარია პოლივანოვასათვის. 25 აგვისტოს ამ ქალისაგან დოსტოევსკიმ ბარათი მიიღო. იშვიათი გულწრფელობითა და გულახდილობით ატყობინებდა მარია პოლივანოვა მწერალს თავის წუხილს.

წერილის შინაარსი ასეთი იყო:

ცოლ-ქმარ პოლივანოვებს უყვარდათ ერთმანეთი. მათი ცხოვრება მშვიდად და სიამტკბილობაში მიმდინარეობდა. მაგრამ 1874 წლიდან ყველაფერი შეიცვალა. ოჯახში გუვერნანტი მოიყვანეს. თავისებური შეხედულების ქალი იყო გუვერნანტი. მან მარია პოლივანოვას უთხრა, რომ ჰყავდა საქმრო, მაგრამ არ სჯეროდა სიყვარულის, ხოლო ქორწინება მიაჩნდა უზნეობად. ქორწინებაში იგი ძალადობასა და პირრეკვნების თავისუფლების შეზღუდვას ხედავდა. სჯეროდა, რომ ქალს ყოველი მამაკაცის გაბრიყვება შეუძლია. მაგრამ მოხდა ისე, რომ გუვერნანტსა და ლევ პოლივანოვს ერთმანეთი შეუყვარდათ. ეს სიყვარული მტკიცე გამოდგა. მარია პოლივანოვას თავდავიწყებით სძულდა გუვერნანტი. მისი დანახვისას გულყრა ემართებოდა. ოცნებობდა მის სიკვდილზე, სურდა მისი დახრჩობა. მაგრამ გასაოცარი რამ მოხდა. მ ივნისს ორივე ქალმა მოისმინა დოსტოევსკის სიტყვა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ახლა თავად მარია პოლივანოვას დაუგდეთ ყური: „იგი მომვარდა, მომეხვია, მეუბნებოდა, რომ ძალიან უბედურია, მთხოვდა პატიებას თუ რაღაც ამდაგვარს. ყველა წყენა ერთბაშად გამიქრა. გარდა უსაზღვრო სიბრალულისა მისდამი, აღარაფერი დარჩა ჩემში. ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი“.

რაყიფები შერიგდნენ. ორივემ დაიჯერა, რომ ერთად შეუძლიათ ბედნიერნი იყვნენ და ლევ ივანეს ძეც გააბედნიერონ. კაცი ქალების აღტკინებას ეჩვით შეხვდა. უსიამოვნო განწყობილება

დაეუფლა მას. მართლაც, როცა შერიგების პირველმა ტალღამ გაიარა, მარია პოლივანოვა მიხვდა, რომ მას პატიება არ შეეძლო. იგი არ იყო თანახმა menage an trois (სამთა ქორწინების).

მარია პოლივანოვა დოსტოევსკის დახმარებას სთხოვდა, შველას ეხვეწებოდა. მწერალმა არ იცოდა, რა ექნა. იგი არ მოელოდა, მას არ უფიქრია, რომ მის ნათქვამს სიტყვასიტყვით გაიგებდნენ და მერე ამ მოდელის მიხედვით ცხოვრებას დააპირებდნენ. მან მხოლოდ სიყვარულის, სათნოების, ჰარმონიის ლეგენდა შექმნა. მარია პოლივანოვა კი მას სთხოვდა ლეგენდა სინამდვილედ ექცია. დოსტოევსკის, ცხადია, ეს არ შეეძლო.

დოსტოევსკიმ არ უპასუხა 25 აგვისტოს წერილს. მაგრამ პოლივანოვა არ ეშვებოდა. იგი წერილს წერილზე უგზავნიდა მწერალს და დაჟინებით ითხოვდა პასუხს, რჩევა-დარიგებას, მდგომარეობიდან თავდახსნის გზის სწავლებას. უაღრესად დაბნეულმა დოსტოევსკიმ არ იცოდა, რა ექნა. იგი ბოდიშს უხდიდა მარია პოლივანოვას. არწმუნებდა, რომ მხოლოდ პროზაიკოსია და არ იცის გზა, საშუალება, ხერხი, რომლითაც უშველის ქალს. კარგა ხანს გასტანა ამ მიმოწერამ და, ბოლოს, როგორც იქნა, მარია პოლივანოვა დარწმუნდა, რომ დოსტოევსკი მწერალია. იგი ილუზიურ სინამდვილეს ქმნის და ამის მიხედვით ცხოვრება შეუძლებელია.

8 ივნისს, თავის სიტყვით, დოსტოევსკიმ წამიერი ლეგენდა შექმნა, სადაც სიყვარული, შერი-

გება, ჰარმონია სუფევდა. ორივე რაყიფმა ქალმა წამით იცხოვრა ლეგენდით. ეს მშვენიერება იყო. მაგრამ, როგორც კი ლეგენდის ხიბლი გაიფანტა, რეალობა დაბრუნდა და მტრები ისევ მტრებად დარჩნენ.

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „ლეგენდას“ იმ არაჩვეულებრივი ემოციური ძალის საზომად ვხმარობ, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები ახდენს პუბლიკუმზე. სწორედ ლეგენდური ძალის საშუალებით ქმნის მწერალი, საერთოდ ხელოვანი, ახალ სინამდვილეს — ილუზიურ სინამდვილეს.

„პოეტურ ინტეგრალებში“ მიხეილ კვესელავამ ფრიად საყურადღებო და დამაფიქრებელი კითხვა დასვა:

„ნეტავი, რომელი სამყარო იქნება უმჯობესი, ის, რაც რეალურად იყო და არის, თუ რაც ხელოვნებასა და ლიტერატურაშია წარმოდგენილი?.. თუ პ ი რ ვ ე ლ ი — მაშინ ხომ სულ ამაოდ დამშვრალან ყველა ქვეყნისა და საუკუნის მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები თუ არქიტექტორები? ან თუ მ ე ო რ ე — მაშინ რატომ ისე არ ვაწყობთ ჩვენს გარემოსა და ცხოვრებას, როგორც იმათ დაუსახავთ იდეალურად?“

ამ კითხვის ჩემი პასუხი ასეთია:

ეს ორი სინამდვილე ერთმანეთს ვერ შეცვლის. არც პირველია მეორეზე უკეთესი და არც მეორე პირველზე უმჯობესი. ორივე სინამდვილეს თავისი კონკრეტული ფუნქცია აქვს. ეს ფუნქციები ერთ-

მანეთს კი არ ცვლიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ. ერთიც აუცილებელია და მეორეც. ამდენად არც ვინმე დამაშვრალა ამაოდ.

დააკვირდით,

როცა ადამიანს უანგარო და თავგანწირული მეგობრობა მოენატრება, თხზავს ტარიელისა და ავთანდილის ძმობის ლეგენდას. „მე იგი ვარ, ვინც სიცოცხლეს არ ამოკრეფს კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

როცა ადამიანს თავდავიწყებული, უმანკო სიყვარული მოენატრება, იგი ქმნის რომეოსა და ჯულიეტას ლეგენდას.

როცა ადამიანს პატიოსანი, კეთილშობილი, უმწიკვლო კაცი მოენატრება, იგი წერს დონ-კიხოტის ლეგენდას.

როცა ადამიანს სამყაროსთან შერწყმის ოცნება გაიტაცებს და ბუნების საიდუმლოს ამოცნობას მოიწადინებს, იგი იგონებს მინდიას ლეგენდას.

როცა ადამიანს სიმამაცე, ვაჟკაცობა, გამბედაობა მოენატრება, იგი თხზავს როლანდის სიმღერას.

ადამიანი ორ სინამდვილეში ცხოვრობს. ერთია რეალური, მეორე — ილუზიური. თუ რეალური სინამდვილე ბუნების შემოქმედების ნაყოფია, ილუზიური სინამდვილე ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნილია. თუ არ იქნება რეალური სინამდვილე, გაქრება ის მკვებავი ფეს-

ვი, ურომლისოდაც ვერ იარსებებს ილუ-ზიური სინამდვილე. თუ არ იქნება ილუზიური სი-ნამდვილე, გაქრება იმედი, ოცნება, მისწრაფება. რეალურ სინადვილეში ადამიანს გამოეცლება მა-მოძრავებელი მუხტი. ადამიანი ობოლივით იგრ-ძნობს თავს. ერთი სიტყვით, ილუზიური სინამდ-ვილე რწმენას ქმნის, ურომლისოდ არსებობა შეუძლებელია.

ამიტომ არ შეიძლება ერთი სინამდვილის მე-ორეთი შეცვლა. ისინი ერთად უნდა არსებობდ-ნენ, როგორც ერთი მთლიანობის ორი აუცილე-ბელი ნაწილი.

ნურავინ იფიქრებს, რომ არსებობს ადამიანი, ვინც ილუზიური სინამდვილის თვინიერ ცხოვრობს. ზოგისათვის ილუზიურ სინამდვილეს მწერლობა ქმნის, ზოგისათვის — მუსიკა, ზოგისათვის — მხატვრობა, ზოგისათვის — ქორეოგრაფია, ზოგი-სათვის თეატრი, ზოგისათვის — კინო...

ილუზიური სინამდვილე ყოველთვის ლეგენ-დას შეიცავს. თუ მას ლეგენდა აკლია, მაშინ იგი რეალური სინამდვილის პირია. მისით არავინ დაი-ნტერესდება. მის მიმართ გულგრილი დარჩებიან.

თუ გახსოვთ, დონ-კიხოტი ეუბნება სანჩოს — „იქნება გგონია, ყველა ის ამარილისები, ფილისე-ბი, სილვები, დიანები, გალატეები, ფილიდები და სხვანი ამგვარნი, რითაც სავსეა ჩვენი წიგნები, შაირები, რომანსები, სადალაქოთა თაროები და თეატრები, — ცოცხალი, ძვალ-ხორციანი არსებანი, მათ მაქებარ პოეტთა სატრფონი ყოფილიყვნენ?

სულაც არა. ისინი მხოლოდ პოეტთა წარმოდგენაში ცოცხლობდნენ, მათი შაირების საგანს შეადგენდნენ, რომ თავი მიჯნურად გამოეჩინათ ან მიჯნურობის ნიჭის მქონედ მაინც!“ ამის შერე დონ-კიხოტი საუბარს ასე ამთავრებს — „ჩემი მიჯნური ქალი როგორადაც მსურდა, ისეთად წარმოვიდგინე. ისეთი სიმშვენიერე და გარეგნობა მივეცი, რომ მასთან ვერც ელენე, ვერც ლუკრეცია, ვერც ძველი რომისა, საბერძნეთისა და ბარბაროსთა ყველა ქებული ქალი ფეხს ვერ გაიწვდიან. დაე, ამაზე ვისაც რა უნდა, ისა თქვას: „უმეცარნი დამძრახავენ, გონიერმა მაინც იქნებ სხვაგვარად შეხედოს საქმეს“.

დონ-კიხოტი მართალია: ყოველი ადამიანი წარმოდგენით ქმნის იდეალურს და ლეგენდურის სამოსელში ხვევს მას.

ადამიანი ეტრფის სრულყოფილს. სრულყოფილი კი ლეგენდით იქმნება და იგი ილუზიურ სინამდვილეში არსებობს. მახსოვს, შალვა ნუცუბიძე გალილეის ცხოვრებას გვიამბობდა. ლექციის დასასრულს მისებურად გაიღიმა და თქვა — რა თქმა უნდა, ინკვიზიციის სასამართლოში მას არ უთქვამს „მაინც ბრუნავსო“. ინკვიზიციის ჯალათები მიამიტი ბალღები არ ყოფილან და მათ დარჯაკში გამოვლილ კაცს იმის თავი აღარ ექნებოდა, ვაჟკაცობის ჩვენების მიზნით, დაეყვირა — Epur si muove! მაგრამ იტალიელი ხალხის სინდისმა ინება, რომ გენიალური მეცნიერი სწორუპოვარი ვაჟკაციც ყოფილიყო. ხალხს არ უნდა დაიჯეროს,

რომ უზენაესი ძუნწია და ადამიანს ერთდროულად რამდენიმე სიქველით არ აჯილდოვებს.

ლეგენდის ფასი კარგად ვლინდება ერთ ამბავში, რომელსაც ჰაინრიხ მანი გვიყვება „მეფე ანრი მეოთხის სიჭაბუკეში“.

თვრამეტი წლის უფლისწულმა ანრიმ მთელი ღამე გაატარა მებაღის ასულთან, ჩვიდმეტი წლის ფლორეტასთან. დილით, როცა ისინი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ჭაში ჩაიხედეს. „ამ ჭას მაინც ვემახსოვრებით და თვით სიკვდილის შემდეგაც არ დაგვივიწყებს იგი.“ ამის მეტად ფლორეტა აღარ შეხვედრია საფრანგეთის მომავალ მეფეს. მებაღის ქალიშვილმა კიდევ ოცი წელიწადი იცოცხლა და მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი ანრი მეოთხეს, როცა იგი, ბედის კარნახით, მშობლიურ ქალაქ ნერაკში ჩამოვიდა. მაგრამ მაშინ ანრი ნავარელი უკვე დიდი ხელმწიფე იყო და ფლორეტა აღარ გახსენებია.

„მაშ, რატომღა ირწმუნებოდნენ ყველანი, — დასძენს ჰაინრიხ მანი, — რომ ფლორეტა ანრის გულისათვის მოკვდაო? დრო გავიდა და მისი სიკვდილის ჟამიც კი უკან გადასწიეს. სწორედ იმ დღეს, როცა ანრიმ მიატოვა იგი. და იმასაც ამბობდნენ, თითქოს ჭაში ჩავარდაო. სწორედ იმ ჭაში, რომელსაც ორივენი ჩაჰყურებდნენ, — როცა ფლორეტა ჩვიდმეტი წლისა იყო, ანრი კი თვრამეტისა. საიდან გავრცელდა ეს ხმა? იმ წუთს ხომ ისინი არავის დაუნახავს!“

საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანს უყვარს თანა-

სწორობის ლეგენდა და ოცნებობს მასზე. ამას კი ყველაზე მკაფიოდ უფლისწულისა და გლეხი ქალის ტრფობა გამოხატავს. ჩვენი აბესალომისა და ეთერის თქმულება ხომ ამის უტყუარი საბუთია.

მიჯნურობის ლეგენდაც უყვარს ადამიანს. რა სჯობს — ჩვიდმეტი წლის ფლორეტას სიკვდილი უფლისწულთან სიყვარულის პირველი ღამის მერე თუ უსიხარულო ცხოვრება, დაბერება, დაჩაჩანაკება და ბოლოს გარდაცვალება? ადამიანის ოცნებას პირველი ურჩევნია, რამეთუ იქ რომანტიკულობაა, მშვენიერებაა და ამაღლებულობა.

ალ. გერცენი მოთხრობაში „ქურდი კაჭკაჭი“ გლეხი მსახიობი ქალის ტრაგიკულ თავგადასავალს გვიამბობს. ეს ქალი ბრწყინვალედ ასრულებდა ანეტას როლს ფრანგულ მელოდრამაში, რომელსაც აგრეთვე „ქურდი კაჭკაჭი“ ერქვა.

მელოდრამის მიხედვით, ანეტას ბრალად ედება ქურდობა. იგი უნდა დასაჯონ. მაგრამ გაირკვევა, რომ ნივთი, რომლის მოპარვა ანეტას ბრალდებოდა, წაუღია კაჭკაჭს. უდანაშაულო მსახური გოგო სიკვდილს გადაურჩება.

ამ პიესის ავტორებს კენიესა და დ'ობინს სიუჟეტად ნამდვილი ამბავი გამოუყენებიათ, ოღონდ სინამდვილეში უდანაშაულო ქალი სიკვდილით დაუსჯიათ. ამ განსხვავების გამო გერცენის მოთხრობის ერთი პერსონაჟი ირონიულად შენიშნავს: „თქვენ იცით „ქურდი კაჭკაჭის“ თქმულება. სინამდვილე არ არის ისე ნერვებდასუსტებული, როგორც დრამატული მწერლები. სინამდვილე

ბოლომდე მიდის: ანეტა სიკვდილით დასაჯეს. პიესაში კი აღმოჩნდება, რომ ქურდი კაჭკაჭია და არა ქალი. და აი, ანეტა უკან ბრუნდება ზეიმით". ამ სიტყვებში ნათლად გამოსჭვივის დაცინვა, გამოწვეული იმით, რომ მწერლობას სურს შეალამაზოს, შეამსუბუქოს ცხოვრების სისასტიკე. მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მწერლის სუსტი ნერვები არაფერ შუაშია. საერთოდ ადამიანს უნდა კეთილის გამარჯვება და იგი ამის ილუზიას ქმნის. სწორედ ეს ილუზიაა არსებითი სხვაობა, რომელიც ორ სინამდვილეს — რეალურსა და ლიტერატურულს — შორის არსებობს.

ილუზიური სინამდვილე მისტიფიკაციით იქმნება.

ადამიანი, რომელსაც არ ჩაუდენია გმირობა და ვერც ვერასოდეს ჩაიდენს, გიყვება გასაოცარი გმირობის ამბავს და თან სრულად გარწმუნებთ.

ადამიანი, რომელსაც შეიძლება ;არასოდეს ჰყვარებია, გიამბოთ მიჯნურთა მომაჯადოებელ თავგადასავალს და თან ცრემლებს გაღვრევინებს.

ადამიანი, რომელსაც ქათმის დაკვლაც კი არ ძალუძს, მოგითხრობთ შემზარავი მკვლელობის ამბავს და თან ისეთი დამაჯერებლობით, თითქოს თავად სისხლში იყო ნაბანავები.

მისტიფიკაცია იმდენად მეტად დამაჯერებელი და მართალია, რომ დენადაც ნიჭიერია ხელოვანი. ზოგჯერ ეს მიამიტ ადამიანებს ატყუებს. ისინი შემოქმედსა და შექმნილს აიგივებენ. ასე დაემართა მარია პოლივანოვასაც, თუმცა იგი განათლე-

ბული და წიგნიერი ქალი იყო. გაიგივების პროცესი განსაკუთრებით საგრძნობია თეატრში. ალბათ იმიტომ, რომ მისტიფიცირების პროცესი მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობს. სიყალბეც უფრო იოლად შეიმჩნევა სცენაზე. ეს გარემოება ცხადად მიანიშნებს ერთ კანონზომიერებას: ლეგენდა არასოდეს იქმნება ტყუილის საფუძველზე. მას ბადებს ან უიშვიათესი ფაქტი ან ადამიანის სულის მოთხოვნილება.

თუ ცოტნე დადიანის ლეგენდა ფაქტის ნაყოფია, გალილეის ლეგენდა ადამიანის სულის მოთხოვნილების შედეგია. თუ გალილეის ნიჭიერებას დაემატება მამაცობაც, მივიღებთ სრულყოფილების იდეალს, რისკენაც მიისწრაფვის კაცი, რაზეც ოცნებობს იგი.

თუ არ არსებობს ფაქტი ან ადამიანის სულის მოთხოვნილება, როგორც უნდა გაისარჯოს მწერალი, ვერ შექმნის ლეგენდას. არც მის დახატულ ილუზიურ სინამდვილეს დაუჯერებს მკითხველი.

რატომ ვიჯერებთ ოტელოს და დეზდემონას სიყვარულის ლეგენდას? ჩვენ ხომ ვიცით, რომ რასობრივი განსხვავებულობის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტი ურთულესი კონფლიქტია. იგი დღესაც ვერ დაუძლევია კაცობრიობას, არა თუ მაშინ, როცა „ოტელო“ დაიწერა. და მაინც, მაშინაც და დღესაც, ადამიანი ოტელოსა და დეზდემონას სიყვარულის მომხრეა. იმიტომ, რომ რასობრივი თანასწორობა ადამიანის სულის მოთხოვნილებაა. გვინდა ვიწამოთ, დავიჯეროთ, რომ

თეთრკანიანი, არისტოკრატი, მდიდარი ქალი ალალად შეიყვარებდა უაზნო მავრს. მაგრამ ის, რაც მკითხველმა თუ მაყურებელმა დაიჯერა, თავად ოტელომ ვერ იწამა. ეს არის მისი ტრაგედიის საფუძველი. ოტელოში ეჭვი იაგოს არ ჩაუნერგავს, ეს ეჭვი ყოველთვის არსებობდა მასში. იაგომ უბრალოდ გააღვივა იგი, ცეცხლად აანთო. ქვეცნობიერად ოტელოს ყოველთვის ეშინოდა, სულ ეეჭვებოდა დეზდემონას სიყვარული. ქვეცნობიერად მას სულ აწამებს კითხვა — იგი, მავრი, შეიყვარა თეთრკანიანმა ქალმა? იგი, უაზნო და უბირი წარმომავლობის კაცი, მიუხედავად მისი მხედრული დამსახურებისა, შეიყვარა ვენეციელი სენატორის ასულმა? იგი, ხანდაზმული და ომებში ნაწამები ადამიანი, შეიყვარა ახალგაზრდა, მომაჯადოებელმა ქალიშვილმა? მართალია, ოტელო ამაყად აცხადებს, რომ —„ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისათვის“, — მაგრამ გულის სიღრმეში მას ამ ბედნიერების არ სჯერა. ჩვენ ქართული ლიტერატურიდანაც ვიცით, რა ძნელია ქალ-ვაჟს შორის უთანასწორობის დაძლევა, იქნება იგი კლასობრივი თუ რასობრივი. ოთარაანთ ქვრივის გიორგიმ კლასობრივი უთანასწორობის გამო ვერ გაუმხილა კესოს სიყვარული. ამ გაუბედაობის მსხვერპლი გახდა იგი. კ. გამსახურდიას არზაყან ზვამბაია, რევოლუციის შემდეგ, ოცნებობს, რომ ზვამბაიებმა ისევე ადვილად წაავლონ შერვაშიძეთა ქალებს ხელი, როგორც ადრე შერვაშიძეები

წაავლებდნენ ზვამბაიას ქალებს. თუმცა ეს არ ყოფილა იოლი. არზაყან ზვამბაია თამარ შერვაშიძეს მაინცადამაინც გაბედულად ვერ ექცევა. თუ გიორგისა და არზაყანს კლასობრივი უთანასწორობა ბოქავდა, ოტელოს საქმე უფრო რთულად იყო: იქ კლასობრივი უთანასწორობაც არსებობდა, რასობრივიც და ასაკობრივიც. ამის გადალახვა ადვილი არ იყო. ამას ისეთი გაბედული, თავისუფალი და უკომპლექსო ადამიანი სჭირდებოდა, როგორიც დეზდემონა იყო. ოტელო ასეთი პიროვნება არ გახლდათ. მას არასრულყოფილების კომპლექსი ფლობდა. ქვეცნობიერად ეს კომპლექსი წარმართავდა ოტელოს ქმედებას. იაგოს მზაკვრულმა გონებამ ეს ნათლად დაინახა და მიზანსაც ამით მიაღწია.

აფრიკის ხალხების ლიტერატურაში უამრავი რომანი და პიესაა დაწერილი, რომელიც თეთრკანიანი ქალისა და შავკანიანი ვაჟის სიყვარულს გვიამბობს. გავიხსენოთ თუნდაც პიტერ აბრაჰამსის და ჯერალდ გორდონის რომანები. მაგრამ ისინი პუბლიკუმის ცნობიერებაში არ ჩარჩენილან ისე ღრმად და წარუშლელად, როგორც „ოტელო". რატომ? პასუხი იოლია: ისინი არ არიან ისეთი ნიჭიერი მწერლები, როგორიც შექსპირი იყო. მაგრამ მაინც რით, რა კონკრეტული ნიშნით არის გამოვლენილი შექსპირის უპირატესი ნიჭიერება? იმით, რომ შექსპირი ქმნის თავისუფალი ქალის ლეგენდას, ვისაც სიყვარულის არ ეშინია. დიახ, დიახ, არის სიყვარული, რომლისაც ეშინიათ. ყვე-

ლა რომანსა და პიესაში, რომელნიც დღეს იწერება და თეთრკანიანი ქალისა დ შავკანიანი ვაჟის სიყვარულს მოგვითხრობენ, ქალებს ეშინიათ თავიანთი სიყვარულის. არც ერთ მათგანს არ გააჩნია დეზდემონას თავისუფლება. ის ქალები გეცოდებათ, თანაუგრძნობთ, მაგრამ პუბლიკუმის ცნობიერებაში კვალს არ ტოვებენ. დეზდემონა, მიუხედავად ტრაგიკული ბედისა, არ გეცოდებათ. განა შეიძლება გეცოდებოდეთ ქალი, რომელსაც შეუძლია დასძლიოს რასობრივი, კლასობრივი, ასაკობრივი უთანასწორობა? იგი სულიერი ვაჟკაცობის, თავისუფლების ლეგენდაა. ეს ერთადერთ გრძნობას — აღტაცებას — იწვევს და გასწავლის— რა არის თავისუფლება.

ხშირია შემთხვევა, როცა ვწერთ თავისუფლებაზე, მაგრამ ვერ ვქმნით თავისუფლების ლეგენდას, ვწერთ სიყვარულზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიყვარულის ლეგენდას, ვწერთ სიძულვილზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიძულვილის ლეგენდას, ვწერთ მზაკვრობაზე, მაგრამ ვერ ვქმნით მზაკვრობის ლეგენდას, ვწერთ დანაშაულზე, მაგრამ ვერ ვქმნით დანაშაულის ლეგენდას... ერთი სიტყვით, ვყვებით ამბავს და მეტი არაფერი.

„უცხო კაცი“ იმ ინჟინრის თავგადასავალს გვიამბობს, ვისაც საქმის უკეთ წარმართვა სურს, ვინც რუტინას ებრძვის. მაგრამ არ ვიცით, რით მთავრდება ინჟინერი ჩეშკოვის ბრძოლა, გაიმარჯვებს იგი თუ დამარცხდება.

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი...“ იმ კაცს

გვიჩვენებს, ვინც სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად იღწვის. ამისათვის ყოველნაირ ხერხსა და საშუალებას მიმართავს, მაგრამ არ ვიცით, რით დამთავრდება მისი საქმიანობა, მიაღწევს თუ არა იგი საწადელს.

დასკვნა მკითხველმა თუ მაყურებელმა თავად უნდა გააკეთოს საკუთარი გუნება-განწყობილების შესაბამისად.

შეიძლებოდა ამგვარ ნაწარმოებთა ჩამოთვლის გაგრძელება, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. ამ ორი ნიმუშითაც ნათლად ჩანს ტენდენცია: სათქმელი სრულად არ ითქვას. ვაჩვენოთ პროცესი, მაგრამ მოვერიდოთ შედეგის აღწერას. ეს არ არის უბრალო საკითხი. არც მწერლის ნება-სურვილია, ~~გვიჩ~~ვენებს თუ არა რეზულტატს. მწერლობა რებუსის შედგენა არ არის. იგი მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფციაა. როცა პუბლიკუმმა არ იცის, რით მთავრდება პროტაგონისტის ბრძოლა, მაშინ მან არც ის უწყის, რა კონცეფციით არის იგი დაწერილი. „უცხო კაცი“ იქნება თუ „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“ (და სხვა მათებრი თხზულებანი), ნათლად გვიდასტურებენ მათი ავტორების პოზიციის გაურკვევლობას. მათ არ სწამთ კეთილის გამარჯვება. ეს რომ სჯეროდეთ, უთუოდ გვიჩვენებდნენ ჩეშკოვისა და შინდინის გამარჯვებას. ვერც იმის თქმას ბედავენ, რომ შექმნილ სიტუაციაში კეთილი ვერ გაიმარჯვებს. ასეთი გაბედულება რომ ჰქონდეთ, მაშინ ჩეშკოვისა და შინდინის დამარცხებას ვიხილავდით.

ასეა გაჩხერილი დრამატურგი კეთილსა და ბოროტს შორის და ნაბიჯი ვერც ერთი მიმართულებით ვერ გადაუდგამს.

სრულიად მკაფიოდ და ნათლად ვიცით, როგორ მთავრდება იაგოს მზაკვრობა: დეზდემონას და ოტელოს დაღუპვით, მაგრამ ასევე მკაფიოა შექსპირის კონცეფცია: კეთილი ყოველთვის იმარჯვებს, თუმცა შეიძლება ამა თუ იმ პიროვნების სიცოცხლე შეეწიროს მას. იაგოს მზაკვრობის გამომჟღავნება კეთილის ზეიმია, მართალია, მსხვერპლიანი ზეიმი, მაგრამ მაინც ზეიმი.

ოიდიპოსი ბოლომდე იბრძვის ჭეშმარიტების მისაგნებად. შეიძლება მისი ბრძოლა შემზარავი ამბით — თვალების დათხრით — დამთავრდეს, მაგრამ სიმართლე მიგნებული და გამომზეურებული იქნება. ეს არის მთავარი. სიმართლემ უნდა იზეიმოს, თუნდაც ზვარაკის ვაღების წყალობით.

კონცეფცია ნათელია და პუბლიკუმის ემოციური დამოკიდებულებაც მკაფიო. ადამიანის ცხოვრებაში სამუდამოდ რჩება ჭეშმარიტების მიგნებისათვის თვალებდათხრილი კაცის სახე. და ლეგენდაც თაობიდან თაობას გადაეცემა.

რა მსხვერპლს გაიღებს ჩეშკოვი ან შინდინი გამარჯვებისათვის? არ ვიცით. ვისაც მსხვერპლის გაღება არ შეუძლია, მას არც კეთილისათვის ბრძოლა ხელეწიფება. მაშასადამე, ჩეშკოვიცა და შინდინიც გვატყუებენ. თავს იმად გვაჩვენებენ, რაც არ არიან.

კაცობრიობას მსხვერპლის არ ეშინია. ეს უთუ-

ოდ და უთუმცაოდ დაამტკიცა მსოფლიო ტრაგიკულმა ლიტერატურამ. ყველაზე თავზარდამცემი ტრაგედიის წაკითხვისა თუ ხილვის შემდეგ ადამიანს მხნეობა ემატება. მას სასოწარკვეთილება არ ეუფლება. მხნეობა ემატება იმიტომ, რომ რწმუნდება: არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ეშმარიტების ძებნას ემსხვერპლონ; არიან ადამიანები, რომელთაც მეცნიერული აზრის გამარჯვებისათვის შეუძლიათ კოცონზე დაწვას გაუძლონ; არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ რწმენისათვის ეწამონ; არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მოყვასის სიყვარულისათვის ტანთ თაფლი წაისვან და თაკარა მზის ქვეშ ჭია-ღუასთვის გაიმეტონ თავი.

ისინი ლეგენდას ქმნიან. ლეგენდა კი მხნეობისა და გაუტეხელობის წყაროა.

კაცობრიობას ტყუილის ეშინია. ეშინია იმის, ვინც ლაჩარია და გმირის ნიღბით დადის, ვინც ცრუა და მართლის ნიღბით დადის, ვინც გონჯია და მზეთუნახავის ნიღბით დადის, ვინც ღატაკია და მდიდრის ნიღბით დადის, ვინც უნამუსოა და სინდისიერის ნიღბით დადის.

ამ დროს ლეგენდა არ იქმნება, ულეგენდოდ კაცის სული ჭკნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ხორციელად არსებობს, მაგრამ სულიერად მკვდარია. აი, საფუძველი სასოწარკვეთილებისა.

სასოწარკვეთილების ჟამს ადამიანი ეძებს უცნაურს, გაუგონარს, ლეგენდურს: რეალური

სინამდვილიდან ილუზიურში გადასახლდება და ცხოვრების გასაძლებად ახალ ენერგიას, ბრძოლის უნარს იძენს.

კეთილის დასამკვიდრებლად მუდმივი და შეუწყვეტელი ბრძოლაა საჭირო. კეთილისა და ბოროტის ურთიერთობა ჰგავს სიჯანსაღისა და სნეულების დამოკიდებულებას. ერთ ღონემიხდილ ავადმყოფს ცხრა რკინისმკვნეტელა ვაჟკაცი რომ დაადგეს თავზე, ვერც ერთი ვერ გადასდებს ჯანმრთელობას სნეულს. ავადმყოფს კი შეუძლია ცხრავე დააავადოს. ეს გამოწვეულია იმ უბრალო მიზეზით, რომ ავადმყოფობა გადამდებია, ჯანმრთელობა კი — არა. ასეა კეთილიცა და ბოროტიც. კეთილი არ არის გადამდები, გადამდებია ბოროტება.

კაცობრიობის გრძელი ისტორიის მანძილზე ადამიანმა საზოგადოების მოწყობის უამრავი მოდელი შექმნა, ზოგიერთი განახორციელა კიდეც, მაგრამ უმთავრესი ჯერჯერობით მაინც ვერ მოახერხა: დედამიწის ყოველ მოქალაქეს ვერ მისცა იმდენი პური, რამდენიც საჭიროა, ვერ მოსპო უნამუსობა, ორპირობა, ღალატი, ჩაგვრა, გამცემლობა, სიძულვილი, მტრობა, მრუშობა, ქურდობა და სხვა მანკიერებანი, თუმცა ყოველ დროში თავგამეტებული ებრძოდა ბოროტს.

როგორც ითქვა, ამ ბრძოლაში ყოველგვარი ლეგენდა ადამიანის მოკავშირეა. სულერთია, იქნება იგი ამაღლებულის თუ დაცემულის ლეგენდა. თუ არსენა მარაბდელის ლეგენდა კაცს მხნეობას

ანიჭებს, თეიმურაზ ხევისთავის ლეგენდა უსუსურობასა და უხერხემლობას აზიზღებს; თუ თავად მიშკინის ლეგენდა კეთილისმოქმედს აყვარებს, სმერდიაკოვის ლეგენდა საზიზღრობას აძულებს; თუ „მზის ქალაქის“ ლეგენდა იდეალური საზოგადოების იმედით ავსებს, ქალაქ გლუპოვოს ლეგენდა საზოგადოების დაცემით თავზარს სცემს.

ლეგენდურობაა ის ხიბლი, რომელიც სამარადოდ რჩება ადამიანის ცნობიერებასა და მეხსიერებაში, ხოლო მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის ან ხილვის შემდეგ მუცალივით წამოგაძახებინებს — „გულში მჭირს, გულში, რჯულძაღლო...“

ამ ძალის გამოა, რომ არავის ავიწყდება კოლეგიის ასესორის კოვალიოვის ცხვირი, რომელიც პატრონს მოძვრა, სახელმწიფო მრჩევლის მუნდირში გამოეწყო და კარეტით დასეირნობდა პეტერბურგში (ნ. გოგოლი — „ცხვირი“).

ანდა წყლის ბინადარი კაპა და მისი ქვეყანა, სადაც უამრავი ობროდი ამბავი ხდება, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებიც კი ახირებული წესით იბადებიან. დედის წიაღში წინასწარ ეკითხებიან— სურს თუ არა დაბადება. ჩვილსაც შეუძლია უპასუხოს ჰო თუ არა. რაკი ასეთი თვისება აქვთ, კაპას ქვეყნის ბავშვები გაჩენისთანავე დამოუკიდებლად დადიან და ლაპარაკობენ. ხოლო, რაც შეეხება კაპას კულტურას, იგი თურმე არ განსხვავდება სხვა ქვეყნების კულტურისაგან (აკუტა-

-ვავა რიუნოსკე „კაპა“. იაპონური კაპა შეიძლება შევადაროთ ქართულ მესეფეს).

როგორ შეიძლება დაგავიწყდეთ პაწია ცინობერი და მისი ზღაპრული თავგადასავალი (ჰოფმანი — „პაწაწა ცახესი“).

და საერთოდ, რამდენი ამგვარი მაგალითის გახსენება შეიძლება. ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ საგანგებოდ შეთხზული ფანტასტიკური სიუჟეტი ატარებს ლეგენდურ ხასიათს. არა. უაღრესად რეალისტურად დაწერილ ნაწარმოებსაც უთუოდ ახლავს და ამშვენებს ლეგენდური ელფერი.

ნასტასია ფილიპოვნა რაგოჟინის მოტანილ ასი ათას მანეთს, გაზეთში გამოხვეულს და შეკრულს, აგიზგიზებულ ცეცხლში შეაგდებს. მერე განია ივოლგინს მიუბრუნდება და ეტყვის — უხელთათმნოდ, სახელოებაკაპიწებული ფულს სახმილიდან თუ გამოიღებ, შენი იყოსო.

ასი ათასი მანეთი აგდია ცეცხლში. ქალმაც და ყველა იქ დამსწრემ კარგად იცის განია ივოლგინის სიხარბე. იგი სულ ცოტა ხნის წინათ მზად იყო სახელგატეხილი ნასტასია ფილიპოვნა შეერთო, თუკი მზითევად სამოცდახუთმეტი ათასს მისცემდნენ. მანეთისათვის ვასილის კუნძულამდე იხოხებსო, დასცინის ივოლგინს რაგოჟინი. ბუხარში კი ასი ათასი მანეთი იწვის.

ყველა თავზარდაცემული და გაოგნებული მისჩერებია განია ივოლგინს.

მაგრამ ივოლგინმა გაუძლო ცდუნებას. გადაიტანა ტანჯვა. როცა ყველა დარწმუნდა, რომ გა-

ნია ივოლგინი არ მივარდება ბუხარს ფულის სახმლიდან გამოსატანად, დათრგუნა სიხარბე, იგი მოტრიალდა და კარებისაკენ წავიდა. ივოლგინი ტოვებდა ნასტასია ფილიპოვნას სახლს, მაგრამ, ორი ნაბიჯი გადადგა თუ არა, გულწასულმა იატაკზე მოადინა ზღართანი.

ნასტასია ფილიპოვნამ ასტამი აიღო, ფული ცეცხლიდან გამოიღო და გულშეღონებული ივოლგინის გვერდით დადო. ეს ფული მთლიანად მისია, — ბრძანა ქალმა, — იგი არ ეცა მას. მაშასადამე, თავმოყვარეობა მეტი ჰქონია, ვიდრე სიხარბე.

ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს „იდიოტი", არ შეიძლება ეს სცენა დაავიწყდეს. როგორც ნასტასია ფილიპოვნას საქციელში, ისე განია ივოლგინის თავშეკავებულობაში არის ხასიათის არაჩვეულებრივობა, განსაკუთრებულობა ანუ ლეგენდურობა. ამ თვისებით ორივე პერსონაჟი მტკიცედ ეუფლება მკითხველის ყურადღებას და ღრმად რჩება მეხსიერებაში.

მინდორში ბალი ვაშენე, ღობე გავავლე ჯალჯისა,
დავთესე კიტრი ოქროსი, ლობიო მარგალიტისა,
მოვიდა ქალი ლამაზი, გასწია ღობე ეკლისა,
მოსწყვიტა კიტრი ოქროსი, ლობიო მარგალიტისა.

ოქროს კიტრი და მარგალიტის ლობიო უკვე ლეგენდაა, მაგრამ სწორედ ეს აჯადოებს მკითხველს. ჯალჯის ღობესთან შეერთებული ოქროს კიტრი სრულიად სხვა სამყაროს ქმნის და იმ

მზეთუნახავსაც თვალნათლივ ხედავთ, ვინც მარგალიტის ლობიოს მოსაკრეფად მოვიდა.

საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და ხალხური ლექსის უცნობი ავტორი ერთნაირად ეძებს უცნაურს, არაჩვეულებრივს, განსაკუთრებულს, რომ ლეგენდურობის განწყობილება შექმნას. ეს ბუნებრივია. ჩვენ, პუბლიკუმს, ლიტერატურისა და ხელოვნების პროტაგონისტი მაშინ გვიზიდავს, გვხიბლავს და გვეუფლება, თუ მის საქციელსა და თვისებაში არის ლეგენდური ძალა.

ამიტომ შემოქმედი მოვალეა ან კალმით შექმნას ლეგენდა ან პირადი ცხოვრებით.

1982 წ.

მკვახე შეძახილი

მეტად ძნელია და რთული იმსჯელო ერის სულიერ თვისებაზე, ესთეტიკურ ბუნებასა და ხასიათზე. ალბათ ერის ბუნების და ხასიათის სრული ამოცნობა შეუძლებელიც არის, იმდენად მრავალფეროვანი, ღრმა, უცნაური და მიუწვდომელია იგი. გულახდილად რომ ვთქვათ, ბოლომდე პიროვნების ბუნება-თვისების ამოცნობაც კი ჭირს და მთელი ერის ხასიათს როგორღა უნდა მიაგნოს კაცმა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პრობლემაზე არ დავფიქრდეთ და არ ვცადოთ თუნდაც ზოგიერთი

ნიშან-თვისების მოძებნა. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხში თათქარიძეობის სენი აღმოაჩინა, მახვილი მის წინააღმდეგ აღიმართა. ამ ბრძოლას ჩვენი სულიერი გაჯანსაღებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა ივანე გონჩაროვმა ობლომოვობის თვისებას მიაგნო რუს ხალხში, საქმიანობა მის აღმოსაფხვრელად წარიმართა. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ობლომოვობის წინააღმდეგ ბრძოლამ სერიოზული როლი შეასრულა რუსული რევოლუციური თვისების გამომუშავებაში.

რაც მთავარია, ჩვენი ეროვნული ხასიათის ამოცნობა იმისთვისაც არის აუცილებელი, რომ უმეცრებისა და გაუგებრობის გამო თავს არ მოვიხვიოთ ის, რაც უცხო და მიუღებელია ჩვენთვის. იგი ავითვისოთ, იმას ჩავეჭიდოთ, რაც ბუნებრივად ესადაგება და ეგუება ჩვენს თვისება-ხასიათს.

ამიტომ გ. ასათიანის ნარკვევისადმი — „სათაველებთან“ („ცისკარი“, 1980 წ., № 5, 6, 7) —გულგრილი დამოკიდებულება შეცდომად მიმაჩნია. შეძლებისდაგვარად ყველამ ვიმსჯელოთ წამოჭრილ პრობლემაზე და იქნებ ქართველის ზოგიერთი ეროვნული თვისება-ხასიათი მართლაც უტყუარად დავადგინოთ. მით უმეტეს, რომ ამ საკითხს მარტო დღეს არ შეუწუხებია ჩვენი მწერლობა. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დაიჩივლა: „...ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თჳსთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და გან-

სუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955 წ. გვ. 359). ასევე გულისტკივილით აღნიშნავენ ჩვენი ხალხის მანკიერ თვისებებს არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვანი. მარტო აკაკი წერეთლის სიტყვებმა — „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“, — რა მწარედ უნდა დაგვაფიქროს. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებშიც ამ პრობლემის გარშემო ცხარე პაექრობა იყო გაჩაღებული. გაიხსენეთ ჟურნალ „ქართული მწერლობის“ (1927 წ., № 1) ფურცლებზე გამართული დისკუსია, რომელიც ნიკოლოზ მიწიშვილის „ფიქრებმა საქართველოზე“ გამოიწვია (1926 წ., № 4—5).

გ. ასათიანის ნარკვევში არ არის ძველი კამათის არც გადაჭარბებული ოპტიმიზმი და არც უსაბუთო სკეპტიციზმი. თუმცა ის კი უნდა ვთქვა, რომ ნაღვლიანი კილო გ. ასათიანსაც შეეპარა, როცა ნარკვევის დასასრულს განაცხადა — „ოკეანემდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა...“ თუ ოკეანესკენ მივდივართ, მისი სიშორე ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ ჩვენ ოპტიმიზმის მეტი საფუძველი გვაქვს. ამის უპირველეს საბუთად, როგორც უნდა გაუკვირდეს მკითხველს, ქართული ზღაპრების გმირი ნაცარქექია მიმაჩნია.

როცა გ. ასათიანი ნაცარქექიას ეხებოდა, იგი, კირილე მიმინაშვილთან, ყვარყვარე თუთაბერთან და ბათა ქექიასთან ერთად, ქართული ხასიათის

შემადგენელ ელემენტად ჩათვალა (VI, 100. რომაული ციფრი აღნიშნავს ჟურნალის ნომერს, არაბული — გვერდს). ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მე მგონია, გ. ასათიანმა მკაფიოდ არ თქვა, ქართველმა ხალხმა რა აზრი ჩასდო ნაცარქექიის სახეში.

„სიზარმაცისა და ბაქიობის გარეშე ვის რა ჯანდაბად უნდა თქვენი ნაცარქექია? მისი ბაქიობაც ხომ ჩვეულებრივი არაა. ის ყველაზე დიდ დუშმანს — ბაყბაყ-დევს უნდა მოერიოს, თორემ პატარ-პატარებთან დაჭიდებაც ეთაკილება“.

ნუთუ სიზარმაცე და ბაქიობაა ნაცარქექიას თვისება? თუ ასე ვიფიქრეთ, მაშინ რუსული ზღაპრების გმირი ივანუშკა-დურაჩოკიც ბრიყვად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ასე რომ არ არის. ივანუშკა-დურაჩოკი ხომ ყველაზე გამჭრიახი, ჭკვიანი და გონიერია. გამარჯვებულიც ამიტომ გამოდის. მაშასადამე, „დურაკობა“ მისტიფიკაცია ყოფილა. ნიღაბი ყოფილა ნამდვილი არსის დასამალავად, ასეთივე მისტიფიკაციაა, ნიღაბია ნაცარქექიას სიზარმაცე და ბაქიობაც. ჩვენს ზღაპრებში ნაცარქექია ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. იგი ყველას ამარცხებს. მათ შორის იმ ბაყბაყ-დევსაც, რომელიც მრავალგზის უფრო ღონიერი და მძლავრია, ვიდრე ნაცარქექია. თითქოს დევმა ნაცარქექია ნიორწყლად უნდა აქციოს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხებული და გაცუცურაკებული რჩება იგი. ჭკუით, გამჭრიახობით, მოქნი-

ლობით, ეშმაკობით სჯობნის ნაცარქექია დევს. სწორედ, ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა, ეშმაკობაა ნაცარქექიას თვისება და არა სიზარმაცე და ბაქიობა. სიზარმაცე და ბაქიობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისათვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიცნოს.

ახლა უფრო შორს წავიდეთ: განა ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მოდელი არ ჩანს?

საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ:

საქართველო და რომის იმპერია,
საქართველო და ბიზანტიის საკეისრო,
საქართველო და არაბთა ხალიფატი
საქართველო და სპარსეთის შაჰინშატი,
საქართველო და მონღოლთა ულუსი,
საქართველო და ოსმალთა სულთანატი,
საქართველო და რუსეთის ცარიზმი.

ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნიღაბი აიფარა. თუ ეს არ დავინახეთ ნაცარქექიაში, მაშინ მას ცალმხრივად წარმოვიდგენთ და ნიღაბს არსად მივიჩნევთ. ამიტომ დამაჯერებლად არ მეჩვენება,

რომ კირილე მიმინაშვილის, ყვარყვარე თუთაბერის ან ბათა ქექიას არქეტიპი ნაცარქექია იყოს. დემნა შენგელაიას თავად აქვს ნათქვამი: „ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ის (ბათა ქექია — ა. ბ.) მართლაც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია ფალსტაფისა და გარგანტუასი, სანჩო პანსასი და ლემკე გუდსაკისა, კოლა ბრუნიონისა და ლუარსაბ თათქარიძისა“. როგორც ვხედავთ, აქ ნაცარქექია არ არის მოხსენიებული. ნაცარქექიას მერე გაიხსენებს მწერალი. „მას (ბათა ქექიას — ა. ბ.) არ უნდა ლიტერატურული ნათესაობა შეწყვიტოს არც „ქალმასობის“ მთავარ გმირთან და არც ნაცარქექიასთან“. ნათესაობა კი ბატონო, რამეთუ ნაცარქექიაც ქართველი კაცია და ბათა ქექიაც, მაგრამ უფრო ღვიძლი ურთიერთობა კი მათ შორის არ ჩანს. ამით ნაცარქექიაზე ლაპარაკი დავამთავროთ.

ქართული ეროვნული ხასიათის თვისებათა გამოყოფისას, გ. ასათიანი აღნიშნავს, რომ „შურისმაძიებლობა არასდროს არ ქცეულა ქართველი ხალხის ეროვნულ იდეოლოგიად, არც ლიტერატურაში, არც სამართლებრივ პრინციპებში, არც პოლიტიკურ სულისკვეთებაში“ (VI, 106). ზოგადად და საერთოდ ეს მართალია, მაგრამ განა არსებობს დედამიწის ზურგზე ერი, რომელსაც შურისმგებლობა ნაციონალურ იდეოლოგიად აქვს გადაქცეული? ასეთი ხალხი არ არსებობს და ვერც იარსებებს, რამეთუ, თავად გურამის სამართლიანი თქმით, ასეთი ერი ამოწყდებოდა სისხლში ბალ-

ლამის ჩაქცევისაგან. მაშინ რა განსაკუთრებულ თავისებურებას ავლენს ქართველი ხალხი ამ მიმართულებით? შურისძიება ქართველისათვის საერთოდ უცხო რამ არისო, ამას ვერ ვიტყვით. ლიტერატურული თვალსაზრისით, საკმარისია მარტო მე-19 საუკუნის მწერლობა გავიხსენოთ, სადაც შურისგების პრობლემა ღრმად და სერიოზულად დგას.

განა ვარდუას („სურამის ციხე") შურისძიება სასტიკი და დაუნდობელი არ არის?

განა გაბრიელმა („გლახის ნაამბობი") სამაგიერო არ მიუზღო დათიკოს და რაიმე შემწყნარებლობა გამოავლინა მის მიმართ?

განა ბახვა ფულავა („პირველი ნაბიჯი") უტეხი სიჯიუტით არ ეძებს შურისგების გზას და მანამ ვერ პოულობს მოსვენებას, სანამ სურვილს არ აისრულებს?

განა გელამ ონისე („მოძღვარი") შურისძიების მიზნით არ მოჰკლა, რის გამოც სოფლის რისხვა— ჩაქოლვა — დაიმსახურა?

განა სიმონა („სიმონა") დაუზოგველად არ უხდის სამაგიეროს დარიკოს შეურაცხმყოფელთ?

განა დავით კლდიაშვილის მიერ „თავად პეტრეში" უგუნური და უაზრო შურისძიების შემაძრწუნებელი ამბავი არ არის აღწერილი?

რომელი ერთი ჩამოვთვალო. დასახელებული ნიმუშებითაც ერთი რამ ცხადზე ცხადია: ქართული მწერლობა სერიოზულად ამუშავებდა შურისგების პრობლემას, ოღონდ, ჩვენს ლიტერატურის

მცოდნეობას და კრიტიკას ეს საკითხი სათანადოდ არ შეუსწავლია, არ გაუანალიზებია. არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, როგორ გამოვლინდა შურისძიების პროცესში ქართული ხასიათი, რა ზნეობრივი დასკვნა გაკეთდა აქედან.

ეს ლიტერატურული ასპექტით. ახლა ისტორიის კუთხითაც გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი.

მოიგონეთ, როგორ ჩამოიყვანა მოტყუებით ბაგრატ მესამემ ფანასკერტში თავისი ნათესავები, ალარჯთა ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ბაგრატ არტანუჯელის ძენი, თმოგვის ციხეში ჩაამწყვდია და სული ამოხადა.

ანდა, როგორ მიიპატიჟა გიორგი ბრწყინვალემ ჰერეთ-კახეთის და სომხითის ერისთავები ცივის მთაზე და პირწმინდად ამოწყვიტა.

თუ ოდესმე ნიჭიერი მწერალი დაამუშავებს ქსნის ერისთავების მიერ არაგვის ერისთავთა ამოჟლეტის ამბავს, შეიძლება მივიღოთ შურისძიების უფრო შემზარავი სურათი, ვიდრე „ნიბელუნგების თქმულებაშია“ დახატული.

სოლომონ პირველის მიერ რაჭის ერისთავთა მოსპობა შურისძიების აქტი არ არის?

გაიხსენეთ ლევან მეორე-დადიანი, თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი (ანდა თავად თეიმურაზ პირველი: მან არ მოაკვლევინა ზურაბ ერისთავი, სიძე და თანამებრძოლი), გივი ამილახვარი და ...ვანი, რომელნიც შურისმგებლის დაუოკებელი ...ენებით არიან შეპყრობილი. ისინი ხომ ქართვე-

ლები არიან და ქართულ სულსა და ხასიათს ავ-
ლენენ.

მაშასადამე, ქართველმა იცის შურისძიება და-
თან სასტიკი. ეს ლიტერატურითაც დასტურდება
და ისტორიითაც. ამიტომ ნუ შევეცდებით პირი
მოვიწმინდოთ და გულმოწყალისა და მიმტევებ-
ლის ნიღაბი ავიფაროთ. არ არის ეს საჭირო. ძვე-
ლი რომაელები ამბობდნენ — Homo sum, human
nihil a me alienum puto. ქართველიც ადამიანი
და არც მისთვის არის რაიმე ადამიანური უცხო
ნფრც ის გაგიკვირდებათ, რომ „ზოგს შურისმა-
ძიებლები ვგონივართ.“ ვართ, თუ ძალა შეგვწევს
როცა ამას ვამბობ, არ მავიწყდება დავით აღმაშე-
ნებლის დიდსულოვანი საქციელი: თბილისის მაჰ-
მადიანებით დასახლებულ უბნებში ღორის დაკვლის
აკრძალვა, ამით მუსლიმანებს შეურაცხყოფილად
რომ არ ეგრძნოთ თავი. მაგრამ ეს ფაქტი უფრო
დავით აღმაშენებლის პიროვნების პოლიტიკურ
ნიჭიერებას, გამჭრიახობას, დიდბუნებოვნობას მოწ-
მობს და ნაკლებად ავლენს საერთოეროვნულ შემ-
წყნარებლობის თვისებას.

თუ ხშირად ვისმესთვის ჩვენი ეროვნული და-
მცირებისა და შეურაცხყოფისათვის მაგიერი არ
მიგვიზღვავს, ეს ჩვენი უძლურების შედეგი იყო
და არა ჩვენი შემწყნარებლობისა და მპატიებლო-
ბისა.

როცა ძალი გვქონდა ქადილისა, სამარცხვი-
საქციელიც ჩაგვიდენია. განა სატრაბაიოა
რაც ქართველთა ლაშქარმა გააკეთა გიორგი ბ-

სამის დროს? ქვეყანა დაწყნარებული იყო, მეზობლები დამორჩილებული, მტერი არსაიდან გვემუქრებოდა. ჯარს უქმად ყოფნა მოსწყინდა და მეფეს მიაკითხა: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თუინიერ ლაშქრობისა და რბევისა.“ მეფემ ეს უგნური თხოვნა ყურად იყო და სპას ნება დართო დაერბია ყველა ოლთისიდან შარვანამდის („ქართლის ცხოვრება“, ტ. II , 1959 წ., გვ. 15—16). ასე წარტყვევნეს და ააწიოკეს უზარმაზარი ტერიტორია მოწყენილობისა და უსაქმურობის გამო.

ანდა, მეორე ფაქტი გულმოწყალებასა და მპატიებლობაზე ლაპარაკობს? ლაშა-გიორგის დაბადებით გახარებულმა ქართველებმა, ჩვილი უფლისწულის პატივსაცემად, ააოხრეს უდანაშაულო ქალაქი ბარდავი. დიდძალი საუნჯე წამოიღეს და აურაცხელი ტყვე წამოასხეს (იქვე, გვ. 58).

ეს ფასი ძლიერის შემწყნარებლობას აქვს, თორემ უძლური და სუსტი მპატიებელი უნდა იყოს. სხვა რა გზა აქვს. ჩვენ რომ ჩვენი ძლიერების ხანაში ისეთივე გულმოწყალება გამოგვეჩინა, როგორსაც უძლურების დროს ვავლენდით, მაშინ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა შემწყნარებლობა, ლმობიერება, მპატიებლობა ქართული ხასიათის თვისებად. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მომხდარა. მაშინ ისე ვიქცეოდით, როგორც ყველა ღონიერსა და ძლიერს სჩვევია. საკუთარ ძლიერებას რაღას ვსაყვედურობთ, როცა სხვისი ღონით გულმოცემული ვემუქრებოდით ჩვენს ყოფილ მტრებს:

ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!

გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, „მერანის“ ავტორმა როგორ დაწერა ეს ლექსი, რომელშიც სხვისი დათრგუნვის, დაჩაგვრის, დამონების სურვილია გამომჟღავნებული.

ამრიგად, შურისძიების გრძნობა ქართველი ხალხისათვის არ ყოფილა უცნობი, ისევე როგორც სხვა ხალხებისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისევე. როგორც სხვა ხალხებს, ქართველებს იგი არ გადაუქცევიათ ეროვნულ იდეოლოგიად. ეროვნული ხასიათის კვლევის ამოცანა, ჩემი ფიქრით, ის არის, რომ ვიპოვოთ სად ჰგიეს განსხვავება ქართველისა და სხვა ხალხების შურისმაძიებლობას (ისევე როგორც სხვა თვისებებს) შორის. რა თავისებურება ახლავს ქართველის ამ თვისებას და არ ელფერით ერწყმის იგი სხვათა ამგვარსავე თვისებას. ამის მიგნებაა მთავარი. ცხადია, ეს მეტად ძნელი საქმეა და შესაძლებელია ერთ კაცს ამის გაკეთება არც ხელეწიფებოდეს, მას მკვლევართა მთელი ჯგუფი სჭირდებოდეს. მაგრამ ჩვენ ჩვენი ვცადოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. მივაგნებთ თუ ვერა იმ თავისებურებას, რომელსაც ქართველი ავლენს ამა თუ იმ საერთოადამიანური თვისების გამომჟღავნებისას.

შურისმგებლობა ორგვარად ვლინდება: ხალხის რისხვის სახით და ციდამტკავლური ინტრიგის ფორმით.

ისტორიულად ჩვენ არ გვყოლია ჩვენი კრომველი და ჩვენი რობესპიერი. ბუნებრივია, რომ ხალხის სახელით ჩვენ არც ჩვენი ჩარლზ პირველი დაგვისჯია და არც — ჩვენი ლუი მეთექვსმეტე. მაგრამ სამაგიეროდ თვალები დაგვითხრია, ისე როგორც ეს გაუკეთეს დასავლეთ ქართველთა მეფე ბაგრატს. მერე კი უსინათლოსა და უბედურისათვის ქვეყნის მართვა დაგვივალებია. ოსმალთა დახმარებით, ტახტზე ვიგინდარა ჭუჭუნასშვილი დაგვისვამს და ხელმწიფის საკადრისი პატივი მიგვიგია. კონსტანტინე ბატონიშვილივით ტახტისათვის ღვიძლი მამაც და ძმაც მოგვიკლავს.

დღეს, ცხადია, ძნელია ეჭვმიუტანლად დაამტკიცო ან უარყო ლუარსაბ მეორე მართლა გიორგი სააკაძის ინტრიგის წყალობით დაიღუპა თუ არა, მაგრამ ის კი ნათელია და მკაფიო, რომ ნოსტელ აზნაურს გამბედაობა არ ეყო კრომველივით ან რობესპიერივით, ხალხის სახელით, სიკვდილით დაესაჯა ლუარსაბ მეორე ან თეიმურაზ პირველი. თუმცა მას არც კრომველზე და არც რობესპიერზე ნაკლები ენერგია არ გამოუვლენია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ოღონდ ციდამტკავლურ ინტრიგას უფრო ოსტატურად იყენებდა, ვიდრე ხალხის რისხვას.

ჩვენ არც მარია-ანტუანეტასავით გაგვიტარებია

დედაქალაქის ქუჩებში, გილიოტინაზე დასასჯელად ჩვენი ლამაზი დედოფლები, მაგრამ ამის სანაცვლოდ, ტყეში, ჩუმად ცხვირი, ენა და ყურები მოგვიჭრია, დარეჯან შარვაშიძის მსგავსად და მერე პატივახდილი მამის სახლში დაგვიბრუნებია.

ჩვენ არც ჩვენი ჯორდანო ბრუნო დაგვიწვავს კოცონზე, მაგრამ არც იმის შეგვრცხვენია, რომ წიწამურის ბუჩქებში ქურდულად ჩაცუცქულებს პირველი ერის კაცი მოგვეკლა.

მართალია, ჩვენ ჩეხი დედაბერივით ფიჩხი არ დაგვიყრია საჯაროდ იმ კოცონზე, რომელსაც ჩვენი იან ჰუსი უნდა შთაენთქა, მაგრამ, როცა მოხუცი სულხან-საბა ორბელიანი წვერებით ათრიეს სვეტიცხოვლის ეზოში, არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო.

როგორ არ გავიხსენო მიხეილ ქვლივიძის ლექსი:

მაშ შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს,
არ გაქცევია სამშობლოდან სულთამხუთავებს
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის ბრალია,
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია...
იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა მელექსე:
თეიმურაზი,
არჩილ მეფე,
ვახტანგ მეექვსე,
საბა-სულხანი გამოაწყო ბერის კაბაში,
ძვალთშესალაგი დაუკარგა ბესიკ გაბაშვილს,
მამულს მოსწყვიტა სამუდამოდ გურამიშვილი
და ბარათაშვილს ამოჰხადა სული შიმშილით?
იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა ტყვია,

ან სიყვარულმა ჰკრა მაჩაბელს ხელი — სამიწე,
ან იქნებ იმას სიყვარული სახელად ჰქვია,
რამაც შეშალა მთის არწივი მოჩხუბარიძე?
არა.
ქართველთა გზა როდია ასე იოლი,
თვითმკვლელობაა
დიდი საქმის ჩვენში დაწყება...
სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი
და ქვაფენილებს შურდულივით დაენარცხება.

როცა ამ ლექსს წაიკითხავ და მასში მოხსენიებულ ფაქტებს ასწონ-დასწონი, მაშინ გაგიჭირდება დაიჯერო, რომ „ქართველი კაცის მოწყალე ბუნება და შემწყნარებლობის უშრეტი ნიჭი მართლაც სასწაულს გავს“ (VI, 106).

მკითხველისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის გაგება, რისი თქმაც მინდა ამ პარალელებით. ქართულ შურისმაძიებლობას უფრო ციდამტკავლური ინტრიგის ხასიათი აქვს, ვიდრე ხალხის რისხვისა.

ხალხის რისხვით ერის კეთილშობილი ხასიათი გლინდება, ციდამტკავლური ინტრიგით — მანკიერი.

ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ჩვენივე ნაკლის მხილებისა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გ. ასათიანის ნარკვევშიაც შევნიშნე ამგვარი შიშის გამოძახილი. ეს მაშინ ჩანს განსაკუთრებით მკაფიოდ, როცა გურამ ასათიანი ცდილობს ახსნა მოუძებნოს ლერმონტოვის უბადაღებულ სტრიქონს — бежали робкие грузины და робость ნიუანსურად განასხვავოს трусость-ისა და пугливость-ისაგან

(V, 144—145). სხვათა შორის, რა მწარედ განუცდიათ ქართველებს ლერმონტოვის ეს სიტყვები, კარგად ჩანს ნიკა აგიაშვილის მოგონებიდან — „მას აუხსნია ბევრი ქარაგმა“ (1980 წლის 12 სექტემბრის „ლიტერატურული საქართველო“). ეს უცნაური ამბავია. ნუთუ რომელიმე ჩვენთაგანს სერიოზულად სჯერა, რომ ქართველთა შორის მხდალი და ლაჩარი არ ურევია? იმდენი სიკეთე და ბედნიერება მე და თქვენ, მკითხველო, რამდენიც მშიშარა ქართველია ამქვეყნად.

ქართველების მიერ გამოვლენილი სიმხდალე მარტო ლერმონტოვს არ შეუმჩნევია, „ქართლის ცხოვრებაშიაც“ მრავლად არის აღწერილი ჩვენი სილაჩრის მაგალითები და უცხოელ მოგზაურთა ნაწერებშიც. ლერმონტოვს რუსეთის შესახებაც აქვს მწარე სიტყვები ნათქვამი. გავიხსენოთ თუნდაც „немытая Россия, страна рабов, страна господ“. ხომ იქნებოდა უხერხული, აბდგარიყვნეს რუსი მწერლები და ეძებხათ „немытй“-ს ნიუანსი და ემტკიცებინათ, ეს სიტყვა ლერმონტოვს პირდაპირი მნიშვნელობით არ უხმარიაო. ცხადია, არც ჩვენს ღირსებას შეეფერება „робкие грузины“-ის რაიმე ახსნა მოვუძებნოთ. ისე როგორც ყველა ერში, ქართველებშიაც ბევრია გულადიცა და ლაჩარიც. აქ არაფერია განსაკუთრებული. ჩვენ თავად შესანიშნავად ვიცით, სად გამოგვიჩენია სიმამაცე და სად სიმხდალე. ამიტომ ძალიან ნუ დაგვადარდიანებს, თუ ვინმემ ჩვენი ვაჟკაცობა ვერ შეამჩნია და მხოლოდ მშიშრო-

ბა დაინახა. ოღონდ ის კი უნდა ვისწავლოთ, როდის, სად და რისთვის უნდა გამოვიჩინოთ სიმამაცე. ჩვენი მატიანეც და ჩვენი ლიტერატურაც ბევრ საბუთს გვაწვდის იმისას, რა უხვად დაგვიღვრია სისხლი სხვისი მიზნების განსახორციელებლად, თუმცა ამის გამო ჩვენთვის მადლობა არავის უთქვამს. ამის ნიმუშად ამოსის მინდორში მომხდარი ბრძოლაც კმარა, როცა ჩვენი სამშობლოს დამაქცევარ მონღოლებს მხარდამხარ ვედექით და მათი დიდებისათვის ვიქნევდით ხმალს. იმათ ბრძოლის ველიდან გაქცევა უნდოდათ და ჩვენ ვუმტკიცებდით — „არა არს წესი ჩუენი ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი.“ ამ ერთგულების სანაცვლოდ მონღოლთა სარდალი ყაენს მოახსენებდა: „...ჩუენ ბრძანებისამებრ თქუენისა, გუნებავს გარე შექცევა და წინაშე შენსა მოსვლა, გარნა ქართველნი, უცნობოჴმნილნი, არა მოვლენ ჩუენ თანა“ („ქართლის ცხოვრება“ ტ. II, 1959 წ., გვ. 262—263). გარდა უგუნურებისა, ნეტავ რა გვრჯიდა მოსისხლე მტრისათვის ასე დაგვედო თავი? ასეთ ბრიყვულ სიმამაცეს უნდა გადაეჩვიოთ, თორემ ლაჩარს რა გამოლევს ამქვეყნად.

/ გ. ასათიანმა ქართული ეროვნული ხასიათის მთავარ ნიშნად სულიერებისა და ნივთიერების ორგანული შერწყმა მიიჩნია.✓

„სულის და ხორცის ურთიერთ ლტოლვა, მათი შეთანხმება, შეკავშირება, შერწყმა, ფუნდა-

მენტური თვისებაა ქართველი ხალხის ესთეტიკური ბუნებისა“ (V, 129).

თუმცა იქვე აღნიშნა, რომ პრობლემის ამგვარი კუთხით ჩვენება-გაშუქება საერთოდ კლასიკური ხელოვნების მთავარი ნიშან-თვისებაა და კითხვაც მაშინვე თავადვე დასვა — „მაშ, ჩვენ, ქართველებს რაღა დაგვრჩენია?“.

ამ საკითხზე მსჯელობისას, ჩემი აზრით, რატომღაც სათანადო ყურადღება არ მიექცა ერთ პერსონაჟს, რომელიც ზუსტად გვაძლევს იმის პასუხს, რაც დაგვრჩენია ქართველებს. ეს პროტაგონისტია „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილი.

ავთანდილი სავსეა როგორც სულიერებით, ისე ნივთიერებით. იგი სულიერების განსახიერებაა, მაგრამ მისი მონა არ არის, თუ საჭიროა. იგი მაშინვე იყენებს ნივთიერებას, მაგრამ არც მას მორჩილებს. სიყვარულის, მეგობრობის, შეწყალების ქადაგი და პრაქტიკულად განმხორციელებელიც ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, ძალადობის ან მკვლელობის აუცილებლობა თუ დაინახა. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიბრძნე ძირითადად ავთანდილის პირით არის გაცხადებული, მაგრამ ამ ბუნება-ზეარსმა (რუსთაველის სიტყვაა) კაცმა მაშინვე სტაცა ასმათს თმებში ხელი, როგორც კი ხვეწნამ და ტკბილმა სიტყვამ არ გასჭრა. არც მაშინ უყოყმანია ავთანდილს. როცა ფატმანის საყვარელი ჭაშნაგირი მოჰკლა, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო. ავთანდილი იმიტომაც იმარჯვებს, რომ მას არ დაურღვევია წო-

ნასწორობა სულიერებასა და ნივთიერებას შორის, სულსა და ხორცს შორის.

თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამომერთმევა, ავთანდილის ცოცხალ პროტოტიპად დავით აღმაშენებელს მივიჩნევდი. ამ კაცმა უდიდესი პრაქტიკული საქმეც განახორციელა და სულიერებით სავსე ჰიმნიც დაწერა. დიდი საქართველოს აღმაშენებელ ხელმწიფეს შეუძლებელია უამრავი ისეთი საქმე არ გაეკეთებინა, რასაც ნივთიერების გამოვლენად, ხორცის სამსახურად მივიჩნევდით და ისიც დაუჯერებელია, რომ „გალობანი სინანულისანი“ დაეწერა ადამიანს, ვინც სულიერების მწვერვალებს არ იყო მიმწვდარი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა ავთანდილივით ზუსტად იცოდა, როდის უნდა ყოფილიყო სულიერების ტრფიალი და როდის — ნივთიერების.

მე მგონია, როცა სულიერებისა და ნივთიერების შერწყმა-შეერთებაზეა ლაპარაკი, ეს ორი პიროვნება — ერთი რეალური და ისტორიული, მეორე კი შეთხზული — განსაკუთრებული დაკვირვების საგანი უნდა გახდეს. თუ კლასიკური ხელოვნების მთავარ ნიშან-თვისებას ქართულმა მწერლობამ რაიმე შემატა, ეს ავთანდილის სახეა, თუ ინდოეთი კაცობრიობის სულიერი განგია, ქართული განგიც სულიერებისა და ნივთიერების შერწყმის ის ჰარმონიაა, რომელსაც ავთანდილი ავლენს. მე არ მეგულება მეორე პერსონაჟი ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ავთანდილივით ჰარმონიულად ათავსებდეს ერთმანეთთან სულიერებასა

და ნივთიერებას. ამით არის იგი ბუნება-ზეარსი.

როგორც ჩანს, ,ბუნება-ზეარსობა ურთულესი და უძნელესი რამ ყოფილა, რამეთუ ჩვენს ლიტერატურაში ავთანდილი აღარ განმეორებულა და ჩვენს ისტორიაში — დავით აღმაშენებელი. მაგრამ მოხდა სხვა პროცესი: ნივთიერების თვინიერ, სულიერების უკიდურესი განვითარება, რომლის შედეგად ვაჟა-ფშაველას წინდია მივიღეთ და, სულიერების თვინიერ, ნივთიერების უკიდურესი განვითარება, რომლის რეზულტატად მიხ. ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძე მოგვევლინა. ამიტომ მინდიას ანტიპოდი, მლოფლმხედველობრივი ანტითეზა კვაჭი კვაჭანტირაძეა და არა მურმანი.

ჯერ ერთი, პიროვნება, რომელსაც შეუძლია სიყვარულის სახელით ეშმაკს მიჰყიდოს სამშვინველი, დაცლილი არ არის სულიერებისაგან. ოღონდ მურმანი მცდარ გზას ირჩევს იმისათვის, რომ ეზიაროს სულიერების მწვერვალს — სიყვარულს. სიყვარული ხომ ღმერთია. გაიხსენეთ „ღმერთი სიყვარული არს“ (იოანე მოციქულის ეპისტოლე პირველი, IV, 8) და „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“ („ვეფხისტყაოსანი“). თუ ასეა, სიყვარული სულიერების უმაღლესი გამოვლენაა. მურმანიც აქეთკენ მიილტვის, ოღონდ, როგორც ითქვა, მცდარი გზით.

მეორეც, განა ეთერი მარტო ქალია? მართალია, ეთერიანის თავდაპირველი მითოლოგიური ვარიანტი არ შემოგვრჩენია, მაგრამ დღეს გადარ-

ჩენილ ხალხურ თქმულებაშიც მკაფიოდ მოჩანს მითოსი. ბევრი კომპონენტი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეთერი ქართველი აფროდიტეს ნაირსახეობაა. ის რომ ეთერი დაავადდება, არაფერს ნიშნავს. ეს გამოცდაა, რომელსაც ღმერთი ხშირად მიმართავს. ფლობერის მოთხრობაში — „ლეგენდა მწირთა შემფარებელ წმიდა ჟიულიენზე“ — ჟიულიენს ქრისტე ხომ კეთროვანის სახით გამოეცხადა? როცა ამ საშინელ სენის წინაშე წმიდანმა უკან არ დაიხია და უზენაესმა დაინახა, რომ მოყვასის სიყვარულმა სძლია შიშს, ჟიულიენი ცად აამაღლა. ამგვარი გამოცდაა ეთერის ავადმყოფობა აბესალომისათვის. აბესალომი შეშინდა და დათმო ეთერი. სამაგიეროდ სიკვდილით გამოისყიდა სულმოკლეობა და იქნა მიტეეებული.

ეთერიანში სულიერებისათვის ბრძოლის ორი სხვადასხვა გზაა — აბესალომისა, რომელსაც თავისუფალი არჩევნის ფორმა აქვს, და მურმანისა, რომელიც ძალდატანებით სახიერდება. ეშმაური გზის არჩევის გამოა მურმანი უარყოფითი დამოკიდებულების სუბიექტი, თუმცა ვაჟა-ფშაველას გენიამ მას დანაშაულის გამოსყიდვის უფლება მისცა: შერემ ანუ მურმანმა თვალები დაითხარა. სულიერებისაკენ ლტოლვის დროს დაშვებული შეცდომის გამოსწორება მან თვითგვემით სცადა. ამიტომ მეორდება აქ ანტიკური ოიდიპოსის ვარიანტი. შეცდომა გამოსყიდულია და სულიერება განწმენდილია ეშმაური ჭუჭყისაგან.

ყოველივე ზემოთქმულის გამო მიჭირს დავე-

თანხმო გ. ასათიანს, რომ აბესალომი ან მურმა-
ხი პირად ბედნიერებაში ხედავდეს ცხოვრების თვით-
კმარ მიზანს (V, 131). ამგვარად ცხოვრების მიზანს
კვაჭი კვაჭანტირაძე ხედავს. სწორედ იგი უნდა
მივიჩნიოთ ნივთიერების, ანუ ეშმაური ბოროტის,
სახედ, რომელიც უპირისპირდება მინდიას, რო-
გორც სულიერების, ანუ ღვთაებრივი კეთილის,
ხატს. ამიტომ, ჩემი აზრით, უფრო მართალი იქ-
ნებოდა გვეთქვა, ჩვენი ეროვნული სულის ორი
პოლუსი, ორი უკიდურესი გადახრა მინდია და კვა-
ჭი კვაჭანტირაძეა, ხოლო ზომიერება და ჰარმო-
ნია — ავთანდილი.

ავთანდილისა და კვაჭი კვაჭანტირაძის შეპი-
რისპირება ქართული ხასიათის კიდევ ერთი თვისე-
ბის — სილაღის — თვალსაზრისით არის საყუ-
რადღებო. ამ თვისებას გ. ასათიანი განსაკუთრე-
ბულად აღნიშნავს: „არ-ლაღი (.5 თუნდაც არა მო-
ჩვენებითად გალაღებული, სილაღის თუნდაც
ილუზიური გარემოცვის გარეშე (დარჩენილი)
ქართველი კაცი არსებითად უკვე ქართველი აღარ
არის“ (V 140). რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ქარ-
თველი სილაღეს არ ეტრფის, მაგრამ აქ რამდენიმე
ნიუანსი მაინც არის დასაზუსტებელი, რომ დახა-
სიათება მომეტებულად ზოგადი არ გამოვი-
დეს.

ჯერ ერთი, განა მარტო ქართველები არიან
ლაღი? განა ესპანელებს, იტალიელებს, ფრანგებს,
თუნდაც სხვებს, სილაღე აკლიათ? განა მათ ლი-
ტერატურაში სილაღის ზღვა არ იშლება? ცხადია,

ასეა, და ჩვენც ამ ლაღი კაცობრიობის ორგანული ნაწილი ვართ.

მეორეც, ძნელი სათქმელია, რომ ოთარაანთ ქვრივი ან ვაჟა-ფშაველას დარეჯანი, ანდა ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცი და რევაზ ინანიშვილის ბარბალე ბადიაური ლაღი ქალები იყვნენ, მაგრამ ისინი ქართველები არიან, თან უკეთესი ქართველები. არც ალუდა ქეთელაური, არც ხევისბერი გოჩა, არც სპირიდონ მცირიშვილი, არც შიო არაგვისპირელისა და ჭოლა ლომთათიძის პერსონაჟები (კიდევ ბევრი სხვა) გამოიყურებიან ლაღად, მაგრამ კარგი ქართველები კი არიან.

მესამეც, არის ავთანდილის სილაღე და არის კვაჭი კვაჭანტირაძის სილაღე, არის ბათა ქექიას სილაღე და არის კირილე მიმინაშვილის სილაღე, არის ბაში-აჩუკის სილაღე და არის იერემია წარბას სილაღე. მათ შორის დიდი ზღვარია. თუ ავთანდილის, ბათა ქექიას, ბაში-აჩუკის და ამ რიგის პროტაგონისტთა სილაღე ქართველი კაცის ღირსეულ თვისებას ავლენს, კვაჭი კვაჭანტირაძის, იერემია წარბას, კირილე მიმინაშვილის და მათი მსგავსი პერსონაჟების სილაღე (უფრო მართალი იქნება ვთქვათ, ჩიტირეკიაობა) კი ქართველი კაცის უარყოფით თვისებას ამზეურებს. ზოგჯერ მათი ჩიტირეკიაობა ბოროტმოქმედებამდე მიდის. მაგალითად, იერემია წარბასი და კვაჭი კვაჭანტირაძისა. თუ ყველაფერი ეს არ გავითვალისწინეთ, შეიძლება შევცდეთ.

გ. ასათიანი ერთ საუბარს იხსენებს (VI, 100). მაჩაბლის ქუჩაზე მწერალთა კავშირის შენობის წინ, ქართველი მწერლები ერთ პარკისონით დაავადებულ, სომეხ მოხუცს გამოელაპარაკნენ თურმე. ბერიკაცს გარკვეული შურით უთქვამს — მართალია, თქვენმა თავადაზნაურობამ ყველაფერი გაჰყიდა, ფული ჭამა-სმაში გაფლანგა, ის ადგილმამულები ჩვენ ვიყიდეთ, მაგრამ ბოლოს რევოლუციამ ყველაფერი ჩამოგვართვა და მხოლოდ გასტრიტი და კუჭის წყლული შეგვრჩაო. მერე ესეც დასძინა თურმე: „აბა, თქვენ მიბრძანეთ, ვინ გიჟი და ვინ ჭკვიანი?“.

ამ ეპიზოდის კითხვისას არ შეიძლება ქვეტექსტისა და თხრობის კილოთი არ შეამჩნიოთ ავტორს ერთგვარი კმაყოფილება, რომ სომხის ბურჟუაზია თითივით გალოკილი დარჩა, ხოლო ქართველმა თავადაზნაურობამ ქეიფი მაინც მოასწრო. ნუთუ მართლა გვჯერა, რომ სხვა უფრო მძიმე შედეგი ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილის ქარაფშუტობასა და ჩიტირეკიაობას არ მოჰყოლია? დღეს საქართველოს ტერიტორიის მოზრდილ ნაწილში ქართველი კაცის ჭაჭანება რომ არ არის, ეს რისი ბრალია?

ია კობ მანსვეტაშვილი გვატყობინებს: „ბორჩალოს მაზრაში მემკვიდრეობით დარჩათ ზემოთ უკვე ნახსენებ კოლა ორბელიანს და გენო ქობულაშვილს ოცი ათასი დესეტინა მდიდარი მამული. ერთიცა და მეორეც, თქმა არ უნდა, „მცონარენი“ იყვნენ, ამიტომ მამული გაექცათ ხელიდგან და

ჩაუვარდათ ხელში მანთაშევს და არამიანცს... მოიხმეს თავიანთი დიდრიცხოვანი რაზმები სპეციალისტებისა: აგრონომები, ჰიდრავლიკები, ტექნიკები და უბრძანეს, აბა, გასინჯეთ მამული და გვითხარით, რაშია გამოსადეგიო. გასინჯეს და მოახსენეს: საუცხოო ადგილია ბამბის მოსაყვანადო... სომხეთიდან გადმოასახლეს ბამბის მოყვანის მცოდნე გლეხები, დასვეს ადგილზე და გაჩაღდა საქმე" („მოგონებანი", 1936 წ., გვ. 187).

ამიტომ ნურავინ მოიტყუებს თავს და იფიქრებს, რომ, ჩვენი სტუმართმოყვარეობის წყალობით, ისინი ხელგაშლილი მივიღეთ და დავასახლეთ. სტუმრის (ნამდვილი სტუმრის) მიღება სომხებმაც ჩინებულად იციან, ვერავინ დაუწუნებს მასპინძლობას, მაგრამ საკუთარი მიწა-წყალი არავისთვის დაურიგებიათ. არც საქართველოზე ნაკლები შემოსევა, აოხრება-აწიოკება განუცდია სომხეთს, მაგრამ რამდენადაც შესაძლებლობა ჰქონდათ, საკუთარი ოჯახი სუფთად შეინახეს. ჩვენ კი სასტუმროს დავემსგავსეთ, სადაც ვისაც უნდა, როგორც უნდა და რამდენ ხანსაც უნდა, ისე ცხოვრობს. ეს სხვა არაფრის ბრალია, თუ არა ცუდად გაგებული იმ სილაღისა, რომელსაც ქართველი თავადაზნაურობა იჩენდა. ხწორია, მათ ქეიფი და დროსტარება შერჩათ, მაგრამ ქართველ ხალხს კი სამუდამოდ დაკარგული მიწა-წყალი დაუტოვეს.

ქართველი ხალხი ავთანდილის სილაღეს უნდა ეზიაროს, თორემ კვაჭი კვაჭანტირაძის ჩიტირეკიაობა მას არაფერ კარგს არ უქადის. თუ ჩვენ ეს

განსხვავება მკაფიოდ არ გავაცნობიერეთ, მაშინ გაჩანას ჩივილი რეალობად იქცევა:

ზღვა-ზღვა მივცურავთ, უაზროდ, ნიჩბების მოუსმელადა,
არც რასა ვდარდობთ, უშტარი ბედი გვყავს წინამძღოლადა,
გავალთ თუ დავიღუპებით, არა ვიცით-რა სწორადა...

ყველა თვისებას თავის კარგი და ცუდი მხარე აქვს, მათ შორის არტისტიზმსაც. როცა არტისტიზმზე ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ ორ ელემენტს ვგულისხმობთ, ოსტატობა-დახვეწილობას და პოზას. თუ პირველი მოსაწონია და მისაღები, მეორე სათაკილოდ უნდა იქნეს მიჩნეული. პოზა აუცილებლად შეიცავს ტყუილს, სიცრუეს, მისტიფიკაციას. ვიღაც თუ რაღაც ნამდვილი არ არის და ასეთად კი უნდა თავი მოგვაჩვენოს. ქართულ ეროვნულ ხასიათში ორივე შეიმჩნევა და გამოკვეთილადაც. გ. ასათიანი ამაზე ვრცლად მსჯელობს, მაგრამ ცოტა რამ ჩემი მხრიდანაც მინდა დავამატო. იმიერქართველი გლეხი, როცა სადილად დაჯდომის წინ ხელის დასაბანად მიგიწვევთ, არასოდეს გეტყვით — ხელი დაიბანეთო, არამედ ყოველთვის ასე მოგმართავთ — ხელი დაიმშვენეთო. ანდა დანაყრებული არასოდეს იტყვის — უკვე ვჭამეო ან უკვე გავძეხიო. მისი პასუხია —უკვე გეახელითო. სამეფო კარისათვის დამახასიათებელი, წინასწარშემუშავებული ეტიკეტის ენაზე მეტყველებს გლეხკაცი. ეს უთუოდ ნაშთია იმ ძველი კოლხური კულტურისა, რომელსაც აღტაცებით შესცქეროდა არგონავტების მითის ავტორი.

მართალია, არის ქართველის ეროვნულ ხასიათში დახვეწილობაც და პოზაც. მაგრამ დახვეწილობას რად სჭირდება პოზა? თანაც, შეიძლება მკაცრად ვამბობ, ავადმყოფური.

„ქართველი კაცი მუდამ სცენაზე გრძნობს თავს. მარტოდ დარჩენილსაც კი ვიღაცის მოუშორებელი მზერა ელანდება და ყოველ თავის მოძრაობაში ამ უხილავ თვალთა დაინტერესებულ ყურადღებას ითვალისწინებს“ (V, 145).

ეს ხომ უმძიმესი მდგომარეობაა — მთელი სიცოცხლე სცენაზე გრძნობდე თავს. სულ ვიღაცას ატყუებდე და, რაც მთავარია, უპირველესად საკუთარ თავს. არასოდეს იყო ის, რაც ნამდვილად ხარ.

რატომ გასწირა ამგვარი მდგომარეობისათვის თავისთავი ქართველმა კაცმა? ამის ერთადერთი პასუხი მეგულება: უჭირდა და იმიტომ. იძულებული იყო სულ ეთამაშა, სულ ვიღაცისათვის თავი მოეწონებინა.

ხომ გინახავთ ცირკში ბაგირზე მოარულის თუ მოცეკვავის სახე, რომელსაც ღიმილი დასთამაშებს და უდარდელობა გადაჰფენია. ამ ღიმილით და მოჩვენებითი უდარდელობით მალავს ჩამოვარდნის შიშს, აცახცახებულ მუხლებს და ჯანკალებულ გულს. რა უნდა ჰქნას, პუბლიკუმს მაშინ მოეწონება, თუ უშიშარი კაცის პოზით წარმოდგება. როცა ამას ვეღარ მოახერხებს, როგორც ცირკის მსახიობმა, არსებობაც უნდა შეწყვიტოს. ისიც უძლებს, სანამ ნებისყოფა ეყოფა.

ახლა წარმოიდგინეთ, რა მძიმე იყო ქართველი ხალხის ცხოვრება, რომელსაც მრავალი საუკუნის მანძილზე უხდებოდა პოზის შენარჩუნება, რამეთუ მას სულ უჭირდა. აბა, გადავავლოთ თვალი ჩვენს ისტორიას, მის გმირებს და დავინახავთ, ვინ როგორ გაითამაშა მისთვის ცხოვრების მიერ დაკისრებული როლი.

ჩვენი ისტორიის ასპარეზზე ორი პოზა არსებობდა: ქართველი ხალხის ერთგულისა და დამპყრობლის, მტრის თანამდგომელისა. იგი, ვინც არცერთი პოზის დაჭერა-შენარჩუნებას არ ცდილობდა, იღუპებოდა, მაგრამ პატიოსნად და ვაჟკაცურად. იღუპებოდნენ ისინიც, ვინც ამა თუ იმ პოზას იყენებდა, მაგრამ ან ლაჩრულად ან მოღალატის სახელით. ეს ერთდროულად ჩვენი ისტორიის ტრაგედიაც არის და ფარსიც.

ჩვენ ხშირად დიდად ვცდილობთ ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნების ანტიეროვნულ საქციელს გამართლება მოვუძებნოთ, ავხსნათ იგი ობიექტური მიზეზებით. მაგრამ ეს ამაო შრომაა. ისტორიასა და ხალხს თავისი კრიტერიუმი აქვს და იმის შესაბამისად აფასებს ყველას — ცოდვილსა და მადლმოსილს. ჩვენი ნაირნაირი ვარიანტების თავმოხვევა არ მოხერხდება. თუ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს დავაკვირდებით, საგულისხმო გაკვეთილის მიღებაც შეიძლება.

აბა, დავუფიქრდეთ, ქართულმა ეკლესიამ და ჩვენმა ხალხმა ლუარსაბ მეორე წმინდანთა შორის ჩარიცხა, გიორგი სააკაძე კი — არა. იმას ნუ

ვიფიქრებთ, რომ ვინმეს რაიმე შეეშალა, ან ეს აქტი ეკლესიის ნება იყო და არა ხალხისა. არა, არც არავის არაფერი შეშლია და ეკლესიაც იმას ვერ გააკეთებდა, რაც ხალხს არ სურდა და სამართლიანად არ მიაჩნდა. არც ამა თუ იმ პიროვნების ტრაგიკულ აღსასრულს გადაუწყვეტია საკითხი. ლუარსაბ მეორემაც უბედურად დაასრულა ცხოვრება და გიორგი სააკაძემაც. პირველი მშვილდის საბლით დაახრჩვეს სპარსეთში და მეორეს თავი მოჰკვეთეს თურქეთში. ზვარაკის გაღების თვალსაზრისით, გიორგი სააკაძემ შვილიც კი უმსხვერპლა საქმეს. მაგრამ ერის პატივისცემის სასწორი მაინც ლუარსაბ მეორისაკენ გადაიხარა. ეს იმიტომ მოხდა, რომ არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს, არამედ იმას — ვინ როგორ, რა გზით მივიდა ამ დასასრულამდე. ლუარსაბ მეორე მაშინვე მიხვდა, რომ, თავგანწირვის გარდა, მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. არ უძებნია თავდახსნის ცრუ საშუალებანი და არც სხვისი მსხვერპლი უთხოვნია. ტარიგად საკუთარი თავი დადო. გიორგი სააკაძე კი ნაირნაირ გზებს ეძებდა. მთელი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა, მაგრამ არც ერთი საშუალება უკადრისად არ მიუჩნევია. არც რჯულის გამოცვლის წინაშე დაუხევია უკან და არც სხვათა მსხვერპლს მორიდებია. გიორგი სააკაძე ერთნაირი გამეტებით იქნევდა ხმალს და ერთნაირი თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს, სპარსეთს, თურქეთს. მის მხედრულ ნიჭს სამივე

ქვეყანაში თანაბარი წარმატება ჰქონდა. მაგრამ ეს სამი ქვეყანა ერთმანეთის მტერი იყო, თურქეთი სპარსეთს მტრობდა, სპარსეთი—თურქეთს და ორივე ერთად — საქართველოს. საქართველოც ორივესგან ცდილობდა თავდაცვას. ასეთ სიტუაციაში შესაძლებელია ადამიანი სამივეს ერთგული იყოს? „არავის მონასა ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“ (ლუკა, 16, 13). ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხია და მას მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ. თუნდაც იმიტომ, რომ როგორი თავდადებითაც უნდა ემსახურო უცხოს, ბოლოს მაინც მოღალატედ მიგიჩნევს. ამის უტყუარი საბუთია უნდილაძეების ოჯახის თავგადასავალი. რარიგადაც უნდა ვიყოთ მათი პიროვნებით მოხიბლული, უმთავრესის დავიწყება მაინც არ გვმართებს: ქეთევან დედოფალი საწამებლად მათი ოჯახიდან გაიყვანეს. გ. ასათიანი თანაგრძნობით კითხულობს — „რა სამი თვე იყო მისთვის ეს სამი თვე?“ (V, 143). გარდა მშიშრობისა, სხვას არაფერს ამბობს ის სამი თვე, რომლის მანძილზე შირაზის ხანი შაჰ-აბასის ბრძანებას მალავდა. თუ იძაძყულიხანი საღად მოაზროვნე და ჭკვიანი კაცი იყო, იგი მიხვდებოდა, რომ ბრძანების დამალვით ქეთევანს ვერ უშველიდა. ამდენად ამ საქციელს აზრი არ ჰქონდა. ეს იყო მოქმედება იმ კაცისა, რომელიც ბუნებით კი არ იყო პატიოსანი, არამედ ნამუსიანი ადამიანის პოზის შენარჩუნება უნდოდა. ამიტომ იმამყულიხან უნდილაძეში მაინც არსებობს ვერაგობა. მის საქციელს მაინც ცბიერება წარმართავს და არა პა-

ტიოსნება. პატიოსანი კაცი თავისთავს გასწირავდა და ასე შეეცდებოდა დედოფლის დახსნას. არ დაუწყებდა „კეთილგონიერ“ შეგონებას, იქნება სჯობდეს მაჰმადიანობა იწამოთო. როცა საბოლოო გადაწყვეტილების წუთი დადგა, იმამყულიხანმა საკუთარი კეთილდღეობა ამჯობინა და დედოფალი საწამებლად გაიმეტა. რა გამოდის — უნდილაძეს ხომ უფრო ჰყვარებია თავისთავი, ვიდრე მოყვასი! ეს არის ამოსაცნობი ყოველი კაცის ხასიათში, ვისაც ორ სკამზე ჯდომის სურვილი აწამებს.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ისტორიას არ უნდა ვუყურებდეთ მიამიტი თვალებით. კარგად უნდა გავარჩიოთ, ვის ძალუძს თავისთავის მსხვერპლად გაღება და ვის ურჩევნია სხვა იყოს ზვარაკი. როცა ათასების ძვლებსა და სისხლზე გადაივლი, მერე მონანიება ნაგვიანევია. მით უმეტეს დაგვიანებულია ქედის მოდრეკა და თავზე ნაცრის დაყრა.

მართალია, ლუარსაბ მეორე სრულიად ახალგაზრდა მოჰკლეს და მეფობით თავის გამოჩენა ვერ მოასწრო, მაგრამ დაუვიწყარი ზნეობრივი გაკვეთილი დაგვიტოვა. მან კარგად იცოდა, სად მიდიოდა და რატომ — „...დავსდევ თავი ჩემი ქუეყანისათუის და განერა თემი ჩემი მოოხრებისაგან“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 398).

თითქმის სამი ათეული წელიწადი აზანზარებდა გიორგი სააკაძე წინა აზიას, მაგრამ ამ ზანზარისაგან დაგვრჩა აოხრებული ამიერ-საქართველო, სპარსეთში გადასახლებული რამდენიმე ათასი ქართ-

ველი და უდანაშაულო პაატა სააკაძის მოკვეთილი თავი.

ახლა მიამიტად ვიკითხოთ: თავად გიორგი სააკაძისათვის რა სჯობდა — ის, რომ 1624 წელს მარაბდაში მომკვდარიყო თუ ხუთი წელიწადი კიდევ იმისათვის ეცოცხლა, რომ ბაზალეთის სირცხვილი ეჭამა და, როგორც უსამშობლო კონდოტიერისათვის, უცხო ხალხს, უცხო მიწა-წყალზე, მოეკვეთა მისთვის თავი?

მერწმუნეთ, არავის განსადიდებლად ან დასამცირებლად არ დამიწერია ეს სიტყვები. უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ ლუარსაბ მეორეც, გიორგი სააკაძეც, უნდილაძეებიც ქართველი კაცის თვისებებს ავლენენ და ჩვენი ეროვნული ხასიათის ელემენტებს გამოხატავენ. თუმცა ინდივიდუალურად დიდად განსხვავებულნი არიან. შესაძლებელია ჩვენ ვერც მოვახერხოთ იმ საერთოს ამოცნობა, რომელიც მათ აერთიანებთ, მაგრამ იმის დანახვა კი მკაფიოდ შეგვიძლია, ამ თვისებებიდან რომელი უფრო გამოადგება ქართველ ხალხს სამომავლოდ. ყველაფერი განვითარებადია, მათ შორის ეროვნული ხასიათიც. ამიტომ არის აუცილებელი სამომავლო თვისების ამორჩევა. იმ თვისების მოფრთხილება-განვითარება, რომელიც ბუნება-ზეარსობამდე მიგვიყვანს. უამისოდ ძნელია ჩვენი ხალხის ეროვნული ცხოვრების წარმართვა.

როცა ამა თუ იმ ისტორიული პირის უარყოფით თვისებებს, სისუსტესა და მანკიერებას ახსნას ვუძებნით, ობიექტურ სიტუაციას ვეძებთ მათ გა-

სამართლებლად, ამით დიდსულოვნებასა და შემწყნარებლობას არ ვიჩენთ. პირიქით, გვინდა თუ არ გვინდა, პროპაგანდას ვუწევთ სულმდაბლობასა და სულმოკლეობას, ყველაფერს მისაღებად და დასაშვებად მივიჩნევთ და შეურაცხვყოფთ წამებულთა ხსოვნას. ვალდებული კი ვართ ისე არ მოვიქცეთ, როგორც დავით გურამიშვილი ბრძანებს: „ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“.

ნურავინ იფიქრებს, რომ ქართული ეროვნული ხასიათის განვითარებას ერთფეროვნებისა და ცალმხრივობისაკენ ვექაჩებოდე. ასე რომ იყოს, ავთანდილს არ მივიჩნევდი ქართული ეროვნული ხასიათის ყველაზე მკაფიო გამოვლენად. როგორც უკვე ვთქვი, ავთანდილის უპირველესი ხიბლი სწორედ ის არის, რომ ორგანულად და ჰარმონიულად ათავსებს სულიერებასა და ნივთიერებას, იცის, სად, როგორ მოიქცეს და არასოდეს ჰკარგავს ჯანსაღი განსჯის უნარს, ჩემი მიზანი სწორედ ამგვარი ბუნება-ზეარსობისაკენ მოწოდებაა, რამეთუ ავთანდილის იდეალი ისეთი ჰარმონიული საზოგადოების შექმნაა, სადაც თხა და მგელი ერთად მოძოვს.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა სამრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

შესაძლებელია თუ არა ამგვარი საზოგადოების შექმნა, ეს სხვა საკითხია. ახლა ამას არსებითი

მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, საით ისწრაფვის ადამიანი და რა თვისებანი მიაჩნია აუცილებლად იდეალის განსახორციელებლად. ამ თვისების ერთი აუცილებელი პირობა ის არის, რომ გადამწყვეტ წუთში სულიერებამ უთუოდ უნდა სძლიოს ნივთიერებას. როცა ამას ვამბობ, შეუძლებელია არ გავიხსენო ერთი კაცი ჩვენი ისტორიიდან — დემეტრე თავდადებული. მას ვერავინ მიიჩნევს ხორცის უარმყოფელ სულის კაცად. როგორც მემატიანე გვაუწყებს, მას ლხენაც ჰყვარებია, ქალებიც და ამქვეყნიური ყველა სიამე. ამის გამო კათალიკოსთანაც კი ჰქონდა შეხლა-შემოხლა. მაგრამ, როცა გადამწყვეტი წუთი დადგა, ამ კაცში სულიერებამ სძლია ნივთიერებას. ეს არის არსებითი და უმთავრესი. ყოველი კაცი, დიდი იქნება იგი თუ პატარა, ისე უნდა აღიზარდოს, რომ შეეძლოს ერს ის სიტყვა უთხრას, რომლითაც დემეტრე მეორემ მიმართა დარბაზს ურდოში წასვლის წინ:

„ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა, ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა, და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან, და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა თქუენითა წარვმართე

მეფობა, და აქამომდე მშჯდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ გახრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი ითუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთჳს, თუ არა წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუნითა განაგეთ საქმე ესე, რამეთუ მე ესრეთ ვგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელი და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა-გუაც წარსლვა სოფლისა ამისგან. ესრა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჳრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 287—288).

ჩვენ ამ სიტყვის არსს ღრმად უნდა ჩავწვდეთ სულ მცირე სამი მიზეზით მაინც.

ჯერ ერთი, ამგვარად იშვიათად მოვქცეულვართ და უფრო იმგვარ საქციელს ვამჯობინებდით, რომელზეც გულისტკივილით წერს დავით გურამიშვილი:

ყეენის სპასალარია,
თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს,
ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

მეორეც, პრომეთეული საწყისი წარმოუდგენელია თავისთავის მსხვერპლად გაღების უნარის თვინიერ. პრომეთეულ საწყისთან არავითარი კავშირი არა აქვს იმას, ვინც მზად არ არის კლდეზე იქნეს მიჯაჭვული და არწივი უკორტნიდეს გულღვიძლს. გ. ასათიანს სწორედ პრომეთე მიაჩნია ქართული სულის ყველაზე ზუსტ ემბლემად (VII, 120—122). ოღონდ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პრომეთეული საწყისი არანაკლებ დამახასიათებელია იმ ხალხისათვის, ვინც ეს მითი შექმნა, და აგრეთვე სხვა ერებისათვისაც.

მესამეც, მიუხედავად საქართველოს გრძელი ისტორიისა, ქართული ეროვნული ენერგიის სრული გამოვლენა ჯერ არ მომხდარა. იგი მომავალში უნდა გამომჟღავნდეს. ამას კი მაშინ შევძლებთ, როცა ყველა ჩვენთაგანი მიხვდებაᲣ ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ, როგორ შევათანხმოთ ჰარმონიულად სულიერება და ნივთიერება, ხოლო თუ არჩევანის წუთი დადგება, როგორ ვამჯობინოთ სული ხორცს.

როცა საქართველოს პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ ისტორიას თვალს გადავავლებთ, შეუძლებელია ერთი გულდასაწყვეტი სურათი არ დაინახოთ. ჩვენ ისტორიაშიც და ლიტერატურაშიც გვყოლია საერთაშორისო მასშტაბის მოღვა-

წენი, მაგრამ ქართულ კულტურას კაცობრიობის ისტორიაში ის როლი არ შეუსრულებია, რაც მას ნიჭიერების ხარისხის მიხედვით ერგება. მე აქ არ ვადარებ საქართველოს დიდ ერებს და არც ძველ ბერძნებს. ვგულისხმობ ჩვენსავე ტოლ ქვეყნებს — პორტუგალიას, დანიას, ნორვეგიას და სხვებს. თუ ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრები მსოფლიოს ყველა კუთხეში ყოველ ბავშვს უჭირავს ხელში, „ვეფხისტყაოსანი“ ძლივსძლივობით ახლა იკვლევს გზას სხვა ხალხების გულისაკენ. თუ ნორვეგიელი ჰენრიკ იბსენი მთელ კაცობრიობას ელაპარაკება ყოველი ქვეყნის სცენიდან, ქართველი ვაჟა-ფშაველა ჯერჯერობით თავის სამშობლოს საზღვარში რჩება. პატარა ქვეყნის შვილია ჰალდორ ლაქსნესი, მაგრამ ყველგან ცნობილია და ყველა კითხულობს. გალაკტიონ ტაბიძე კი ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი საკუთრებაა და სხვათათვის უცნობია.

ჩვენ არც ისეთი გეოგრაფიული აღმოჩენებით გაგვიმდიდრებია კაცობრიობა, როგორც ეს პორტუგალიელებმა გააკეთეს (ამას გულისტკივილით აღნიშნავს გ. ასათიანიც). არც ჩვენს მუსიკას ჰქონია ის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, რაც ნორვეგიელ გრიგის შემოქმედებას აქვს. არც ქართულ ფილოსოფიურ ნააზრევს კითხულობს ვინმე ჩვენი ქვეყნის გარეთ იმგვარი გატაცებით, როგორადაც დანიელი სიორენ კირკეგორის თხზულებანი იკითხება. საკაცობრიო ღირებულების თვალსაზრისით. ჯერხანობით არც ქართულ მხატვრობას უჭირავს ის ადგილი, რაც ჰოლანდიურს. ნუ შევხედავთ ამ

საკითხს აზნაურული კუდაბზიკობითა და პატივმოყვარეობით (სხვათა შორის, დავით კლდიაშვილის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ისიც არის, რომ ქართული ხასიათის კუდაბზიკური თვისება გამოამზეურა). ეს ფაქტია და ამაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

რისი ბრალია ეს — ჩვენი ეროვნული ხასიათისა თუ ისტორიული გარემო-პირობებისა?

ამის პასუხად, ჩვეულებრივ, ჩვენს მცირერიცხოვანებაზე ავწუწუხდებით. თუ არ ვცდები, ქართველთა სიმცირეზე პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დაიჩივლა: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, გვ. 359). შესაძლებელია, დავით აღმაშენებელს უფრო მრავალრიცხოვანი ხალხით მართლაც მსოფლიო იმპერია შეექმნა, მაგრამ რაც გააკეთა, არც ერთი პოლიტიკოსის ღვაწლს არ ჩამოუვარდებოდა ამქვეყნად. მან შექმნა საქართველო, რომელიც ტოლს არ უდებდა იმდროინდელ არც ერთ ქვეყანას არც პოლიტიკურ-სამხედრო და არც კულტურული თვალსაზრისით. დავითის მიერ საძირკველჩაყრილი ასწლიანი პერიოდი (1222 წლამდე, როცა ლაშა-გიორგი გარდაიცვალა) დაამშვენებდა ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას. სავალალო ის არის, რომ ვერ შე-

ვინარჩუნეთ და დაცემის გზას დავადექით. ამის მიზეზი კი ის „პოლივალენტური მთლიანობა“ გახლავთ, რომელიც ნარკვევში „სათავეებთან“ ქართული ხასიათის თვისებად არის მიჩნეული. (VI, 98).

✓ პოლივალენტურობის, ანუ მრავალნიშნოვანების გამო სადავო არაფერი მაქვს. მართლაც მრავალფეროვანია საქართველოს პეიზაჟი, სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა, თვისებანი, საცხოვრებელი, სიმღერა და ა. შ. ოღონდ ძალიან მიჭირს დავიჯერო, რომ მრავალფეროვნება მთლიანობად იყოს შეკრული. ისტორიულად არ არსებობდა ეს მთლიანობა და ამის შედეგია ყველა ჩვენი მარცხი. ჩემი აზრით, პოლივალენტური მთლიანობის შექმნის ცდა სამჯერ მოხდა საქართველოში.

პირველად მაშინ, როცა ფარნავაზ მეფემ ერთიანობის საფუძვლად ქართული ენა გამოაცხადა და „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“...

მეორედ მაშინ, როცა ქრისტიანობა გამოცხადდა საერთო ქართულ რელიგიად და შეიქმნა იდეოლოგიური ფორმულა — „ქართლად ფრიდდი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების.“

მესამედ მაშინ, როცა თერგდალეულებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეროვნულ-განმათავისუ-

ფლებელი ბრძოლის დროშის ქვეშ შეკრიბა ქართველობა.

ისტორიულად ქართული კულტურის ყველაზე დიდი აღორძინება-წარმატება სწორედ ამ სამ პერიოდთან არის დაკავშირებული, რამეთუ მაშინ გამოვლინდა შედარებით სრულად ქართული ეროვნული ხასიათის შემოქმედებითი ძალა და უნარი.

ფარნავაზის დროს შეიქმნა მწიგნობრობა ქართული, ე. ი. საძირკველი ჩაეყარა ქართულ კულტურას. იგია ძირი და მერმინდელი ყველაფერი მასზე შენობს.

ქრისტიანული ერთიანობის შედეგია ქართული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები, „ვეფხისტყაოსანი" და საერთოდ, მე-10 — მე-12 საუკუნეების სასულიერო და საერო მწერლობა, ბექა და ბეშქენ ოპიზარების ჭედური ხელოვნება, ფრესკული მხატვრობა და კიდევ ბევრი რამ, რომელთა ჩამოთვლაც მეტად შორს წაგვიყვანდა.

მართალია, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო, „ვეფხისტყაოსანი" არ დაწერილა, მაგრამ აღორძინდა დიდი ქართული მწერლობა (ნიმუშად ვაჟა-ფშაველაც კმარა) და რაც მთავარია, მომზადდა ქართული ეროვნული სამეცნიერო სკოლები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 ასწლეულის პირველი მეოთხედის ყველა გამოჩენილი მოღვაწე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეით იყო აღზრდილი. მათი საქმიანო-

ბის შედეგია ქართული უნივერსიტეტი და დღევანდელი ყველა სამეცნიერო სკოლა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნაყოფია ქართული პროფესიული მუსიკა, პროფესიული მხატვრობა და პროფესიული თეატრი.

საქართველოს გრძელი ისტორიის მანძილზე ეს სამი მწვერვალი მკაფიოდ მოჩანს და ბეჯითად გვეუბნება — ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათისა და ენერგიის სრულად გამოსავლენად აუცილებელია — ტერიტორიული მთლიანობა, იდეოლოგიური ერთიანობა და თავისუფლება.

სამწუხაროდ, ქართველობა ყოველთვის არ მოქმედებდა ამ შეგნებით. მართალია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ ნათქვამი: „ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირიანებივით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქოს სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდმივ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით.“

ამის ბრალია, რომ ქართულმა კულტურამ კაცობრიობის ისტორიაში ის როლი ვერ შეასრულა, რისი შესრულებაც თამამად შეეძლო.

ჩვენი ხასიათის პოლივალენტურობის გამთლიანება იმიტომაც ვერ ხერხდება, რომ არჩევანის გა-

კეთება გვიჭირდა. ოთარაანთ ქვრივიც მოგვწონდა და კირილე მიმინაშვილიც. ის არ გვჯეროდა, რომ მათი გაერთიანება შეუძლებელია, რაკი ერთმანეთს გამორიცხავენ. აღტაცებული ვიყავით მინდიას სიბრძნითაც და კვაჭი კვაჭანტირაძის მარიფათითაც. ესენი რომ ერთ სახლში ვერ იცხოვრებდნენ, ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. ბაღვივაშების, ზურაბ ერისთავების, დარეჯან დედოფლების ციდამტკავლური ინტრიგების ახსნა-გამართლებასაც ვეძებდით და დემეტრე თავდადებულს, ცოტნე დადიანსა და ქეთევან წამებულსაც მოწიწებით ვუხრიდით თავს. იმის დაჯერება კი გვიჭირდა, რომ მათი ხატების ერთ ტაძარში დაკიდება შეუძლებელია. ესენიც ერთმანეთს გამორიცხავენ და იმიტომ. საჭიროა არჩევანი და გამთლიანების საფუძველიც მაშინ გამოიძებნება.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ქართული ეროვნული ხასიათი პოლივალენტურად ერთიანი და მთლიანი იყოს, თან შეურიგებლის შერიგება არ ვცადოთ, რაც უთუოდ დაფანტულობამდე მიგვიყვანს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ უარი თათქარიძეობაზე, კვაჭანტირაძეობაზე, ციდამტკავლურ შურისმგებლობასა და ინტრიგაზე, სცენაზე მდგომი კაცის პოზაზე, კირილე მიმინაშვილის ჩიტირეკიაობაზე, აზნაურულ კუდაბზიკობაზე... ხოლო სულიერებასა და ნივთიერებას შორის არჩევანის დროს ავთანდილის ზომიერება დავიცვათ. მაშინ ჩვენ არც მეტისმეტად გავყოყოჩდებით და არც სასოწარკვეთილებას მივეცემით. კარგად დავინა-

ბავთ, რომ ჩვენი ავ-კარგით ისეთივენი ვართ, როგორც ყველა ხალხი ამქვეყნად. კაცობრიობის თანავარსკვლავედში უზენაესის მიერ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობასაც პირნათლად შევასრულებთ და თავისუფლად ვისარგებლებთ ყველა იმ უფლებით, რაც ბუნებით გვაქვს მონიჭებული.

ყველა ამ საკითხზე მწვავედ უნდა ვილაპარაკოთ, რამეთუ გ. ასათიანის სამართლიანი თქმით, „ისტორიის გარკვეულ მომენტებში ქართული ხასიათი „მწარე სიმართლეს“ მოითხოვს (გამოფხიზლებას, მკვახე შეძახილს, უტყუარ სარკეს), რომ, უფსკრულის პირას მდგარს, თვლემა არ მოერიოს და საშიშ ზღვარს არ გადასცდეს“ (V, 141).

1980 წ.

იყიდენ მახუილი

რომანის სახელია „სამოსელი პირველი“. განმარტების თვინიერ, მკაფიო არ არის, რა აზრის მატარებელია ეს სათაური.

არსებობს სამოსლის აზრის ტრადიციული გაგება. ცხადია, ჯერ ეს უნდა გავიხსენოთ, რომ ზუსტად წარმოვიდგინოთ, რა არის ტრადიციული გურამ დოჩანაშვილის რომანის სახელწოდებაში და რა დაემატა ახალი. მერე კი ამ გასაღებით გავაღოთ „სამოსელი პირველის“ აზრობრივი ცხრაკლიტულის ჭარი.

ბიბლიური მითოლოგიის თანახმად, როცა ღმერთმა ადამი და ევა შექმნა, ისინი შიშველი იყვნენ, მაგრამ თავიანთ სიტიტვლეს მანამ ვერ ხედავდნენ, სანამ ცნობადის ხის ნაყოფი არ ჭამეს. ცნობადის ხის ნაყოფის ჭამით გონი, რუსი შეიძინეს და არა მარტო მთელი სამყარო დაინახეს, არამედ — საკუთარი სიშიშვლეც. ამრიგად, სამოსელი პირველი ცოდნაა, რომლითაც ყოველი კაცი უნდა შეიმოსოს, რათა კეთილი და ბოროტი გაარჩიოს.

სასულიერო ჰიმნოგრაფიაში ხშირად შეხვდებით ამგვარ სტრიქონებს —

„მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე, რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, ღმერთო, მეოხებითა მოწამეთაჲთა“...

„რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, შენდა მოვილტით, შენ გიღაღადებთ: განანათლე სული ჩემი დაბნელებული...“

ამ ჰიმნების მიხედვით, სამოსელი პირველი ღვთაებრივი ნათელია, რომლითაც ადამიანი უზენაესს ეზიარება.

როცა მეფე ლუარსაბ მეორე სასიკვდილოდ განემზადა და გადაწყვიტა შაჰ-აბას პირველს ხლებოდა, მემატიანემ აღნიშნა, ისწრაფოდაო „შემოსად სულიერისა სამოსლისასა.“

როგორც ვხედავთ, პირველი სამოსლის ტრადიციული გაგება, ზოგადად, ადამიანის, უნივერსუმთან ზიარებას გულისხმობს.

შეიძლება ასე გავიგოთ გ. დოჩანაშვილის რომანის სათაურიც. ამის საბუთად „სამოსელი პირ-

ველის“ პროტაგონისტის სახელი დომენიკოც გამოდგება და, საერთოდ, მისი თავგადასავალიც. Dominicus ლათინურად ღვთისას ნიშნავს. ამას პროზაიკოსიც გვეუბნება: „სახელადაც უცხო სახელს, დომენიკოს გარქმევ, სიტყვებიდან დომინუს, დომინიონ და დომენ...“ ჩვენებურად კი ეს სახელი იქნება ღვთისავარ (საალერსო ფორმით, ღვთისო).

ცოტა ხნით აქ მსჯელობის პირდაპირ გეზს გადავუხვევ. ვისაც „სამოსელი პირველი“ წაუკითხავს, კარგად ეხსომება, რომ გ. დოჩანაშვილი რომანში იყენებს იტალიურ-ესპანურ ონომასტიკონსა და ტოპონიმებს. მართალი რომ გითხრათ, რომანში ამის ვერავითარ აუცილებლობას ვერ მივაგენი. იგი უფრო ავტორის აკვიატებულ სურვილად მეჩვენა. მაგრამ ისიც აშკარად უნდა ვთქვა, რომ ეს საკითხი საკამათოდ არ მიმაჩნია. მწერალი უფლებამოსილია ამ შემთხვევაში სურვილისამებრ მოიქცეს. ალბათ გ. დოჩანაშვილს დომენიკო უფრო ჰარმონიულ და ჟღერად სახელად მიაჩნია, ვიდრე ღვთისავარ. თუ ასეა, იყოს ნება მისი.

თითქოსდა სამოსელი პირველის აზრის ამოცნობას წინ არაფერი ედგა, მაგრამ საქმე თავად ავტორმა გაართულა, როცა გვითხრა: „სამოსელი პირველია სიტყვა“. ამის წაკითხვისას, ნებით თუ უნებლიეთ, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ. იგი.“

თუ პირველ სამოსელსა, სიტყვასა და ღმერთს

შორის პირდაპირი კავშირია, მაშინ როგორ გავიგოთ ეს სურათი?

„სოფლის განაპირას, კოშკში, სამოსელი პირველი ინახებოდა. ...ხის დაბალ ტახტზე უძვირფასესი კაბა იყო გაფენილი... სამოსელიდან უამრავი კაშკაშა სხივი ელრიალით იწელებოდა ბნელში. იისფრად ციაგებდა დიდი ამეთვისტო, მინანქრით მოჭედილ საყელოსთან მიბნეული, მწვანედ ლივლივებდნენ ზურმუხტები, მთელი კაბის სიგრძეზე მწყობრად დატანებულნი, ყოველ ზურმუხტს შორის ლურჯად კამკამებდნენ საფირონები, გვერდით კი ყოველ ქვას წყვილი მარგალიტი ებნია. მთელი კაბა ოქრომკედით იყო მოჭედილი, ცივი, ყინულოვანი ციმციმით თითქოს ერთმანეთში ხრაჭუნით იფშვნებოდა უამრავი ყვითელი ნამცეცი, სინათლე ლივლივებდა მთელს სამოსელზე და იქვე, ტახტის ფეხთან მიწყობილ ორ ხამლზე წყვილი ალმასი კაშკაშებდა, ხარის თვალის ოდენა. სამოსლის მინანქრით მოჭედილ ქამარზე ბეჭედი იდო, ყვითლად შემოჯარულ ოქროში ავად კიაფობდა თლილი ბრილიანტი.“

რატომ მიიღო სიტყვამ ამგვარი მატერიალური სახე?

როცა კი ამ კითხვას წაიკითხავს მკითხველი, შეიძლება გაიფიქროს — უკვე კირკიტით დაიწყოო მსჯელობა. არ არსებობს ნამდვილი მკითხველი (გაიხსენეთ გალაკტიონი — „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“), რომელიც მხატვრული ნაწარმოების, რო-

გორც მთლიანი ისე ცალკეული ეპიზოდის, აზრის ნათლად ამოცნობას არ ცდილობდეს, არ ეძებდეს ლოგიკურ თანამიმდევრობას. ამბობენ, მხატვრულ ნაწარმოებში ზოგიერთი რამ ქვეცნობიერად არის დაწერილი და მისი ლოგიკური განმარტება ყოველთვის არ ხერხდება, ამიტომ ქვეცნობიერადვე უნდა აღიქვაო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მართლაც ასეა, მაინც უნდა მოვძებნოთ ამოხსნა.

კარგად ცნობილია, რომ „შემოქმედის სახელს" ორი ვინმე ატარებს — ღმერთი და მწერალი (საერთოდ ხელოვანი). თუმცა უნდა გულახდილად ვთქვა, რომ აქ აუცილებელია დიფერენციაცია. მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს მართლაც შეიძლება შემოქმედის მაღალი სახელი ვუწოდოთ, რამეთუ ისინი არარსებულიდან ქმნიან ახალ მხატვრულ სამყაროს. რაც შეეხება მსახიობს, რეჟისორს, მუსიკოს-შემსრულებელს, მათ ნაკლები საბუთი აქვთ შემოქმედი ერქვათ, რადგან ისინი უკვე შექმნილის ინტერპრეტაციას ეწევიან. რეჟისორი დგამს უკვე დაწერილ პიესას, მსახიობი თამაშობს უკვე დაწერილ როლს, მუსიკოს-შემსრულებელი ასრულებს უკვე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ყოველი რომანი ახალი მხატვრული სამყაროა. იგი არაფრით ჰგავს წინ არსებულ მხატვრულ სამყაროს და არ დაემსგავსება მის შემდეგ შექმნილს. „მას საკუთარი შინაარსი და კანონზომიერება აქვს. ბუნებრივია, რომ მკითხველს ამ შინაარსის ამოცნობის და კანონზომიერების დადგენის სურვილი უჩნდება. ხომ

არის მოწადინებული ადამიანი ამოიცნოს გარემომ-
ცველი რეალური სამყაროს კანონზომიერება და
აზრი, ასევე სურს მას ჩაწვდეს ილუზიურ სამყა-
როს, ანუ მხატვრულ ნაწარმოებს.

ნამდვილი მკითხველი აუცილებლად კირკიტაა.
ამ კირკიტის გამართლება ის არის, რომ შეძლების-
დაგვარად გვსურს მივუახლოვდეთ სიმართლეს.
ამას კი მაშინ მოვახერხებთ, როცა, თუ მთლია-
ნად არა, ნაწილობრივ მაინც დავადგენთ რა აზ-
რით, რა მიზნით არის შექმნილი „სამოსელი პირ-
ველის" ილუზიური სამყარო, მისი პროტაგონის-
ტები, ცალკეული სცენა თუ ეპიზოდი.

სამოსელ პირველს არა მარტო მკაფიოდ დასა-
ნახი მატერიალური სახე აქვს, არამედ მისი გაყი-
დვაც შეიძლება. დომენიკოს მამამ პირველ სამო-
სელს თვლები დააძრო, გაყიდა და შვილს ექვსი
ათასი დრაჰკანი მისცა. ჩვენ ვიცით ღმერთის ოც-
დაათ ვერცხლად გაყიდვის ლეგენდა, მაგრამ ექ-
ვსი ათასი დრაჰკანი კი მეტისმეტად დიდი ფულია.
ამიტომ, როგორც ჩანს, ავტორი აქ სხვა რამეს
გულისხმობს, რაც პირადად ჩემთვის ძნელი ამო-
საცნობია. უნდა ვიფიქროთ, რომ, გაყიდვის თვალ-
საზრისით, სიტყვა-ღმერთი და სამოსელი პირველი-
სიტყვა ერთმანეთს არ უკავშირდება.

სამოსელი პირველი შეიძლება დაიწვას კიდეც.
მისი დაწვა აღწერილია რომანის ფინალში. თურმე
პატიოსანი თვლები, რომლითაც მოოჭვილია კაბა.
ადამიანთა სამშვინველია. დომენიკო ხედავდა, რო-
გორ გიზგიზებდნენ ცეცხლში ის ადამიანები,

რომელნიც მას ცხოვრების გზაზე შეხვდნენ. მაგრამ იწვოდნენ იმის შესაბამისად, ვისი სამშვინველი რით იყო სავსე — კეთილით თუ ბოროტით.

თუ გაყიდვისა და დაწვის აქტს ერთმანეთს შევადარებთ, ახალი კითხვა გაგვიჩნდება.

როგორც შევიტყვეთ, სამოსელი პირველის პატიოსანი თვლები ადამიანთა სულები ყოფილან. ეს დაწვამ გამოავლინა. „ეს — დომენიკოს ნებსითა თუ უნებლიეთ თანამგზავრნი, ჰოი, რა მკვეთრად განსხვავებული ხალხი იწვოდა.“

ამასთანავე ისიც ვიცით, რომ დომენიკოს მამამ სამოსელი პირველის თვლები გაყიდა. „სამოსელი პირველი მთლიანად კი არა, თვლები დააძრო და ისინი გაყიდა.“

კი მაგრამ ვინ არის დომენიკოს მამა, ვისაც უფლება აქვს ადამიანის სამშვინველი გაყიდოს? ასე აღებული ფული შვილს მისცეს, რომ ყმაწვილმა კაცმა ადამიანის დანიშნულება ეძიოს და ცხოვრების აზრის ამოცნობა სცადოს?

რომანის მიხედვით, მკითხველი ძალიან ზერელედ იცნობს დომენიკოს მამას, რომ ამ კითხვებს დამაჯერებლად უპასუხოს.

თუმცა გამოთქმულია აზრი, რომ დომენიკოს მამაში „მაღალ სოფელში მცხოვრები პატრიარქი მამის ცნების გარდა უზენაესი ქრისტიანული ღვთაების — მამა ღმერთის — მაღალი აზრია დაუნჯებული“ („კრიტიკა“, 1981 წ., № 12, გვ. 88). მართალია, გაბედული აზრია, მაგრამ მისი გაზიარება ძნელია.

ქრისტიანული კონცეფციის თანახმად, მამა-ღმერთს ოდენ მხოლოდშობილი ძე ჰყავს — ქრისტე. იგი მამა-ღმერთის ხილული, ხორცშესხმული სახეა და მოვლენილია ქვეყნად, რათა აღიხვნას ცოდვანი სოფლისანი და აცხოვნოს სოფელი მის მიერ (იოანე, 1, 29; 3, 17).

„სამოსელ პირველში“ კი დომენიკოს ჰყავს ძმა. იგი არ არის ერთადერთი შვილი. უკვე ეს ფაქტი პირწმინდად გამორიცხავს დომენიკოს მამაში ქრისტიანული მამა-ღმერთის თუნდაც შორეულ მინიშნებას.

გარდა ამისა, ვისი ცოდვა აღიხვნა დომენიკომ ან ვით ძალუძს მას აცხოვნოს სოფელი? რომანის მიხედვით, იგი ხომ ერთი მიამიტი ახალგაზრდა კაცია, რომელიც ცხოვრების აზრის მისაგნებად დახეტიალობს ამ ცოდვა-მადლით სავსე მიწაზე?

ზემორე ციტირებული სტრიქონის ავტორს ორი ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებაც აქვს გამოთქმული.

პირველი: „მისი („სამოსელი პირველის“ — ა. ბ.) სიუჟეტი შეცდომილი ძის იგავის მოტივზეა აგებული“ (გვ. 87).

მეორე: „ამიერიდან დომენიკო მამის მიერ ქვეყნად მოვლინებული სიტყვაა“ (გვ. 89).

მამის მიერ ქვეყნად მოვლინებული სიტყვა მხოლოდ ქრისტეა. მას ანალოგი არ ჰყავს, დავუშვათ გ. დოჩანაშვილმა სცადა დომენიკოს სახით ქრისტეს ლიტერატურული ხატი შეექმნა, მაშინ

როგორლაა დომენიკო ძე-შეცდომილი? ჯანა შესაძლებელია ქრისტესა და ძე-შეცდომილს შორის რაიმე მსგავსების პოვნა? ეს ხომ უღრმესი შეცდომაა. ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით, ქრისტე თავად არის ის, ვინც ყველა შეცდომილს ჭეშმარიტების გზაზე აყენებს, ვინც ეხმარება ცოდვის გამოსყიდვაში ცოდვილს. ყველა ძე-შეცდომილი ქრისტეში პოულობს ხსნას. „სისხლი იგი იესო ქრისტეს ძისა მისისაჲ ვანმწმედს ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა“ (იოანეს ეპისტოლე პირველი, 1, 7).

რა საშუალებით შეუძლია დომენიკოს ერთიც იყოს და მეორეც?

ვინც ქრისტიანულ მოძღვრებას ოდნავ მაინც იცნობს, იცის, რომ ქრისტე, როგორც მამა-ღმერთის ემანაცია, ჭეშმარიტებაა, როგორც წარმავალი, ანუ მიწიერი, ისე წარუდინებელი, ანუ ზეციერი ჭეშმარიტება. ამიტომ მოიცავს ქრისტე ორ ჰიპოსტასს — კაცებრივსა და ღვთაებრივს. კაცებრივი ჰიპოსტასი გამოხატავს მიწიერ, ანუ წარმავალ ჭეშმარიტებას, ხოლო ღვთაებრივი ჰიპოსტასი — ზეციერს, ანუ წარუდინებელს. ადამიანის მოვალეობა კი მიწიერი ჭეშმარიტებიდან ზეციერ ჭეშმარიტებამდე ამაღლებაა.

თუ დომენიკო „მამის მიერ ქვეყნად მოვლენილი სიტყვაა“, მაშინ იგი ჭეშმარიტება, ცხოვრების აზრი ყოფილა და სრულიად გაუგებარია რაღას დაეძებს. რა, საკუთარი თავი, საკუთარი ჭეშმარიტება უარჰყო და ახლის პოვნას ცდილობს? ამის

მსგავსი არაფერი სწერია რომანში „სამოსელი პირველი“.

ეს გაუგებრობა რომანის ზოგიერთი ალეგორიის ბუნდოვანებამ გამოიწვია. შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ინტერპრეტაცია.

ჩემი ძირითადი შენიშვნაც ბუნდოვანებას ეხება. საერთოდ იგი ,გ. დოჩანაშვილის შემოქმედებისათვის უცხოა. მისი მოთხრობების პრობლემატიკა რთული და საინტერესოა, მაგრამ ყოველთვის ნათლად და მკაფიოდ არის გადმოცემული. ნურავინ იფიქრებს, რომ მწერალს სიმარტივისაკენ მოვუწოდებდე. აზრის სიმარტივე და აზრის მკაფიობა ორი ძირეულად განსხვავებული ცნებაა. ეს ყველას კარგად ესმის. უბრალოდ არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც ასე ზუსტად თქვა სიმონ ჩიქოვანმა: „შემოქმედებას სირთულე უყვარს, ოღონდ გასაგებ ენით ნათქვამი“.

ასეა თუ ისე, რომანის ალეგორიული შინაარსის ამოსაცნობ საშუალებად მაინც ავტორის განმარტება უნდა მივიჩნიოთ: „სამოსელი პირველი სიტყვაა.“.

მაშინ სათაურში ჩამალული აზრი ჩემთვის ასე ყალიბდება: იგი, ვინც სამოსელი პირველით შეიმოსება, ეზიარება სულიერ ცხოვრებას, უპირატესობას მიანიჭებს მას და დაგმობს ხორციელი ცხოვრებით გამოწვეულ ყველა მანკიერებას. კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში კეთილის თანამოსაგრე იქნება. ამ დასკვნას ამაგრებს ისიც, რომ, როცა სამოსელი პირველის თვლები იწვოდა, ცე-

ცხლი არ მოეკიდა მხოლოდ დიდ ამეთვისტოს. „და მხოლოდ ერთ ქვას — დიდ ამეთვისტოს ვერ ეხებოდა მრისხანე როკვით შეპოტინებული ცეცხლი...“ „მხოლოდ იმ ერთს, ერთადერთს იმ ჯიუტად მოელვარე ქვას, მაინც რამდენი უწრიალა და, ველარ მოედო ვერასდიდებით ცეცხლი...“ დიდი ამეთვისტო კი ანა-მარიას სიმბოლოა. თავის მხრივ კი ანა-მარია გ. დოჩანაშვილს სულიერი ცხოვრების, სულიერების სახედ ჰყავს გამოყვანილი.

აქ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დომენიკოს უკვე ჰქონდა გაკვეთილი მიღებული — დედამიწას სიყვარული ატრიალებსო. დომენიკოსათვის კი ამ ყოვლისშემძლე ტრფიალის საგანი სწორედ ანა-მარია იყო. და ბოლოს, როცა სამოსელი პირველი დაიწვა, მამამ დომენიკოს „გულზე კანაფით ჩამოჰკიდა დიდი ამეთვისტო — ცეცხლმოუდები, მეუფიანი, ანა-მარიას მოციაგე ქვა.“

სამოსელი პირველი, დიდი ამეთვისტო, ანა-მარია დაახლოებით ერთი აზრობრივი შინაარსის სიმბოლოებია. ეს გვავალდებულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ანა-მარიას სახეს.

გ. დოჩანაშვილი დიდ აზრობრივ ფუნქციას ანიჭებს ანა-მარიას (მარტო ის რად ღირს, რომ სამოსელი პირველის ყველა პატიოსანი თვალი დაიწვა და გადარჩა მხოლოდ დიდი ამეთვისტო, ანა-მარიას ქვა), მაგრამ ფუნქციის შესაბამის ადგილს არ უთმობს რომანში. ამ ქალის შესახებ მკითხველმა ცოტა რამ იცის.

ანა-მარია ლამაზ-ქალაქში ცხოვრობდა. მამამი-

სი სამსიმიან მარტივ საკრავს ამზადებდა, სოფელში ყიდდა და ამით ცხოვრობდა. მამა-შვილი აგურის სახლში იყო დაბინადრებული. საღამოობით მათი ფანჯრიდან მუსიკის საამო ჰანგი იღვრებოდა. ოღონდ ლამაზ-ქალაქელებმა არ იცოდნენ ვინ უკრავდა — მამა თუ შვილი.

„ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა“, წერს აღტაცებული ავტორი (აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზა რამდენჯერმე მეორდება რომანში). აქ ისევ უნდა გადავუხვიო მსჯელობის ძირითად გეზს და ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა გავაკეთო. იგი ნაწილობრივ გ. დოჩანაშვილსაც ეხება. დღევანდელ ქართულ პროზაში პროზაიკოსები თავად უფრო არიან მოხიბლული საკუთარი პერსონაჟებით, ვიდრე მკითხველები. არის ძველთაძველი, ურყევი კანონი, რომლის თანახმად აღტაცება მკითხველის მოვალეობაა და არა ავტორის. ყველა დროის ყველა ნიჭიერმა მწერალმა იცის, რომ იგი ვალდებულია, რამდენადაც შესაძლებელია შეინარჩუნოს ობიექტურობა, სიმშვიდე და გულგრილობა საკუთარი პერსონაჟის მიმართ. მკითხველს მისცეს საშუალება, ვისით მოიხიბლოს და რატომ. როცა მწერალი თავს ვერ იკავებს და საკუთარი პერსონაჟით მომეტებულ აღტაცებას ამჟღავნებს, ეს უპირველესი ნიშანია ოსტატობის უკმარისობისა. ეს უკმარისობა არასასურველი დიდი დოზით ვლინდება დღევანდელ ქართულ პროზაში.

დომენიკოს თავდავიწყებით შეუყვარდა ანა-მარია და ცოლად შეირთო იგი. ახლად ჯვარდაწერი-

ლთა შორის პირველსავე დღეს გაჩნდა შინაგანი წინააღმდეგობა. დომენიკოს მოეჩვენა, რომ ვიღაც თუ რაღაც მის ცოლს ქმარზე მეტად უყვარდა.

„დომენიკოს ეჭვები ღრღნიდა —ვიღაც სხვას, სულ სხვას უღიმოდა იმისი ცოლი...“

დომენიკომ ანა-მარიას „გამამხნევებელი ღიმილით შეხედა თვალებში, შეკრთა — მაინც სხვისა იყო მასთან პირველად ღამენათევი ქალი, სუუულ სხვისა...“

მართალია, დომენიკოს „მტერი“ მუსიკა იყო, რომელსაც მთელი არსებით ეძლეოდა ანა-მარია, მაგრამ კონფლიქტი მაინც მწიფდებოდა.

„...ლოყაზე შემოაჭდობდა თითებს, თავს გადაუწევდა, თვალებში ჩახედავდა, მზერას არიდებდა ქალი, დომენიკო კი მაგრად, მაგრად შემოხვევდა ხელებს და ჩაიკრავდა გულში, თვალებში ჰკოცნიდა, გორგალი ებჯინებოდა ყელში სული სტკიოდა... თვალდახუჭული ჰკოცნიდა ყელზე და გრძნობდა, როგორ თბებოდა, მომლოდინე, მადლიერი ქალი, ისე მადლიერი, გაამაყებულ მგზავრს ცრემლმორეული თვალების დანახვა მოუნდებოდა და, რომ შეხედავდა, — აჰ, სხვისი იყო, მაინც სუულ სხვისი... სხვას ეკუთვნოდა.“

ამ კონფლიქტის განვითარების მოლოდინში მკითხველი იძაბება, მაგრამ, სამწუხაროდ, მოტყუებული რჩება. დომენიკომ ანა-მარიას „სამაგიერო“ იმით გადაუხადა, რომ საროსკიპოში გაიქცა და კახპა ლაურასთან ერთი ღამე გაათია. დღისით ამ საქციელის თავად შერცხვა მამაკაცს. იგი ყუ-

რებჩამოყრილი, მხრებაწურული და სინდისატკი-ვებული დაბრუნდა შინ. ამით დამთავრდა ცოლ-ქმრის კონფლიქტი. სხვა რამ ავტორს მკითხველი-სათვის არ უცნობებია. დროც აღარ არის, რადგან მალე ფეხმძიმე ანა-მარია მოკვდება ლამაზ-ქალა-ქელი გიჟის უგოს ხელით.

ჩემი აზრით, სულის წინააღმდეგობა, რომ-ელიც დომენიკოსა და ანა-მარიას შორის არსებობს, შეუძლებელია ასე უბრალოდ და მარტივად დამ-თავრდეს. მაგრამ რატომღაც გ. დოჩანაშვილმა თავი აარიდა როგორც კონფლიქტის განვითარებას, ისე მის მართალ დასასრულს. შეიძლება ვცდები, მაგ-რამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მწერალი შეუშინდა კონფლიქტის განვითარებას და მის მიერვე შექმნილი წინააღმდეგობა იოლად „მოა-გვარა“ ანა-მარიას სიკვდილით.

ის, რაც რომანში ანა-მარიას შესახებ არის ნათ-ქვამი, ერთი დასკვნის უფლებას გვაძლევს: ეს ქა-ლი გაცილებით უფრო ღრმა, რთული და დახვე-წილი სამშვინველის პატრონია, ვიდრე დომენიკო, ყოველ შემთხვევაში მათი შეხვედრის პერიოდში. მერე დომენიკო ცხოვრების რთულ გზას გაივლის და ბევრის მხილველი გახდება. ბუნებრივია, რომ ეს მის სამშვინველს გაამდიდრებს და გაართულებს. ორი სხვადასხვა ძალისა და სიღრმის სამშვინველის შეხვედრისას, მით უმეტეს, მათი ქორწინებით გაერთიანების დროს, როგორც გარდაუვალი აუ-ცილებლობა, იბადება შეურიგებელი შუღლი. მა-რთალია, „სამოსელ პირველში“ ამ უთანხმოების

ჩანასახი არსებობს, მაგრამ გამოვლენილი არ არის მისი არსი. არსის გამოსავლენად საჭირო იყო ანა-მარიას უფრო გამოკვეთილად დახატვა. იგი, ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, სულიერების ეტალონია, მაგრამ ეტალონობისათვის არ კმარა მარტო მუსიკით გატაცება, თუნდაც იმგვარი, როგორსაც გ. დოჩანაშვილი აღწერს:

„ანა-მარია, რჩეული, უკრავდა... თავი უკან გადაეგდო, თვალები დაეხუჭა და ქუჩიდან შეჰყურებდა ფანჯარაზე აბობღებული, გამწარებული დოშენიკო. პირველად ხედავდა დაკვრისას ანა-მარიას სახეს, მოღალატე ცოლს შესცქეროდა განრისხებული მგზავრი — იმას მეუფე ეფერებოდა... თავზე უსვამდა უხილავ თითებს, ტუჩზე ჰკოცნიდა, უკრავდა ქალი... ნეტარებისაგან თვალდახუჭული, ნეტარებისაგან უხმოდ კვნესოდა, ანა-მარია, შუამავალი მეუფესა და საკრავებს შორის, იმ დიდი შრომის, დაკვრა რომ ერქვა, ჯილდოს იღებდა — თავად მეუფე ეფერებოდა, ნეტარებისგან კვნესოდა ქალი... თავგადაგდებულს, ყელზე ჰკოცნიდნენ, და თვითონ ქალიც ტუჩებს სიხარულით აწვდიდა მეუფეს...“

ხშირად პერსონაჟის რელიეფურად გამოკვეთისათვის კონკრეტული საქციელის დახატვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღწერა, თუნდაც დაწვრილებითი. სანიმუშოდ შევადაროთ ზემორეციტირებული აღწერა, როგორ უკრავდა ანა-მარია, კამორელი მეძავის როსას საქციელს.

კამორაში ყოფნის დროს გაწამებულ დომენი-

კოს ქალი მოენატრა. ოთო-ექიმმა მოუყვანა როსკიპი როსა. დომენიკოს მხოლოდ ოთხი დრაჰკანი ჰქონდა. მხოლოდ ეს შეეძლო მიეცა გასამრჯელოდ ქალისათვის. უფრო ლატაკი, ღარიბი და საცოდავი იყო მეძავი. მას ორმოცი გროში ჰქონდა. როსა მზად იყო ყველაფერი აეტანა, ოღონდ დომენიკოსაგან ის ოთხი დრაჰკანი მიეღო. იგი ძორჩილად გაშიშვლდა და დაწვა. სულგანაბული ელოდა მამაკაცს, დომენიკოს ქალის საცოდაობამ თავზარი დასცა. იგი სათუთად, ნაზად ეალერსებოდა როსას. ქალმა პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო ადამიანური დამოკიდებულება. პირველად დაინახა, რომ იგი არ იყო ოდენ სხვისი ვნების დასაცხრობი ნივთი. როსას სამშვინველი მადლიერების გრძნობით აივსო.

დილით, როცა დომენიკოს გაეღვიძა, ქალი ლოგინში აღარ იწვა. „...მაგრამ მაგიდაზე ოთხი დრაჰკანი სხვაგვარად ეწყო — სიმაღლეზე, ერთიმეორეზე ელაგა, და უცებ, ელდანაცემი, სულ სხვა რაღაცას დააშტერდა — ოთხი დრაჰკანი ხომ იდო და იდო... და იქვე, კიდევ, ორმოცი გროში“.

დომენიკოსა და როსას შეხვედრა პაწია ეპიზოდია რომანში. მაგრამ კამორელი მეძავი, მისი საქციელის გამო, არ დაგავიწყდებათ. ეს საქციელი მკითხველს საშუალებას აძლევს როსას მთელი ცხოვრება წარმოიდგინოს. დაინახოს ის ჭიდილი, რომელიც როსკიპის სამშვინველში მიმდინარეობდა. მართალია, როსა ხორცით გახრწნილი იყო, მაგრამ სულით მას არ დაუკარგავს უბიწოება, თან იმა-

საც თუ გავიხსენებთ, რომ როსა კამორაში, ე. ი. ჯოჯოხეთში, ცხოვრობს, შეგვიძლია უმნიშვნელოვანესი დასკვნა გავაკეთოთ: ადამიანს ყოველგვარ პირობებში ძალუძს შეინარჩუნოს სულის სიწმინდე, თუ ეს მას სურს.

როგორც ხედავთ, კონკრეტული საქციელი არა მარტო პერსონაჟს ხატავს რელიეფურად, არამედ გზას უხსნის მკითხველის ფანტაზიასაც. აქტიურს ხდის მკითხველის გონებას. ამასთანავე ემოციური ელდა საქციელში ძლიერია. ლამაზად აქვს აღწერილი გ. დოჩანაშვილს, როგორ უკრავდა ანა-მარია. ავტორთან ერთად, მკითხველიც ნასიამოვნებია და კმაყოფილი ამ აღწერით, მაგრამ უფრო შორს არ მივდივართ. როსას საქციელით კი ელდანაცემი არა მარტო დომენიკო დარჩა, არამედ მკითხველიც, რამეთუ მან მოულოდნელად აღმოაჩინა როსკიპის სამშვინველში სულიერება. ანა-მარიას სულიერებას ელდის დამცემი კონკრეტული საქციელი აკლია. რასაც ელდა აკლია, იმის მიმართ მკითხველი გულგრილია. ელდა დიდი ესთეტიკური ცნებაა და მას სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება. აქვე უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ელდის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია დღევანდელი ქართული პროზისათვის. ჩვენს დღევანდელ პროზაში (თითო-ოროლა გამონაკლისს არ ვგულისხმობ) ამბავიც მდორედ, ერთფეროვნად მიედინება და პერსონაჟებიც თავისი უმოქმედობით ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. მათ ელდის დამცემი თვისება არ გააჩნიათ.

ანა-მარიას მხრივ ელდის დამცემი საქციელის გამოვლენის აუცილებლობას ავტორიც კარგად გრძნობს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ანა-მარიას სიკვდილი. იგი მოულოდნელია და შემაძრწუნებელიც. მკითხველს ბუნებრივად უჩნდება კითხვა — რატომ მოჰკლეს ანა-მარია? ამის პასუხად შეიძლება გვითხრან: განა ყველაფერს ახსნა სჭირდება? განა ცოტაა ცხოვრებაში შემთხვევითობა? გონებაარეულ უგოს აკვიატებული ჰქონდა ვიღაც მოეკლა. შემთხვევით იგი ანა-მარიას შეეჩეხა გზაზე და გიჟმა განუსჯელად ჩაიდინა ბოროტმოქმედება. ამგვარი პასუხი თითქოს ლოგიკურად გამოიყურება, მაგრამ ასე იოლად არ არის საქმე., უაზროდ და უმიზნოდ არც ცხოვრებაში კვდება ადამიანი და არც მხატვრულ ნაწარმოებში. ის სხვა საკითხია, რომ ცხოვრებაში კაცის სიკვდილის აზრსა და მიზანს ადამიანი ვერ წვდება, ვერ ხვდება და ვერ ამოუცვნია. ეს აზრი და მიზანი უზენაესმა იცის. რაც ადამიანს უაზროდ და უმიზნოდ ეჩვენება, მას მკაფიო აზრი და მიზანი აქვს, ოღონდ, როგორც ითქვა, კაცთათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი. თუ ბუნებაში ასეა, მხატვრულ ნაწარმოებში ცოტა სხვანაირად არის. მხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟის შემოქმედი მწერალია და მისი მკვლელიც მწერალია. ამიტომ ავტორმა უწყის, რა მიზნით და რა აზრით ცოცხლობს მისგან შექმნილი პროტაგონისტი და რა მიზნით და რა აზრით კვდება ან კლავენ მას. რაკი მწერალიცა და მკითხველიც ადამიანია, ეს აზრი და მიზანი საერთოდ

გასაგებია, ოღონდ ზოგჯერ პროცესი მკაფიოდ ვერ იხატება. ბუნდოვანება ხელს უშლის მკითხველს ყველაფერი ნათლად ამოიცნოს.

ცხადია, გ. დოჩანაშვილმა იცის, რატომ მოჰკლა უგომ ანა-მარია, თუმცა, გულწრფელად უნდა ვთქვა, ჩემთვის ეს გაუგებარია. რა თქმა უნდა, ანა-მარიას მარტო იმისათვის არ ჰკლავენ, რომ ამით მკითხველს ელდა დაეცეს. ჯუმანით ვგრძნობ, რომ ამ მკვლელობას უფრო ღრმა შინაარსი აქვს. ამას ის გარემოებაც მაფიქრებინებს, რომ როცა ქუჩაში ანა-მარიას სიკვდილი უახლოვდება, ხოლო შინდარჩენილ, აწრიალებულ დომენიკოს ავის მომასწავებელი გრძნობა აწამებს, ავტორი პარალელურად გვახსენებს რესასა და წინამძღოლის სიკვდილს. მაშასადამე, რესას, წინამძღოლის და ანა-მარიას სიკვდილთა შორის რაღაც კავშირია. ამიტომ გავიხსენოთ, როგორ დაიხოცნენ რესა და წინამძღოლი.

რესამ ნანდუს ცოლი აცდუნა. ნანდუმ დომენიკოს მამასთან იჩივლა და სამართალი ითხოვა. რესამ უარყო, არავითარი კავშირი ნანდუს ცოლთან არა მქონიაო. ნანდუს კი თავის სიმართლის დამტკიცება არ შეეძლო. მაშინ დომენიკოს მამამ რესას სთხოვა, სალამურზე დაგვიკარიო. გახარებულმა რესამ სალამური ჯიბიდან ამოიღო და დაკვრას შეუდგა. თან მღეროდა. უცბად რესამ სოხანეზე ზღართანი მოადინა და სული განუტევა. გაოგნებული ნანდუ ირწმუნებოდა, არაფერ შუაში ვარო. დომენიკოს მამამ იგი დაამშვიდა და უთხრა, კვა-

რი აიღე და მკვდარს დახედეო. ნანდუმ კვარი მიანათა მიცვალებულს და შეშინებულმა იყვირა — ირკოლა ჩი!.. პაწია, შხაბიანი უხსენებელი სალამურში შემძვრალიყო და, როცა რესა უკრავდა, ტუჩებში ეკბინა.

რესამ დაარღვია მცნება—„არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყუასის შენისა“ და თან იცრუა. იგი დამნაშავეა და თავად ბუნებამ მიუზღო სამაგიერო. თვით ავტორი ამბობს „ის (რესა — ა. ბ.) დამნაშავე იყო.“

სწორუპოვარი მეომარი იყო წინამძღოლი, უშიშარი და უდრეკი. მისი თავკაცობით სიმაგრე აიღეს მხედრებმა და ეზოში ორი ბერიკაცი ნახეს. ერთი სულ ოღიმებოდა და გვერდით წყლით სავსე ტიკი ედგა. მეორე პირქუშად გამოიყურებოდა და სვავივით იბღვირებოდა. წინამძღოლი ჯიქურ მისჩერებოდა მომღიმარ მოხუცს. შორიდან სიმღერა მოისმა და წინამძღოლმა იქით მიიხედა. ბერიკაცმა ტიკი აიღო და წყლის სმა დაიწყო. კაციშვილმა არ იცის, რა აზრმა გაუელვა თავში წინამძღოლს. იგი ანაზდად შემოტრიალდა, ხმალი იშიშვლა და მოხუცს თავი გააგდებინა. „ეს პირველი უდანაშაულო კაცი იყო, — დასძენს ავტორი, — წინამძღოლის ხელით მოკლული“.

წინამძღოლმა არ დაიცვა მცნება — „არა კაც კლა.“ ეს შეცდომა მან გააცნობიერა და არსებითად თავი მოიკლა. იგი ნიღაბაფარებული დაიღუპა საკუთარ მეომრებთან ბრძოლაში. წინამძღოლიც

ჭცნების დარღვევისათვის იყო დამნაშავე. ეს მკაფიოდ არის ნათქვამი რომანში.

რაკი ავტორმა ეს ორი სიკვდილი გაგვახსენა ანა-მარიას მკვლელობის წინ, ბუნებრივად ჩნდება ეურვილი მოინახოს ამ ქალის დანაშაულიც. მაგრამ იგი „სამოსელ პირველში“ არ არსებობს. პირიქით, თუ ვინმე უმწიკვლო და უდანაშაულოა, ეს ანა-მარიაა. მაშინ რატომ გვახსენებს მწერალი ანა-მარიას მკვლელობის პარალელურად რესასა და წინამძღოლის სიკვდილს? ამის პასუხი მე ვერ მოვძებნე.

ანა-მარიას მკვლელობის აზრის ამოკითხვა იმიტომაც მიმაჩნია აუცილებლად, რომ გავიგო და ამოვიცნო რას ვერ მიწვდა დომენიკო? რას განასახიერებდა ანა-მარია? მკითხველმა ხომ იცის, რომ მკვდარ ანა-მარიასაც ვერ ჩაწვდა დომენიკო. რომანში წერია: „როცა დომენიკომ მოკლულ ქალს დახედა, იგი გაშრა — სულ სხვისა იყო.“

რა ვერ გაითავისა დომენიკომ?

შევეცდები ამ კითხვას ჩემებურად ვუპასუხო. შეიძლება იგი ავტორმა გაიზიაროს, შეიძლება — არა, მაგრამ ეს პასუხი რომანის წაკითხვით დაიბადა და საგანგებოდ არ გამომიგონია.

ჩვენ ხშირად ვიმეორებთ იოანე მოციქულის სიტყვებს — „ღმერთი სიყვარული არს“ (ეპისტოლე პირველი, 4, 8). მაგრამ იშვიათად ვეკითხებით თავისთავს — როგორი სიყვარული. ქრისტიანული რელიგიის კონცეფციით, სიყვარული ორგვარია: სიყვარული-აგაპე და სიყვარული-ერო-

სი. სიყვარული-აგაპე გულისხმობს ზეციერ სიყვარულს, ხოლო სიყვარული-ეროსი — მიწიერს.

ადამიანს არავინ ართმევს ეროსი-სიყვარულის უფლებას, მაგრამ არსებობის მიზნის შესაცნობად ეს უკმარია. ადამიანი აუცილებლად უნდა მიწვდეს და ეზიაროს აგაპე-სიყვარულს.

ანა-მარიას უყვარდა დომენიკო (სიყვარული-ეროსი), მაგრამ მისი სამშვინველი სავსე იყო სიყვარული-აგაპეთიც. დომენიკო კი მხოლოდ ანა-მარიას სიყვარულს (სიყვარულ-ეროსს) ფლობდა. მისი სამშვინველი ჯერ არ იყო ნაზიარები სიყვარულ-აგაპეს. ამიტომ დომენიკოს სიყვარული ნაკლული იყო. ამიტომ ეჩვენებოდა მას ანა-მარია მაინც სხვისად. მხოლოდ ანა-მარიას სიკვდილის შემდეგ გააცნობიერა დომენიკომ, რა აკლდა, რით სჯობნიდა ქალი მას, როგორ შეიძლებოდა მისი სამშვინველი სულად გარდაქმნილიყო და ამაღლებულიყო.

როცა ამას ვამბობ, იმასაც ვფიქრობ — იქნებ დომენიკოს ცნობიერების გაღვიძებაა ანა-მარიას სიკვდილის აზრი? მოყვასის სიკვდილი უდიდესი და უმძიმესი ტანჯვაა. ტანჯვა კი აფხიზლებს ადამიანის დაძინებულ გონებას.

ამასთანავე მკითხველისათვის კარგად ცნობილია, რომ ანა-მარიას სიკვდილის მერე გადაწყვიტა დომენიკომ კამორაში ანუ ბოროტებისა და ტანჯვის ქალაქში წასვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ

გვემით სურს დომენიკოს განიწმინდოს სამშვინველი და შეიძინოს უნარი ეზიაროს ამაღლებულს.

ამ ამაღლებულის კონკრეტული შინაარსი გვაინტერესებს, რისი მიგნებაც, სამწუხაროდ, რომანში ჭირს.

საერთოდ და ზოგადად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ანა-მარია, ანუ მშვენიერება მოჰკლა ფილისტერულმა საზოგადოებამ.

ლამაზ-ქალაქი, სადაც დომენიკო და ანა-მარია შეხვდნენ ერთმანეთს, ფილისტერობის განსახიერებაა. ფილისტერულ საზოგადოებაში კი ყველაფერი ცრუ და არანამდვილია — სიყვარულიც, მეგობრობაც, მტრობაც, განათლებაც, კულტურაც...

რიოში და ყალბია კონჩეტინა, სიყვარულის მაძიებელი ქალი, რომელიც ბოლოს დებილ კუმეოს მისთხოვდა. კონჩეტინა უშუალობის ტრფიალი ყოფილა. ეს თვისება კი გონებასუსტ მამაკაცში აღმოაჩინა.

რიოში და ყალბია მამიდა არიადნაც, რომელსაც ისეთ დახვეწილ ადამიანად მოაქვს თავი, რომ ყოველგვარი წვრილმანის გამო გული უღონდება. მთელი სიცოცხლე იგი ვიღაც ვასკოს მისტირის, რომელიც მამაკაცურობის იდეალად წარმოუდგენია. მართალია, ეს ვასკო რომანში უშუალოდ არ მოქმედებს, მას მხოლოდ არიადნას გახსენებებით ვიცნობთ, მაგრამ „სამოსელ პირველში“ იგი იმდენად ცოცხლად იხატება, რომ მკითხველი ზედმიწევნით იცნობს მას. ჩანს, რომ ვასკოც ისეთივე დარდაკი იყო, როგორიც კუმეოა.

რიოში და ყალბია არტურო, ვინც ვითომ სტუ-მართმოყვრულად შეიფარებს დომენიკოს, ნამდვი-ლად კი ატყუებს და ტყავს აძრობს სოფლელ ბიჭს.

რიოში და ყალბია კეთილშობილი პიროვნების ნიღბის მატარებელი დუილიო, სულ მაღალ მატე-რიებზე რომ მსჯელობს და საჩუქრად იის კონები დააქვს. გულით კი იგი დიქტატურას ეთაყვანება და სხვათა დამონებაზე ოცნებობს.

რიოში და ყალბია ტულიო. იგი დრაჰკანების გამო მეგობრობს დომენიკოს. მის ხარჯზე ქეი-ფობს და ერთობა.

ერთი სიტყვით, ლამაზ-ქალაქი სიცრუით და თვალთმაქცობით სავსე სამყაროა. ამ ქალაქში ნამ-დვილი მხოლოდ დომენიკო, ანა-მარია, გიჟი უგო და ალექსანდროა (სხვათა შორის, თუ ამ სახელის ესპანურ ფორმას ვხმარობთ, მაშინ ალეხანდრო უნდა იყოს, თუ იტალიურს — ალესანდრო).

„სამოსელ პირველში“ სიცრუის, სიყალბის, თვალთმაქცობის დახავსებული ატმოსფერო დამა-ჯერებლად და მკაფიოდ არის დახატული. ამ გარე-მოში ვერაფერი ნამდვილი ვერ გაძლებს. ვერც გაძლო. ანა-მარია დაიღუპა. დომენიკომ ლამაზ-ქალაქი მიატოვა და კამორაში გაემგზავრა. უგო გიჟია და მისთვის სულერთია, სად დალევს სი-ცოცხლის დღეებს. ალექსადრო კი წინასწარ გამი-ზნული მისიით ცხოვრობს ლამაზ-ქალაქში. მას ამ ფილისტერული საზოგადოების გარდაქმნა უნდა. მართალია, მკითხველმა არ იცის, რით დასრულ-დება ალექსანდროს საქმიანობა, მაგრამ, თუ

გავითვალისწინებთ ამ პერსონაჟისადმი ავტორის ირონიულ დამოკიდებულებას, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მისია დასამარცხებლად არის განწირული.

რაკი დომენიკო ცხოვრების აზრისა და დანიშნულების შესაცნობად მოგზაურობდა, მან პირველი გაკვეთილი ლამაზ-ქალაქში ანუ ფილისტერულ საზოგადოებაში მიიღო. ამ გაკვეთილის თანახმად, ყველაფერი ამაღლებული და მშვენიერი განწირულია დასაღუპავად (ანა-მარიას მკვლელობა). ხოლო ყველაფერი ფილისტერული, მეშჩანური და ობივატელური (არიადნა, კონჩეტინა, კუმეო, დუილიო, ტულიო, არტურო და სხვანი) არხეინად და თავისუფლად არსებობს, შესანიშნავად ეგუება და ეთვისება გარემოს. მას არაფერი ემუქრება.

დომენიკომ მეორე გაკვეთილიც უნდა მიიღოს. იგი ტოვებს ლამაზ-ქალაქს და ტანჯვის სამყაროში ანუ კამორაში მიემგზავრება.

კამორას არსს ყველაზე ნათლად გამოხატავს შიშველი მოანგარიშე ანისეტო. კამორაში არსებობის საფუძველი სრული უნდობლობაა, ანისეტომ დიქტატორ ბეტანკურის ფულები რომ არ მიითვისოს, თხემით ტერფამდე ტიტველი და თავგადაპარსული მუშაობს. ეს ძალიან რელიეფური და გამოკვეთილად ნათელი სახე-სიმბოლოა. ოღონდ, როგორც ჩანს, ავტორი არ ენდო მკითხველს და განმარტა, რატომ არის ანისეტო შიშველი: „ალბათ ისიც არ იცი, მოანგარიშე შიშვლად რადა დგას — ფული რომ არ ჩაიცუროს სადმე“. ეს განმარტება

არ არის საჭირო. უამისოდაც ყველაფერი ნათელია. საერთოდ, „სამოსელ პირველში“ განმარტებებს ხშირად წაიკითხავთ. გავიხსენოთ თუნდაც დონ დიეგოს თვითმკვლელობა. მას მერე, რაც დონ დიეგომ მარშალი ბეტანკური მოჰკლა, მისი თვითმკვლელობა შინაგან დამაჯერებელ მოტივს მოკლებულია. ამიტომ ავტორი გახმარტავს: „ეს თვითმკვლელობა არ იყო, ეს — ძმათა ხათრით სიკვდილი გახლდათ.“ ამგვარი განმარტებანი კი იმის საბუთია, რომ გ. დოჩანაშვილი ან მკითხველს არ ენდობა ბოლომდე ან თავისთავს. მწერალი კი ორივეს — თავისთავსაც და მკითხველსაც — უნდა გულღიად ენდოს. ისიც უნდა სჯეროდეს, რომ მან სურათი ზუსტად დახატა და ისიც, რომ ნათქვამი არ დარჩება მკითხველისათვის გაუგებარი. განმარტება პუბლიკუმსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის ემოციურ კავშირს აცივებს, რამეთუ იგი მკითხველს ართმევს მხატვრული სახის ამოცნობის სიხარულს.

კამორა სამყაროა, სადაც ადამიანთა შორის ნდობა სრული უნდობლობით ვლინდება. მარტო ეს საკმაოა იმის წარმოსადგენად, როგორ ჯოჯოხეთში მოხვდა დომენიკო. მაგრამ მკითხველი დომენიკოს კამორაში ყოფნას შიშით არ უყურებს. მან წინასწარ იცის, რომ ბოროტების ქალაქში მას ალექსანდროს ძმა დაიცავს.

„სამოსელ პირველში“ გამოყვანილია ორი ძმა— ალექსანდრო და მიჩინიო. ორივე კეთილისათვის იბრძვის ალექსანდრო — ლამაზ-ქალაქში, მიჩი-

ნიო — კამორაში. ალექსანდრო ქადაგებით ცდილობს ადამიანს მოყვასისადმი სიყვარული ჩაუნერგოს, მიჩინიო კი კონკრეტული საქმით აპირებს დაეხმაროს გაჭირვებულს. ალექსანდროს ლამაზ-ქალაქი ირონიულად უყურებს. არავის სჯერა მისი. რა თქმა უნდა, ფილისტერული სამყარო სხვაგვარად ვერ შეხედავდა ალექსანდროს. მაგრამ აქ გარკვეული დოზით დარღვეულია წონასწორობა. ალექსანდროსადმი ავტორისა და ლამაზ-ქალაქის საზოგადოების დამოკიდებულება ერთნაირია. საქმე ის გახლავთ, რომ მკითხველი ჯერ გუმანით და მერე ერთადერთი საქციელით ხვდება ალექსანდროს განსხვავებას ლამაზ-ქალაქელთაგან. ამ საქციელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ალექსანდროს პიროვნების შესაცნობად. როცა დომენიკომ კამორაში წასვლა გადაწყვიტა, გადაჭრილ ხესთან, მიწაში დამალული ფული ალექსანდრომ მოუტანა მას.

„— აი, შენ დრაჰკანები მოგიტანე...

— და თქვენ... იცოდით?

— რაღა თქმა უნდა.

— და არ აიღეთ?

— მგლოვიარედ რომ არ ვიყო, სილას გაგაწნავდი, — უთხრა ალექსანდრომ, — რანაირიღა შეურაცხყოფა არ მიმიღია, მაგრამ ასეთი? არასოდეს, არა...“

დომენიკომ ვერც კი წარმოიდგინა პატიოსნება, რომელმაც იცოდა, სად იყო ფული გადამალული და არაფერი აიღო.

ამ საქციელით მჟღავნდება ალექსანდროს უანგარო ბუნება. მაგრამ ავტორს ეს უანგარო კაცი ისეთივე ირონიით ჰყავს წარმოდგენილი, როგორც სხვანი, ვისაც არავითარი ღირსება არ გააჩნია. აუცილებელია ალექსანდროსადმი ავტორისა და ლამაზ-ქალაქელთა (დამოკიდებულების ნიუანსური განსხვავება. მთელი რომანი რომ ირონიულ ხასიათს ატარებდეს, მაშინ შეიძლება ეს განსხვავება აუცილებელი არ ყოფილიყო. მაგრამ ასე არ არის. რომანის ბევრი ადგილი პათეთიკური ინტონაციით არის დაწერილი. განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ანა-მარიასა და კანუდოსელებს ეხება. თუ ავტორი არ არის ირონიული მშვენიერების (ე. ი. ანა-მარიას) და თავისუფლების (ე. ი. კანუდოსელების) მიმართ, რატომღა ავლენს ირონიას უანგარობისადმი (ალექსანდროსადმი)? განა უანგარობა ისეთივე მაღალი ნიჭი არ არის, როგორც მშვენიერება და თავისუფლება? ცხადია, ასეა და ამიტომ არის აუცილებელი წონასწორობის დაცვა.

რა თქმა უნდა, ირონია ყოველთვის არ გულისხმობს უარყოფით დამოკიდებულებას. პირიქით, ზოგჯერ ირონიით სიყვარული იხატება. მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების საერთო, მთლიანი განწყობილებაა ირონია. „სამოსელ პირველში“ კი განწყობილება ცვალებადია. ირონიას ენაცვლება სატირა, სატირას — პათეთიკა. ამგვარი ცვალებადი (განწყობილების სიტუაციაში ირონია მხოლოდ უარყოფითი შინაარსით აღიქმება. ამიტომ ვამბობ, რომ ალექსანდრო-

სადმი დამოკიდებულებას მეტი ნიუანსირება სჭირ-
დებოდა-მეთქი, თორემ, როცა „სიყვარულის კაკ-
ტუსზეა“ ლაპარაკი, მკაფიოდ ჩანს ორგვარი დამო-
კიდებულება — ირონიაც და სიმპატიაც ალექსან-
დროს მიმართ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა
ვერ აბათილებს საერთო შთაბეჭდილებას.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ თავად სიმბოლო —
სიყვარულის კაკტუსი — ირონიული პროზისათ-
ვის კარგად მიგნებულ ხატად მიმაჩნია. მართალია,
კაკტუსი თითქოს გონჯი და ეკლიანი მცენარეა, მაგ-
რამ უწაზესი და ულამაზესი ყვავილები აქვს.
აყვავებული კაკტუსის ბაღი უმშვენიერესი სანა-
ხაობაა.

ალექსანდროსადმი ნიუანსურად მრავალფერო-
ვანი დამოკიდებულების აუცილებლობა სამი გარე-
მოების გამოც არსებობს.

ჯერ ერთი, ალექსანდრო თვითონ ამბობს —
„...საჭიროებისდა მიხედვით აყრანტალებული და
დასაცინი ვარ — ასეა ამ ქალაქში საჭირო.“

რატომ?

მეორეც, როცა დომენიკო მშობლიური სოფ-
ლიდან ლამაზ-ქალაქში მიდიოდა, კოჭლმა მონამ
გააცილა. განშორებისას გამცილებელმა სილა
გააწნა და თან ბოდიში მოუხადა — „რა ვქნა, ჯერ
არავისთვის გამირტყია მაგრამ... —მორცხვად თქვა
თავდახრილმა კოჭლმა. — ასე მიბრძანა იმან“ (დო-
მენიკოს მამამ — ა. ბ.). ლამაზ-ქალაქიდან კამორა-
ში დომენიკო ალექსანდრომ გააცილა. ახლაც გა-
მოთხოვებისას ალექსანდრომ დომენიკოს ალიყუ-

რი აჭამა და თან პატიება ითხოვა—„ასე იყო საჭირო... მაპატიე.“

რა კავშირია დომენკოს მამას, კოჭლ მონასა და ალექსანდროს შორის?

პერსონაჟთა შორის ამგვარი საიდუმლო კავშირი სხვაგანაც არის რომანში მითითებული. მაგალითად, ლამაზ-ქალაქელი არიადნა გამუდმებით ახსენებს ვიღაც ვასკოს, რომელიც ნამდვილ მამაკაცად მიაჩნია. მერე კი კამორაში პოლკოვნიკი სეზარი შესჩივლებს სუზზის გამო. დომენიკოს: „ქმრის შემდეგ შენს გარდა არავისთან ყოფილვარო, მიმტკიცებს, მეფიცება... მაგრამ ეს როგორ დავუჯერო, რადგან იმ დროს... ლოგინში, საწოლში რაღა, ეშხში რომ შევა, სულ კვნესა-კვნესით გაიძახის — ოჰოჰოო, ვასკო...“

არიადნასა და სუზზის შორის რა კავშირია?

ამ კავშირების ძიებას გვაიძულებს რომანის ალეგორიული ხასიათი.

მესამეც, ვინ უფრო სწორად და მართლად ემსახურება კეთილს—ალექსანდრო თუ მისი ძმა მიჩინიო?

ამ კითხვების პასუხი ჭირს, რადგან ალექსანდროს სახის მრავალპლანიანობა სრულად და ბოლომდე არ არის დახატული.

ალექსანდროს ძმამ მიჩინიომ ბავშვობაში უნებლიეთ დანაშული ჩაიდინა. დედის დაცვის დროს მამინაცვალი შემოაკვდა და თერთმეტი წლის ბიჭი მკვლელის სახელით დაიდაღა. მერე იგი, დავაჟკაცებული, კამორაში ცხოვრობდა აქ, რაკი

კეთილის ქმნა აშკარად და ღიად არ შეეძლო, მოჩვენებითად ბოროტების სამსახურში იდგა. მიჩინიოს უნდოდა ემოქმედა დევიზით — „თუკი სიკეთის მთესველი ვარ, ბოროტება უნდა მოვსპო“. ამას თავად ამბობს. ამის გამგონე მკითხველს პრინციპული კითხვა ებადება: შეუძლია კი ბოროტების სამსახურში მყოფ ადამიანს, თუნდაც უაღრესად შენიღბულს, კეთილი საქმის კეთება? შეიძლება ჩემი პასუხი ერთობ სუბიექტურად მიიჩნიოთ, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ არ ძალუძს. ამიტომ მიჩინიო და ყველა, ვინც მისებრ თვლის, რომ ბოროტის ნიღბით კეთილს გავაკეთებთო, თავის თავსაც ატყუებს და სხვასაც.

უფრო გამოწვლილვით შევეხოთ ამ პრობლემას.

ძნელად დასაჯერებელია, რომ კაცი, რომელიც უპირველესი და უსასტიკესი ჯალათის ნიღაბს ატარებს, შეინარჩუნებდა უნარს ეცხოვრა დევიზით— „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ — და ამას პრაქტიკულადაც ახორციელებდეს.

პირველი, რაც ამ კაცმა უნდა გააკეთოს, არის ბატონის ნდობის დამსახურება. მიჩინიოს უნდა დაემსახურებინა ბეტანკურის ნდობა. მაგრამ როდის და როგორ გენდობიან დიქტატურის დროს? ეს გარემო და პირობები ზუსტად და დამაჯერებლად არის აღწერილი „სამოსელ პირველში“.

გენდობიან მაშინ, თუ მოანგარიშე ანისეტოსაებრ შიშველ-ტიტველი ხარ. დარწმუნებული არიან, რომ ვერაფერს მოიპარავ.

გენდობიან მაშინ, თუ მონა ხარ და ლაქია მხატვარ გრეგ რიკიოსავით, ვისაც ბეტანკური როგორც მოისურვებს, ისე ამასხარავებს. მოუნდება ბეტანკურს და გრეგ რიკიო ხალხის თვალში გოროზი, ქედმაღალი, უნიჭიერესი შემოქმედია. ინებებს დიქტატორი და თხილის გულს გადაუგდებს, შუხლებზე დაჩოქილ გრეგ რიკიოს იატაკზე ახოხებს და ტახტის ქვეშ აძებნინებს. გენდობიან თუ გრეგ რიკიოსებრ მორჩილად შეასრულებ დიქტატორის ყველა ბრძანებას.

გენდობიან მაშინ, თუ ბოროტმოქმედი ხარ პოლკოვნიკ სეზარივით ან ზედამხედველ ნავოლესავით.

გენდობიან მაშინ, თუ ეპვმიუტანლად გჯერა, „ექვსჯერ სამი შვიდია“.

სხვაგვარად არავინ გენდობა და არც ვინმეს სჭირდები. ამგვარ სიტუაციაში როგორ მოახერხებდა მიჩინიო კეთილის სამსახურს? თუ იგი თავზე ლაფს არ დაისხამდა, ვერ ჩადგებოდა ბეტანკურის სამსახურში, ვერ მოიპოვებდა მის ნდობას. მამაშასადამე, მას ჯერ ბოროტება უნდა ჩაედინა, ნდობით აღჭურვილიყო და ამის მერე ისევ დაეწყო კეთილის სამსახური. მაგრამ ვისღა გამოადგება, კეთილის თვალსაზრისით, ბოროტების ლაფშიამოვლებული კაცი?

მართალია, მიჩინიომ დომენიკო გადაარჩინა, მაგრამ კანუდოსის საშველად ვერაფერი იღონა. პირიქით, თავი იმართლა, მანუელო კოსტას იმიტომ ვერ დავეხმარე, რომ მაშინ შენ ვერ გიხსნი-

დიო. რა გამოდის, ერთის მიმართ სიკეთე რომ ჩაედინა, მეორე უნდა გაეწირა. მაშასადამე, იწყება სიკეთით ვაჭრობა, რაც, ცხადია, კეთილთან ვერ იქნება დაკავშირებული.

ამიტომ, თუ მართალია და დამაჯერებელი დიქტატურის ატმოსფერო კამორაში, ძნელად სარწმუნოა მიჩინიოს სიკეთე.

მიჩინიო დიდი შეცდომის მსხვერპლია.

ვისაც კეთილის სამსახური სურს, იგი სრულად უნდა გაემიჯნოს ბოროტს და ისე მოიქცეს, როგორც ძველი სიბრძნე ამბობს: განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახუილი.

კითხვა, რომელიც მკითხველს აწუხებს, გაუჩნდა დომენიკოსაც: „სიკეთე თუ ხართ, იქ, იმ ქალაქში... რა გაძლებინებთ?“ ამის პასუხად მიჩინიომ დომენიკოს უამბო:

ფანჯრებდახშული ეტლით თვრამეტი ავაზაკი მგზავრობდა. ამ ეტლში იჯდა მიჩინიოც და კიდევ ერთი უცნობი მგზავრი. ალექსანდროს ძმამ გადაწყვიტა დაეხოცა ავაზაკები. იგი ჩუმად კოფოზე აცოცდა და მრავალცხენიანი ეტლი თავად წაიყვანა. მიჩინიო თავგამეტებული მიერეკებოდა ცხენებს. უნდოდა უფსკრულში გადაეჩეხა ეტლი ავაზაკებიანად. თავის თავზე აღარ ფიქრობდა. მაგრამ უეცრად გაახსენდა უცნობი მგზავრი, უდანაშაულო კაცი, რომელიც ავაზაკების გამო უნდა დაღუპულიყო. მაშინ მიჩინიომ დაასკვნა, უმჯობესია ეს ერთი უდანაშულო კაცი გადარჩეს, ვიდრე დაიღუპოს იგი თვრამეტ ავაზაკთან ერთად. მან აღარ გა-

დაჩეხა ეტლი უფსკრულში. ასე იხსნა უნებლიეთ უცნობმა თვრამეტი ავაზაკი სიკვდილისაგან.

მართალია, საინტერესოა მიჩინიოს დამოკიდებულება კეთილისა და ბოროტისადმი, მაგრამ ის, რაც მან დომენიკოს უამბო, ზემორე ციტირებული კითხვის პასუხი არ არის.

დომენიკოს არ უკითხავს, რა სჯობს, თვრამეტ დამნაშავესთან ერთად ერთი უდანაშულოც განადგურდეს თუ ერთ უდანაშულოსთან ერთად თვრამეტი დამნაშავე გადარჩეს? ამის პასუხი დიდი ხანია არსებობს და მას იზიარებს კეთილშობილი კაცობრიობა. ძველი რომაული სამართალი სამართლიანობის ძირითად პრინციპად აღიარებდა: უკეთესია ათი დამნაშავე გაათავისუფლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯო.

დომენიკოს სხვა რამ აინტერესებს: სიკეთე როგორ ძლებს ბოროტების გარემოცვაში. ამის პასუხი კი მიჩინიომ ვერ მოძებნა. ვერც მოძებნიდა, რამეთუ კეთილის ქმნისათვის აუცილებელია თავისუფლება. სადაც არ არის თავისუფლება, არ არის კეთილიც. კამორაში განადგურებულია თავისუფლება, და, მაშასადამე, მომსპარია კეთილიც. არც მიჩინიოა თავისუფალი კაცი, რადგან იგი ნიღაბს ატარებს. ნიღაბი თავისუფლების დამონების ფორმაა და, ამდენად, ყოველი ნიღბისმატარებელი ადამიანიც მონაა.

მიჩინიოც მონაა და, ბუნებრივია, მას არ შეეძლო კეთილის კეთება. ის, რომ მან დომენიკო გადაარჩინა, კარგი საქმეა. მაგრამ კარგი საქმე და

კეთილი ერთი და იგივე არ არის. კარგი საქმე კონკრეტული შინაარსის მატარებელია, კეთილი კი ყოვლისმომცველი უნივერსალური მოვლენაა.

კეთილისათვის კანუდოსელები იბრძვიან. მათ იციან, თავისუფლებისა და კეთილის დასამკვიდრებლად აუცილებელია ბრძოლა, თავგანწირვა, მსხვერპლი. ისინი ასეც იქცევიან, მათი დამარცხება არ იწვევს სასოწარკვეთილებას. მთავარია ის, რომ ბოროტების წიაღში იბადება თავისუფლებისა და კეთილის სული, რომელიც უკვდავია და რომელიც სხვა თაობებს გადაეცემა. კანუდოსელთა ახალი თაობა მოიპოვებს იმას, რასაც ძველმა თაობამ ვერ მიაღწია.

მიჩინიოსგან განსხვავებით, დომენიკომ კანუდოსიც იხილა და კანუდოსელებთან ერთად იცხოვრა და იბრძოლა. მან ჯოჯოხეთიც განვლო, სალხინებელიც და სამოთხეც. ამიტომ მისი დასკვნა უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე მიჩინიოსია. სწორია, დედამიწას სიყვარული ატრიალებს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მას დაცვა-პატრონობა სჭირდება. დაცვა და პატრონობა კი იმას ხელეწიფების, ვისაც არა მარტო კათარსისგავლილი სულის სიმბოლო — დიდი ამეთვისტო—ჰკიდია, არამედ ის მახვილიც, რომელსაც სამოსლის გაყიდვით შეიძენს კაცი. რატომღაც დომენიკოს ეს მახვილი არ უმშვენებს წელს. შესაძლებელია, ეს იმან გამოიწვია, რომ გ. დოჩანაშვილი მახვილის აუცილებლობის აზრს არ იზიარებს. თუმცა ვინც სამოსელს ჰყიდის, მან მახვილი უნდა იყიდოს. ამას ითხოვს

ლოგიკა, დომენიკომ სწორედ სამოსელის გაყიდვის გზით შეიცნო ცხოვრება.

გ. დოჩანაშვილი მართალია, როცა ფილისტერულ საზოგადოებას და დიქტატორულ სამყაროს წარმოგვიდგენს ერთფეროვნად, მოსაწყენად და თავმომაბეზრებლად. ავტორი ლამაზ-ქალაქში და კამორაში არსებული ატმოსფეროს ზუსტი აღწერით დამაჯერებლად გვეუბნება, რომ დიქტატურისა და ფილისტერობის (მათ შორის კი ურღვევი კავშირია) უპირველესი საშინელება ის არის, რომ ადამიანში ჰკლავს მრავალფეროვნების, ნაირ-ნაირობის სიყვარულს. ყველაფერს აერთფეროვანებს და ადამიანს ამსგავსებს დასაქოქ თოჯინას, რომელიც წინასწარდამუშავებული პროგრამის შესაბამისად მოძრაობს და მოქმედებს. დიქტატურა ყველას პროკრუსტეს სარეცლით ათანასწორებს? ეს კი, თავისთავად ცხადია, იწვევს ადამიანში ადამიანურის სიკვდილს. აქ ავტორთან სადავო არაფერია. მაგრამ ზოგჯერ ერთფეროვანი ატმოსფეროს და ერთფეროვანი ადამიანების დასახატავად გამოყენებულია ერთფეროვანი ხერხები და საშუალებანი. ეს კი საკამათოა.

მაგალითად, ლამაზ-ქალაქელთა შორის ყველას რაღაც აქვს აკვიატებული.

კონჩეტინას ჰგონია, რომ იგი ვიღაცას უყვარს („მე მგონი, ვინსენტეს ვუყვარვარ...", „ანტონიოსაც ვუყვარვარ...", „მე მგონი, იმ მდიდარ სულელსაც... ჰო, დომენიკოს... მგონი, იმასაც ვუყვარვარ...").

მამიდა არიადნა წამდაუწუმ ნამდვილ მამაკაცს ვასკოს იხსენებს.

დუილიო ხშირად იმეორებს — „წყაროდან ჰიქას ნუ წამოიღებ.“

კუმეო ყველას ეჩიჩინება, მოდით ვიმეგობროთო.

უგო გიჟს კი ამოჩემებული აქვს — „დავკლავ, დავკლავ კამორული დანით“...

და ასე შემდეგ.

კამორაში ბეტანკურს ქრთამს ასე აძლევენ: ნაირნაირი ხელობის კაცნი მოდიან დიქტატორთან და ეუბნებიან — „ჰალაში გახლდით, სწორუპოვარო, თქვენს მაღალ თანამეცხედრეს ბეჭედი რომ დაუკარგავს, ის ადგილები მოვიარე... და ვინც ეძებს, მოგეხსენებათ, ჰპოვებს კიდეც და... ეს ხომ არ არის?“ ბეტანკური ალმასისთვლიან ბეჭედს შეათამაშებს ხელში და დაუდასტურებს, ეს არისო. ბეჭედი დიქტატორის სალაროში მიდის, ერთხელ ამგვარი ხერხით ქრთამის მიცემა ეფექტურია და შთაბეჭდილებას ახდენს. იმ პიროვნებასაც ეცნობა მკითხველი, ვინც გასცა ქრთამი. მაგრამ, როცა იგი მეორდება და მეორდება (დიდვაჭარი არტემიო, ლამაზი გენერალი, ხორხე, მთავარი პროკურორი, პორფირიო და სხვანი), მაშინ უკვე ტავტოლოგიურ ხასიათს იღებს, მხატვრული ხერხი უფერულდება და კარგავს თავდაპირველ მოხდენილობას.

ტავტოლოგიურია პერსონაჟთა სამეტყველო ენაში ეს ელემენტიც:

კონჩეტინა კუმეოს — „ცუნცულ, გიყვარვარ?“

სეზარი სუზანას — „რატომ, ჭუკიჭუკ?“

ცოლი ჟოაო აბადოს — „არ მოგენატრე, ჰა, პუმპურიკა?“

„არისტოკრატი“ ქალი დომენიკოს — „არ მოგწონვარ, არა?... დაა, პინკურიკა?“.

როსკიპი დომენიკოს — „ძალიან გაგახარებ, ცინცრიკ“.

რომელიმე ერთი პერსონაჟის სამეტყველო ენის დასახასიათებლად ეს ხერხი მისაღებია და კარგი. მაგრამ ამ საშუალებით არ მოხერხდება რამდენიმე, თან სხვადასხვა მდგომარეობის და თვისების ადამიანთა მეტყველების თავისებურების გამოვლენა.

ზოგჯერ ავტორის მეტყველებაშიც იჩენს თავს ერთნაირობა. როცა როზინაზეა ლაპარაკი, რამდენჯერმე მეორდება — „აი, ის, ჭალაში რომ იყო“. მართალია, გ. დოჩანაშვილი თავად შენიშნავს — „არ გავუჭირვეთ საქმე ამ ერთ ჭალაში ყოფნით?“ — მაგრამ ეს შენიშვნა ვერ ამართლებს ხერხს, რამეთუ იგი მარტო როზინას მიმართ არ გამოიყენება. იგივე მეორდება მაშინაც, როცა უსახელო პერსონაჟზე მიმდინარეობს საუბარი. ამ პერსონაჟს ვიცნობთ კაცად, ვინც არ იცოდა გრამატიკა. ეს ფრაზა, სხვადასხვა ვარიაციით, ბევრჯერ გვხვდება: „...წარმოთქვა გრამატიკის ცუდად მცოდნემ...“ „...კაცი, რომელიც გრამატიკით ვერ დაიკვეხნიდა“, „კაცმა, რომელმაც რიგიანად ვერ იცოდა გრამატიკა....“

მართალია, ეს ავტორს ირონიული განწყობილების შესაქმნელად სჭირდება, მაგრამ ხერხი ყოველთვის სათანადო ეფექტურ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მით უმეტეს, რომ გ. დოჩანაშვილს ასეთ საშუალებათა გარეშეც ოსტატურად ეხერხება ირონიული ატმოსფეროს შექმნა, რასაც ნათლად ადასტურებს როგორც ლამაზ-ქალაქში, ისე კამორაში დახატული განწყობილება. ამასთანავე ავტორს გამეორება გამოყენებული აქვს როგორც ლაიტმოტივი. თუ ლამაზ-ქალაქში მეორდება — „ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ქალაქი...“ კანუდოსში განმეორდება — „ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი მდინარე...“ ლაიტმოტივი გარკვეული აზრობრივი ფუნქციის მატარებელია, ტავტოლოგია კი — არა. ამიტომ მათი ერთად არსებობა და გაუმიჯნაობა ხელის შემშლელია მკითხველისათვის.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, თითქოს მეორეხარისხოვანი შენიშვნაა, მაგრამ ნურც ასე უბრალოდ მივიჩნევთ მას. საქმე ის გახლავთ, რომ ერთფეროვნება, რომელიც ლამაზ-ქალაქსა და კამორაში ზუსტ ატმოსფეროს ქმნის, კანუდოსშიც გადმოვიდა. ეს კი სასურველი არ არის. თავისუფლების ერთ-ერთი უპირველესი ღირებულება ისიც არის, რომ იგი იძლევა პიროვნული თუ საზოგადოებრივი მრავალფეროვნების გამოვლენის საშუალებას.

გ. დოჩანაშვილმა დამაჯერებლად დახატა, როგორ კარგავს ცნებები მნიშვნელობას და აზრს დიქტატურის პირობებში, როგორ შეიძლება უნ-

დობლობა პატიოსნებად მოინათლოს (შიშველი ანისეტოს სახე), მონობა — თავისულებად (მხატვარი გრეგ რიკიოს ხატი), როგორ ეხმარება უნებლიეთ პატიოსნება არამზადობას (მწყემსი აველინო), უნებურად მამაცობა სილაჩრედ როგორ იქცევა (ზე მორეირა) და ასე შემდეგ. თავისუფლება ყველა ღირებულების ნამდვილ შინაარსს, ნამდვილ აზრს აღადგენს და ადამიანი უნიღბო არსებობას იწყებს. ეს ცვლილება არ არის დახატული კანუდოსში. მართალია, აქ ადამიანები ავლენენ ერთგულებას, თავდადებას, თავგანწირვას, ვაჟკაცობას, მაგრამ ეს უკმარია. მამაცობა და ვაჟკაცობა შეიძლება გამოიჩინოს სასოწარკვეთილმა ადამიანმაც და თავისუფალმაც. კანუდოსელთა ბრძოლა და გმირობა სასოწარკვეთილთა საქციელია. ამის საბუთია არა მარტო დიეგოს თვითმკვლელობა, არამედ მენდეს მასიელის სიტყვაც.

მენდეს მასიელი ბრძოლას იწყებს თავისუფლებისათვის ისე, რომ დარწმუნებულია დამარცხებაში: „...ისიც იცოდეთ რომ დავმარცხდებით, მაგრამ სილაღეს იგემებთ, ძმებო...“ როცა ამგვარი რწმენით იწყება თავისუფლებისათვის ბრძოლა, ეს აშკარა არგუმენტია იმისა, რომ თავისუფლება აუცილებლობად კი არ არის მიჩნეული, არამედ თვითმიზნად. თავისუფლების თვითმიზნურობა კი თავად გ. დოჩანაშვილის კონცეფციას ეწინააღმდეგება, „სამოსელი პირველის“ აზრობრივი შინაარსის თანახმად თავისუფლება აუცილებლო-

ბაა.. თვინიერ თავისუფლებისა, კაცს ადამიანური არსი ეცლება.. დიქტატურა კი ანტიბუნებრივი მოვლენაა. დააკვირდით ერთ ალეგორიას, რომელიც კაატინგას სახით არის წარმოდგენილი რომანში. კაატინგა რაღაც კაციჭამია მცენარეა. იგი კანუდოსელებს ეხმარება და კამორელებს ებრძვის. მაშასადამე, ბუნება თავისუფლების მომხრეა. პრუდენსიოს შეცდომა რომ არა, რომელმაც კაატინგას ბუჩქნარი კამორელთა გვამებით გააძღო, შეიძლება კანუდოსი არ დამარცხებულიყო, ისეთ გადაულახავ კედლად იყო აღმართული ბუნების სასწაული.

აქ ერთი წუთით შევჩერდეთ და ალეგორიულობაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ალეგორიულობა ახლა მწერლობის მოდური გატაცებაა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. რა თქმა უნდა, საერთოდ ალეგორიულობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ ორი რამ კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ:

ა) თუ ნაწარმოებში არ არის რეალისტური პლანი, მაშინ ალეგორია თვითნებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც მკითხველს აბნევს. რეალისტური პლანი ყოველთვის ალეგორიის გასაღებია, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამდენად ინტერპრეტაციაც უფრო ზუსტი შეიძლება იყოს.

ბ) გარკვეულ პირობებში ალეგორია არაკეთილსინდისიერი მწერლების თავშესაფარია. ალეგორიით ისინი იოლად ატყუებენ მიამიტ მკითხვე-

ლებს. ბუნებითა და არსით რეაქციონერები თავს გაჩვენებენ რევოლუციონერებად. თავს იკატუნებენ, მეტის თქმის საშუალება არ იყო და რაც მოვახერხე, ალეგორიით შევძელიო. მათ ხელისუფლებაც კმაყოფილი ჰყავთ და ხალხიც. ამიტომ ალეგორიულ ენას პატიოსანი მწერალი ფრთხილად უნდა მოეკიდოს, რომ უნებლიეთ თვალთმაქცების ბანაკში არ აღმოჩდეს.

მოგეხსენებათ, მწერლის ღვაწლი არა მარტო ტალანტით იზომება, არამედ პატიოსნებითაც. მკითხველთა სასიხარულოდ, „სამოსელი პირველის“ ალეგორია პატიოსანი ალეგორიაა.

ახლა კი ისევ ზემოთ შეწყვეტილი საუბარი განვაგრძოთ.

გ. დოჩანაშვილი კანუდოსის აღწერისას ცვლის რომანის საერთო ირონიულ ატმოსფეროს პათეთიკური განწყობილებით. ავტორი ამაღლებული ინტონაციით იწყებს თხრობას. არის შემთხვევები. როცა თხრობის ინტონაციას პროზიდან ლექსში გადადის, მაგალითად, მენდეს მასიელის სიტყვა:

> თავისუფლებას გაჩვენებთ, რაა,
> ოღონდ დროებით,
> იცოდეთ ესეც და ნუ შეკრთებით,
> რადგან ისედაც დროებითა ვართ,
> აქ, ამ მიწაზე...
> და სიკვდილისაც ნუ გეშინიათ,
> ნურც — არყოფნისა.
> ნუ გგონიათ, რომ უცხო ხილია —
> დაბადებამდეც ხომ არ ვიყავით...
> რ. არ მომხდარა ჩვენს გაჩენამდე,

დიდრონ ქალაქებს იღებდნენ ერთნი
და მეორენი თაყვანსა სცემდნენ...
ბნელში ტიროდა პატარა ბიჭი...
ზღვის პირას გრძელ ნავს უცდიდა ქალი...

ამას დავუმატოთ დიდი კანუდოსელების პათეთიკური სიკვდილი და მივიღებთ ავტორის თავისუფლებისადმი დამოკიდებულების ნათელ სურათს.

სასოწარკვეთილებისგან შეიძლება დაიბადოს თავგანწირვა, მაგრამ არა თავისუფლება. თავისუფლება შედეგია მტკიცე შინაგანი რწმენისა. იგი შეუძლია განახორციელოს იმან, ვისაც ხელეწიფების თავის-თავის მართვა. ეს უნარი „სამოსელ პირველში" უფრო მკაფიოდ უნდა გამოავლინონ კანუდოსელებმა. ისინი უფრო მრავალფეროვანი და მსუყე საღებავებით დახატული უნდა წარვუდგინოთ მკითხველს. თითოეული მათგანი თავისებურებითა და განუმეორებლობით ელდას უნდა სცემდეს მკითხველს და მტკიცედ იბეჭდებოდეს მის ცნობიერებაში.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელიც დღეს ქართულ მწერლობაში შეიმჩნევა და რაც დასაგმობად მიმაჩნია. თუ რომელიმე მხატვრულმა ნაწარმოებმა მოწონება დაიმსახურა, მის მიმართ ჩნდება ნეკროლოგური მადლიერების განწყობილება. აღტაცებით ცრემლმორეული, ქუდმოხდილი შევყურებთ მას და, თუ რაიმე დავწერეთ ამ ნაწარმოებზე, მხოლოდ და მხოლოდ ხოტბა უნდა ვთქვათ. როგორც ნეკროლოგში მიგვაჩნია უხერხულად გარდაცვლილის ნაკლის აღნიშვნა,

აქაც გვიჭირს ხარვეზებზე ლაპარაკი. ის კი გვავიწყდება, რომ მხატვრული ნაწარმოები ცოცხალი ორგანიზმია და, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას აქვს თავისი ავ-კარგი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოცხალ არსებაზე ნეკროლოგის დაწერა შეურაცხყოფაა, დამცირებაა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ბრმა აღტაცება და ბრმა გმობა ერთნაირ შედეგს იძლევა — აზრის უმოძრაობას. ეს კი მწერლობის უბოროტესი მტერია.

„სამოსელი პირველი“ ცოცხალი ლიტერატურული ქმნილებაა, რომელიც ნაირნაირ ფიქრს, განცდას და ემოციას აღუძრავს მკითხველს. ამიტომ ამ რომანზე ლაპარაკისას ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც შეიძლება კრიტიკამ ჩაიდინოს, გახლავთ „სამოსელ პირველისადმი“ ნეკროლოგური მადლიერების გამომჟღავნება. ნეკროლოგურ მადლიერებას უნიჭოება იმსახურებს. „სამოსელი პირველი“ დაკროლილ ჭეშმარიტებას არ ღალადებს და ამიტომ მასზე უნდა ვინსჯელოთ, ვიკამათოთ, ვიდავოთ.

კარგა ხანია დადგა დრო მოწიფული აზროვნებისათვის დამახასიათებელი განსჯის უნარი შევიძინოთ და ინფანტილური კმაყოფილება და განცხრომა თავიდან მოვიცილოთ.

1980 წ.

„სურამის ციხის“ გამო

დიდი ხნის წინათ „სურამის ციხე“ ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილ თხზულებად მიიჩნიეს და მის ძირითად ღირსებადაც ეს აღიარეს. თუმცა როცა „სურამის ციხე“ გამოქვეყნდა (როგორც ცნობილია, იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის მე-12 და 1860 წლის პირველ ნომერში), რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების საკითხი გადაწყვეტილი იყო. ქართული საზოგადოებაც კარგად იცნობდა იმპერატორ ალექსანდრე მეორის სიტყვას, ოომელიც 1858 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა და სადაც აღიარებული იყო ამ რეფორმის ჩატარების აუცილებლობა. მთელ სახელმწიფოში უკვე შექმნილი იყო სათანადო კომიტეტები, რომელნიც რეფორმის შინაარსსა და ხასიათს საბოლოოდ ამუშავებდნენ. ეს დ. ჭონქაძემ შესანიშნავად იცოდა. მას თავად ჰყავს გამოყვანილი „სურამის ციხეში“ იმ ახალგაზრდათა შორის, რომელნიც, დათქმული პირობის თანახმად, რიყეზე იკრიბებოდნენ და სხვადასხვა ამბავს ყვებოდნენ, ლიბერალი თავადი ლ. დ., ვისაც „დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება“. ასე რომ, „სურამის ციხის“ დასტამბვა დ. ჭონქაძეს არ შეიძლება სამოქალაქო გმირობად ჩაეთვალოს. ობიექტურნი თუ ვიქნებით, ეს უფრო იმდროინდელი კონიუნქტურა იყო. თუ მწერალს მაინც უპირებდნენ კუკიის ხიდიდან გადაგდებას ან ცემას, ეს ქართველი თავადაზნაურობის ერთი

ნაწილის გონებაჩლუნგობას მოწმობს და არა „სურამის ციხის“ ავტორის გამბედაობას. დ. ჭონქაძემ, უბრალოდ, კარგად აუღო ალღო დროის მოთხოვნილებას, კარგად დაინახა ისტორიული პროცესი. რა თქმა უნდა, ეს მწერლის აზროვნების პროგრესულობის დასტურია, მაგრამ არა უფრო მეტი. როცა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს „სურამის ციხისადმი“ დამოკიდებულებას დღევანდელი თვალით ვუყურებთ, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის უსაშველო ჩამორჩენილობამ უფრო უნდა გაგვაკვირვოს, ვიდრე დ. ჭონქაძის მოქალაქეობრივმა სიმამაცემ. თუ „სურამის ციხეს“ მივიჩნევდით მხოლოდ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად, მაშინ უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ იგი მეტად დაგვიანებული პროტესტია. „სურამის ციხის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების, ღირსება სხვა რამ არის და არაოდენ ბატონყმობის მხილება. თუმცა ფილიპე მახარაძით დაწყებული დღემდე მიწყივ ამას ვიმეორებთ და მეტი არაფრის დანახავა გვინდა. მართალია, ეს პროტესტი მოთხრობაში მძლავრად ჟღერს, მაგრამ, ვიმეორებ, ეს მაინც არ არის „სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი.

ძირითადი აზრობრივი შინაარსის ამოცნობის მიზნით, თვალი გავადევნოთ „სურამის ციხის“ პერსონაჟთა ცხოვრებას.

მოთხრობის პერსონაჟებიდან ყველაზე მწარედ და მწვავედ ნოდარმა, ანუ ოსმან-აღამ, განიცადა ბატონყმური უსამართლობის სისასტიკე. იგი გა-

ყიდეს, დედა უღელში პირუტყვივით შებმული მოუკლეს, მისი საცოლე კი აიძულეს თავი დაეხრჩო.

ოსმან-აღა დაუნდობლად განიკითხავს ბატონყმურ უსამართლობას, ბატონებს, მათ გულქვაობას.

„იმათ (ბატონებს — ა. ბ.) ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვქონდეს გული და არ გვქონდეს სჯა“.

„ო, რა საზარელი იყო ის სიცილი დედაჩემის ძწუხარებასთან! მე დარწმუნებული ვარ, რომ მასში არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი: იმისთანა დროს მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება.“

„...ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებული იყო, რო მე ვიყავ იმისი ერთგული; ხა! ხა! ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში... საკვირველი არიან, შენმა გაზრდამ ეგ ხალხნი!“

მიუხედავად ბატონყმობის ამ მოურიდებელი მხილებისა, ოსმან-აღა ყმის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგი არსებითად არ არის. როცა ოსმან-აღამ გადაწყვიტა დურმიშხანისათვის მისი ნათლული მიეთხოვებინა, მაშინ იგი საპატარძლოს მშობლებს ყმა-მამულის ყიდვას დაჰპირდა.

„— აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ, წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ გამოაცხობს.

— განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლიან, რო იყოლიოს გოგო-ბიჭი?

— რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს, აზნაურს თავისი ეყოლება.

— თუ აგრეა, ხვალვე უყიდი ყმებს! (ხაზი ჩემია— ა. ბ.).

— უყიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“

განა ის ყმები, რომელთაც ოსმან-აღა იყიდის, ისევე არ დაიჩაგრებიან, დაიტანჯებიან, ეწამებიან, როგორც ნოდარი, როცა იგი ბატონმა კახეთიდან ჩამოსულ მღვდელს მიჰყიდა? აშკარაა ოსმან-აღა ისეთსავე დანაშაულს სჩადის, როგორიც მისმა ბატონმა ჩაიდინა, მაგრამ ამის შეგნება ყოფილ ყმას არა აქვს. ამიტომ მცდარია აზრი, გამოთქმული ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში, თითქოს ნოდარი, ანუ ოსმან-აღა, ქართულ ლიტერატურაში ბატონყმობის წინააღმდეგ პირველი მებრძოლი პროტაგონისტი იყოს. ოსმან-აღა მხოლოდ შურისმგებელია და არა მებრძოლი. ნოდარმა დედის მკვლელობაც კი აპატია ბატონს. თავგასულ არაგველ ბატონს, ნოდარის ნანდაური ნატოც რომ არ გაეუბედურებინა, შურისძიება არ ემუქრებოდა. ყმა, ტკივილითა და ტანჯვით, მაინც შეეგუა ბატონთან ცხოვრებას. ვინ უწყის, ნოდარს ნატოს შერთვის ნებართვა რომ მიეღო, ცხოვრება ყმობაში უდრტვინველად დაემთავრებინა. მხოლოდ უზომო უსამართლობამ და ბოროტებამ დააკარგვინა ნოდარს წონასწორობა და ამოაწყვეტინა ბატონის ოჯახი. ამ დროს ჩაიდინა გონებადაბნელებულმა ყმამ ცოდვა — მოჰკლა უდანაშაულო ბავშვი, შვილი ბატონისა.

„— ნოდარჯან, მე მომკალ ჩემ გიგოს[1] ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია რა შენთვის: — ბითხრა ქალბატონმა ხვეწნით. — მე ნუ მომკლამ, შენთვის არა დამიშავებია რა, — გაიმეორა ყმაწვილმა.“

ეს ცოდვა ნოდარს ყველგან თან დასდევს და სულსა და გულს უფორიაქებს.

დურმიშხანთან პირველი შესვლრისთანავე უდანაშაულოდ მოკლული ბავშვი გაახსენდა.

„ღმერთო, ის ბავშვი არ მაძლევს მე მოსვენებას, დღე და ღამე მიდგას თვალწინ და არ ვიცი, საით გავიქცე... ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, ერთხელ მეც შემეძლო შემეხედნა წმინდა სინდისით ცისათვის, მაგრამ ეხლა... კაცის მკვლელი, ქრისტეს ორგული, რა ცა შემირიგებს მე!“

ასე ტანჯავს და აწამებს ოსმან-აღას ჩადენილი ცოდვა.

„მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უ მ ე ტ ე ს ა დ გ ა ნ დ გ ო მ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ა (ამ სიტყვებს დააკვირდით — ა. ბ.), არ მაძლევდნენ მე მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ომში, ან თუ საცა გინდა, ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალმობით:

— მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?

რამტენჯერ მე ვეძიე ომში სიკვდილი, რამტენ-

---

[1] ამ ადგილას „სურამის ციხის“ ზოგიერთ გამოცემაში გოგო წერია, ზოგიერთში — გიგო.

ჯერ გიჟივით გადავარდი გახშირებულ ომში, რო ჩქარა გავსწორებულიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არა მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთავობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ დამშვიდდა ჩემი სვინდისი, შემდეგ იმ ფიქრით რო გავიქარვო ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა. ვაჭრობაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სვინდისი არ დამშვიდდა.

— ღმერთო, მომეტევება როდისმე მე ჩემი შეცოდებანი? — სთქო ჩუმად ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა; — საიდუმლო ხმა მეუბნება, რო არაო.

— ღმერთი მრავალ-მოწყალეა, — უთხრა დურმიშხანმა, — მე გამიგონია, რო არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევოსო, თუ წმინდა გულით მონანიებს.

— არა, ჩემთვის არ არის მოტევება, — ჩაფიქრებით სთქო ოსმან-ალამ, — არა სჩანს მოტევება.“

ცოდვის გამოსყიდვის მიზნით მისცა ოსმან-ალამ დურმიშხან წამალაძეს ქონების ნახევარი.

„...— მე ვიცი რითაც, მე მივსცემ ჩემი ქონების ნახევარს.

— რათა?

— ის მე ვიცი! აკი გიუბნები, რო უნდა ‘ეუდგე ღმერთსა: იქნება კიდევ მეღირსოს მოტევება.“

ცოდვის მონანიებისათვის დაუბრუნდა ოსმან-

აღა ისევ ქრისტიანობას და ახალი ტანჯვა-გვემისათვის გასწირა თავი.

„რო მივიდნენ სტამბოლში, ოსმან-აღამ ნახევარი ქონება თავისი მართლა მისცა დურმიშხანს, მეორე ნახევარი კი შესწირა ეკლესიას, თვითონ კი შემდგომ დალოცვისა პატრიარხიდგან, ცხადად აღიარა ქრისტე. მოგეხსენებათ რა წვალებას მიიღებდა ის მაჰმადიანთაგან? იმ აზრით, რო როგორმე მიექციათ ისევ მაჰმადიანთა სჯულზე, ოსმალოთ მოლებმა და სხვათა იხმარეს ყოველი შესაძლო მათგან ცბიერება, მაგრამ, რო სიკეთით ვერ შეძლეს იმისი მიქცევა, მემრე იხმარეს ძალა და ამისათვის მოღალეს ,,მაზე სხვადასხვა ტანჯვანი, მაგრამ იმითაც რო ვერა ,,ახდნენ რა, შემდგომ კრეს შაყა, ესე იგი, ,,ასჭრეს შუაზე.“

მკაფიოდ ვხედავთ, რომ ოსმან-აღას სამშვინველის მოძრაობა მთლიანად განპირობებულია ცოდვით. მისი გამოსყიდვის დაუძლეველი სურვილი წარმართავს მის მოქმედებას.

სოციალურმა უსამართლობამ ჩაადენინა ოსმან-აღას ცოდვა. იგი არასოდეს ,,ახდებოდა ცოდვილი, მისი ბატონი მხეცურად რომ არ მოქცეულიყო. მის პიროვნებაში თავს იყრის, ერთიანდება სოციალური და ზნეობრივი დანაშაულის შედეგი. ოსმან-აღა, ერთი მხრივ, მსხვერპლია ბატონის ბოროტ-მოქმედების და, მეორე მხრივ, — საკუთარი დანაშაულის. ამიტომ დაიშალა მისი პიროვნება, რაც მისი ფიზიკური დაღუპვით დამთავრდა.

ზნეობრივი დანაშაულის მთელი სიმძაფრე გან-

საკუთრებით ნათლად ჩანს დურმიშხანის თავგადასავალში.

დურმიშხანიც ბატონყმური უსამართლობით იყო დაჩაგრული, მაგრამ, როცა მან გულისვარდი მოატყუა, მაშინ მისი საქციელი მხოლოდ პიროვნული უზნეობით იყო განპირობებული და სოციალური უსამართლობა აქ არავითარ როლს არ ასრულებდა.

დურმიშხან წამალაძის მშვინვიერი მდგომარეობა უფრო მრავალპლანიანია, ვიდრე ოსმან-აღასი. იგი წერეთლის უხსნიერი შვილია. მოახლე გოგო აცდუნა ახალგაზრდა ბატონმა და ამის შედეგად გაჩნდა დურმიშხანი. ბავშვობისას მას განსაკუთრებული ტანჯვა არ განუცდია და ბატონის სახლში შედარებით ნებიერად იზრდებოდა. მაგრამ ერთ დღეს მისი „კეთილდღეობა“ დაირღვა. წერეთელთან სტუმრად მოსულ მუხრანბატონს მოეწონა დურმიშხანი და ბიჭიც სასწრაფოდ აჩუქეს მას. ამან დურმიშხანის დედას თავზარი დასცა. „საწყალი დედაჩემი რანაირად იკლამდა თავს, უნდა გენახა, გულოჯან, მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს“, არავის მიუქცევია მისი მწუხარებისათვის ყურადღება. საცოდავი ქალი გადაჰყვა შვილის დარდს. დურმიშხანი ახალი ბატონის ოჯახში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. „ვინც რასმეს დააშავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო; ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერლის ბიჭს. ვის სცემენ გაჯავრებულ გულზე? იმერლის ბიჭს... მე, ვარდო!

ბევრჯელ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯელ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშისმცემელი? არავინ.“

მართალია, დურმიშხანი ბატონყმური ყოფის მტერი სურათს ხატავს, მაგრამ მკითხველს უფლება აქვს მის გულწრფელობაში დაეჭვდეს. ამის საფუძველს იძლევა დურმიშხანის რეალური მდგომარეობა და მისი პიროვნება.

როგორც კი გულისვარდმა სთხოვა თავის ქალბატონს დურმიშხანის ყმობისაგან განთავისუფლება, წამალაძე მაშინვე გააზატეს. ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ ქალბატონის სახელი და გვარი — მარიამ წერეთელი — მოხსენიებულია მოთხრობაში. ეს ქალი ღვთისნიერი, კეთილი და მოწყალე პიროვნებაა. იგი სრულებით არ ჰგავს ოსმან-აღას ურჯუკ ბატონს. აბა, შეადარეთ: ბატონმა ოსმან-აღას ცოლის თხოვნის ნება არ მისცა, მერე კი ნატოს გაუპატიურებაც მოინდომა. დურმიშხანი კი პირველი თხოვნისთანავე გაათავისუფლეს ყმობისაგან. ასევე დაუყოვნებლივ გააზატა მარიამ წერეთელმა გულისვარდიც, როგორც კი ეს ითხოვა პირისფარეშმა.

„— რათა, გოგო, განა შეგძულდი? — ჰკითხა ქალბატონმა.

— არა, ქალბატონო, ღმერთმანი, არა, — უპასუხა ვარდომ არევით.

— მითხარი... რათ გინდა განთავისუფლება?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა შემირთოს...

— ჰო, თუ აგრეა, ხვალვე თავისუფალი იქნები, შაგისათვის რასა სტირი, ტუტუცო? ამაღამ ბატონი მოვა, ვეტყვი და ხვალვე წიგნს დაგიწერინებ!“

მარიამი არ უშლის ხელს თავის ყმას ეწიოს ოჯახსა და ბედნიერებას. მკითხველმა იცის, რომ ვარდოს ტყუილი ქალბატონმა არ უწყოდა.

როგორც ვხედავთ, დ. ჭონქაძეს ორი სრულიად სხვადასხვაგვარი ბატონის ტიპი ჰყავს მოთხრობაში: ოსმან-აღას ბატონი — დაუნდობელი და მხეცი; მარიამ წერეთელი — მზრუნველი, ყურადღებიანი და შემბრალებელი.

დააკვირდით იმასაც, რომ უკვე ყმობისაგან თავისუფალი დურმიშხანი ვარდოს ეუბნება: „ღმერთი მომიმართავს ხელს, ჩემო ვარდო, წიგნი ვიცი, ენები და რამდენიმე ხელობა“. სად ისწავლა ესენი დაჩაგრულმა ყმამ? ცხადია, მუხრანბატონის სახლში, რაკი იგი სხვაგან არსად ყოფილა. მაშასადამე, ამ სახლში მას მარტო არ დასცინოდნენ, აბუჩად არ იგდებდნენ, — ასწავლიდნენ კიდეც, რაკი წერა-კითხვას დაუფლებია, ენებიც აუთვისებია და რამდენიმე ხელობაც შეუსწავლია.

როცა ყმობისაგან თავისუფალი დურმიშხან წაშალაძე ბედის საძებნელად გზას დაადგა, დ. ჭონქაძემ ასე აგვიწერა იგი: „მეორე დღეს დურმიშხანი ლამაზათ მორთული, ვერცხლის ყაწიმებით, შევერცხლილი იარაღით შეკაზმული, კარგი შავი ცხენით გავიდა ქალაქითგან“. რაღაც არ ჰგავს ეს დაჩაგრული ყმის პორტრეტს. ამიტომ, დურმიშხანის წუწუნი გულისვარდთან უფრო თვალთმაქცო-

ბის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მისი რეალური მდგომარეობის ობიექტურ აღწერას. დურმიშხანი რომ მაშინ ვარდოსთან თვალთმაქცობდა, ამას ადასტურებს მისი ფიქრიც, რომელიც მერე უკვე გამდიდრებულსა და გაზულუქებულს უტრიალებს თავში: „რო ის არა ყოფილიყო, ხომ არ განმათავისუფლებდა ბატონი. რა კარგად მოვიქეცი, რანაირად ვაჩვენე თავი, რო მითომ მიყვარდა, მაგრამ, ღმერთმანი, ღირდა სასიყვარულოთ, რამტენი ვატყუე საწყალი, რო მოვალ-მეთქი.“

მკაფიოდ ჩანს, რომ მზაკვრობა წინასწარ დაგეგმა დურმიშხანმა. იგი სპეკულაციას ეწევა საკუთარი თავგადასავალით და მას ვარდოს დასაშინებლად იყენებს. მან შესანიშნავად იცის, რა დასცემს ქალს ყველაზე მეტად თავზარს და ამ გარემოება-განწყობილებით ოსტატურად სარგებლობს.

„— მემრე წავა დრო, გაგვიჩნდება შენსავით ლამაზი ბიჭი; შენ გაზრდი დიდი ამბით. განა გეყვარება ჩვენი შვილი, გულო?

— ძრიელ, ძრიელ! — საჩქაროდ სთქო ვარდომ.

— წარმოვიდგინოთ, რო ერთხელ მოვიდა ვინმე ჩვენს ბატონთან და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?

ამ კითხვამ შეაკრთომა გულისვარდი: საწყალს არასოდეს არ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო წაერთოთ იმისათვის შვილი.

— ეგ არ შეიძლება! ქალბატონი სადა მყავს,

განა ჩემი ქალბატონი ისე დამივიწყებს? არა, ეგ არ იქნება! — რ.ვდენსამე ჩანს შემდეგ სთქო ვარდომ ჩაფიქრებით.

— წარმოვიდგინოთ, რო შენი ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა, იმის ფეხს სულ არ უყვარხარ მაშინ?

— ოი! ეგ არ შეიძლება, დურმიშხან, არა! უწინ ღღე დამელიოს.“

ასე უნერგავს დურმიშხახი ვარდოს შიშს მოსალოდნელი ბედის წინაშე. იგი ყველა ხერსს ხმაროს, რომ ვარდომ არ დაზოგოს ენერგია და მიაღწიოს დურმიშხანის ყმობისაგან განთავისუფლებას.

ვარდოს დახმარებით, დურმიშხან წამალაძემ აზატობა მიიღო. მას უკვე აღარ სჭირდება ეს ქალი. ამიტომ, სრულიად უმტკივნეულოდ დაივიწყა იგი. ამით არ კმაყოფილდება დ. ჭონქაძე და თანდათანობით ავლენს დურმიშხანის ბუნებას.

დურმიშხანმა არა მარტო შეგნებულად მოატყუა და მიატოვა ვარდო, არამედ შეპირებული თანხაც არ გაუგზავნა, იმდენად ხარბი და გაუმაძღარი აღმოჩნდა იგი. „მართლა, ფული, რი, დავპირდი უკანასკნელ წიგნში, რატომ არ გაუგზავნე? ეჰ, რათ უნდა ფული, ჩემთვის უფრო საჭიროა.“ ამის მეტად დურმიშხანს თავი აღარ შეუწუხებია ვარდოს ბედით. ამ ქალზე ფიქრი დამცინავი სიტყვებით მოიცილა: „ვინ იცის, როგორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა! ნეტა მომიგონებს ხოლმე კიდევ? მომიგონებს კი არა და მგონია ერთმა ბიჭმა ვინმემ

შეირთო და შვილებით აავსო. სად ეცლება ჩემ მოსაგონებლად...“

სიყვარულით არც სურამელი ავოანდილაანთ ქალი შეურთავს. აქაც ანგარება ამოძრავებდა დურმიშხანს. ამ ქორწინებას იგი იმიტომ ღათანხმდა, რომ ამით ოსმან-აღას ქონების ნახევარს ეპატრონებოდა. „აი, დურმიშხანი დგას ეკლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პიროობას თავის მეუღლეს სიკვდილამდე სიყვარულისას, ვაგრამ უყვარდა იმას თავის დანიშნული? არა, ი მ ა ს ა რ უ ყ ვ ა რ დ ა არც ეხლანდელი თავის დანიშნული, არც გულისვარდი და არც ოსმან-აღა, ღირსი სიყვარულისა იმა კეთილთათვის, რომელიც უყო იმან დურმიშხანს და ა რ ც ღ მ ე რ თ ი, შ ე მ ო ქ მ ე დ ი მ ი ს ი (ყურადღება მიაქციეთ ხაზგასმულ სიტყვებს — ა. ბ.). იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა.“

არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარი ბუნების კაცი ვერაგულად მოექცა კეთილისმყოფელ ოსმან-აღასაც.

„საწყალი ოსმან-აღა! იმან მისცა დურმიშხანს ნახევარი თავისი ქონება იმ აზრით, რო ის ერთხელ მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს ერთს სანთელს იმისი ცოდვების შესამსუბუქებლად და იმის საფლავზე ჩამოაგდებდა ერთს ერთგულს ცრემლს. საწყალო ოსმან-აღა! რა მწარედ მოსტყუვდი შენ ფიქრებში!“

ყოფილმა ყმამ ისევე არ დაინდო და გასწირა

ხანდაზმული ოსმან-აღა, როგორც ახალგაზრდა ნოდარი გაიმეტა ბატონმა. დურმიშხანმა ბატონზე მეტი დანაშაულიც ჩაიდინა. მან არ დამარხა ნაწამები ოსმან-აღას გვამი. „დურმიშხანი კი იმ დროს, როდესაც იმას აწვალებდნენ და შემდეგ ისე საშინლად მოჰკლეს, არა ფიქრობდა არც ერთსა ღონისძიებას იმის შველისათვის და შემდეგ სიკვდილისა იმტენი ვერ შეიძლო, რო გამოეთხოვნა სტამბოლის მართებულობისათვის იმისი დამარხვის ნება.“ ამ უსულგულობისათვის დურმიშხანს სინდისი არ აწუხებს და სამშვინველი არ სტკივა. ხანდახან თუ გაიფიქრებს თავის საქციელზე, თავს ლიტონი სიტყვებით ინუგეშებს: „საწალი ოსმან-აღა, აბა თუ ერთი ვაწირვინე იმისათვის, აბა თუ ერთი სანთელი აუნთე! სირცხვილი შენთვის, ჩემო თავო! იმ საწყალმა ნახევარი თავის ქონება მოგცა, იმისი წყალობით ხარ ასე ბედნიერი!.. რა ვქნა, ღმერთმანი, ფულები კი არ მშურს, მაგრამ მოცლა არ არის. რა უყო.“

დურმიშხანი თავის თავსაც ატყუებს, როცა ამბობს, ფულები არ მშურსო. ფული გახდა მისი კერპი და სალოცავი. ფულმა ამოაცალა სული და გული. ფულის გამო განუდგა მოყვასს. როცა ცოლმა უთხრა, ბავშვი ჩვენიანთ გოგიას მოვანათვლინოთო, კინაღამ გაცოფდა: „გოგია კი არა, მოგია არ გინდა! უთხარი, რო თავადიშვილს უნდა მოვანათვლინო-თქო“. გასოვდაგრებულმა ყმამ დაგმო საკუთარი კლასიც.

ასე გამოიკვეთა დურმიშხანის უზნეო ბუნება. იგი ყალბი და ცრუ პიროვნებაა.

დურმიშხანის ბუნებით განპირობებული ტყუილი და ღალატი უშედეგოდ არ დარჩენილა. ამ საქციელის რეზულტატად წარმოიშვა გულისვარდის შურისძიება.

ბევრჯერ გააფრთხილა მკითხავმა ვარდო: „შურისძიება ცოდვა არის, შვილო, ღმერთზედ მიანდე, ღმერთი ილოცე, რო იმან გადაუხადოს მაგიერი“, მაგრამ მოტყუებულმა ქალმა თავისი მაინც არ დაიშალა. მთელი წელიწადი არ ასწავლიდა მარჩიელი თავის ხელობას ვარდოს. ცდილობდა ცოდვა აეცილებინა გაუბედურებული ქალისათვის, მაგრამ ამაოდ: გულისვარდი მაინც გახდა მკითხავი. როცა ვარდოს შურისგების ზარმა დარეკა, თავზარდამცემი რჩევა-დარიგება მისცა ვეზირს: თუ გსურთ სურამის ციხე აშენდეს, დურმიშხან წამალაძის დედისერთა ვაჟი ზურაბი ჩაატანეთო კედელში ცოცხლად.

დურმიშხანის ზნეობრივმა დანაშაულმა დაშალა და დაარღვია ვარდოს პიროვნება. შურისგებაზე ოცნებამ და მისმა მოლოდინმა დააჭკნო, დააბერა და გადააგვარა გულისვარდი. შურისძიებას შეეწირა ზურაბი. იმსხვერპლა დედამისი. შვილის შემზარავი ბედის შემყურე, იგი ვაგიჟდა. ქონებრივად მდიდარი, მაგრამ მშვინვიერად ღატაკი დურმიშხანი ვარდოს სატევრით განიგმირა.

ცოდვას ბადებს როგორც სოციალური უსამართლობა, ისე ზნეობრივი დანაშაული. თუ დედის

ულელში მოკვლამ და საცოლის თვითმკვლელობამ აიძულა ოსმან-აღა მოეკლა უსუსური ბავშვი, დურმიშხანის ღალატმა და ტყუილმა დააყენა ვარდო შურისძიების გზაზე და ცოცხლად დასამარხად გაამეტებინა უმწიკვლო ზურაბი. ცოდვა იწვევს არა მარტო უდანაშულო მსხვერპლს, არამედ ბოროტმოქმედებათა მთელ ჯაჭვს. არღვევსა და შლის შურისმგებლის პიროვნებას.

ახლა უკვე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სურამის ციხის“ პრობლემა ცოდვის პრობლემაა.

არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ „სურამის ციხეში“ ორი პარალელური ამბის არსებობა: ოსმან-აღას თავგადასავალი და დურმიშხანის თავგადასავალი. თითქოს ორივე თავგადასავალში ბატონყმური უსამართლობაა მხილებული, მაგრამ ეს პარალელიზმი აჩენს კითხვას — ნუთუ ბატონყმობის სამხილებლად არ კმაროდა ნოდარის, ანუ ოსმან-აღას, ცხოვრება? რა თქმა უნდა, საკმარისიც არის და ბევრად უფრო მძაფრი და შთამბეჭდავია, ვიდრე დურმიშხანის ბედი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბატონყმური უსამართლობის ორ მსხვერპლს შორის არსებითი სხვაობაა. თუ ნოდარი მართლაც მსხვერპლია, დურმიშხანი არ არის ასეთი.

დურმიშხანი ეშმაკი და გაიძვერაა. მას ჩინებულად ესმის ბატონყმობის მჩაგვრელი და პიროვნების შემბოჭავი თვისება. იგი მართალს ეუბნება გულისვარდს: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ,

ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“. ანდა „სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება არ არის“. მაგრამ საკითხავია, რა მიზანს ემსახურება ეს სიმართლე? რა მიზნით სურს დურმიშხანს თავისუფლება? მისმა ცხოვრებამ ამ კითხვის მკაფიო პასუხი მოგვცა: მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის, მხოლოდ ეგოიზმის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიმართლე და თავისუფლება ყოველთვის არ ყოფილა კეთილის გამოვლენა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ზნეობრივად როგორმა ადამიანმა მოიპოვა თავისუფლება. ამორალური ადამიანის თავისუფლება შესაძლებელია გახდეს სხვათა დამონების საფუძველი და უფრო მეტად ბოროტი დაამკვიდროს, ვიდრე კეთილი. ასეც მოხდა „სურამის ციხეში“: განთავისუფლებული ყმა დურმიშხან წამალაძე თავად იქცა ბოროტებად.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დურმიშხანის პიროვნება დაამახინჯა ბატონყმურმა სინამდვილემ (ამგვარი აზრი გამოთქმულია ლიტერატურისმცოდნეობაში), მაგრამ რატომ ვერ მოერია იგივე პირობები ოსმან-აღას? როგორ შეინარჩუნა მან ზნეობრივი ღირსება? ეს დამოკიდებულია პიროვნების ბუნებასა და მშვინვიერ სიმტკიცეზე. ეს თვისება აქვს ოსმან-აღას. დააკვირდით დ. ჭონქაძის შემდეგ ნაამბობს: ნოდარის უბედურების საბაბი ორჯერ იყო მღვდელი. ერთხელ, როცა იგი კახეთიდან ჩამოსულმა ხუცესმა იყიდა და მეორედ, როცა ქა-

ლაქს თავშეფარებული დედა-შვილი გასცა და დაა-სმინა თბილელმა მოძღვარმა. ამ ფაქტებს ქრისტია-ნული ზნეობისადმი ნოდარის რწმენა უნდა შეერ-ყია, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, ოსმან-აღა მწვავედ განიცდის ქრისტიანობისაგან განდგომას. ბოლოს იგი უბრუნდება ქრისტიანობის წიაღს, რაც მას სიცოცხლის ფასად უჯდება. ეს ამბავი ნათ-ლად მეტყველებს, ერთი მხრივ, ნოდარის შინაგან უდრეკობას და, მეორე მხრივ, შეგნებულობას. იგი შეუმცდარად ხედავს განსხვავებას ქრისტიანულ ეთიკასა და მღვდლების ზნედაცემულობას შო-რის.

..ადამიანისა და სოციალური სინამდვილის ურთი-ერთობა მძიმე და სასტიკი ბრძოლაა, მაგრამ პი-როვნების მოვალეობაა დაიცვას საკუთარი ზნეო-ბრივი ღირსება და არ გახდეს სათამაშო ტიკინა გარემოების ხელში. ამისათვის სჭირდება ადამიანს სულიერი სიმტკიცე. ადამიანს ყოველგვარ პირო-ბებში შეუძლია იყოს კეთილი, მოწყალე, ღვთის-ნიერი და კაცთმოყვარე. შეიძლება ებრძოლოს ბო-როტს, მაგრამ ეს რომ გააკეთოს. ამისათვის აუცი-ლებელია ცხოვრობდეს და მოქმედებდეს სუფთა სინდისით. ოსმან-აღა ცხოვრობს სინდისით. ამიტომ განიცდის იგი მთელი სიცოცხლე უდანაშულო ბავ-შვის მოკვლას. ცდილობს კეთილი საქმით გამოისყი-დოს უნებლიეთ ჩადენილი ცოდვა. დურმიშხანი ცხოვრობს უნამუსოდ და ამიტომ არ აწუხებს არც ერთი ბოროტმოქმედება, ჩადენილი სრული შეგნე-ბით.

ასე ძირეულად გახსხვავდება ეს ორი პროტაგონისტი ერთმანეთისაგან.

ასევე განსხვავდებიან მარიამ წერეთელი და ოსმან-ალას ბატონი, თუმცა ერთიც ფეოდალია და მეორეც. მაგრამ პირველი ცხოვრობს ზნეობის, მეორე —უზნეობის კანონით.

გამოვლინდა „სურამის ციხის“ მეორე პრობლემაც — პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. როცა ადამიანი ცდილობს თავიდან მოიხსნას პასუხისმგებლობა და ყველაფერი სოციალურ სინამდვილეს, გარემო პირობებს დააბრალოს, იგი ან თვალთმაქცი და არამზადაა ან მშვინვიერი ლაჩარი. ასეთი თვალთმაქცისა და მშვინვიერი ლაჩრის გამოკვეთილი ტიპია დახატული „სურამის ციხეში“ დურმიშხანის სახით.

მკაფიოა სურამის ციხის ლეგენდის ალეგორიული შინაარსიც. ყოველი სოციალური სინამდვილე სისხლსა და ცრემლზეა აგებული, თუ მას მაღალი ზნეობა არ უდევს საძირკვლად. ცოდვიანი სინდისით ვერც თავისუფლებას მოიპოვებ და ვერც ბედნიერებას ეღირსები.

ეს არის „სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი. ბატონყმური უსამართლობის მხილება, ზნეობრივი დანაშაულის გამოაშკარავება კი ძირითადი აზრობრივი შინაარსის ცალკეული მოტივებია. ამიტომ არ არის სწორი და მართალი ცალკეულ მოტივებზე ყურადღების გამახვილება და მოთხრობის ძირითადი აზრობრივი შინაარსის მთლიანობა-ერთიანობის მიფუჩეჩება.

სწორედ ამ აზრობრივ შინაარსს ენდა მივაქციოთ ყურადღება, თორემ დღეს არც ყმაწვილს და არც ხანდაზმულს ბატონყმური უსამართლობის დიდი ხნის წინათ მკვდარი პრობლემა აღარ აინტერესებს. „სურამის ციხის“ ღირსეია მარტო ბატონყმობის მსილება რომ იყოს, იგი ქართველ მკითხველს კარგა ხნის დავიწყებული ექნებოდა. მაგრამ, თუ ჩვენი საზოგადოება სათუთად ინახავს ამ პაწია მოთხრობას, ეს იმიტომ, რომ მასში ხედავს ცოდვილი ადამიანის სამშვინველის ტკივილის მარადიულ პრობლემას.

1980 წ.

გედი ქართლისა და აკაკი წერეთელი

უკვე სამოცდარვა წელს მიღწეული და სიკვდილის შიშით გულგატეხილი აკაკი წერეთელი სკეპტიკური ლექსით გამოეთხოვა სამშობლოს:

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ;
ღვთხოვები, საქართველო! —
მეც ვსჭკნები და შენცა სჭკნები,
როგორც ზამთრის პირად მდელო.“

(„ჩაფიქრება“)

ეს ლექსი არ ყოფილა წამიერი განწყობილების ნაყოფი. საქართველოს სიკვდილის შიში მას მთელი სიცოცხლე აწამებდა. მაშინაც, როცა სამოც-

დაშვიდი წლის მოხუცი სამგლოვიარო სიტყვით მიმართავდა მუხანათურად მოკლულ ილიას ცხედარს — „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავ, შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარ ნახავ!“ და მაშინაც, როცა ოცდასამი წლის ყმაწვილი იმედიანად ყიჟინებდა: „მაგრამ აწ კი დრო მოგიდის, გაცოცხლდები, საქართველო!...“ („სიმღერა“).

იმედსა და უგინცობას[1] შორის მერყეობა გამოწვეული იყო იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობით. თავად აკაკიმ შეადარა ჩვენი ქვეყანა წაქცეულ კაცს, რომელსაც ადგომა არ სურს და „გდია, ვით მკვდარი“, ვინც დამცემს არ ეგრძვის და „მტერს პირუტყვებრ ემორჩილება“. ამ სურათის წარმოდგენამ მას უმწარესი სიტყვები ათქმევინა — „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“ („ვედრება“).

როცა აკაკი წერეთელმა ღრმად ჩაიხედა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ყველაფერი შეისწავლა, გაანალიზა და ასწონ-დასწონა, მან ცხადლივ დაინახა ს ნ ე უ ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო და შექმნა კიდეც მისი მხატვრული სახე.

ეს იყო თავისუფლებადაკარგული, ეროვნულად დამონებული ქვეყნის ავადმყოფობა.

---

[1] გინცი — იმედი („ძველი ქართული ენის ლექსიკონი“).

ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორი იყო ყოფიერება, რომელმაც განსაზღვრა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველის ცნობიერება?

საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობდა. მის მაგიერ ორი გუბერნია გაჩენილიყო —თბილისისა და ქუთაისის. ქართული ეკლესია გაუქმებულია. აღარც სამეფო კარი იყო და აღარც კათალიკოსატი. მათ მაგიერ მეფის ნაცვალნი ან მთავარმართებელნი და ეგზარქოსნი ისხდნენ. ქართული ენა განდევნილია ეკლესიიდან და სასწავლებლიდან. მას პატუა-ენის ფუნქციაღა აქვს შერჩენილი. მხოლოდ რამდენიმე თავგადადებული მოღვაწე ცდილობს შეინარჩუნოს ქართული გაზეთი ან ჟურნალი. სიტუაცია იმდენად მძიმეა, რომ ბევრს ნებისყოფამ უღალატა და სასოწარკვეთილმა იკითხა — იქნებ აღარ ღირს მცირე ერების არსებობა? იქნებ უმჯობესია შეევრწყათ დიდ ერებს და ამით ავიცილოთ უსასრულო ტანჯვა და დამცირება? ძნელი იყო ეროვნული თვითმკვლელობის ჩადენა. ნუთუ დავით აღმაშენებელი 16 წლიდან დაწყებული სიკვდილის დღემდე ხმალს იმიტომ იქნევდა, რომ ერთ უბედურ დღეს ქართველს აღარ სცოდნოდა მისი ვინაობა, მისი რწმენა, მისი საქართველო, მისი „გალობანი სინანულისანი“, მისი გელათი? ნუთუ „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ იწერებოდა, რომ მოსულიყო დღე, როცა ქართველს მისი წაკითხვა აღარ შეეძლებოდა? ნუთუ ანისის თაკარა მზის ქვეშ, შიშველ-ტიტველი, ტანზე თაფლწასმული და ბუზებდახვეული ცოტნე,

დადიანი მოედანზე იმისთვის ეგდო, რომ მომავალში აღარავის გახსენებოდა ერისა და მოყვასისათვის ეს შემაძრწუნებელი თავგამეტება? ნუთუ ქეთევან დედოფალს იმისათვის აგლეჯდნენ, უშანთავდნენ და უწვავდნენ სხეულს, რომ ქართველს მხოლოდღა ეკატერინე მეორის ცხოვრება გაეზეპირებინა? ნუთუ დიდგორში, შამქორსა და ბასიანში, მარტყოფსა თუ მარაბდაში, ხრესილსა თუ კრწანისში ათასობით უცნობი ვაჟკაცი იმიტომ ჩაწვა მიწაში, რომ შთამომავლობისათვის მათი ხსოვნა ნიორწყლად ქცეულიყო? ადამიანს წარსულის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე აწმყოს წინაშე. აწმყო წარსულის ძვლებსა და სისხლზეა აგებული. არავითარი უფლება არა აქვს არავის, უნიათობისა და სულმოკლეობის გამო, მას უღალატოს. ამიტომ ყოველი ქართველი მოვალე იყო გამოენახა თავდახსნის გზა, მაგრამ როგორ?

მომავლისათვის ბრძოლა წარმატებით მაშინ მოხერხდება, როცა მკაფიოდ გაქვს აწმყო შესწავლილი, კარგად იცნობ თანამედროვე ადამიანს. აკაკი წერეთელი, ერთი მხრივ, ხედავდა უნუგეშო სინამდვილეს და, მეორე მხრივ — მის ნაყოფს, მის შედეგს, იმდროინდელ ქართველ კაცს. რა თქმა უნდა, მაშინდელი ქართველი საზოგადოება ერთფეროვანი არ ყოფილა. კარგი და ცუდი გვერდიგვერდ სახლობდა. აუცილებელი იყო გამორჩევა — კეთილს მხარდაჭერა სჭირდებოდა, ბოროტს — დაუნდობელი უარყოფა. აკაკი წერეთელმა ზუსტად განჭვრიტა და დახატა მანკიერი ქარ-

თველის მშვინვიერი პორტრეტი. „თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი — ფეხები“... უთხრა პოეტმა იმ ქართველს და ყოველი გონიერი ადამიანისათვის საცნაური გახდა, ვინ უნდა მოეკვეთა ჩვენს საზოგადოებას, თუ სურდა გადარჩენა.

აკაკი წერეთელი არ დაკმაყოფილებულა მანკიერების საერთო განსაზღვრით. მან ქონით სავსე თავისა და ტვინით გატენილი ფეხების პატრონი ქართველის ცალკეული ნიშნებიც ნათლად გამოკვეთა.

ნიშანი პირველი: მისთვის დამახასიათებელია ცრუ ცოდნით მანჭვაგრეხა და მშობლიური ენის უარყოფა.

> თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,
> მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;
> უსწავლელებთან, თურმე, მოსდის ზაფრის ქარები;
> რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!..
>
> („აპელაციის მცოდნე“)

ნიშანი მეორე: მას არ აწუხებს სამშობლოს ბედ-ილბალი.

> მომწონს კალინა, მალინა,
> მძულს ვარდები და იაო!
> სამშობლო რასა მიქვიან,
> მეწყერსაც წაუღიაო!
>
> („ერთი ქალისას ამბობდნენ...“)

ნიშანი მესამე: სრულიად დაკარგული აქვს საზოგადოებრივი ინტერესი და მთლიანად

შეპყრობილია ეგოიზმით. პირადულს ანაცვალებს ყველაფერს.

მეც ის მინდა!.. მეც იქ შევალ, —
სადაც ტკბილა, სადაც თბილა!
თორემ, თუ მე არ ვიქნები,
ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა!

(„დიდი ვინმე“)

თვალ-ტანადად ქართველი ხარ,
მაგრამ გულით კი სხვა სჯულის;
ღმერთად არ გწამს არავინ სხვა,
გარდა კუჭის, გარდა ფულის!..

(„თანამედროვე გმირი“)

ნიშანი მეოთხე: რაკი სულიერად გამოფიტულა და ყოველგვარი ამაღლებული მისთვის უცხოა და უცნობი, ატარებს ნიღაბს. ცდილობს არავის ეჩვენოს ნამდვილი სახით და მტერ-მოყვარეს ნაცარი შეაყაროს თვალში.

უმეცრებამ სძლია ცოდნას,
დაიმონა კუჭმა გული!
ფარისევლის ლოცვად გახდა
„სამშობლო“ და „სიყვარული“.

(„ბ ო დ ვ ა“)

ნიშანი მეხუთე: მისთვის გაუქმებულია ყველა მცნება, რომელიც ადამიანს ავალებს მოყვასის სიყვარულს, კეთილის ქმნას, ბოროტებასთან ბრძოლას.

იქ სისხლ-ხორცობა, ძმობა, მოყვრობა,
სიყვარული და ამხანაგობა
იციან მარტო სხვის საჩვენებლად, —
ნამდვილ — კი მხოლოდ არს ვერაგობა!

(„გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა“).

ნ ი შ ა ნ ი მ ე ე ქ ვ ს ე: ემართება გონებრივი დაქვეითების უცნაური სენი. იმის მაგიერ, რომ ერისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძოლოს, ღვიძლ ხალხსა და სამშობლოს ამუნათებს:

თუ გსურთ, რომ დავრჩე ქართველად,
ვიხდიდე მშობლურ ვალებსა,
ნუ გამომილევთ ღვინოსა,
ცხელ მწვადს და ლამაზ ქალებსა!

(„ქართული პატრიოტობა“)

მის ცნობიერებაში სამშობლო და ეროვნულობა უთანაბრდება ღვინოს, ცხელ მწვადს და ლამაზ ქალს.

ნ ი შ ა ნ ი მ ე შ ვ ი დ ე: საკუთარს გმობს და ემსახურება, ადიდებს და ეთაყვანება უცხოს.

მამის სული გაუშვიათ,
პაპისას — კი იგონებენ;
ღედას დედინაცვალზედა
სცვლიან და თავს იწონებენ!

(„მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ე ბ ს“)

ეროვნული სნეულების ეს ნიშნები აღმოაჩნდება ყველა ხალხს, ვისაც დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაუკარგავს. ავადმყოფობას მანამდე ვერავითარი საშუალება ვერ განკურნავს, სანამ

ერი ისევ არ მოიპოვებს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ამგვარ თვისებათა თავმოყრა და გაბატონება ხრწნის არა მარტო პიროვნებას, არამედ მთელ საზოგადოებას, მთელ ერს. ამის გამო საქართველო მივიდა მდგომარეობამდე, როცა

...მონება ჭკუა არის,
ორპირობა — სიბრძნე დიდი,
და მას რჩება მოედანი,
ვინც კი არის მეტად ფლიდი!
ცოტა მაღლა ასასვლელად
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად,
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,
ქმარს ცოლი ჰსურს გასასყიდად.

(„ახალი გზა“)

ასე ხდება ყოველთვის, როცა ცნობიერება მთლიანად მორჩილდება ყოფიერების გამსაზღვრელ ძალას. იშლება საზოგადოება. იგი შინაგანად აღარ არის ერთიანი. თუმცა შესაძლებელია გარეგნულად ცდილობდეს კიდეც თავი ერთიანად და მტკიცედ მოგაჩვენოს. ილუზია საქმეს ვერ უშველის. ნამდვილი არსი გამოვლინდება და აღმოჩნდება, რომ პიროვნებაც გამქრალა.

ეჰ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?
მოწინაკეს ჩამორჩი, უკანაზედ წინა ხარ,
უცხო კაცად არ ვარგიხარ, აღარცარა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას ფინა ხარ!

(„ეჰ, ქართველო...“)

ასეთია აკაკი წერეთლის მიერ დახატული სნეული საქართველოს პორტრეტი. მაგრამ ერთია ავადმყოფობის დანახვა და მეორეა მისი გამომწვევი მიზეზის მიგნება. თუ არ იქნება მიგნებული მიზეზი, შეუძლებელი გახდება განკურნება. თუ აკაკი წერეთელი განკურნებას ვერ შეძლებდა, ის მაინც უნდა ეთქვა, როგორია ავადმყოფობისაგან თავდაღწევის გზა. ყველა მანკიერების საფუძვლად მან მიიჩნია ეროვნული თავისუფლების დაკარგვა. ხოლო გადარჩენა კი შეეძლო, მისი აზრით, დამოუკიდებლობის მოპოვებას.

ეროვნებავ! ღვთის ნიჭი ხარ,
არც საპოვნი, ვერც სასყიდი,
და მხოლოდ თვითარსებობა
არის შენი გზა და ხიდი!

(„საქართველოს დღეანდელი სახე")

მართალია, არსებული მდგომარეობაც ზუსტად იყო დანახული, ავადმყოფობის მიზეზი მიგნებული და მიზანიც დასახული, მაგრამ მდგომარეობისაგან თავის დაღწევა მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ ქართველ ხალხს ეყოლებოდა ზნეობრივად სპეტაკი და ამაღლებული ადამიანები. არსებობის უპირველესი და ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ცნობიერება ბრმად არ დამორჩილდეს ყოფიერებას, პირიქით, ცნობიერებამ უნდა მოახდინოს ზემოქმედება ყოფიერებაზე, გარდაქმნას, შეცვალოს იგი. მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ ზნეობრივად მტკიცე ადამიანებს შეუძლიათ. სხვაგვარად არც პიროვნების ამაღლება მოხერხდება, არც საზო-

გადოების წინსვლა და არც ერის განთავისუფლება. ამიტომ აკაკი წერეთელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა ის ზნეობრივი იდეალი, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოადგებოდა. ასეთი იდეალის სიმბოლურ გამოხატულებად მან სამი ქალი მიიჩნია — ნინო, თამარი და ქეთევანი.

თამარს, ქეთევანს და ნინოს
თაყვანს-ვცემ, როგორც იდეალს...

•

დიდება ერთის მზეობას!
მეორის მოთმინებასა!
მესამის სარწმუნოებას!..
და მათსა მოვლინებასა!..

(„ჩემი ლოცვა")

წმიდა ნინოში აკაკი წერეთელი ხედავდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მთლიანობას, გამოვლენილს ქრისტიანობის სახით. მაღალი ეროვნული მიზნის მისაღწევად ყოველ ხალხს სჭირდება სულიერი მთლიანობა. ამ მთლიანობის შექმნა კი მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქრისტეს აღდგომას აკაკი წერეთელი საქართველოს აღდგომასთან აკავშირებდა. ეს ორი მხატვრულ-აზრობრივი სახე მას ერთმთლიანობად ჰქონდა წარმოდგენილი.

არიან ჩვენშიც თომასთანები,
რომ არ სწამთ ქვეყნის მათ მომავალი;
ღღევანდელ ჯვარცმით გულგატეხილებს
სიშორმხედველოთ არ უჭრისთ თვალი.

. .
მანამდე-კი ჩვენ ვიტყვით და ვამბობთ,
(თუმც დასაჯერი ჯერ-კი ძნელია),
რომ სდგება ქრისტე! ის, ვინც სიკვდილით
სიკვდილისავე დამთრგუნველია.

(„თომა მოციქული“)

აღორძინებული ღმერთი და აღორძინებული ქვეყანა ერთმანეთს სრულიად ბუნებრივად დაუკავშირდა, რამეთუ აკაკი წერეთლისათვის საქართველო მიჯაჭვული ამირანიც იყო.

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები — კი ყვავ-ყორანი.

(„ა მ ი რ ა ნ ი“)

მიჯაჭვული პრომეთე, მიჯაჭვული ამირანი და ჯვარცმული ქრისტე ერთი და იმავე იდეის სხვადასხვა ვარიაციაა. ეს არის კეთილის გვემისა და მისი აღორძინების, მისი მარადიული სიცოცხლის და უკვდავების იდეა. თუ ამ იდეას ბერძნული და ებრაული გენია ქმნიდა, ერთი ვარიანტი ქართული გენიის ნაყოფიც არის. აქაც აკაკი წერეთელი ეროვნულ ნიადაგზე იდგა. იგი კარგად ხედავდა იმ გენეტიკურ ურღვევ კავშირს, რომელიც პრომეთეს, ამირანსა და ქრისტეს შორის არსებობს. რა ვუყოთ მერე, თუ აღორძინებული ღმერთის იდეა ქრისტიანობამ უკეთ და სრულყოფილად გამოხატა. ქრისტიანობა ქართველი ხალხისათვისაც ეროვნუ-

ლი სარწმუნოება იყო, ამ სარწმუნოების მქადაგებელი კაბადოკიელი ასული კი — ქართველი ხალხის სულიერი მთლიანობისა და ერთიანობის სიმბოლო.

მწამს! და შენც მწამხარ წინამორბედად
იმ აღდგომისაც, რომ ველი მეცა!..
როდესაც, ქვეყნად ტანჯულ სიმართლეს
მკვდრეთით აღადგენს კურთხევით ზეცა.

(„ქრისტე აღსდგა")

თუმცა გულახდილად უნდა ითქვას, რომ საქართველოს სულიერი ერთიანობისათვის ეს არ კმაროდა. უკვე რამდენიმე საუკუნე იყო გასული, რაც საქართველო სულიერად ორ ნაწილად — ქრისტიანულად და მაჰმადიანურად — იყოფოდა. უნდა გამოეძებნათ სულიერი ერთიანობის ისეთი მოძღვრება, რომელიც ორივე ნაწილს კვლავ შეადუღაბებდა ეროვნული მთლიანობის ურყევი რწმენით. სამწუხაროდ, მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ეს პრობლემა ვერ გადაჭრა და გადასაწყვეტად მომავალ თაობას უანდერძა.

საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ძლიერების ხატად კი აკაკი წერეთელმა თამარი მიიჩნია.

ყოველი ერის ისტორიაში არის პერიოდი, როცა ესა თუ ის ხალხი მაქსიმალურად გამოავლენს თავის ეროვნულ ენერგიას. ჩვენი ხალხის ისტორიაში ასეთია თამარის ეპოქა. ამიტომ წარმოიდგინა იგი აკაკი წერეთელმა ქართული ძალმოსილების

სიმბოლოდ. ამასთანავე დაქსაქსული და დაფანტული ერი ვერასოდეს მოახერხებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებას. თამარის დროს ქართველ ხალხს ის ეროვნული ერთიანობა ჰქონდა, რომელიც ყოველგვარი გამარჯვების საწინდარია.

აკაკი წერეთელმა, ავადმყოფი ერისა და მიჯაჭვული ამირანის გვერდით, საქართველოს მესამე ხატიც შექმნა. ეს არის საქართველო-ჩონგური. ჩონგური მან ქართველი ტომების ერთიანობის სახედ წარმოგვიდგინა.

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები,
„ოდელა-დელა-დელაო!..“

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: „დელა-დელაო“.

(„ნათელა“)

და თუ ოდესმე საქართველო აწყობილ ჩონგურს ჰგავდა, ეს იყო თამარის ეპოქაში. აკაკის იდეალი თავისუფალი ქვეყნისა თამარის საქართველომ გამოხატა და ამიტომ პოეტის საოცნებო სამების მეორე ჰიპოსტასი თამარია.

აკაკი წერეთელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ვერც ეროვნული ძალმოსილება, ვერც ზნესრულობა ხორცს ვერ შეისხამს, ოცნებიდან სი-

ნამდვილად ვერ იქცევა, თუ არა არიან ადამიანები, ვისაც ძალუძს ამისათვის თავგანწირვა, ვინაც საკუთარი ხორცისა და სულის გვემით შეიძლებს გოლგოთაზე აზიდოს ჯვარი. ასეთი პიროვნება იყო ქეთევან დედოფალი. ამდენად იგი აკაკის სამების შესამე ჰიპოსტასია.

ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო.

(„თემურ-ლენგის ტყვე")

ამ სამ მანდილოსანს აკაკი წერეთელი ყოველთვის ერთად იხსენიებს. პოეტს არ ეუცხოება ის, რომ ისინი სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ეს არ უშლის ხელს მათ სიმბოლოდ წარმოდგენას და აზრობრივად გაერთიანებას. მკითხველსაც მათი ერთად წარმოსახვა სრულიად ბუნებრივად მიაჩნია.

აქ ნინო, თამარ, ქეთევან
სამარადისოდ ქებულან,
დედათ გვირგვინად ზეგარდმო
კურთხეკით გაბრწყინებულან.

(„ბ ო დ ვ ა")

როცა ჭაბუკი გამოუცდელი
მას თაყვანს-ვცემდი თავდადებულად,
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,
იმათში შენათხზ-შეერთებულად...

(„ქებათა-ქება")

„ქეთევან მისთვის ეწამა
და ნინო მოუვლინდაო;

თამარსა მისი გულისთვის
სულ სისხლის ცრემლი სდინდაო...

(„ხოლერა“)

აკაკი წერეთლის პოეზიაში ერთ მხარეს არის მწარე სინამდვილე და მეორე მხარეს — ტკბილი ოცნება. მათი დაპირისპირების ნიადაგზე აღმოცენდა პოეტის სკეპტიციზმი, რომელიც დროგამოშვებით, ამა თუ იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, თავს იჩენდა. როცა აკაკი წერეთელმა გამოღვიძებული ხალხი დაინახა, იმედით აივსო.

მოდის... მოდის სხვა თაობა,
ჩვენ რომ გვინდა იმისთანა!
ვუგალობოთ მას „მზე-შინა“
და ძველებს — კი ვუთხრათ „ნანა“,

(„მოხუცის აღსარება“)

მაგრამ მაშინვე გული გაუტყდა, როგორც კი შეამჩნია, რომ ახალი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს ეროვნული პრობლემა არ აწუხებდა და საქართველოს ბედით დაინტერესებული არ იყო.

„მტერი იძახის: „ვინ გაიგონა
ახლანდელ დროში ეროვნებაო?

(„ჩემი ჭმუნვა“)

აკაკი წერეთელი მთელი არსებით ეტრფოდა პიროვნების, შრომის, სიტყვის თავისუფლებას. ამისათვის ბრძოლას შეალია მთელი ცხოვრება. ამიტომ შეხვდა იგი 1905 წლის რევოლუციას აღტაცებული.

გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა,
რომ მოიპოვოს თავისუფლება
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის
და აასრულოს საერთო ნება!..

მადლობა უფალს! მოვიდა წარყვნა,
რომ წაილეკოს უსამართლობა
და დაემკვიდროს ამიერიდან
შვება, თანხმობა, ძმობა ერთობა!..

(„ნატვრა“)

მაგრამ აკაკისათვის თავისუფლების ყველა გამოვლენა, იქნებოდა იგი პიროვნების, სიტყვის თუ შრომის, დაკავშირებული იყო ეროვნულ თავისუფლებასთან და უიმისოდ არ არსებობდა.

„ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ,
მერე, თუ გინდა, სხვა გვარი ისტი.
სხვისი თვალითაც არ ვიყურები,
არ გადამკვრია ჩემსაზე ბისტი.

(„გამოტეხილი სიტყვა“)

ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,
ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?
ვისაც სძულს თავის სახლი და კარი,
ვინღა გაუღებს სამოყვროდ კარებს?

(„თერთმეტი ენკენისთვე“)

პოეტი მართალი იყო. ყოველგვარი თავისუფლება, თვინიერ ეროვნული თავისუფლებისა, ფიქციაა. როგორ შეიძლება მიიჩნიო პიროვნება თავისუფლად, თუ იგი მოკლებულია უფლებას მშობელი ერის ინტერესების შესაბამისად ემსახუროს

კაცობრიობას? როგორ გამოვლინდება სიტყვის თავისუფლება, თუ ვერ ილაპარაკებ ეროვნულ ტკივილსა და გაჭირვებაზე? როგორ იქნება შრომა თავისუფალი, თუ მოქალაქე იმ საქმეს ვერ აკეთებს, რომელიც მისი ხალხისათვის არის აუცილებელი და გადაუდებელი? ამიტომ, თუ ერის სულში არ ჩამქრალა საკუთარი ღირსების გრძნობა, მარად უნდა იბრძოდეს თავისუფლებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამა თუ იმ მიზეზთა გამო, ზოგჯერ ერის ენერგია ამოიწურება, მას ძალა და ნებისყოფა აღარ აქვს და აღარც თავისუფლებისათვის ბრძოლა ძალუძს. მაშინ იგი დაცემის გზას დაადგება. აკაკიმ დაურიდებლად და პირუთვნელად უთხრა ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ერს:

მაგრამ იცი, მე რას გირჩევ,
ვით სნეულს და ავადმყოფს?
თუ ორს ჭირში ერთს აირჩევ, —
გარყვნას ისევ სიკვდილი სჯობს!..

(„სიყვარული“)

მაგრამ აკაკი წერეთლის შემოქმედების ოპტიმისტური ხიბლი ის არის, რომ, მიუხედავად ჟამიდან ჟამზე გამოვლენილი უგინცობისა, მის გულში საბოლოოდ მაინც არასოდეს გამქრალა ეროვნული თავისუფლების იმედი. არც მაშინ, როცა დადარდიანებული ჩიოდა — „და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე „ქართველი“ აღარ სწერია“ და არც მაშინ, როცა რწმენით ანთებული ყველას არწმუნებდა — „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს

გმირთა ,გმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი!..“

ამ იმედის საფუძველი კი ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია იყო.

–

1980 წ.

სევდა ისტორიისა

ჩემი აზრით, ისტორიულ თემას, როგორც მხატვრული ნაწარმოების მასალას, ორ შემთხვევაში მიმართავს მწერალი. პირველად მაშინ, როცა სურს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის სული გადმოსცეს, ხოლო მეორედ მაშინ, როცა ისტორიული მასალა გამოადგება იმისათვის, რომ ალეგორიის მოშველიებით გამოთქვას აზრი. თუ კონკრეტული ნიმუშების დასახელებაა საჭირო, შეიძლება გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები „მრისხანე ბატონი“, „ჟამთა სიავე“, „რაინდები“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. მართალია, ნიკო ლორთქიფანიძე ყოველთვის შენიშნავს, რომ მის მოთხრობებში „არაისტორიული ამბავია“ აღწერილი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მწერალს ზუსტად ,გადმოსცეს საქართველოს ისტორიის სული. „დიდოსტატის მარჯვენა“ კი ძირითადად ალეგორიული რომანია. ამის საბუთად თავად კ. გამსახურდიას ნათქვამიც კმარა: ამ რომანით ჩემი პოეტური მრწამსი გადმოვეცი.

ამ წერილში ნ. ლორთქიფანიძის ზემოხსენებულ სამ მოთხრობაზე იქნება საუბარი. მაგრამ ვიდრე უშუალოდ მათ შევეხებოდეთ, ჯერ ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე კონცეფციას, გატარებულს „ქართლის ცხოვრებაში“, ხოლო მერე კი ვნახოთ, რა გადაიტანა მატიანიდან თავის მოთხრობებში მწერალმა.

ყველას კარგად მოეხსენება ერთი ამბავი, რომელსაც ლეონტი მროველი მოგვითხრობს.

როცა ალექსანდრე მაკედონელს საქართველო დაუპყრია, ქვეყნის მმართველად აზონი დაუსვამს. ალექსანდრეს მოუკლავს მცხეთის მამასახლისი სამარიც და მისი ძმაც. სამარის სამი წლის ძმისწული ფარნავაზი დედას კავკასიის მთებში გაუხიზნავს. ამით გადაურჩენია დედას შვილი სიკვდილისაგან. როცა ფარნავაზი დავაჟკაცებულა, შეუკრებია ყოველნი ქართველნი, შებრძოლებია აზონს, დაუმარცხებია იგი და თავად გამხდარა საქართველოს მეფე. და ბოლოს ლეონტი მროველი დასძენს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა, იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ბუნებრივია, რომ ამის წაკითხვის შემდეგ გაგიჩნდება კითხვა — რატომ დააკავშირა მემატიანემ ქართული ენის გავრცელებისა და ქართული მწიგნობრობის შექმნა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და ბერძენთა მიერ ხელმწიფედ დასმუ-

ლი კაცის აზონისაგან თავდახსნის პერიოდთან? კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ — რას ჩაუყარა საფუძველი ალექსანდრე მაკედონელმა და რა ხდებოდა ელინიზმის დროს. აი, რას ამბობს ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი რობინ ჯორჯ კოლინგვუდი:

„იმ დროს ჩვეულებრივი გახდა ბარბაროსთა ელინად მოქცევა. ბარბაროსთა გრეციზაცია ბერძნულად იწოდება ელინიზმად (სიტყვა „ელლენიძეინ“ ნიშნავს ბერძნულად ლაპარაკს, უფრო ფართო აზრით, ბერძნული ზნე-ჩვეულების მიღებას), ხოლო ელინური პერიოდი არის პერიოდი, როცა ბარბაროსებმა აითვისეს ბერძნული ზნე-ჩვეულებანი. ასე რომ, ბერძნული ისტორიული შეგნება, თუ ადრე ჰეროდოტესათვის უპირველესად იყო ბერძნებისა და ბარბაროსთა შორის მტრობის შეგნება (ომები სპარსეთში), ახლა იგი ყალიბდება ბერძნებსა და ბარბაროსთა შორის თანამშრომლობის შეგნებად, მაგრამ თანამშრომლობის ისეთ შეგნებად, როცა ბერძნები ხელმძღვანელობენ, ბარბაროსები კი ემორჩილებიან მათ ხელმძღვანელობას, ხდებიან ბერძნები, ბერძნული კულტურის მემკვიდრეები და ამით ბერძნული ისტორიული შეგნების მემკვიდრეებიც“ („ისტორიის იდეა“, 1980 წ., გვ. 33).

ახლა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელინიზმის გაბატონებულ ტენდენციას — ბერძნული ენის ათვისების გზით, ბარბაროსების, ანუ არაბერძენი ხალხების, გაბერძნების ტენდენციას — ფარნავაზი უპირისპირებს ქართული ენის გავრცელებას და

ქართული მწიგნობრობის შექმნას. ამით ინარჩუ-
ნებს ის ეროვნულ სახესა და სულს. ასე მიმდინა-
რეობს ბრძოლა ეროვნული თავისთავადობისათვის.

ეს არის მთავარი და არსებითი ლეონტი მრო-
ველის ცნობაში.

უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაცვისა-
თვის ბრძოლა პასიური არ არის. პირიქით, აქტიუ-
რია. ეს გამოხატულია იმით, რომ იდეევნება მრა-
ვალენიანობა. აღარ იზრახება სომხური, ხაზარუ-
ლი, ასურული, ებრაული და ბერძნული. ქართული
ხდება გაბატონებულ ენად. გარდა ამისა, მუშავდე-
ბა კავკასიის ხალხთა ძმობის თეორია. ლეონტი
გვაუწყებს. რომ ქართველთა, სომეხთა, რანთა, მო-
ვაკნელთა, ჰერთა, ლეკთა, და კავკასიანთა ერთი მა-
მა ჰყავდათო თარგამოსი. არ მიმაჩნია საეჭვოდ, რომ
კავკასიის ხალხთა ძმობის ეს თეორიაც ფარნავაზის
დროს არის შექმნილი, რამეთუ ესეც ელინიზმის
ტენდენციის საპირისპიროა. თუ ელინიზმი ცდი-
ლობს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში, ბერ-
ძნული ენის მეშვეობით, სხვადასხვა ხალხთა ერთია-
ნობა შექმნას, ქართველი მეფე იბრძვის ამ იმპე-
რიას დაუპირისპირდეს კავკასიის ხალხთა ძმობა-
ერთიანობის სახელით. ამ ძმობის დუღაბად კი ქარ-
თველი ენა გამოიყენოს. აქ არც ის უნდა დავივიწ-
ყოთ, რომ ეს აზრი ახლად აღორძინდება მე-11—12
საუკუნეებში, როცა საქართველოს ხელისუფლება
ფაქტიურად მთელი კავკასიის მმართველი ხდება.
ქართლოსიანთა დინასტიის თავკაცის ჩანაფიქრის
განხორციელებას ამჯერად ბაგრატიონები ცდი-

ლობენ, მაგრამ ეს ცდაც მარცხით დამთავრდება მონღოლთა შემოსევის გამო.

როგორც ვხედავთ, ფარნავაზის დროს თავდაცვის კონცეფცია სრულიად მკაფიოა.

დიდი დრო გავა და ქართული ენის, კავკასიის ხალხთა ძმობის გვერდით ქვეყნის სიმტკიცის ახალი ბოძი გაჩნდება — ქრისტიანული სარწმუნოება. ქართველი იდეოლოგი ახალ ფორმულას შეიმუშავებს: „ქართულად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ (სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ lingua franca-ს როლს კავკასიაში ქართული ენა მე-19 საუკუნის ბოლომდე ასრულებდა. ამის საბუთია 1881 წელს თბილისში რუსულად გამოცემული წიგნი, რომლის სათაურია — „ქართული ენის სახელმძღვანელო-თვითმასწავლებელი, შედგენილი თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის გაბრიელ ტერ-გაბრიელიანცის მიერ“. ამის მერე წერია; „აუცილებელი წიგნი ყველასათვის, ვინც ამიერ-კავკასიაში ცხოვრობს“ (ყურადღება მიაქციეთ ამ შენიშვნას).

ამრიგად, ქართული ეროვნული თავდაცვა სამ ძალას ეყრდნობა — ქართული ენა, კავკასიის ხალხთა ძმობა, ქრისტიანობა. მაგრამ ასე იქნება მონღოლთა შემოსევამდე. მათი გაბატონების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვლება. დაიწყება თავდაცვის პასიური იარაღის გამოყენება — ქვეყნის გადარჩენის მიზნით ზვარაკად თავის დადება.

ეს პასიური კონცეფცია მთლიანად შეცვლის ძველ აქტიურ კონცეფციას. ქვეყნისა და ერის საკურთხეველზე მიტანილი ტარიგია ცოტნე დადიანი, დემეტრე მეორე, ქეთევან დედოფალი, ლუარსაბ მეორე, შალვა, ბიძინა და ელიზბარი... ეს მსხვერპლის გაღების კონცეფციაა. თანდათანობით კნინდება და კნინდება ჩვენი ქვეყანა. ამგვარი ცვლილება საფუძველი გახდა არა მარტო პოლიტიკური დაცემისა, არამედ კულტურული დაქვეითებისაც. დაქვეითების პროცესი ბუნებრივია, რამეთუ ერი აღარ აქტიურობს. ხალხი პასიურად ელის გმირს, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მხსნელად მოევლინება ქვეყანას.

იმ დროს, როცა ზრუნავდნენ ქართული ენის გავრცელებისათვის, კავკასიის ხალხთა ძმობის პროპაგანდისათვის, ქრისტიანობის ქადაგებისათვის, აქტიური და მოქმედი იყო მთელი ქართველი ხალხი. ეს ერის მისია იყო და იმიტომ. ცალკეული ადამიანები, რარიგ ნიჭიერიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ამ ამოცანის განხორციელებას ვერ შეძლებდნენ. ხალხის აქტიურობა ყველაფერში ვლინდება — პოლიტიკურ, კულტურულ, სამეურნეო, რელიგიურ ცხოვრებაში. ამის საბუთია იმდროინდელი მწერლობა, რელიგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერება.

იმ დროს კი, როცა ქვეყნის ხსნა მსხვერპლს, ზვარაკს დაევალა, ხალხი პასიური გახდა. როგორც ითქვა, დაიწყო მოლოდინი იმ კაცისა, რომელიც

მარტოდმარტო იკისრებს ტარიგის მოვალეობას და ამით დროებით შეანელებს, შეარბილებს მტრის მრისხანებას. მოქმედების ნაცვლად ხალხის თვისებად ხდება მოლოდინი. მოლოდინი პასიური ბუნების არის და ამის შედეგია, რომ, მონღოლთა ბატონობის შემდეგ, დაცემულია ქართველი ხალხის პოლიტიკური, კულტურული, სამეურნეო, რელიგიური ცხოვრება. პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყანა იშლება ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, მეურნეობრივად ღარიბდება, რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ ჩანს ჩვენში დაწერილი წიგნი. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ხალხმა დაივიწყა წერა-კითხვა. დაეცა რელიგიური ცხოვრებაც.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პოლიტიკური, კულტურული, სამეურნეო და რელიგიური გამოფხიზლების ახალი პერიოდი იწყება მაშინ, როცა ერის მხსნელი ზვარაკის კონცეფცია შეიცვალა ახლით — თავშესაფრის ძებნის კონცეფციით. მართალია, არსებითად ესეც პასიური კონცეფციაა, მაგრამ გარკვეულ აქტიურობას მაინც შეიცავს. მისი განხორციელება დამოკიდებული არ არის მხოლოდ ცალკეულ პირებზე. აქაც აუცილებელია ხალხის მონაწილეობა და მხარდაჭერა. მოლოდინის მაგიერ მაინც მოქმედებაა საჭირო. ხალხის ამოქმედებას ბუნებრივად მოჰყვა ცხოვრების ყველა სფეროს გამოცოცხლება. განახლდა მწერლობა (თეიმურაზ I, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და სხვანი), რელიგიური მოღვაწეობა (დავით გარეჯის სკოლა, ანტონ პირველი და სხვანი),

პოლიტიკური საქმიანობა (ორიენტაციის აქტიური ძიება, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება და ა. შ.).

თუ არ ვცდები, მე-19 საუკუნემდე ამ სამი კონცეფციით არის გამოვლენილი ძირითადად საქართველოს ისტორიის სული. ახლა იმიტომ გავიხსენე ისინი, რომ მკაფიოდ დავინახოთ, რომელია გამომჟღავნებული ნიკო ლორთქიფანიძის უკვე მოხსენიებულ სამ მოთხრობაში. ამის დადგენაში მოგვეხმარება ის საერთო სევდიანი განწყობილება, რომლითაც გაჟღენთილია მოთხრობები. რა იწვევს სევდას?

სევდას იწვევს უაზრო შინამტრობა. ვისღა ახსოვს მთელი კავკასიის ხალხთა ძმობა და ერთობა. ერთმანეთს მტრად მოჰკიდებიან კუთხეები და გვარები. „რაინდებში“ ერთმანეთს ებრძვიან იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი. თან არც იციან რატომ, რისთვის და რა მიზნით. დიდი-დიდი რამდენიმე ყმა და მიწის ნაჭერი წაგლიჯონ ერთმანეთს.

ოდიშის მთავარს ეწყინა იმერეთის მეფე რომ მცირე ჯარით მოვიდა დასახმარებლად. სამეგრელოს დედოფალი აბუზღუნდა:

„— აი დახმარება, თუ გინდა სიძე-ბატონისაგან, ამას ჰქვია!.. თითქოს სანადიროდ მოსულიყოს! სასაცილოდ აგვიგდო!.. თუ გავიმარჯვეთ, სახელი მისია, თუ დავმარცხდით — ჩვენ აგვიანცებენ...

მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ მოკლედ მოსჭრა:

— ცოტაა თუ ბევრი ჩემი ჯარი, გამარჯვება

ჩემს კისერზე იყოს... თქვენი ჯარი სრულიად ნუ გამოვა! თუ გაწყრა ღმერთი და დამამარცხეს, ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმია — მოგახმაროთ ღმერთმა!..“

დააკვირდით მეფის პასუხს: ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმიაო. რა გულუხვია და ხელგაშლილი იგი. რატომ? იმიტომ, რომ მტერს კი არ ებრძვის, შინაურს ეომება. თუ დამარცხდება, იმერეთის ტახტი ან დადიანს დარჩება ან შარვაშიძეს. ამას მეფისათვის პირადი პატივმოყვარეობის მნიშვნელობა აქვს და არა ქვეყნის ბედის გადაწყვეტისა. რა მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის — ქუთაისში ვინ დაჯდება ტახტზე — ბაგრატიონი, დადიანი თუ შარვაშიძე? ასე გამხდარა ეროვნული საქმე ამა თუ იმ ფეოდალური გვარის პატივმოყვარეობის საგნად.

მართალია, ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ უგულოდ და უხალისოდ. არჩილს, — წერს ნიკო ლორთქიფანიძე, — „ორი-სამი შეტაკების შემდეგ რაღაც გული აუვარდა და მხოლოდ მეფის ხათრით ვერ ტოვებდა ბრძოლის ველს“. ასე იმიტომ დაემართა, რომ ქვეცნობიერად მიხვდა, რასაც აკეთებდა, უაზრო და უმიზნო სისხლისღვრა იყო.

არჩილის მსგავს მდგომარეობაშია ასტამურ ინალიპაც, ანუ ინალიშვილი. იგი „აბჟანდზე ცერებით შედგებოდა და მიმოიხედავდა. ვინც შეუტევდა, უგულოდ გზას უთმობდა და მეომრებიც შორდებოდნენ — ზოგს შუა კაცი ეგონა, ზოგს მგლოვიარე“. როცა ასტამურ ინალიპას ერთი ჯარისკაცი არ მოეშვა, თოფი გულზე მიაბჯინა და უთხრა —

„წადი, ძმაო, სხვა მონახე — შენთვის არ მცალია...“ ინალიშვილს ბრძოლა არ უნდა და თუ ვინმეს შეერკინება, ეს აგიაშვილია, რადგან მასთან პირადი მტრობა აქვს. ისინი შეხვდებიან ერთმანეთს ბრძოლის ველზე. აგიაშვილი სასიკვდილოდ დაჭრის ინალიპას. მაგრამ ეს არ გახარებია აგიაშვილს. „ამ გამარჯვებით ცოტა არ იყოს დანაღვლიანებული აგიაშვილი მივარდა ვიღაც აფხაზს და უთხრა: ინალიპა ძლიერ დაჭრილია, აი იქ... მიეშველეთ“. სინდისატკივებულმა გიორგი აგიაშვილმა ვერ მოითმინა და ისევ ასტამურ ინალიპასთან მიბრუნდა. თურმე ეს ომი და მტრობა არც ინალიშვილს მოსწონს. ასტამური გიორგის ეუბნება:

„ახია ჩემზე, რაც მომივიდა: არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშთან და იმერლებთან... არ მიყვარს მთავარი და მისი ოჯახი. შემეშინა მოღალატეთ არ გამოვსულიყავ პატრონის წინაშე, არავის ეფიქრა, რომ შიშმა ამიტაცა და ბრძოლის ველი დამატოვებია... გუშინ ცხარე სიტყვიერი შეტაკების შემდეგ, კიდეც დავტოვე ბანაკი, მაგრამ დავბრუნდი. მინდოდა მოვალეობა შემესრულებია, გესლიანი ენისთვის კლიტე დამედვა და წავსულიყავ... თქვენ აგირჩიეთ — გვარიშვილობით ერთი ვართ და თქვენთან შებრძოლებაც სასახელოა. თანაც თქვენ ჩემი ძმის სისხლი გმართებდათ. გადაეცით მეფეს, რომ მისი გამარჯვება მახარებს...“

რა შეიძლება იყოს უფრო მეტად სევდის მომგვრელი, ვიდრე იმის შეცნობა — როგორ იღუპება მშვენიერი და მამაცი ვაჟკაცი ცრუმოვალეობის

შესრულების გამო? რა შეიძლება იყოს უფრო დიდი უაზრობა, ვიდრე სისხლისღვრა იმისათვის, რომ ვინმე ენაწაგდებულმა ლაჩრობა არ დაგწამოს? მაგრამ ყველაზე ტრაგიკული და ტკივილის აღმძვრელი ის არის, რომ ასტამურ ინალიპას სიკვდილი „მტრებს“ — იმერლებს და ოდიშარებს არ გაუხარდებათ, მაგრამ ესიამოვნება და სიხარულს მოგვრის „მოყვრებს“ — აფხაზეთის მთავრის ოჯახს.

„— ვაი საწყალო! რაც იარაღს არ უქნია, იმას საწამლავი დამართებს, — ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა ჩიჩუამ.

— როგორ?

— მაგი არის ინალიშვილების ერთი ბუდის ერთადერთი ვაჟი-მემკვიდრე; ქალი კი მთავრის შვილს ჰყავს და დიდი ხანია უთვალთვალებს მემკვიდრეობას.

— დანარჩენი ინალიშვილები, ნათესაობა რას იტყვის?

— ჰო, ვინ იცის... იქნება მთავრის ოჯახს იმედები გაუცრუვდეს. მაგრამ ცდას არ დააკლებენ... მორიგდებიან ნათესავებთან... ბევრი რამ მაინც დარჩებათ“.

დაკარგულა ეროვნული მასშტაბით აზროვნება. იგი შეცვლილა პიროვნული ინტერესით. გამქრალა სახელმწიფო აზროვნება. იგი დაუკავებია ოჯახურ აზროვნებას. გლეხი, თავადი, მთავარი, მეფე მხოლოდ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრობს, წუხს, ზრუნავს. სახელმწიფო ყველას დავიწყებია. იმის შეგნების უნარიც აღარ აქვთ, რომ თუ სახელ-

მწიფო მოუწყობელია, არეულ-დარეული და ქაოსით მოცული, შეუძლებელია ოჯახური და პირადი ბედნიერების მოგვარება.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება დაკარგა არა მარტო მმართველმა ფენამ, არამედ მთელმა ხალხმაც. ამან მშრომელი გლეხი მაროდიორად გადააქცია. ლაზიკა, ექვთიმე, თეიმურაზი („რაინდები") ბრძოლის ველზე დაძვრებიან და დახოცილებს ძარცვავენ.

„— თვალებში რომ ჩამჩერებიხართ, რა მზეთუნახავი იშოვეთ — გავიდოდით, მოვიარდით ამ ველს, ერთი მარჩილის საღირალს მაინც ვიშოვიდით...

— ვინ დაგიწყობს ახლა მინდორში ოქროვერცხლს.

— შე ვირისთავო, ოქრო და ვერცხლი მამაშენს არ ქონდა და დედაშენს და ერთ გაწყვეტილ აღვირს ან აბჟანდს ქე ნახავს კაცი... ნალს მაინც ააძრობდი მკვდარ ცხენს!..

— ნალი არა, ბიჭო, და მართლა ერთი ცხენი მაინც გავატყავოთ — ქალაბნად გამოგვადგება.

— ჰო და... — დაუკრა კვერი ლაზიკამ.

წავიდნენ, საღამომდის არ დაბრუნებულან.

— რა იშოვეთ?

ორივემ გაიკრიჭა.

— კაცო, ვერცხლის მოყვითლული ბუნუკი.

— ხომ გითხარით, თქვე სულელებო!..

— ნალიც ვიშოვეთ სამი — ორ ცხენს მეტი არ ქონდა და ის ცხენებიც გავატყავეთ.

— ბარაქალა...“

ვერცხლის ბუნუკი, სამი ნალი და ორი ცხენის ტყავი— აი, ალაფი და დავლა, რომელიც „გამარჯვებულმა“ მეომრებმა იშოვნეს. ჯერ ეს „დავლა“ რა ღირებულებას წარმოადგენს და იმასაც თუ არ დავივიწყებთ, რომ იგი მეზობლების, ახლობლების, მოყვრების გაჟუჟვის გზით მოინადირეს, უნდა გულახდილად ვთქვათ, რომ გადაგვარებისა და დაკნინების უფრო მძაფრი სურათი ძნელად წარმოსადგენია. ბუნებრივია, რომ სევდა და ტკივილი ავსებს მკითხველის გულს.

ნამუსი დიდიხანია აღარავის ახსოვს. მთავარია გამორჩენა, თუნდაც ღირსების დაკარგვის ხარჯზე.

ნადიმის დროს იულონს ერთი გლეხის გოგო შოეწონა („ჟამთა სიავე“). მასთან ღამის გატარება გადაწყვიტა. მოურავი შეშინდა და ბატონი გააფრთხილა — „ახლავე არ შეიძლება, იმ გოგოს ძმები და მამა ახლავს“. არ დაიშალა იულონმა თავისი. მოურავი იძულებული გახდა გოგოსთან მიპარულიყო ბატონის ხვაშიადის გასამჟღავნებლად. თურმე გოგოს მამასა და ძმებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იულონის სურვილი. აღშფოთებისა და პატიოსნების დაცვის მაგიერ, ქალს ასწავლიან — „არ დაგავიწყდეს, რაც გასწავლე: ყველაფერში დაეთანხმე და ხვალაც არ გაგიწყრეს ღმერთი, არაფერი სთხოვო. ისე აჩვენე მხოლოდ თავი, რომ ჩვენი გეშინია და ღამით დაბრუნდი უკანვე, რომ ქვეყანამ ვერაფერი შეგნიშნოს...“

ასე უბიძგებენ მამა შვილს და ძმები დას მრუშო-

ბისაკენ, რომ ბატონის მცირე საჩუქარი მოიპოვონ.

სევდას იწვევს ისიც, რომ დაიკარგა ნათესაობა, ნდობა, პატივისცემა.

ვახტანგი ძმისწულია ლევანის („მრისხანე ბატონი"), მაგრამ თავდავიწყებით სძულთ და მტრობენ ერთმანეთს. შუღლი დაბადა სურვილმა მიითვისონ ერთმანეთის ქონება.

„ არ გეყო, რომ მამაჩემს, შენს ძმას, რისხვა მეფისა თავს მოავლინე. მეფის ბრძანებით ჩაჰკალი და ეხლაც უცნობ ადგილს გდია. დედა ზაფრაზე გარდამეცვალა. რაც მოძრავი, თეთრი თუ სამკაული მქონდა, წაიღე. თუ შეგარგებს, შეგარგოს ღმერთმა. ახლა კი იმ სამის სოფლიდანაც მიპირობ განდევნას, რომელიც დამრჩა", — სწერს ვახტანგი ბიძას.

ლევანი მართლაც ცდილობს საერთო ენა გამონახოს აფხაზეთის მთავრის შვილთან, ოდიშელ პაატა ბატონიშვილთან, რომ საბოლოოდ მოსპოს ძმისწული. ეს შეთანხმება არ გამოვიდა, მაგრამ შემთხვევის წყალობით ვახტანგი მაინც ჩაუვარდა ხელში ლევანს და ბიძამ ძმისწული საზარელი სიკვდილით დასაჯა.

მართალია, იულონი არჩილისა და გაიანეს მალული და არაკანონიერი ურთიერთობის შედეგად გაჩნდა („ჟამთა სიავე"), მაგრამ მამა მამაა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა ეკლესიის მიერ ნაკურთხი დედაკაცისა და მამაკაცის სიყვარული. მამა-შვილობას ხელი არ შეუშლია არ-

ჩილისათვის მოტყუებით მიეგვარა იულონი მეფისათვის დასასჯელად. იულონს ბრალად დასდეს შეთქმულებაში მონაწილეობა და თვალები დასთხარეს. ამ სურათს უყურებდა არჩილი, მაგრამ მისი ხული და გული არ შეძრწუნებულა ამით.

ტყისპირელები უზომოდ შეაწუხა ლევანის თავნებობამ და სიმკაცრემ („მრისხანე ბატონი"). მოციქულები გაგზავნეს ოდიშის მთავართან თხოვნით — შეგვიფარეთ და გვიხსენით ლევანის ბატონობისაგან. ჯერ ეამა და გაუხარდა ეს მთავარს. აპირებდა კიდეც ტყისპირელების მფარველობას, მაგრამ აზრი პაატა ბატონიშვილმა შეაცვლევინა. ურჩია — რა სარგებელს მოგცემს ცხენისწყლის გაღმა ერთი სოფელი. უკეთესია მოციქულები შევიპყრათ, ლევანს გავუგზავნოთ, როგორც მოღალატენი და ამით მისი ნდობა და მეგობრობა მოვიპოვოთო. საქმისათვის ეს აჯობებსო. მთავარი მაშინვე დაეთანხმა ცბიერსა და ვერაგ პაატას. ტყისპირელთა მოციქულები შეიპყრეს და ლევანს გაუგზავნეს.

როცა ოდიშის მთავრის ბადრაგს დატყვევებული მოციქულები ლევანთან მიჰყავდა, გზაში ვახტანგი და მისი მხლებლები შეეყარათ. ვახტანგი მიხვდა, რაც იყო მომხდარი და უდანაშაულო ტყვეების განთავისუფლება გადაწყვიტა. გაათავისუფლა კიდეც. გადარჩენილები შინ დაბრუნდნენ. ვახტანგიც ისტუმრეს. „ყოფილი ტყვეების დედები, ცოლები მფარველ ანგელოზს უძახდნენ ვახტანგს. ვაჟები მორჩილებას უცხადებდნენ. პატივსაცემლად დიდი ნადიმი გადაიხადეს". ყველაფერი თვალთმაქ-

ცობა გამოდგა. როცა პირველმა სიხარულმა გაიარა, კითხვა დაებადათ — რა ვქნათ ახლა? ლევანი შეიტყობს ჩვენს ღალატს, მისგან განდგომა და ოდიშის მთავართან თავშეფარება რომ გვინდოდა და არ შეგვარჩენს ამას. მდგომარეობიდან გამოსავალი ვახტანგის ღალატში იპოვნეს. სოფლის თავკაცებმა დაასკვნეს — ვახტანგი დავიჭიროთ, ლევანს მივგვაროთ და მრისხანე ბატონი ორგულობას გვაპატიებსო. ასეც მოიქცნენ. მათი კეთილისმყოფელი და გადამრჩენელი ვახტანგი დაატუსაღეს და სისხლისმსმელ ბიძას მიუყვანეს. სინდისის წინაშე კი თავი იმით იმართლეს, რომ ამ საქციელით სოფელი გადავარჩინეთო დარბევას.

გაიანესა და არჩილის გარდა, არავინ უწყის, რომ იულონი ბუშია („ჟამთა სიავე"). დედა თითქოს უფრთხილდება შვილის ღირსებას, მაგრამ საკმარისია იულონმა აწყენინოს არჩილს, რომ გაიანემ წონასწორობა დაჰკარგოს და ყველაფერი იკადროს.

მოხდა ისე, რომ იულონმა ციხე-სიმაგრეში არ შეუშვა არჩილი. სტუმრად მოსული უკან გააბრუნა. გაიანეს მოთმინების ძაფი გაწყდა.

„— როგორ გავჩუმდე?.. იმიტომ ვიტანდი ყოველივეს, ვითმენდი საზიზღარ ლეზვს მამიშენისას, რომ ბოლოს ჩემმიერ ფეხზე დაყენებულ ოჯახში ჩემს საყვარელ არსებას არ გაევლებოდეს?..

— გაჩუმდი, ვინმე ყურს მოკრავს.

— ყურიც მოკრან და თავიც...

— ნუ მჭრი თავს, ნუ მარცხვენ ქვეყანაში!

— რა მენაღვლება, თავი მოგეჭრება თუ არა, თუ ჩემი ურგები იქნება სახელიც და პატივიც?..

— გაკმინდე ხმა თუ არა... — ველარ მოითმინა იულონმა და ქადილით წინ წაიწია.

— აი, შე ბუშო, შენ! — მიაქაქანა ქალმა და უეცრათ აღვირს სტაცა ხელი და მთელი ძალ-ღონით გადაჰკრა".

ასეა, ბიძა არ ინდობს ძმისწულს, მამა—შვილს, თავადი — გლეხს, გლეხი — თავადს, დედა—შვილს, შვილი—დედას. გადარჩენის საშუალებად მხოლოდ ღალატი, გაყიდვა, დასმენა, დაუნდობლობა, ორგულობა მიაჩნიათ.

ამგვარ ატმოსფეროში, ცხადია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით აზროვნება დანაშაულია. დანაშაულია იმიტომ, რომ წინ ეღობება დაკნინებულ ადამიანთა სურვილების განხორციელებას, მათ ციდამტკავლურ გეგმებს.

მოხუცი მწიგნობარი ოტია ერთიან, ძლიერ, განუყოფელ საქართველოზე ოცნებობს („ჟამთა სიავე"). ამ ერთიანობის აზრს უქადაგებს იგი იულონსაც.

„— აი, რა, შვილო, საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული... ოსმალო, სპარსი, ლეკი. ახლა სხვებიც ძლიერდებიან. ცალ-ცალკე ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს... ნელ-ნელა გვწეწენ, გვანიავებენ... ხომ უყურებ როგორ თათრდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი სამცხე,

მესხეთი — სამშობლო პეტრიწისა, ნიადაგი ოპიზისა. მაგრამ თუ ერთად ვიქენით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს. დრო თამარისა და დავით აღმაშენებლისა ისევ განანათლებს ღვთისმშობლის ხვედრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი ოსმალეთს უპყრია; დიდი ნაწილი სპარსეთმა დაიუფლა; თავისუფალი ჩვენი პატარა იმერეთი-ღა დარჩა... და ჩვენ უნდა გადავუხადოთ წინათ ჩვენზე გაწეული ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს...

— და მერე ვინ უნდა გააერთიანოს?

— მე, შენ, ყველა ჩვენგანმა...“

მოხუცის სიტყვებით შთაგონებული იულონი იწყებს ფიქრს და მოქმედებას დიდი მიზნის განსახორციელებლად. მაგრამ იულონს მსტოვარნი და ქვეგამხედვარნი მეფესთან, „იმერეთის მასხარა მეფესთან“, როგორც მას მწიგნობარი ოტია უწოდებს, დაასმენენ. მერე მოტყუებით შეიპყრობენ და თვალებს ამოსწვავენ, თუმცა არავინ იცის დანამდვილებით დამნაშავეა თუ არა იულონი.

„რას ერჩით, კაცო, ვინაა მოწმე, რომ მართლა დამნაშავეა... იქნებ უდანაშულოა... კაცის ცოდვაში ნუ ჩავიდგამთ ფეხს... — მკრთალად გაისმა აქა-იქ. ხმა იგი საერთო სურვილის წინააღმდეგი — ქრებოდა ღრიანცელში....“

რა საჭიროა სიქმის გამოძიება, გამოკვლევა, როცა უბრალო სურვილიც კი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისა დანაშაულია, რადგან ეშუქრება იმე-

რეთის მეფის, წერეთლების, აბაშიძეების, აგიაშვილების და სხვა ბობოლა თავადების პირად კეთილდღეობას. ემუქრება მათ თავაშვებულ პარპაშს, თავნებობას, თავხედობას, თავგასულებას. ამღვრეულ წყალში ისინი თევზს თავისუფლად და იოლად იჭერენ. მტერია ყველა, ვინც წყლის დაწმენდას, ქვეყნის დაწყნარებას, კანონ-სამართალს მოითხოვს და უნდა განადგურდეს. ჯერ ძალა მათ ხელშია და ამიტომ დრო არ უნდა დაჰკარგონ. უნდა მოსპონ ყველა, ვინც საეჭვოა და მაშინ დამშვიდდებიან. ისინი დაამხობეს იულონს. მწიგნობარ ოტიას მოკვლაც სურდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ჭკვიანი მოხუცი შინიდან გაიპარა და ტყეს შეაფარა თავი. მეფის ჩაფრები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ. როცა ოტია გაექცათ, ყველა დროისა და ყოველი ჯურის ავაზაკის დემაგოგიური ლოგიკა მოიშველიეს — „რათ უნდა გაპარულიყო, თუ დამნაშავეთ არ გრძნობდა თავს?“ ასეა, ჯალათებს გული ეთუთქებათ. როცა ვინმე ჭკუით აჯობებს და მიამიტობით ამართლებენ საკუთარ ქვებუდანობას.

რა თქმა უნდა, სევდის აღმძვრელია ყოფა, რომელიც ქვეყნის მთლიანობაზე, ერთიანობაზე, სიძლიერეზე მზრუნველს მიიჩნევს შეთქმულად და მოღალატედ, ხოლო მის მოსამართლედ და გამსჯელად დასვამს უნიათო, უგუნურ, ღვარძლითა და ვერაგობით სავსე ადამიანებს. როცა ამგვარი ატმოსფერო გაბატონდება, კეთილშობილება ადამიანის ზნეობის შინაარსი კი არ არის, არამედ — ნიღა-

ბი, რომელიც მალავს მზაკვრულსა და ცბიერ საქციელს.

დაპატიმრებული იულონი რომ ქუთაისში ჩამოიყვანეს, მას მეფე შეხვდა („ყამთა სიავე“). იგი მიეგება ქვეშევრდომს და მიუსამძიმრა: „თქვენი ღრმად პატივცემული დედის გარდაცვალებამ დიდათ დამაღონა. განსვენებული ჩვენი ქვეყნის მშვენება იყო, როგორც ძველი ქართველი ქალი, ოჯახის პატრონი და ოჯახისთვის მზრუნავი. საუკუნოთ იყოს ხსენება მისი და განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ; თქვენ კი იობის მოთმინება მოგცესთ ღმერთმა, რომ გადაიტანოთ ასეთი დედის დაკარგვა...“

ამ სამძიმარმა იულონი ცრუ იმედით გაამხნევა. იფიქრა, ასეთი შეხვედრის შემდეგ მეფის სასჯელი მეტისმეტად მკაცრი არ იქნებაო. ყალბი გამოდგა იულონის ვარაუდი. ამ ცბიერებით და ვერაგობით სავსე სიტყვების შემდეგ, დიდ დროს არ გაუვლია, რომ იულონი, მეფის თანხმობით, თვალების დათხრით დასაჯეს. კეთილშობილება ნიღაბი აღმოჩნდა, მომარჯვებული ნამდვილი მზაკვრული განზრახვის დასამალავად.

აფხაზთა ლაშქრიდან ვიღაც მხედარი გამოვიდა და იმერლები ორთაბრძოლაში გაიწვია („რაინდები“). გავიდა ავალიანი, უცნობმა მაშინვე ჩამოაგდო ცხენიდან. გავიდა აბაშიძე, ისიც თვალის დახამხამებაში განგმირა უცნობმა. „ე, რავა უცადო, სანამ ყველას გაწყვეტს!“ — გაბრაზდა არჩილი და

უცნობთან საბრძოლველად გაემართა. მაგრამ აქ უცნაური ამბავი მოხდა.

„უცნობი არჩილის დანახვაზე ცხენიდან გადახტა და საყელოს ღილი გაიხსნა.

— ვინა ხარ? — დაეკითხა უცნობს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბატონიშვილი.

— ალანელი, თქვენი ძიძიშვილი.

— მოდი აქ.

ალანელი ეახლა. არჩილი ცხენიდან გადმოიხარა — და ალანელმა გულზე აკოცა, არჩილმა — თავზე“.

ძიძიშვილობის კეთილშობილ ტრადიციას იცავენ. მაგრამ ამას უკვე ფასი აღარ აქვს. ძმათა მკვლელი ომი იმერლებს, მეგრელებს და აფხაზებს შორის დასაშვებად და მისაღებად მიაჩნიათ. ამგვარ შეგნების ადამიანებისათვის რაღა მნიშვნელობა აქვს ძუძუმტეობის ტრადიციას? არაფერი, ოღონდ მექანიკურად ასრულებენ ერთხელ შთაგონებულს. მისი აზრი და ღირებულება კი გაუგებარია.

ბრძოლის დროს იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავრის შვილი ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ აფხაზმა ხმალი არ მოუქნია იმერელს („რაინდები“). რატომ? მოისმინეთ აფხაზეთის მთავრის შვილის პასუხი: „მირონცხებული მეფე ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი. პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა“. არც მეფეს შემოუკრავს მოწინააღმდეგისათვის მახვილი. ეს რატომღა მოხდა? ახლა მეფის პასუხს დაუგდეთ ყური: „როგორც კი პირ-

ველად შევხედე, გავიფიქრე: ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს-თქო და ჩაუარე გვერდი...“

თითოეული მათგანის საქციელი შეიძლება კეთილშობილების სახელმძღვანელოში შეიტანოთ საგანმუშოდ. მაგრამ ერთი კითხვა მაინც აწვალებს მკითხველს: თუ ასეთ პატივს სცემენ ერთმანეთს, რაღად ომობენ, რაღად ღვრიან უმიზნოდ უდანაშაულო ადამიანების სისხლს? რაღად აჩანაგებენ და აქცევენ საკუთარ მიწა-წყალს, სახლ-კარსა და მამულს? ამას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს — უგუნურების გამო. როცა დაკარგულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანი და იდეალი, როცა ერს აღარ აქვს ისტორიული მისიის შეგნება, მაშინ, როგორც მთელი ხალხის, ისე მისი საუკეთესო შვილების ენერგია, უნარი, ნიჭი ფუჭად იხარჯება. უფრო ბოროტების სამსახურში დგება, ვიდრე კეთილის. ამგვარი უაზრობისა და ბოროტების მონაწილენი არიან „რაინდების“ პერსონაჟებიც და ამიტომ მათ კეთილშობილებას ღირებულება არ აქვს. იგი უმიზნო ქმედების ნიღაბია და ამ ადამიანთა სულიერ გამოფიტულობას მეტყველებს.

თავზარდამცემი, მწარე ირონიით იმსჭვალებით, როცა კითხულობთ. როგორ სხედან დილანდელი მტრები საღამოთი ნადიმზე და ერთმანეთს ამკობენ და ადიდებენ.

„როცა არჩილის სადღეგრძელოს სვამდა, აფხაზეთის მთავრის შვილმა ხოტბასა და ქებას ღიმილით დაუმატა:

— შემარცხვინე, ბატონიშვილო არჩილ, ტყვედ ქმნილს, დღეს უარარაოს ისეთი საჩუქარი მიბოძე, რო ვერ გადაგიხდი.

— თქვენ ბრძანე, ბატონიშვილო, და გადამხდელი მე ვიყო...

— ვაკოცოთ ერთმანეთს!.. — სთქვა არჩილმა და ფეხზე წამოიწია, მაგრამ სანამ მთლად ადგებოდა, მის წინ გაჩნდა ახალგაზრდა აფხაზი და უპირებდა გულზე კოცნას; არჩილი არ დანებდა, ერთმანეთს ლოყები დაუკოცნეს“.

როგოც ვხედავთ, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი. პირიქით, ერთმანეთი ჰყვარებიათ. მაგრამ ამას მაშინ მიხვდნენ, როცა ვნება დაცხრა, ენერგია დაიხარჯა და გონება გამოფხიზლდა. მანამდე კი უმიზნო და უაზრო სისხლი ღვარეს. ასე რომ არ მოხდეს, მათ საერთო მიზანსა და იდეალს უნდა მიაგნონ, უნდა მიხვდნენ, სად არის მტერი და სად — მოყვარე. ენერგია, მამაცობა და ნიჭი ტყუილად კი არ უნდა ფლანგონ, არამედ საერთო იდეალის სამსახურში დახარჯონ. ამის გაუგებრობა და შეუგნებლობა აწუხებს ნიკო ლორთქიფანიძეს. ამით არის გამოწვეული სევდა, რომელსაც მოთხრობის ყოველ სტრიქონში გრძნობთ. ამას აღნიშნავს და მიანიშნებს ის სტრიქონებიც, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული „რაინდებს“.

„ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების დროს ჩანგი თუ არა. ზღაპარი მაინც მოუსმენია, — იგი გაიგებს ჩემს სულის

კვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზეპირგადმოცემების და დაღლილი ოცნების ხლართი, მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი“.

ახლა ამ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვაზ თუ მივუბრუნდები, უნდა დავასკვნა, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს ამ მოთხრობებში გადმოცემული აქვს საქართველოს ისტორიის იმ პეროდის სული, როცა დაიკარგა კავკასიის ხალხთა ძმობის იდეა, ქართველი ხალხის მთლიანობისა და საქართველოს ისტორიული მისიის შეგნება. ამის შედეგად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება გაღატაკდა და იგი გვაროვნულს, ოჯახურს, პირადულს ველარ გასცდა, მასში ჩაიკეტა. აქედან დაიბადა ყველა ზნეობრივი მანკიერებაც. ამის შედეგად მივიღეთ ეროვნული ყოფის სურათი, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ასეა აღწერილი:

„ვინც კი მოდის ჩვენში უცხოელი, ფარჩა და აბრეშუმი აცვია, ვერცხლსა და ოქროში არის ჩამჯდარი, ფული აქვს და საქონელი... ჩვენ კი გაძვალტყავებული, განაწამები ველით სიკვდილის დღეს... სხვაგან თურმე ცხოველსაც არ სტოვებენ უაქიმოთ, უწამლოთ, ჩვენში კი დიდებულნი ვერ ღირსებიან ქინაქინას. მეფისათვის ვერ აგვიშენებია ხეირიანი სასახლე და იქ თურმე უბრალო მოქალაქეთაც კი ორ-სამ სართულიანი სახლები აქვთ.

წერა და კითხვა არ ვიცით, ღმერთს ვერ შეევე-

დრებივართ წესიერად!.. სხვაგან მდაბიონიც მეცნიერები ხდებიან, ჩვენში დიდებულები ხელის მოწერის მაგიერ საბუთზე ჯვარს ძლივს სვამენ...

სწავლა გვაკლია, ერთობა და მშვიდობიანი ცხოვრება; ესაა ჩვენი უბედურება... ქალაქში ნახშირი ვერ წაუღია კაცს, რომ გზაზე ორი მარჩილისათვის კაცი არ გამოკუჭონ სააღდგომო „ოკვივით“ („ჟამთა სიავე“).

ამ მდგომარეობიდან თავდახსნა შეიძლება უკვე მომხდარის გაცნობიერებით, მისი დარღვევა-დაშლით და ახლის აღორძინებით. ნიკო ლორთქიფანიძის აზრით, ახალი აღორძინდება მაშინ, როცა მოხდება ცოდვის მონანიება, ანუ ყოველი კაცი შეიცნობს საკუთარ დანაშაულს და გამოისყიდის მას.

როგორც მკითხველს ახსოვს, ისეთი მხეციც კი, როგორიც ლევანია („მრისხანე ბატონი“), ჩაწვდება თავის დანაშაულს და ბერად აღიკვეცება. იგი სათნოების განსახიერებად გადაიქცევა. „დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა. ჩიტები თამამად ჯდებოდნენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდნენ თმაზე. შველი წყალზე ჩამოსული ხელიდან ართმევდა ჭადის ნატეხს. მოხუცი კი ლოცულობდა ხატის წინ. განუწყვეტლივ კითხულობდა სახარებას; უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გადათელვისათვის, მზის სხივის შეურაცხყოფისათვის, ორიოდე ლუკმისათვის, რომელსაც შორი ახლოს უტოვებდნენ მცხოვრებნი“.

ასევე დღედაღამ ცოდვის გამოსყიდვაზე ფიქრობს იულონიც („ჟამთა სიავე“), რომელსაც დედა შემოაკვდა. მან იცის, რომ ამ დანაშაულს ხალხი არ აპატიებს. ამიტომ უნდა მონახოს გზა, რომელიც დაეხმარება მონანიებაში და შეუმსუბუქებს სასჯელს.

მაგრამ ცოდვის მონანიება ორგვარია — პასიური და აქტიური. ლევანი პასიურად ინანიებს ცოდვას. იგი განდეგილობით ცდილობს დაადგეს კეთილის გზას. იულონი კი აქტიური საქმიანობის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზით აპირებს ჩადენილი დანაშაულის მონანიებას. „...თავს დავდებ მთელი საქართველოსათვის და მხოლოდ შემდეგ წავალ მონასტერში“. იულონი იწყებს საქმიანობას საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნისათვის. თუ მოხერხდება საქართველოს გაერთიანება, ეროვნული მთლიანობის აღდგენა, „მაშინ დაიბადება მეორე შოთა და აშენდება გელათი და სვეტიცხოველი“. მოხდება არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული აღორძინებაც. ამისათვის თავის გადადება მადლია, რომელიც წარხოცავს ცოდვას.

ასეთი აქტიური მონანიების მომხრეა ნიკო ლორთქიფანიძე. იგი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს გულისხმობს და იმიტომ. აქ ღვივდება ოპტიმიზმისა და ისტორიული პერსპექტივის ნაპერწკალი. მაგრამ ნაპერწკალი ცეცხლად მაშინ აგიზგიზდება, როცა ერი არსებულს გააცნობიერებს და მკაფიოდ ჩამოაყალიბებს თავის ისტორიულ ვალსა და მისიას

კაცობრიობის წინაშე: აქტიურად იბრძოლებს მის განსახორციელებლად; წარსული ისტორიაც სევდის აღმძვრელი კი აღარ იქნება, არამედ — შემოქმედებითი ენერგიისა.

1981 წ.

ARSEBO�BIS ШIШI

როცა გვიანი შემოდგომა ბუნებას გააშიშვლებს, სხივდაღლილი მზე გაკრეფილ ვენახებს, აჩალულ ყანებს, ფოთოლგაცვივნულ ტყეებს გააშუქებს, მოახლოებული ზამთრის ქარი ყვითელ ფოთლებს ჰაერში ააფრიალებს, ხოლო კაცის გულს სევდა და კაეშანი შემოაწვება, იმერეთის ორღობეებში ყველაზე დუხჭირი ფანტაზიის მქონე ადამიანიც კი დაინახავს ფერდებჩაცვივნულ, ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებულ პლატონ სამანიშვილს და მასთან მოსაუბრე ადვოკატ ივანე გვერდევანიძეს...

სოფელ-სოფელ ჯორით მოჯირითე სოლომან მორბელაძეს...,

უკვე აღებულ ყანაში მოფუსფუსე ეფროსინე ქამუშაძეს, აქა-იქ შემორჩენილ ტაროებს რომ დაეძებს...

თავის დაქცეულ ქოხის წინ, ჯირკზე ჩამომჯდარ, დამუნჯებულსა და დაჩაჩანაკებულ ლევან ქამუშაძეს...

წმინდანის უყურადღებობითა და უსულგულობით გაოცებულ და გაოგნებულ კაცია საგუნაშვილს...

ხორციელად ლამაზსა და მოხდენილ; მაგრამ სიღარიბით დაბეჩავებულ და ცხოვრების ხალისწართმეულ კაროჟნა ქარსიძეს...

ღობესთან გაქვავებულ, დაღლილ-დაქანცულ, გაფითრებულ და პირგამეხებულ ფეფენას, რძალსა და აზნაურ დავით კარუგდელაძეს რომ მისჩერებია...

მოწნულ კარავთან მდგომარე უცნაურ ბერიკაცს მიქელა გიორგაძეს, სნეულ შვილიშვილს გრძელ ჯოხზე ჩამოცმული ქოთნით რომ აწოდებს საზრდელს...

საიქიოდან დაბრუნებულ ვასილ კარიკაძეს, რომელიც პირდაბჩენილ მეზობლებს უამბობს იმქვეყნად ხილულსა და გაგონილს...

ჯორზე გადამჯდარ მხიარულ ხუცესს, ვისაც უკვე დავიწყებია, სად არის თეთრი ზღვა თუ პეჭ ჩორის ლავრა და გვარის იმედად, ათი-თერთმეტი წლის ბიჭი რომ მიჰყავს სასულიერო სასწავლებელში...

ეკლესიის ეზოში თავმოყრილ მრევლს, სინანულითა და საყვედურით სავსე სიტყვებით რომ ამუნათებს მღვდელი...

„— ერთობ უცნაური ხასიათის ვართ... ბუზს არ გადავიფრენთ ხან-და-ხან თავზედ... გულის-წყრომას ხომ საზღვარი არა აქვს ხშირად... თუ რამ დავიჯერეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც რომ მტყუანიც ვიყვეთ... უთუოდ ჩვენს ნებაზედ უნდა იქნეს ყოველისფერი და თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც აღარ გავარჩევთ, ოღონდ-კი

სურვილი ავისრულოთ... დათმენა რა არის — ხშირად არც-კი გვინდა ვიცოდეთ. და აი, სადამდის მივყევართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც-კი ვებრძვით... კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზედ არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულეო... ამაზედ მეტი შეიძლება?! აი, სადამდის მივყევართ ჩვენს გულფიცხობას... აი, სადამდინ მიდის ჩვენი უგუნური გულის-წყრომა!.. დამშვიდდით, შვილებო, ისწავლეთ მოთმინება... რომ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელი შესანანებლად ისევ თქვენვე არ დაგირჩეთ!..“ („შერისხვა“).

რამ გამოიწვია ეს საყვედური? რა დანაშულს მოჰყვა იგი?

ერთი საყანე ადგილი კაცია საგუნაშვილმა შესასვენებლად გაუშვა. მიწა მოღალული იყო და მოსავალს აღარ იძლეოდა. ამ შემთხვევით ისარგებლეს სოფლელებმა და შესვენებული ადგილი გზად გადააქციეს. თავდაპირველად კაცია საგუნაშვილს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მერე, როცა გადაწყვიტა შესვენებული ადგილის ისევ ყანად დამუშავება, სოფელმა თემშარა აღარ დათმო. არც კაცია იხევდა უკან და არც სოფელი. საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ წაგებული კაცია დარჩა. სოფელმა თავისი გაიტანა. ამან კაცია საშინლად გააბოროტა. განსაკუთრებით შეიძულა მეზობელი ანდრია ჭურაშვილი. დაბოღმილი კაცია ყველა ავკაცობას ანდრიას აბრალებდა. რაკი სამართალი ადამიანთა შორის ვერ ჰპოვა, საშველად კაცია საგუნაშვილმა წმინდა გიორგის ხატს მიმართა.

ანდრია ჭურაშვილი დასწყევლა და ხატზე გადასცა. ასე ფიქრობდა: წმინდანი მიუკერძოებლად გაარჩევდა მტყუანსა და მართალს და ანდრია ჭურაშვილს უთუოდ დასჯიდა.

მიდიოდა დრო და წმ. გიორგის აზრად არ მოსდიოდა ანდრიას დასჯა. ჭურაშვილი ჩინებულად გრძნობდა თავს და მალე დაივიწყა ხატზე გადაცემაც და საგუნაშვილის მტრობაც.

ერთ დღეს, როცა წმ. გიორგის ხატი ეკლესიის ეზოში გამოასვენეს და მღვდელმა ვედრებით მიმართა, კაცია საგუნაშვილი ხატთან მიიჯრა და ჰგმო წმ. გიორგი:

„ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?.. ძაღლი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მაგან?!“

კაციას მკრეხელობამ თავზარი დასცა ხალხს. არც კაციასათვის დარჩენილა უშედეგოდ წმინდანის გმობა. ბერიკაცი თანდათან დასნეულდა, დაუძლურდა, განმარტოვდა და შეშლილს დაემსგავსა.

როცა კაცია საგუნაშვილი მოკვდა, სოფელმა იგი სასაფლაომდე არ მიაცილა. „ვერ ვიტირებთ, ღმერთს ვაწყენიებთ, რომ მისი მგმობელი ვიტირეთო“.

კაცია საგუნაშვილის ამ გულზვიადობამ გამოიწვია მღვდლის გულისტკივილი.

„შერისხვაში“ მკაფიოდ ჩანს დავით კლდიაშვილის შემოქმედების ძირითადი თემაც და პრობლემაც—ამპარტავნება, გულზვიადობა, ცრუმორწმუნეობა.

როცა მწერალი გაღატაკებული აზნაურების

ცხოვრებას გვიამბობს, ‘ეაცებრივ ამპარტავნებას ემატება კლასობრივი გულზვიადობაც.

მართალია, მშრომელი და მუშაკაცია ოტია ქამუშაძე, მაგრამ ძალიან ეთაკილება, თოხი რომ უჭირავს აზნაურს ხელში („ქამუშაძის გაჭირვება“).

ერთ დღეს ყანას ხნავდა ოტია. დედამ სადილით მიაკითხა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ოტია სირცხვილით დაიწვა, როცა, ეკვირინეს გვერდით, ცოლიც დაინახა, იგი არ ელოდა სონიას მოსვლას. არ უნდოდა ცოლს ენახა აზნაური ოტია ქამუშაძე ყანაში გლეხივით გუთანსმოკიდებული. სონია ახალშერთული ჰყავდა და ქალმა ჯერ კიდევ არ იცოდა კარგად ქამუშაძეების გასაჭირის სიღრმე-სიდიდე.

„შენ რამ ჩამოგიყვანა?! — ღიმილით უთხრა მან ცოლს, რომლის მიჩერებულ თვალების ქვეშაც უხერხულად გრძნობდა იგი თავის თავს; ოტიას სცხვენოდა, რომ სონია ხედავდა მას პერანგისა და მის ამხანაგის ამარა, ტიტველი წვიეები ტალახით აზელილ მიწით შეთითხნილი, ხელებ მოსვრილი“.

სონიასაც თავზარი დასცა ქმრის ამ მდგომარეობაში ნახვამ. ვერც ქალის ამპარტავნება შეგუებოდა და შეჩვეოდა აზნაურის გლეხივით მუშაობას:

„როგორც იგი თავის თვალით ხედავდა, ამ წამში, ამ ხანად მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოვლის მხრით ისეთივე გლეხი, როვორიც აი გადაღმა ყანაში რომ მუშაობდა,

მათი მეზობელი პეტრია დინარაძე, სრული მსგავსი მისი, გარდა ამისა, რომ აზნაურიშვილად იწოდებოდა, აზნაურობისათვის სასაცილო ხასიათი ეძლეოდა და თითქმის უფრო ამცირებდა ოტიას ამ გარემოებაში. ამას ხედავდა, ამას გრძნობდა სონია და შელახული მისი თავმოყვარეობა უცნაურად ამუშავებდა მის გონებას".

სონია ჯინჭარაძე-ქამუშაძე კინალამ გაგიჟდა, როცა დედამთილმა უთხრა — ბავშვი გლეხ სამადაძეს უნდა მოვანათლინოთო.

„ამათ უყურე, ამათ უყურე!.. შენი ჭირიმე!.. ეს-ღა მაკლდა, რომ ყაზახს მოვაკიდინო ხელი შვილისათვის?! ღმერთო ჩემო, რას მოვესწარ-ამას, რას, რას?! დედა, უთხარი რამე, ნუ გვარცხვენენ, ნუ ოხრობენ... საბოლოოდ ნუ მუდრეგდებიან!.. მიშველე, შენ გენაცვალე!"

ამპარტავნება არც პელაგია ჯინჭარაძეს აკლია, მაგრამ იმის უნარი კიდევ შერჩენოდა, დაენახა ამ გარიგების სარგებლიანობა ქამუშაძეების ოჯახისათვის. შვილი დააშოშმინა და დაითანხმა, ყოფილიყო სამადაძე პაწია ქამუშაძის ნათლია. ხოლო ლაზღანდარა და შარახვეტია პორფირი ბიაშვილი ცინიკურად ხითხითებდა — „ნეტავი მეც მომნათლავდეს ის ოჯახ-დაქცეული, თუ-კი მართლა მდიდარია! ცოტა რამეს მაინც გამორჩებოდა კაცი!"

ნათლობის დღეს, როცა ღვინომ ყველას წაართვა განსჯისა და მორიდების უნარი, გლეხი სამადაძე და აზნაური ბესარიონ ქამუშაძე წაეჩხუბნენ ერთმანეთს, აქაც ამპარტავნებამ იჩინა თავი.

„— გაწყინა პატივისცემამ, ყაზახო?! — შეუბღვირა მან და მისკენ გამოწეულ სამადაძეს ისე ღონივრად წაჰკრა ბლიქვი გულ-მოსულმა, რომ ეს კაცი საცოდავად დაენარცხა მიწაზე. —

დაცემული უცბად წამოაყენეს, ამან იგი თითქო გამოაფხიზლაო, ათრთოლებული, გაბრაზებული, იგი მთელი სხეულით ცახცახებდა და თავდაპირველში სიტყვის წარმოთქმა არ ეხერხებოდა.

— ყაზახი ვარ! — შეჰყვირა მან, წელში გამართულმა, — ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნოუშვილს კიდევ ვჯობივარ!.. თუ ძალაზედაა, მობრძანდი, ახლა მობრძანდი, ისე დაგბუბნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული!.. შენისთანა აზნოუშვილების რა მცოდნია?!“

ატყდა ჩხუბი, ცემა-ტყეპა...

ასე გამომზეურდა, ერთი მხრივ, გვარიშვილობით გამოწვეული ამპარტავნება და, მეორე მხრივ, სიმდიდრით, ქონებრივი შეძლებით დაბადებული გულზვიადობა.

ეს ამპარტავნება-გულზვიადობა უშლის ხელს მათ დაამყარონ ერთმანეთში ადამიანური სათნოება და სიყვარული.

აზნაურს ფეხით სიარული არ შეშვენის და პლატონ სამანიშვილი მზად არის, მტრის თვალის მოსატყუებლად, ჯაგლაგი ცხენით იჩანჩალოს („სამანიშვილის დედინაცვალი“).

„— ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია? — უთხრა მელანომ.

პლატონმა რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ცხენმა სულ კანკალი დაიწყო.

— აბა, ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?!

— კი, მარა სულ არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?

— ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები!.. სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!..“

მართლაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა უკან პლატონი თავის „ბედაურს“, რომ გზად ადვოკატი ივანე გვერდევანიძე წამოეწია და იძულებული გახდა ამხედრებულიყო. მთელი ეს სურათი ნათლად ავლენს, კლასობრივი ამპარტავნების გამო, როგორი ვაინაჩრობით ცდილობენ შეინარჩუნონ აზნაურობის პეწი. თუმცა იგი დიდი ხანია გახუნდა და მისგან აღარაფერი დარჩა.

ჯიმშერ სალობერიძის ოჯახში სტუმრობდენ. ღვინით გამტყვრალმა კირილე მიმინაშვილმა გასცა პლატონ სამანიშვილის მოგზაურობის მიზანი.

„— ერთ უშვილო დედაბერს დეეძებს სადედინაცვლოდ და მითხარით, ჩემგან რა შეწუხება მიჰყენებია... დავსდევ უკან მეძებარივით!.. ეგებ, ბიძია, გეგულებოდეს სადმე უშვილო დედაბერი და ამ ყმაწვილს ეგებ გული დაუშოშმინო!..

პლატონი გაშრა, სირცხვილისაგან ცოცხლებში აღარ ერია“.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟებისათვის მნიშვნელობა და ფასი ნამდვილს კი არა აქვს, არამედ — მოჩვენებითს. მთავარია მოჩვენებითი მხარე იქნეს შენარჩუნებული. თუ ეს ილუზია დაირღვა და

სინამდვილე გაშიშვლდა, მაშინ მორბელაძეების, სამანიშვილების, ქამუშაძეების, ქარსიძეების ამპარტავნება და პატივმოყვარეობა შეურაცხყოფილი და დამცირებულია. ამის ატანა კი მათთვის მეტისმეტად ძნელია. მათი სული ბორგავს, ვერ ისვენებს. მწუხარება, დარდი, კაეშანი გარდაუვალი ხდება. თითოეული მათგანი საკუთარი ამპარტავნების მსხვერპლად იქცევა. ზოგჯერ ეს სასაცილოდ გამოიყურება, ზოგჯერ — შეძაძრწუნებელ უბედურებად. მაგრამ ამას არავინ უწევს ანგარიშს. ამაზე არავინ ფიქრობს. კუდაბზიკობა ამარცხებს სიმართლეს.

სოლომან მორბელაძეს შინ ერთი ქოთანი ლობიოც არა აქვს, მაგრამ, როგორც გულუხვი და დარდიმანდი მასპინძელი, კალთას ახევს სტუმარს, ვახშმად დარჩიო („სოლომან მორბელაძე").

„შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!.. ბიჭო! — დაიძახა სოლომანმა: — პლატონის ცხენს უნაგირი მოხადე!

•

დაგაწვენ, დაგხურავ, დაგაძინებ... დილით ადრე ადგები და წახვალ, შე კაცო!.. — არ ეშვებოდა სოლომანი".

სტუმარი არ დარჩა. შინშებრუნებულ სოლომანს ცოლი საყვედურით შეხვდა:

„აბა, რომ ეპატიჟებოდი იმ კაცს, რა გეგულებოდა სახლში მისატანად?! ნეტავი შენ კუდა-ბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდა რა!.. რომ დარჩენილიყო, რას აპირებდი?!"

თვითდაცინვით და ირონიით არის სავსე სოლომანის პასუხი:

„ერთი, ორი შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებურ-ჩვეულება არ იცოდეს... შეეპატიჟე, ვალი მოვიხადე... ისე ხომ ვერ გავუშობდი...“

თურმე ორივე მხარემ კარგად იცის, რას ნიშნავს ეს თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა. მოჩვენებითია ყველაფერი. თავიც ამის შესაბამისად უჭირავთ. ორივე მხარე ზუსტად თამაშობს. მოხდენილად ატარებს ნიღაბს. არაფერი ეშლებათ. მაგრამ ამპარტავნებით გამოღრღნილ მათ სულს თანდათანობით ემუქრება სრული დაშლა. ამპარტავნება აიძულებს მათ ჯერ იცრუონ, ტყუილი ილაპარაკონ, მერე კი თავმოყვარეობა დაკარგონ.

არაფერი გააჩნია დარისპან ქარსიძეს, მაგრამ პელავია საბელაშვილს მაინც ატყუებს („დარისპანის გასაჭირი“):

„თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ კაი ოჯახები გვაქვს გვარში... თუ ყველას არა... ზოგიერთებს მაინც... ჩემს თავზედ მოგახსენებთ — რომ მობრძანდეთ ჩემს ოჯახში, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვერაფერს დამიწუნებთ, თქვენ არ მომიკვდეთ!.. ერთობ გაწყობილი ოჯახი მაქვს!..“

ეკვირინე ქამუშაძეც ტყუილით ცდილობს ანუგეშოს რძალი. გაპარტახებული ოჯახი დოვლათითა და ბარაქით სავსედ წარმოუდგინოს („ქამუშაძის გაჭირვება“):

„აქანაი, შვილო, ჭურები გვაქვს... იცოცხლე, ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა!.. საპანე რატომ ოცი მანეთიც არ ღირდა, ისეთი რამ შვენიერება იყო!.. აძლიეს კიდეც თექვსმეტი მანეთი, ჭეტსაც მისცემდნენ, მარა არ შეელია!.. ძნელი შესალევია, შვილო — კაი ღვინო ოჯახის დამამშვენებელია... წრეულსაც, იმედია, ღმერთი კიდევ უკეთესს მოგვცემს!.. ღვთის მადლით, ვენახი კარგი გვაქვს, თუ არა შენი ლამაზი თვალებით ნახავ ეხლავე!.. ისეთი ტევნები ასხია, თითოსაგან რატომ ბოთლი ღვინო არ გამოიწურება!..“

ასევე უქებს დედამთილი რძალს ბაღ-ბოსტანს, სასიმინდეს, ეზო-კარს, მაგრამ სონია კარგად ხედავდა, რომ ეკვირინე ატყუებდა მას. ეს არ ყოფილა წინასწარ განზრახული სიცრუე, უბრალოდ მოხუცი ცდილობდა რძლისათვის რწმენა ჩაენერგა, იმედი მიეცა, დაღონების საფუძველი მოესპო. მაგრამ ეკვირინე ქამუშაძეს ერთი რამ ეშლებოდა: სიცრუის საძირკველზე იმედის სასახლე არ აშენდება. არც სოლომან მორბელაძემ იცის ეს. ისიც სიცრუით ცდილობს ცოლის გამხნევებას:

„იმის შეგეშინდა, რომ არაფერი გვაქვს?! თუ არ გვაქვს — გვექნება, გვექნება!.. იმისთანა ტაციცინა, წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, რომ თვალები აგიჭრელოს... ექვსს ერთად... როგორც კაცი!.. შენ დარდი ნუ გაქვს, გული არ გაიტეხო, მხიარულად იყავი... ჯერ ხომ არაფერი წამიხდენია?..“

კაცებრივი და კლასობრივი ამპარტავნება წარ-

შოშობს ტყუილს. ტყუილი კი სპობს თავმოყვარეობას. როცა ამ პროცესს ადევნებთ თვალს, მკაფიოდ ხედავთ, როგორ იკვეთება დავით კლდიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟი — თავმოყვარეობადაკარგული ამპარტავნი კაცი.

პირველად შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ შეუძლებელია ერთ ადამიანში ერთდროულად არსებობდეს ეს ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი, თვისება, მაგრამ მწერლის ყოვლისმხილველი თვალი წვდება ადამიანის ყოფის საიდუმლოს და ეს უცნაური მოვლენა დღის სინათლეზე გამოაქვს. დ. კლდიაშვილს არ ეპარება ადამიანის სულის მოძრაობის არც ერთი ნიუანსი. ზუსტად გადმოგვცემს მას და მკითხველს ეჭვის საფუძველი აღარა რჩება.

ამპარტავნება და უთავმოყვარეობა სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს. საკმარისია ტყუილის კოშკი დაინგრეს, რომ ისინი სასოწარკვეთილებას შიეცენ. ნისლივით ქრება ორივე — ამპარტავნებაც და თავმოყვარეობაც.

როცა სოლომან მორბელაძე გააცუცურაკეს და სამაშვლო არც ბესარიონ საქარაძემ მისცა და არც ქაიხოსრო ქათამაძემ, სვეგამწარებული მაჭანკალი სიძეს მივარდა და შეპირებული თანხა მოსთხოვა. ნიკო ქათამაძეც ჯიბეგამოფხეკილი იყო და სოლომანის დამშვიდება ტკბილი სიტყვით სცადა.

„— სოლომან, ენდე ჩემს ყმაწვილ-კაცობას, არ დაგიკარგავ შენს გასამრჯელოს... ერთ დღეს იქ-

ნება, გაგისწორდები... მედვას ვალად ეგ შენი სამსახური!

— ვალად გედვას? კუჭი მიხმება, ყმაწვილო, კუჭი მიხმება! ახლა მინდა საჭმელი... ვალად გედვას?.. მაგის იმედი რას მომეშველება, როცა ეს არი ვკვდები კაცი?! მიბოძე, თუ რამე გაქვს მაგ პორტმანეში!..“

ნიკომ საფულე მოჩხრიკა და შიგ ექვსი მანეთი და ორი აბაზი აღმოჩნდა. სოლომანმა მაშინვე გამოსტაცა ეს ფული და მადლობაც არ უთქვამს, ისე განშორდა ყმაწვილ კაცს.

სადღა არის გულზვიადი, ამპარტავანი აზნაური, რომელიც ტკიცინა თუმნიანებით ტრაბახობდა. საცოდავი, მშიერი, შესაბრალისი კაცღა დარჩა.

უნამუსოდ და ურცხვად მოიქცა ბეგლარ ჯინჭარაძე. ჯერ დისწულის ნათლობაში ყველას დასანახად დანიშნა ნინო ქველიძე, მერე კი, როცა გაიგო ფულად მზითევს იმდენს არ მისცემდნენ, რასაც ითხოვდა, დაუყონებლივ მიატოვა ქალი („ქამუშაძის გაჭირვება“). არ შეუწუხებია იგი არც ქალის ბედს და არც საკუთარ სინდისს. არც ნინო ქველიძის საჯარო შეურაცხყოფა უდარდია და არც ღვიძლი დის ოჯახის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება.

ბეგლარის საქციელი არ უნდა გვიკვირდეს. უნამუსობა ამპარტავნების მედლის უკანა მხარეა.,

ალბათ პლატონ სამანიშვილის აზნაურული ღირსება ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ფეხმძიმე ქალს საცემრად გაიმეტებდა, მაგრამ, როცა ძმის

გაჩენა მის ქონებრივ მდგომარეობას დაემუქრა, დედინაცვალი სასიკვდილოდ გასწირა. მართალია, მოკვლით ვერ მოკლა, მაგრამ, მამის გარდაცვალების მერე, დედინაცვალსაც და პატარა ძმასაც ცხოვრება გაუმწარა.

ეს დაუნდობლობაც თავმოყვარეობის დაკარგვის შედეგი იყო.

რამ შექმნა და ჩამოაყალიბა თავმოყვარეობადაკარგული ამპარტავანი კაცი? სოციალურად — უკიდურესმა ქონებრივმა სიღატაკემ, ზნეობრივად — ნამდვილი რწმენის შეცვლამ ცრუმორწმუნეობით.

სიღარიბის შემზარავი და უნუგეშო სურათია დახატული „მრევლშიც“ და „ქამუშაძის გაჭირვებაშიც“.

„ეს წყვდიადი, რომელიც ამ სახლში დამყარებულიყო და რომელიც ისე უსიამოვნოდ მოხვდა გულზე პირველი ფეხის შემოდგმისთანავე, ეს სიღარიბე, ეს სიღატაკე, ამ სახლის ყოველი კუთხიდან რომ გამოსჭვივოდა, ეს საწყალი ავადმყოფები, რომელთა უსაშუალობაც თვალებში ეჩხირებოდა, ეს მუმიასავით შეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი, ჩუმად რომ ცრემლებს ღვრიდა, თავისი უღონობა ამათი შეწევნისათვის, — ყოველივე ეს კიდევ უფრო ნაღველს უმატებდა მის ისედაც დანაღვლიანებულ გულს, მწუხარებას უმწვავებდა, უნუგეშობაში აგდებდა, ამ ცხოვრებას ყოველსავე სინათლეს აკლებდა და ყოველსავე სასოწარკვეთილებას უკვეთავდა. სევდით მოცული გული, ამღვრეული სული, შემოწოლილი გრძნობა გამოთქმას

ითხოვდა, იწვევდა საღაღადებლად, ხმა-მაღლა წარმოსათქმელად თავის უნუგეშობისას, თავის სევდიანობისას“.

ანუსიას ოჯახის ხილვით მარტო ზოსიმე მღვდელი კი არ არის თავზარდაცემული, არამედ — მკითხველიც.

„ჩვენ რომ გვიყურო, ამას იტყვი, კაცის მჭამელს უნდა შეეცოდოსო და შვილმა მიგივიწყოს?! ა. ვარჩევ გამხმარ სიმინდს ყანაში თითო ტარობით და მომაქვს, დავკაკლავ და ეგება ვინმემ სამოწყალოდ წამიღოს ეს ერთი კალათა წისქვილში დასაფქვავად. მრცხვენია, თავი მოვაწყინე ყველას დაფქულის თხოვნით... ჩვენთვის, შვილო, არც საჭმელია, არც სასმელი, არც წყალი, არც შეშა... ცხელ საჭამადს ეგებ ორ-სამ დღეში ერთხელ ვეღირსოთ, თუ არა და ცივ ჭადზე ვაგდივართ, ჩემო შვილო!“ — შესტირის ეფროსინე ქამუშაძე სონიას.

ოდესღაც თავმომწონე აზნაური როსტომ მანველაძე მარტოდმარტოა მიტოვებული. შვილებსაც აღარა სცალიათ ბერიკაციისათვის. ისინი სხვათა კარზე დახეტიალობენ. „თავათაც დროს ატარებენ და სხვებსაც ეხმარებიან დროს ტარებაში“. თუ ხანდახან შინ შემოიხედავენ, შეკრებენ, შეაგროვებენ შემორჩენილს და სასწრაფოდ ისევ ქალაქის გზას დაადგებიან. მოსამსახურე დათიას ამარად არის დაგდებული როსტომ მანველაძე და ზანტ მთქნარებაში ჰკლავს წუთისოფლის უკანასკნელ დღეებს. იგი სულიერად უკვე კარგა ხანია მკვდარია. ამიტომაც „აღარც სახლთ-უხუცესის ჯავრი აქვს. აღარც

მარშლების, აღარც ბანკისა, აღარც ოჯახისა, აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, — კარგად არიან, ავად არიან, სად არიან, ვისთან არიან? თხოვდებიან თუ ისევ ქალიშვილობაშივე ბერდებიან“ („როსტომ მანველაძე“).

თუ დარისპან ქარსიძე ასულის გასათხოვრად მაინც დაწანწალებს, როსტომ მანველაძეს ამისი თავიც აღარ აქვს. იგი სრული უმოქმედობა და აპატიაა.

თუ ხორცის უმოქმედობა წარმოშობს ქონებრივ სიღარიბეს, სულის უმოქმედება შობს გონებრივ სიღატაკეს. დ. კლდიაშვილი თანაბარი ძალით აღწერს ქონებრივი და სულიერი სიდუხჭირის თავზარდამცემ შედეგს.

რაღაც სახადმა გაანადგურა მიქელა გიორგაძის ოჯახი („მიქელა“). აღარც უფროსი შვილიშვილი სპიდონა შეარჩინა განგებამ. იგიც დასნეულდა. გულგახეთქილმა მაიამ, მიქელას რძალმა, შვილი, პატარა ნესტორა, დედულეთს გახიზნა. იქნებ იგი მაინც გადარჩენილიყო და სამუდამოდ არ ჩამქრალიყო მიქელას კერა.

თავგზადაკარგულ მიქელას სახლის გაწმენდა ურჩიეს: შეიძლება რაიმე მავნე შეგეპარათ სახლში და შიგ იყოსო დაბუდებული. ამ რჩევამ გამოაცოცხლა ბერიკაცი. სასწრაფოდ შეუდგა საქმეს. კარავი დაწნა, ეზოს კუთხეში დადგა და სნეული სპიდონა იქ გადაიყვანა. აღარა უნდოდა გაწმენდილ სახლში ავადმყოფი დაეტოვებინა. აღარც სპიდონას მორჩენის იმედი ჰქონდა. მით უმეტეს,

რომ ერთ დილით, ავადმყოფმა თავად განაცხადა — საიქიოში ვიყავი. ერთი წლის ვადით გამომაბრუნეს. ერთი წლის მერე კი ისევ საიქიოში მიხმობენო. იყო მიტოვებული სნეული სპიდონა, მხოლოდ საზრდელს თუ მიაწოდებდნენ ხანდახან.

ერთ ღამეს საშინელი ლესტერი[1] დაატყდა თავს სოფელს. ყველაფერი წალეკა ნიაღვარმა. დილით სპიდონა ქვა-ღორღში არეული იპოვნა ბაბუამისმა. როცა მიქელამ რძალს უთხრა, სპიდონა მომკვდარაო, საშინლად გაიოცა მაიამ — „მომკვდარა?! წელიწადი რომ არ შესრულებულა?“ მიქელამ დაამშვიდა ქალი — „ალბათ შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგია, რა ვადა დაუნიშნეს“.

როცა ამ სიტყვებს კითხულობთ, სული გეყინებათ: სადამდე შეიძლება იყოს ცრუმორწმუნეობით დაბნელებული ადამიანის გონება. რა საშინელი დაბაშაული შეიძლება ჩაიდინოს მიამიტობამ და უმეცრებამ. ბუნებით კეთილი და სათნო ბერიკაცი არაცნობიერად მკვლელი გახდა და ეს ჩაიდინა „კეთილი მიზნით“ — ჯიშის, მოდგმის გადარჩენის სახელით.

მთელ სოფელს სჯერა, რომ ფეფენა კუდიანია („მსხვერპლი“). ყველას ეშინია მისი. ფეფენა კი ნამდვილად ერთი გაჭირვებული, გაუხარელი ქალია. იგი წუთისოფლის სიმძიმემ უკმეხ და პირქუშ ადამიანად აქცია. ასაკით და ცხოვრებით მოტეხილ ფეფენას ვერ აუტანია ახალგაზრდა რძლის მარინე

---

[1] ლესტერი — დიდი წვიმა, თავსხმა.

ხმელაძის სიხალისე, სილაღე, მხიარულება. დედა-ბერს ეშინია ლამაზი და ცქრიალა მარინე ვინმემ არ აცდუნოს და ოჯახს თავი არ მოეჭრას. ეს შიში მას მერე გაუძლიერდა განსაკუთრებით, რაც აზნაურ დავით კარუგდელაძისა და რძლის მეგობრული ურთიერთობა შენიშნა.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა რძალ-დედამთილი ერთმანეთს. ფეფენამ სძლია მარინეს. სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ქალი ჩამოხმა, ჩამოღრა, გაყვითლდა და დაჭკნა. მძიმე სნეულს დაემსგავსა. სოფელში კი ხმა დაირხა, კუდიანმა დედამთილმა მარინეც კუდიანი გახადაო. მაშინ მარკოზა ხმელაძემ შვილის შინ წაყვანა გადაწყვიტა. მაგრამ მარინე იმდენად იყო დამფრთხალი და დაძაბუნებული, რომ მამას ემუდარებოდა: „გამიშვი, შენი ჭირიმე, ჩემო მამა... მომკლავენ, მამა!...“ სულიერმა ტერორმა სრულიად უნებისყოფო გახადა იგი.

მარკოზა ხმელაძეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „ეხსნა“ შვილი კუდიანობისაგან. „საიქიოში ნამყოფმა“ ვასილა კარიკაძემ „გამოტეხა“ მარინე და ათქმევინა — ჩემმა დედამთილმა შემაცდინა და დამაჭერინაო კავშირი ეშმაკთან.

შვილის უბედურებით გადარეულმა მარკოზა ხმელაძემ გავარვარებული ნალით დადაღა ფეფენა. ნაწამებმა, ღონემიხდილმა და დაოსებულმა მარინემ ვერ გაუძლო ამდენ საშინელებას და დედის ხელებში დალია სული.

შემზარავია მარინე ხმელაძის ბედი, მაგრამ

უფრო შემაძრწუნებელია სოფლის კმაყოფილება მარინეს ეშმაკისაგან „განთავისუფლებით“:

„გამოტეხილს რაღა აცოცხლებს?.. არ გამოეტეხათ, უარესი ცოდვა იქნებოდა... იცოცხლებდა-კი, მარა რაღა სიცოცხლე იქნებოდა მისი... ბოლოს ხომ წაწყმედილი იქნებოდა მაინც...“

დიდად მადლიერი იყო ხალხი მარკოზასიც: კარგი მამობა გაუწიაო შვილს. „სვინდისიერი კაცი ბრძანებულხართ... შვილის კაი პატრონი... ღმერთმა გიწინამძღვროს!“

ვასილა კარიკაძით ხომ ყველა აღტაცებული დარჩა და დარჩა:

„— ძალიან საქმე ქნა იმ დალოცვილმა ადამიანმა!

— ღვთის კაცია, შე დალოცვილო... ვიგინდარა ჭინმე ხომ არ არი!“

მართლაც არ არის კარიკაძე ვიგინდარა. მას გულწრფელად სჯერა იმისი, რასაც აკეთებს. ვასილამ დიდსულოვნად თქვა უარი ფულზე, რომელიც მარინეს „განკურნებისათვის“ შეაძლიეს. „ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფულის საბოჭავათ კი არ მოუნიჭებია, შე კაცო!“ — უთხრა მან მარკოზას.

საშინელი და თავზარდამცემია სწორედ ის, რომ ბოროტებას სჩადიან გულწრფელი, მართალი და პატიოსანი ადამიანები, რამეთუ უმეცრების, სიბნელის, ცრუმორწმუნეობის გამო არ უწყიან, რას აკეთებენ. ბოროტების აქტი აღესრულება კეთილის სახელით. დ. კლდიაშვილი ხატავს სამყაროს, სადაც, საუბედუროდ, თავდაყირაა დაყენებული

რწმენა, თავმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული. ამ სამყაროში რწმენად ცრუმორწმუნეობაა მიღებული, თავმოყვარეობად — ამპარტავნება, მოყვასის სიყვარულად — მოყვასის მოტყუება-გაცუცურაკება. ადამიანის ღირსება ხურდავდება ლუკმაპურად.

ომან ქამუშაძეს უყვარს ძმა, მაგრამ ცრუმორწმუნეობის გამო მასაც, სოფელთან ერთად, სჯერა, რომ მისი რძალი, ლევან ქამუშაძის ცოლი ეფროსინე კუდიანია. ომანი შვილის — კოწიას—ავადმყოფობას ეფროსინეს აბრალებს. კეტით მოსაკლავადაც მიუვარდება ომანი ძმასა და რძალს: „რა ვუქენით საამისო მაგ არა-წმინდას, ასე კბილი რომ ჩაასვა საწყალ ბავშვს!.. მოვკლავ, მოვკლავ, ამ წუთში მოვკლავ, ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ იდგამს!..“ ვინ იცის, რა ცოდვას დაატრიალებდა ომანი, ოტიკ ქამუშაძეს რომ არ ეყოჩაღა და ბიძისთვის კეტი არ წაერთმია.

სოფელიც შეღაღადებს ეფროსინეს:

„— გაანებე თავი, ეფროსინე... თუ მართლა შენგან არის, შენი მიზეზითაა ეს ბავშვი, მიუტოვე, აპატივე, ნუ ჩადგამ ფეხს ცოდვაში.

— ოუშვი, ეფროსინე, თუ რამე შენგანაა! ნუ შვრები მაგას!..“

ამ უსამართლო და უნიადაგო ბრალდებით გაოგნებული ეფროსინე დაბნეული უაზროდ ლუღლუღებს:

„შენ მოჰკითხე, შენ მოჰკითხე, ჩემო გამჩენო, პასუხი, შენ მოჰკითხე პასუხი, ვინც მე ათასნაირ

უბედურებას და უცნაურობას მახვევდეს და მიგონებდეს....“

გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა დავით კლდიაშვილის მეორე ძირითადი პერსონაჟიც — სიღარიბე და ცრუმორწმუნეობით დაბეჩავებული კაცი.

როცა დავით კლდიაშვილის პროტაგონისტების თავგადასავალს ვკითხულობთ, ზოგჯერ მათი ამპარტავნება ღიმილს გვგვრის და სიცილის გუნებაზე გვაყენებს, მაგრამ მათი სიღარიბე, სიბეჩავე, ცრუმორწმუნეობა და საცოდავობა ყოველგვარი ხალისის სურვილს გვართმევს და იწვევს სიბრალულს, თანაგრძნობას, თანალმობას. ღიმილი პირზე გვაშრება, როგორც კი მივხვდებით ორ ჭეშმარიტებას: პირველი ის, რომ გაჭირვებული ადამიანი შეუძლებელია იყოს დაცინვის საგანი და მეორეც ის, რომ როგორიც არიან ადამიანები, ისეთია ქვეყანაც. თავის სამშობლოს სიბეჩავესა და გაჭირვებას კი არავინ დასცინის ამქვეყნად. ქართველი კაცის ჭაპანწყვეტას დ. კლდიაშვილი გამკილავი თვალით კი არ უყურებდა, არამედ — თანაგრძნობით, თანალმობითა და სიყვარულით სავსე გულით. და თუ ხანდახან მწერლის ჭკვიან და კაეშნიან სახეს სევდიანი ღიმილი გაანათებს, ეს იმედია, ჩანერგილი იმათგან, ვინც, როგორც თავად ბრძანებს, გული სიყვარულით გაუთბო, ასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა.

1982 წ.

ბუნების კანონზომიერება და უკვდავების მაძიებელი კაცი

ქართულ პოეზიაში არის ორი ლექსი. ისინი შინაარსით ჰგვანან ერთმანეთს, ოღონდ სრულიად განსხვავებულია მათი დასკვნა. ერთი გახლავთ ვაჟა-ფშაველას „მოგონება“, ხოლო მეორე — გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავე“.

ვაჟას ლექსში ქალი ფიცს აძლევს ნანდაურს —

თუ შენ არ გხედავ ცოცხალსა,
არც მე ვარ ცოცხლად დამრჩომი,
ცოცხალი თან ჩამოგყვები,
საფლავში დაგეტანები...

მოხდა უბედურება: ვაჟი გარდაიცვალა. გლოვამ მოიცვა სოფელი. ქალიც მდუღარედ ატირდა. როცა ვაჟის კუბო საფლავში ჩაუშვეს, ქალს ფიცი გაახსენეს:

— რა უყავ ფიცი, გოგონავ,
ჩაჰყევ, ვის მეელოდები?
— სად გავყვე, ძმაო, რას ვარგებ,
მკვდარს რა უშველო ამითა.
არა, მე სიცოცხლე მინდა,
უნდა ვიცოცხლო ჭირითა...

მართალია, ფიცი გატყდა, მაგრამ ქალი თავს იმით იმართლებს, რომ ვაჟის ხსოვნას მოუვლის და შეინახავს. მართლაც, ერთი წელიწადი თავს დასტრიალებდა ქალი ვაჟის საფლავს, იგლოვდა, სანთელს უნთებდა. მაგრამ, მიდიოდა დრო და თანდა-

თან იცვლებოდა ჭირისუფლის გუნება-განწყობილება.

> გოგოს სწადია იპოვნოს
> პირველის მსგავსი გვამია;
> მსგავსი პირველის მიჯნურის
> თვალითა, ტანადობითა...

გამოაშკარავდა ქალის პირუმტკიცობა. თითქოს ამბის განვითარების ლოგიკა ითხოვს სასოწარკვეთილ დასკვნას. მოხდა ღალატი, არ უერთგულა ქალმა ვაჟს. თითქოს ლექსში უნდა იყოს მამხილებელი პათოსი, მაგრამ სხვა დასკვნას აკეთებს ვაჟა. იგი აღტაცებულია ბუნების კანონზომიერებით, რომელიც სიცოცხლის აუცილებელ გამარჯვებას გულისხმობს.

> ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
> სიცოცხლე შვენობს შენითა,
> და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
> სიცოცხლის ნაწყენობითა.
> სიცოცხლე სიყვარულითა
> და სიყვარული სიცოცხლით,
> უერთურთისოდ ვერც ერთსა
> ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით.

ქალის საქციელი ვაჟას მიაჩნია არა ფიცის გატეხვად, არამედ სიცოცხლის სიყვარულის გამოვლენად, სიცოცხლის უძლეველობის გამომჟღავნებად. იქ, სადაც უგუნურება ქალის ორგულობას ხედავს, ნამდვილად ბუნების დიდი კანონზომიერება სუფევს. ეს იწვევს ვაჟას აღტაცებას. ცოცხალი რომ ბიცვალებულს ემსხვერპლოს, ეს ერთგულება კი

არ იქნება, არამედ სიკვდილის გამარჯვება და ამ-
დენად ბოროტების ზეიმიც.

ახლა გალაკტიონის „მესაფლავეს“ დავაკვირ-
დეთ.

ქალმა სამარეს მიაბარა მიჯნური. უსაზღვროდ
მისი მწუხარება, უნუგეშოა მისი გლოვა. ვაჟის საფ-
ლავზე ფიცს დებს:

გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება.
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება.
შენი სახე გულს კაწრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო.

ყმაწვილმა კაცმა დაასაფლავა სატრფო. ისიც
სასოწარკვეთილი ტირის. ისიც იძლევა არდავიწყე-
ბის ფიცს. მესაფლავეს არც ქალის სჯერა და არც
ვაჟის. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ორი-
ვე დაარღვევს ფიცს. ამიტომ მესაფლავე უნდოდ
და ცინიკურად არის განწყობილი. პოეტს არ სჯერ
მესაფლავესი. იგი ჯერ რწმენით აცხადებს:

როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცს არ სტეხენ... ფიცს არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის
დღემდე.

მაგრამ გამტყუნდა პოეტი. გამართლდა მესაფ-
ლავის სიტყვა. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა.
დაავიწყდათ გარდაცვლილნი.

...დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი, სავალალო,
და ახალი შევქმნათ ყოფნა, გამომყევი ცოლად ქალო...
თანახმა ვარ. ერთადერთი მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს...

როგორც ვხედავთ, ამბავი აქაც ისე ვითარდება, როგორც ვაჟას ლექსშია. ბუნების კანონზომიერებამ გაიმარჯვა. მაგრამ ეს არ ახარებს „მესაფლავის“ ავტორს. იგი გულდაწყვეტილი და გულგატეხილი ამორჩილად ამბობს:

მესაფლავე, ეხლა კი გაქვს ნება, რაც გსურს კვლავ იგი ოქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.

განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს, მწუხარე ყამს საოცნებო.

ეს სევდა აღძრულია იმით, რომ ადამიანის საქციელის უკან გალაკტიონს არ სურს აღმოაჩინოს ბუნების კანონზომიერება. უფრო სწორად, მიიღოს, იწამოს ეს კანონზომიერება. დამორჩილდეს მას. ერთ ლექსში გალაკტიონი შეუპოვრად მოითხოვს:

კვდომა ბუნების წესია,
მაგრამ ჩემს გულში ასეა:
ნუ კვდება, რაც უბრძნესია,
ნუ კვდება, რაც ლამაზია.
(***იმ სივრცეს, ჰაეროვანი...)

ვაჟა-ფშაველას აზრს იზიარებს ლეო ქიაჩელიც მოთხრობაში „მუხა და ტირიფი“.

...მთის კალთაზე ახალგაზრდა მუხა იდგა. ცოტა მოშორებით, მდინარესთან ნაზი ტირიფი ამოსულიყო. მათ უყვარდათ ერთმანეთი და დიდი იყო მათი ბედნიერება. ერთ დღეს საზარული გრიგალი ამოვარდა. ცა და მიწა შეაზანზარა. დამფრთხალი ტირიფი შიშით მიწას ეკვრა. მუხა კი აღიმართა, ტოტები გაშალა და ყოვლისწამლეკავ გრიგალს

ეკვეთა. ქუხდა და ელავდა. ელვის ენები ისრებრ ერჭობოდა მიწას. ერთი მუხას დაეცა და ავარდა ალი. როცა გრიგალი ჩადგა, ყველაფერი დაწყნარდა და მზემ ისევ გამოანათა, ტირიფი წამოდგა და მიმოიხედა. იქ, სადაც წინათ დიდი ჭყონი იდგა, მხოლოდ დამწვარ-გარუჯული ტოტები ეყარა. სად არის? — იკითხა წნორმა შიშითა და ცახცახით. მაგრამ ტირიფისათვის გარემოს არ ეცალა. პირდაბანილი მზე საზეიმოდ იწვევდა ქვეყანას.

ლ. ქიაჩელის დასკვნა: „ყველამ იცოდა, რომ ბედნიერებას ყოველთვის დიდი მსხვერპლი ეწირებოდა. ასეთი იყო ბუნების წესი. ხოლო ისიც იცოდა ყველამ, რომ ბუნების იგივე წესი მოითხოვდა მსხვერპლის დავიწყებას ყველაზე უფრო უდიდესი ბედნიერებისათვის, რომელიც იყო სიცოცხლე“.

თუ ვაჟა ბუნების კანონზომიერებაში სამართლიანობასა და ჰარმონიას ხედავს, გალაკტიონი უსამართლობასა და უკანონობას ჭვრეტს. ამიტომ თუ ეს კანონზომიერება ვაჟაში იმედიან, ოპტიმისტურ განწყობილებას წარმოშობს („ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“), გალაკტიონში სევდასა და პროტესტის სურვილს ბადებს („ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“).

ადამიანი ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ფორმით ხშირად უმხედრდება ბუნების კანონზომიერებას. ცდილობს დაარღვიოს იგი. თავს მოახვიოს ბუნებას კაცებრივი სურვილები. ამგვარი კონფლიქტი

ბუნებასა და ადამიანს შორის ტრაგედიის საფუძ-
ველი ხდება. ადამიანს არ ძალუძს სძლიოს ბუნე-
ბის კანონზომიერებას და იგი მარცხდება. დამარ-
ცხება კი იწვევს სკეპსის, დარდს, სასოწარკვეთი-
ლებას. გვინდა თუ არ გვინდა, ვეგუებით თუ ვერ ვე-
გუებით, კვდება ულამაზესიც და კვდება უბრძნესიც.
ულამაზესის სიკვდილი აღწერილია ოსკარ უაილდის
„დორიან გრეის პორტრეტში", უბრძნესის სიკვდი-
ლია დახატული ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელ-
ში", ორივე ნაწარმოების პრობლემაა ბუნების კა-
ნონზომიერების წინააღმდეგ ამბოხების პრობლემა.

დაბერება, ახალგაზრდობის დაჭკნობა ბუნების კა-
ნონზომიერებაა. რარიგ არასასურველიც უნდა იყოს
იგი, სულერთია, ადამიანი მაინც ვერსად გაექცევა.
მიუხედავად ამ აუცილებლობისა, ადამიანი მაინც
ებრძვის მას. თუ რეალურად ვერ ახორციელებს ამ
სურვილს, ცდილობს ოცნებით მაინც იხილოს იგი.

დორიან გრეი ამგვარი ოცნების მსხვერპლია.

როცა ბეზილ ჰოლუორდმა დორიან გრეის პორ-
ტრეტი დახატა, სურათმა კიდევ უფრო ნათელი
და მკაფიო გახადა ამ ყმაწვილი კაცის ხორციელი
სილამაზე. თავად დორიანმაც მთელი სიღრმით შეი-
ცნო საკუთარი მშენიერების ფასი. მაშინ დაება-
დება მას სურვილი (გიჟურს უწოდებს ამ სურვილს
ოსკარ უაილდი): მის მაგიერ დაბერებულიყო პორ-
ტრეტი, თვითონ კი დარჩენილიყო მარად ჭაბუკი.
დორიან გრეის აღარ უნდოდა ცხოვრების მდინა-
რებას კვალი დაეჩინა მის სილამაზეზე, გაეცრიცა
და გაეფერმკრთალებინა იგი. მარტო თავად არ

წუხდა მომავალი სიბერის გამო. ამ ყმაწვილის ყოველი მხილველი გულში ნანობდა, რომ დადგება დღე, როცა დორიანის მშვენიერი სახე დაჭკნება და ნაოჭებით დაიღარება. წლები წაიღებს ოქროცურვილ თმებს, ალისფერი ბაგეების ხიბლს. მოიხრეშა და მოიკაკვება მისი შოლტივით ტანი. ჩაქრება და ჩაინაცრება თვალების ცეცხლი. იგი გახდება გონჯი, საცოდავი და ჩაჩანაკი.

, დრო და ცხოვრება, რომელნიც მის სამშვინველს ჩამოაყალიბებენ, დაშლიან მის სხეულს.

ამ საშინელ მომავალს რომ თავი დააღწიოს, დორიან გრეი ნატრობს — თუ სიბერისა და ბიწიერების დაღის დასმა გარდაუვალია, მაშინ დააჩნდეს იგი პორტრეტს და არა ცოცხალ მოდელს. მის ნატვრას თითქოს უსმინა ღმერთმა. მიდის დრო და იგი არ ბერდება. მისი სილამაზე ხელუხლებელია. პორტრეტი კი თანდათან ბერდება. სურათზე აისახება ყველა ბიწიერება, რომელსაც, ნებით თუ უნებლიეთ, სჩადის დორიან გრეი.

მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნების აუხდენელ სურვილს ჩაჭიდებული დორიან გრეი თანდათანობით ბოროტმოქმედი ხდება. მისი გამოისობით იკლავს თავს მსახიობი ქალი სიბილა ვეინ. თვითონ კლავს მისი პორტრეტის ავტორს მხატვარ ბეზილ ჰოლუორდს. უნებლიეთ შემოაკვდება სიბილა ვეინის ძმა ჯეიმსი.

ერთი სიტყვით. დორიან გრეი ყველგან და ყოველთვის ბოროტს თესავს.

მართალია, თვითონ უცვლელი და უბერებელი

რჩება, მაგრამ ყველა ავკაცობა, რასაც იგი აკეთებს, აისახება და აღიბეჭდება პორტრეტზე. სურათი შემზარავ სანახაობად იქცევა. დორიან გრეი ვეღარ უძლებს სურათის ყურებას. პორტრეტი მისი ჭუჭყიანი სინდისისა და დაბერებული, ბიწიერი სულის სარკეა.

დორიან გრეის აღარ სურს მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნება. იგი მტკიცედ და გადაწყვეტილად ეუბნება ლორდ ჰენრი უოტონს — უკეთესი მინდა გავხდეო. უბერებელი კი არა, უკეთესი. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნაა, მაგრამ უკვე დაგვიანებულია. აღარაფრის შეცვლა შეიძლება.

დორიან გრეი უკეთესად გახდომას მაშინ მოახერხებს, თუ მოიცილებს თავიდან პორტრეტს, რომელიც მისი სინდისის ყივილად იქცა. ამიტომ გადაწყვეტს იგი პორტრეტის „მოკვლას". დორიანი აიღებს იმ დანას, რომლითაც მან მხატვარი ბეზილ ჰოლუორდი მოკლა, და სურათს გამეტებით ჩასცემს.

როცა მსახურებმა კარი შეამტვრიეს და ოთახში შეცვივდნენ, თვალწინ საოცარი სანახაობა წარმოუდგათ: კედელზე ეკიდა მათი პატრონის პორტრეტი, სავსე მომაჯადოებელი მშვენიერებით და ახალგაზრდობით. იატაკზე კი ეგდო გულში დანაგარჭობილი ბერიკაცი, რომლის დაღრეჯილი, დამჭკნარ-დაღარული მახინჯი სახე იწვევდა ზიზღს.

სიმბოლიკის აზრი ცხადი და ნათელია. ადამიანმა სცადა წინაღდგომოდა ბუნების კანონზომიერე-

ბას. მის საპარისპიროდ შეენარჩუნებინა მარადიული ახალგაზრდობა. ამ სურვილმა დორიან გრეი ეგოიზმის უკიდურესი ფორმით ნარცისიზმით დააავადა. ამან იგი ბოროტმოქმედად გადააქცია. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა კი მხოლოდ თვითმკელელობით შეიძლებოდა.

დორიან გრეის სურვილი — არ დაბერდეს, შეინარჩუნოს მარადიული ახალგაზრდობა — გვახსენებს ქართულ ზღაპარს „მიწა თავისას მოითხოვს". ეს ზღაპარი ბუნებასა და ადამიანს შორის არსებულ კონფლიქტის არსის ამოცნობაში გვეხმარება.

ხელმწიფეს ერთი ვაჟი ჰყავდა. ისე ზრდიდა, არ უნდოდა სცოდნოდა — რა არის სიბერე და სიკვდილი. ერთხელ, უკვე დავაჟკაცებულმა, შემთხვევით ბერიკაცი დაინახა. გაოცებულმა იკითხა— ვინ არისო? იძულებული გახდნენ აეხსნათ: მოხუცია, ოდესღაც თქვენებრ ახალგაზრდა იყო. ახლა დაბერდა, ალბათ მალე მოკვდება და მიწას მიაბარებენო. არ ისურვა უფლისწულმა არც სიბერე და არც სიკვდილი. გადაწყვიტა, ისეთი ქვეყანა მოეძებნა, სადაც არც ერთი იცოდნენ და არც მეორე. იარა უფლისწულმა, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა, მაგრამ ვერც იმ ქვეყანას მიაგნო, სადაც სიბერე და სიკვდილი უცნობი იყო და ვერც ისეთი კაცი იპოვნა, ვინც ასეთ ქვეყანას მიასწავლიდა. ბოლოს, ძებნით დაღლილ-დაქანცულმა ხის ქვეშ ნინველი ქალი დაინახა. ვაჟსაც მოეწონა ქალი და ასულსაც — ვაჟი. ქალმა დედას სთხოვა — გაიგეს ეგ ყმაწვილი ვინ არის ან რა გასჭირვებიაო? ქალის

დედამ უფლისწული იხმო და ჰკითხა — რას დაეძებო. მეფის ძემ უპასუხა — ისეთი ქვეყანა მინდა ვიპოვნო, სადაც არ უწყიან, რა არისო სიბერე და სიკვდილი. ამის გამგონე ქალი დედას შეეხვეწა: აქციე ეს ჭაბუკი ანგელოსად და აღარ მოკვდებაო. დედა ჯერ უარზე იდგა — შეუძლებელია, მიწა თავისას მოითხოვს და მაგასაც სიკვდილი მოენატრებაო. არ მოეშვა ქალიშვილი. მაშინ ქალის დედამ უფლისწული გააფრთხილა — თუ შენი მიწა-წყალი არ მოგენატრება, გაქცევ ანგელოსად და აღარც დაბერდები და აღარც მოკვდებიო. ბიჭი დათანხმდა და უკვდავება მოიპოვა.

გამოხდა ხანი. უფლისწულს სამშობლო მოენატრა. გადაწყვიტა, მამის სამეფო ენახა. ბევრი უშალეს დედა-შვილმა, მაგრამ უფლისწულმა მაინც არ დათმო სურვილი და მამულის სანახავად წავიდა. ქალის დედამ სამი ვაშლი გაატანა და თან დააჩიგა: თუ სამივე ვაშლს უკან მოიტან, ისევ ახალგაზრდა დაბრუნდებიო. წავიდა უფლისწული და მამის სამეფოში მივიდა. სადღა იყო სამეფო. დროს ყველაფერი გაენადგურებინა. აღარც ხალხი იყო დარჩენილი და აღარც ცხოველ-ფრინველი. გულდაკოდილი უფლისწული უკან გამობრუნდა. დასევდიანებულსა და დადარდიანებულს გზაში ეშმაკი დაეწია და ერთი ვაშლი სთხოვა. მეფის ძემ ვერ გაუძლო ხვეწნას და მისცა ერთი ვაშლი. იგი უცბად დაბერდა. ცოტა ხნის მერე მეორე ვაშლიც გამოსტყუა ეშმაკმა. სულ დაჩაჩანაკდა უფლისწული. ასე მიხრწნილმა ბებერმა მიაღწია ქალის სამფლობელოს. ცოლმა

ვერც იცნო და გაკვირვებულმა იკითხა — ეს ბერიკაცი ვინ არისო. დედამ მიუგო: აკი გითხარი, მიწა თავისას მოითხოვს და მას ვერავინ გაუსხლტებამეთქი. მერე სიძეს მიუბრუნდა და მესამე ვაშლი მოიკითხა. სიტყვის უთქმელად გაუწოდა მესამე ვაშლი უფლისწულმა სიდედრს. ქალის დედამ ვაშლი გამოართვა და მეფის ძემ იქვე დალია სული.

თუ ზღაპრის ატრიბუტებს ჩამოვაცილებთ, დავინახავთ, რომ აქაც აუხდენელი სურვილია გამომჟღავნებული — არ დაბერდეს და არ მოკვდეს კაცი. ზღაპარშიც ბუნების საწინააღმდეგო სურვილად არის ეს მიჩნეული. ამიტომ უფლისწული მარცხდება. მიწა, ანუ ბუნება თავის კანონზომიერებას არ არღვევს.

ოსკარ უაილდის რომანსა და ქართულ ზღაპარს საერთო წყარო უნდა ჰქონდეს — „სიბრძნე ბალაჰვარისი". როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანი ხალხების ლიტერატურაში ბალავარიანი დიდად პოპულარული თხზულება იყო.

მეფე აბენესმა შვილი იოდასაფი აღსაზრდელად მიაბარა ზანდანს. თან დაავალა, რომ „ბერი კაცი, გინა სნეული არა ყოვლად უჩვენოს და არცა სიკვდილი უხსენოს". უნდოდა უფლისწული შვებით და სიხარულით გაზრდილიყო და არ განეცადა მწუხარება სიბერის, უძლურების თუ სიკვდილის გამო. მართლაც, ისე გახდა სრულწლოვანი იოდასაფი, რომ არ იცოდა, რა იყო სიბერე, უძლურება და სიკვდილი. დავაჟკაცებულმა მეფის ძემ, ქვეყნის გაცნობის მიზნით, გადაწყვიტა ქალაქგარეთ წასვლა.

მამის ნებართვა მიიღო და, ზანდან გამზრდელთან ერთად, ქვეყნის გაცნობას შეუდგა. ამაო გამოდგა აბენესის ზრუნვა. იოდასაფმა ნახა და შეიცნო სიბერეც, უძლურებაც და სიკვდილიც. ამან მწარედ დააფიქრა ყმაწვილი და იკითხა — არსებობს თუ არა ქვეყანა, სადაც არ იციან, რა არის ტანჯვა, უძლურება, სიბერე, სიკვდილი. ზანდანმა უპასუხა — არ არსებობსო ასეთი ქვეყანა. იოდასაფმა მოისურვა გაეგო — „რაი იქმნებიან კაცნი შემდგომად სიკვდილისა". ვერც ამ კითხვას უპასუხა გამზრდელმა, ოღონდ უთხრა: „მამის შენისა ფილოსოფოსნი ზოგნი მოკვდავად იტყვიან სულსა და ზოგნი უკვდავად". იოდასაფმა შესთხოვა ღმერთს — მომივლინე კაცი, ვინც ჭეშმარიტების გზას მასწავლისო. მაშინ ეახლა უფლისწულს ვაჭრად გადაცმული ბალაჰვარი და დაიწყო შეგონება.

ბალაჰვარის წყალობით, იოდასაფმა ჭეშმარიტების გზა ქრისტიანობაში ჰპოვა.

როცა ოსკარ უაილდი დორიან გრეის ათქმევინებს — კეთილი მინდა ვქმნაო — ნაწილობრივ უახლოვდება ბალავარიანის კონცეფციას, რაც ნ. ბარათაშვილმა ასე გამოთქვა — „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს". მაგრამ უაილდის საერთო დასკვნა მაინც განსხვავებულია. იგი უკვდავად ხელოვნების მშვენიერს მიიჩნევს.

„ბალაჰვარის სიბრძნისა" და ქართული ზღაპრის საფუძველზეა დაწერილი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „მშვენიერება". ამ ნოველის შინაარსიც გავიხსენოთ.

დედოფალ მაგდანას ერთადერთი შვილი ჰყავს— მზეჭაბუკი. არ უნდა დედოფალს უფლისწულმა იცოდეს, რა არის სიბერე და სიკვდილი, ისე გაიზარდა მზეჭაბუკი, არც ბებერი უნახავს და არც მიცვალებული. ერთ დღეს ნაღვლიანობა შეამჩნიეს უფლისწულს. დაინტერესდნენ და გაიგეს ნაღვლიანობის მიზეზი. უმამობას დარდობდა მზეჭაბუკი. დედა იძულებული გახდა ეთქვა შვილისათვის — მოკვდაო მამაშენი. მაგრამ უფლისწულმა ვერ გაიგო სიტყვა „მოკვდას“ აზრი. მაშინ დედამ განუმარტა: „სიკვდილი მოგვდგამსო ყველას. მტვრად ვიქცევითო ერთხელაც იქნება, რადგან მიწის ვალი მართებსო სულიერთაგან ყოველს“. დააფიქრა უფლისწული ამან და ისეთი ქვეყნის მოძებნა მოინდომა, სადაც არ ეცოდინებოდათ სიკვდილი. დატოვა თავისი საბრძანისი და უკვდავების საპოვნელად გაემგზავრა.

იარა უფლისწულმა. ვერ გაუძლო ამდენ სიარულს მისმა ცხენმა და გზაში მოკვდა. ცხოველის თვალებში დაინახა მზეჭაბუკმა სიკვდილი.

ისევ იარა. ქანცგაწყვეტილმა ხის ქვეშ შეისვენა. ბინულის წყალი დალია. წყაროში დაინახა, გასთეთრებოდა თმა-წვერი. და შეიცნო მზეჭაბუკმა სიბერე.

მაინც ჯიუტად დაეძებდა უკვდავების ქვეყანას. ბოლოს სამყაროს კიდეს მიადგა. ციდან ჩამოშვებული ოქროს ჯაჭვი შეამჩნია. აჰყვა მას. სპილოსძვლის სასახლეში შევიდა. მზეთუნახავი იჯდა ტახტზე. გაუღიმა ქალმა უფლისწულს და უთხრა —

„შენ თუ უკვდავებას ეძებდი, ჭაბუკო, ეს მე ვარო, — მშვენიერებაა ჩემი სახელი, რადგან ყველა ფერს, ყველა ხმას, ყოველივეს, ჩემს გარდა, წარხოცავს ჟამი“. შენც მოგანიჭებდიო უკვდავებას, მაგრამ ოდესმე სანატრელი გაგიხდებაო სიკვდილი. განცვიფრდა უფლისწული — როგორ მომენატრებაო სიკვდილი. მზეთუნახავმა განუმარტა: „სხეული შენი თიხისაგანაა შექმნილი და ამიტომაც ვალი გაწევსო დედამიწისა.“ მაინც ისურვა უკვდავება უფლისწულმა და დარჩა მშვენიერებასთან.

ათასი წელი გავიდა. მოენატრა მზეჭაბუკს მიწა და მამის ქვეყანა. სთხოვა მშვენიერებას გაშვება. მზეთუნახავმა გაიცინა და უთხრა: „მე ხომ მცოდნია, რა ძალა აქვს მიწას. წა, შე საცოდავო და ეწიე ყოველი კაცისა და ყოველი არსის უცილო ხვედრს“. თან ორი ყვავილი მისცა — წითელი და თეთრი. ასწავლა — თუ შენს საბრძანებელში მისულს კვლავ მოგინდეს სიცოცხლე, უსუნე წითელს, თუ სიკვდილი მოგესურვოს, დაყნოსე თეთრი.

მობრუნდა უფლისწული სამშობლო ქვეყანაში, მაგრამ აღარაფერი დახვდა მისი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის დროინდელი. შეცვლილიყო და გადასხვაფერებულიყო ყველაფერი. ენაც სხვანაირი გამხდარიყო და არავის ესმოდა, რას ამბობდა იგი. შეიცნო მზეჭაბუკმა ჟამის მუხანათობა და ცხოვრების ამაოება. ამოიოხრა, დაყნოსა თეთრი ყვავილი და განუტევა სული.

ოსკარ უაილდის რომანს, ქართულ ზღაპარს და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველას ერთი საერ-

თო ლაიტმოტივი აქვს — უბერებლობის სურვილი, მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნების წყურვილი.

სამივეს დასკვნაც ერთნაირი აქვს: ამგვარი სურვილი ბუნების კანონზომიერების საწინააღმდეგოა და მარცხისათვის არის განწირული. მართალია, „დორიან გრეის პორტრეტში“ აშკარად არ წერია — ადამიანს მიწის ვალი მართებს და უკან უნდა დაუბრუნოსო — როგორც ეს ქართულ ზღაპარსა და „მშვენიერებაშია“ პირდაპირ ნათქვამი, მაგრამ ბუნებრივად და თავისთავად იგულისხმება ეს მოტივი ინგლისელი მწერლის რომანში.

ოსკარ უაილდი და კონსტანტინე გამსახურდია ერთნაირად მიიჩნევენ, რომ უბერებელი და უკვდავი მხოლოდ მშვენიერებაა. ეს აზრიც ძველია. ლათინური ანდაზა ამბობს — Ars longa, vita brevis (გალაკტიონს ლექსიც აქვს ამ სათაურით). ამ აზრით რჩება დორიან გრეის პორტრეტი მარად მშვენიერი. ყველა სურათზე ადამიანის ცხოვრების რომელიღაც გაქვავებული წამია ფიქსირებული. რაკი იგი უმოძრაოა, ბუნებრივია, რომ უცვლელი რჩება. კ. გამსახურდიას სპილოსძვლის კოშკი და შიგ დასახლებული მზეთუნახავიც ხელოვნების მშვენიერია (ეს მოტივი ზღაპარში არ არის). ესეც უმოძრაობაა და გაქვავებაა. ასეთი უმოძრაობა-უცვლელობა ან სპილოსძვლის მურყვამში ყოფნა ადამიანს არ ძალუძს. იგი ემორჩილება ცვლილებისა და მოძრაობის კანონზომიერებას. ამდენად ამაოა უბერებლობისა და უკვდავებისათვის ბრძოლა. მაშინ რა-

ტომ არის ხალხურ ზღაპარ-თქმულებებში და პროფესიულ მწერლობაში უკვდავებისა თუ უბერებლობისათვის მებრძოლი ადამიანი ასახული? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, ბუნების კანონზომიერების დარღვევის კიდევ ერთი სახეობა გავიხსენოთ. ეს გახლავთ არაბუნებრივი ცოდნის, ყველაფრის წვდომის პრობლემა.

ბუნების კანონზომიერების ამგვარი სახით დარღვევა ვაჟას „გველის მჭამელშია" აღწერილი.

ყველას ჩინებულად ახსოვს, როგორ შეჭამა მინდიამ გველის ხორცი და შეიძინა ღვთაებრივი უნარი ჩაწვდეს ყველასა და ყველაფრის გულისთქმას.

რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.

მართალია, მინდიამ გველის ხორცი ჭამა, მაგრამ მის გულში ბოროტმა ფეხი ვერ მოიკიდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ სიბრძნე აჩვენეს გველად. ქაჯებთან ტყვედმყოფ მინდიას სიკვდილი უნდოდა. ამ მიზნით შეჭამა გველი, მაგრამ გამოვიდა სხვაგვარად. იგი ყოვლისმხილველი და ყოვლისმწვდომელი ბრძენი გახდა. მინდია მხოლოდ კეთილით ავლენს თავის არსს. ამ მხრივ მინდია სრულიად განსხვავდება დორიან გრეისა, ქართული ზღაპრის პერსონაჟისა და ძ. გამსახურდიას მზეჭაბუკისაგან. თუ დორიან გრეი აბსოლუტური ბოროტია (ზღაპრის პერსონაჟი და

მზეშაბუკი ბოროტებას არ აცლენენ, მაგრამ არც კეთილს ამჟღავნებენ), მინდია აბსოლუტური სიკეთეა. შეუძლია თუნდაც შუაზე გაკვეთილი განკურნოს. იცის, რომელი ყვავილი რისი წამალია. ესმის და გაეგება მცენარეების, ცხოველების, ფრინველების. იქცევა ისე, როგორც ამას მისი ცოდნა კარნახობს. მიუხედავად მხოლოდ კეთილისა, მინდიასი ბევრს მაინც არ სჯერა. საზოგადოებას არ სურს იმ წესით ცხოვრება, რასაც იგი ითხოვს.

მაგრამ ნაგრძნობსა გულითა
გონებით ჰშველენ ვერასა:
ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,
შეშით ანთებენ კერასა...
ქათმის ხორცს რა შეაძულებს,
თქვენვე მითხარით, მელასა?
ვინ ჩამოჯდება ღველფზედა,
თუ ზედ არ ჰხედვენ ძელასა?..

მინდიას ოჯახშიც კონფლიქტი აქვს. მზია ითხოვს ცხოვრებისათვის აუცილებელს — შეშას, ხორცს. მინდია ველარ უძლებს ოჯახისა და საზოგადოების მოთხოვნას და თანდათანობით ღალატობს თავის მრწამსს. მოჭრა ჭადარი, მოკლა ჯიხვი. ეს უშედეგოდ არ რჩება. ნელ-ნელა კარგავს ღვთაებრივ ცოდნას, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებს. გამწარებული მინდია ოჯახს ამუნათებს: თქვენს გამო დავკარგეო „უფლისგან მომადლებული დიდი ცოდნა და ძალია“. მინდიასაგან სიბრძნის დაკარგვა საბოლოოდ მაშინ გამჟღავნდა, როცა ლაშქარს უგუნური რჩევა მისცა — მტერს მოწამლულს ხე-

ეაში დავუხვდეთო. ყველა მიხვდა, რომ ეს გადაწყვეტილება საბედისწერო იყო, მაგრამ ფიცი მაინც არ გატეხეს და მინდიას დამორჩილდნენ. ცუდად წარიმართა ომის საქმე. დამარცხდნენ. დანაშაულის გამოსყიდვას მინდია თავგანწირული ბრძოლით ცდილობდა, მაგრამ ტყუილად. იგი თანამოლაშქრეებმა ბრძოლის ველს განარიდეს და მყუდრო ადგილას ხელფეხშეკრული დატოვეს. მაინც მოახერხა მინდიამ თავის განთავისუფლება და, როცა სოფელში ცეცხლი დაინახა, რაც დამარცხების მაუწყებელი იყო, თავი მოიკლა.

როგორც დორიან გრეი არის არაბუნებრივი სურვილის მსხვერპლი, ასევეა მინდია არაბუნებრივი ცოდნის ტარიგი. ამას კარგად ადასტურებს მინდიას ცოლის მზიას სიზმარი. ქალმა სიზმარში ნახა, მინდია წყალს მიჰქონდა. ცოლს ემუდარებოდა, ბალღებს მიმიხედეო. მერე წყალმა მზიაც წაიღო ბავშვებითურთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მითოლოგიაში წყალი სიბრძნის სიმბოლოა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ ძილიშორისით ქარაგმულად გაცხადებულია, როგორ გახდნენ მინდიაც, მზიაც და მათი შვილებიც, მერე მთელი სოფელი, აბსოლუტური ცოდნის ზვარაკი. მინდიამ ვერ გადალახა ის წინააღმდეგობა, რაც მის აბსოლუტურ ცოდნასა და სინამდვილეს შორის არსებობდა. დაარღვია ბუნების კანონზომიერება, მაგრამ ვერ შექმნა ახალი კანონზომიერება, რომელიც სხვებისთვისაც მისაღები ექნებოდა. ვაჟა ბრძანებს: „ნაგრძნობს გულითა, გონებით ჰშველენ ვერასა“. საზოგადოება მინდიას სი-

ბრძნეს მაშინ მიწვდებოდა გონებით, თუ ისიც აბსოლუტური ცოდნის მქონე გახდებოდა. მაგრამ გველისმჭამელი ერთი იყო და სხვებისათვის ამ საიდუმლოს კლიტე ედო. ამიტომ ურთიერთგაგების ყველა საფუძველი გამორიცხული იყო. მინდიას ტრაგედია მაშინ კი არ დაიწყო, როცა ცოდნა დაკარგა, არამედ მაშინ, როცა ცოდნა შეიძინა, რამეთუ მისი ცოდნა არაბუნებრივი თვისებისა იყო.

გველისმჭამელი კაცის, ანუ აბსოლუტური ცოდნის მფლობელი ადამიანის, ამბის ვარიაციაა კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდიაც“.

ტილები ესეოდა ხოგაის მინდიას და საშინლად იტანჯებოდა. სანადიროდ წასულ ხოგაის მინდიას, ერთხელ ღამით, ქვაბში ნადირთ ხელმწიფე ოჩონპინტე გამოეცხადა. ნადირთ ხელმწიფე ადამიანს საზღვარზე გადაყვანას და ტილებისაგან განთავისუფლებას დაჰპირდა. აუსრულა კიდეც. გუგულების ქვეყანაში მიიყვანა მინდია. თეთრი გველები აჭამეს იქ ხოგაის ძეს. ტილები დასცვივდა, ლანდიც დაჰკარგა და არაბუნებრივი სიბრძნეც შეიძინა (ლანდის დაკარგვა უკვდავებას ნიშნავს. ეს მოტივი ვაჟას არა აქვს, მაგრამ იგი იგულისხმება, რაკი მინდიას შუაზე გაკვეთილის განკურნებაც შეუძლია). შინმობრუნებულ მინდიას ყველასა და ყველაფრის ენა ესმოდა. მას არ უნდოდა არავის სიკვდილი. ჭიანჭველის მოკვლას გაურბოდა და კაცს როგორ გაიმეტებდა. მაგრამ დედა ტრადიციისამებრ მამის სისხლის აღებას ითხოვდა. ხოგაის მინდიაც ვერ აღუდგა წინ საზოგადოების კანონს. ჯიხვიც მოკლა

და ქისტების წინააღმდეგ ამხედრებულ თანასოფ-
ლელებსაც გაჰყვა. თუმცა კი უნდოდა უსისხლოდ
მოეგვარებინა საქმე. თანამებრძოლებს სთხოვა:
ორი კაცი გამაყოლეთ, ალდიძეს მოვიმხრობ და
დილით დოლაის ციხეს ავიღებთო. ალდიძე მინდიას
ძმადნაფიცი იყო ქისტეთში. თან მისი ქალი მზის-
ფერი ხადიშათ უყვარდა ხოგაის ძეს. ქისტურ სო-
ფელში მისულ სამ ხევსურს, თოვლიან ღამით, ალ-
დიძის კოშკი შეეშალათ და დოლაის მურყვამს მია-
დგნენ. სტუმრები დოლაის ქალმა აღაზამ მიიღო.
აღაზამ იცნო ისინი. კოშკის ზედა თვალში აიყვანა.
ჯერ აქ მოისვენეთ და ალდიძეც მალე მოვაო, მოა-
ტყუა ქალმა ხევსურები. ოთახიდან გავიდა და კარე-
ბი გარედან გადაკეტა. მაშინ მიხვდნენ შეცდომას
ხოგაის მინდია და მისი მხლებლები. დოლაის ციხი-
�
კან გაპარვა ჯერ დათვიამ სცადა, მერე — კვირიკემ.
კვირიკე მოკლეს, დაკრილმა დათვიამ მაინც მიაღ-
წია სოფლის გარეთ ჩასაფრებულ ხევსურებამდე
და ამცნო ყოველივე. დაიწყო ხევსურთა შეტევა.

ციხეში დარჩენილმა ხოგაის მინდიამ ბჭე შიგნი-
დან გადარაზა. დიდხანს ვერ შეამტვრიეს კარები
ქისტებმა. ბოლოს მაინც შელეწეს და ოთახში შე-
ცვივდნენ. პირველად შემოვარდნილ ქისტს ტყვია
შეაგება მინდიამ. როცა მოკლულს მუზარადი მოე-
ხადა, ხოგაის ძემ იცნო მზისფერი ხადიშათ. იგი
უკუიქცა და, როცა საკუთარ ლანდს მოჰკრა თვა-
ლი, სატევარი მარცხენა ძუძუში დარიცა.

„ხოგაის მინდიაში“ „გველის მჭაშელისაგან“ ბე-
ვრი განსხვავებული მოტივი და ეპიზოდია, მაგრამ

ერთნაირია ძირითადი ლაიტმოტივი — გველის ჭამით აბსოლუტური ცოდნის შეძენა, ანუ ბუნების კანონზომიერების დარღვევა. ამის გამო კონფლიქტი საზოგადოებასა და ოჯახთან. წინააღმდეგობა, მოუგვარებლობა და მრწამსის ღალატი, რის გამოც პროტაგონისტი თავს იკლავს.

„დორიან გრეის პორტრეტისა" და „გველის მჭამელის" შედარებისას სამი გარემოება იპყრობს ყურადღებას.

პირველი: თუ დორიან გრეის სურვილი შეგნებული ამბოხებაა ბუნების კანონზომიერების წინააღმდეგ, მინდიას ჯანყი უნებლიეა (მან ხომ თავის მოკვლის მიზნით ჭამა გველის ხორცი). მაგრამ მათი ცხოვრების დასასრული ერთნაირია. ორივე თვითმკვლელობით ამთავრებს არსებობას.

მეორე: თუ დორიან გრეი ნარცისიზმით არის დაავადებული, მინდია ალტრუისტია, მხოლოდ სხვათა ბედნიერებისთვის მზრუნველი. მაგრამ, მიუხედავად ამ ძირეული განსხვავებისა, ორივეს ცხოვრება მარცხით მთავრდება.

მესამე: როგორც დორიან გრეი, ისე მინდია ეთიშება საზოგადოებას. ვერც ერთი ვერ ახერხებს მოყვასთან ჰარმონიული კავშირის დამყარებას, თუმცა ერთი ბოროტს ემსახურება, მეორე — კეთილს. ისიც უნდა ითქვას, რომ მინდიას თვითგაუცხოება, თანამედროვე ცნებით თუ ვიტყვით, მიმდინარეობს შესაბამისად ფორმულისა — „სოფელსა შინა იყო და სოფელმან იგი ვერ იცნა" (იოანეს სახარება, 1, 10). მაგრამ ამ ფორმულის ძირითადი

ნაწილი — „სოფელი მის მიერ შეიქმნა“ — მინდიას არ ეხება, რამეთუ ვაჟა-ფშაველა ხატავს არა ღმერთს, არამედ უზენაესს ზიარებულ ადამიანს. ეს მოტივი ოსკარ უაილდს არ აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამაო ყოფილა უბერებლობისა და უკვდავებისათვის ბრძოლა. აღმოჩნდა, რომ ასეთივე ამაოებაა აბსოლუტური ცოდნის მიღწევაც. მაგრამ ადამიანი მაინც არ იშლის თავისას და მაინც იბრძვის ორივესათვის — უკვდავებისათვისაც და აბსოლუტური ცოდნისათვისაც. თუმცა საბოლოო ანგარიშით ორივე წადილი ერთი და იგივეა. თუ ადამიანი უკვდავებას მიაღწევს, აბსოლუტური ცოდნის მფლობელიც გახდება და პირიქით — თუ აბსოლუტურ ცოდნას დაეპატრონება, უკვდავებასაც მოიპოვებს. ასე რომ, მიუხედავად ნარცისიზმისა, დორიან გრეიში არის მინდია, და, მიუხედავად ალტრუიზმისა, მინდიაში ზის დორიან გრეი. მათი ცხოვრების შედეგის ერთნაირობა უპირველესად ამით არის გამოწვეული.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ყველა თავს იკლავს — დორიან გრეიც, „მშვენიერების“ პროტაგონისტიც, მინდიაც, ხოგაის ძეც და ქართული ზღაპრის პერსონაჟიც (მართალია, ეს აშკარად არ არის ნათქვამი, მაგრამ, როცა იგი უსიტყვოდ მისცემს მესამე ვაშლს ქალის დედას, ეს სიკვდილის ნებით მიღებაა). ამ მოვლენის აზრობრივი შინაარსის ამოცნობა რომ შევძლოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ უკვდავებისათვის ბრძოლამ, მისი მიღწევის სურვილმა წარმოშვა აღდგომის მითი, კვდომადი და

აღორძინებადი ღმერთის იდეა (დიონისე, ოზირისი, ქრისტე). აქედან მომდინარეობს ქართული სიტყვით — გარდაცვალება — გამოხატული აზრიც, სიკვდილის გააზრება არა როგორც გაქრობა-არარა-სებობა, არამედ, როგორც ყოფნის სახეცვლილება. ამდენად სიბერის ან სიკვდილის წინააღმდეგ ამხედრება არა მარტო ბუნების კანონზომიერების დარღვევაა, არამედ აღდგომის იდეის უარყოფაც. რამეთუ უკვდავება კვდომა-აღორძინებისაგან შედგება. ნებაყოფლობით სიკვდილის მოტივი ქრისტეს მითშიც არის. როცა იესო ჯვარს გააკრეს, ირგვლივ თავშეყრილი ბრბო დასცინოდა — თუ ქრისტეა, ღმერთის რჩეული, და სხვების ცხონება შეუძლია, გადაირჩინოს თავი. მაგრამ იესომ ყურად არ იღო ბრბოს მოთხოვნა. მან მხოლოდ უფალს მიმართა თხოვნით — გამიხსენე, როცა შენი სუფევით მოხვალო — და სიკვდილი ნებით მიიღო. ეს აუცილებელი იყო. აღსრულდა ფორმულა — სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი.

ამიტომ, როცა დორიან გრეი, მზეჭაბუკი, მინდია, ხოგაის ძე და ქართული ზღაპრის პერსონაჟი თვითმკვლელობით ამთავრებენ ცხოვრებას, ისინი ბუნების კანონზომიერებასაც აღიარებენ და აღდგომის იდეასაც. ეგუებიან დამარცხებას და უბრუნდებიან იმ სამყაროს, რომელსაც გაურბოდნენ. ისინი ამით მორჩილებას აცხადებენ, მაგრამ მკითხველი მაინც არის მათით მოხიბლული და მაინც მოსწონს მათი ჯანყი. არც მომავალში შეწყდება ამგვარი ამბოხება და ბუნების კანონზომიერების დარ-

ღვევა. ამიტომ არის ეს საკითხი მწერლობის მუდმივი პრობლემა. მაგრამ სად პოულობს დამარცხებული ადამიანი ხელახალი ბრძოლისათვის ძალას? საკუთარ თვისება-ბუნებაში.

როცა ბიბლიური თქმულება გვიამბობს, რომ ღმერთმა ადამიანი თიხისაგან (მიწისაგან) გამოძერწაო, აქ იგავური ენით მეცნიერული ცოდნის გარკვეული დონეა გამოვლენილი. მართლაც, დღეს მეცნიერება უდავოდ აღიარებს, რომ ადამიანის სხეულში არის ჟანგბადი, ნახშირბადი, წყალბადი, აზოტი, კალიუმი, ფოსფორი, გოგირდი, ნატრიუმი, მაგნიუმი, რკინა, იოდი, ქლორი, მარგანეცი და ა. შ. ეს ის ელემენტებია, რომელიც მიწაში მოიპოვება. გამოდის, რომ მართლაც ადამიანი მიწისაგან არის მოზელილი (დააკვირდით თქმას — მიწა ხარ და მიწად იქეც). ამიტომ ისიც ბუნებრივია, რომ მიწა ადამიანს ვალს სთხოვს და კაციც ვერ გაქცევია მას. მაგრამ ბიბლიურ თქმულებაში, ისევ იგავური ენით, მეცნიერული ცოდნის სხვა დონეც არის გამომჟღავნებული. მიწისაგან გამოძერწილ ადამიანს ღმერთმა ზეციერი სული შთაბერა. დღევანდელი მეცნიერება ამასაც ადასტურებს (მართალია, არაერთხმად, მაგრამ ბევრი აღიარებს), რომ ადამიანის ცნობიერება სცილდება მეცნიერების საზღვრებს და შეუძლებელია მისი ახსნა ფიზიკო-ქიმიური პროცესებით. მაშასადამე, ადამიანში არის ორი საწყისი — ბუნებისეული და მეტაბუნებისეული. ადამიანის მეტაბუნებისეული საწყისია ის, რაც ბუნებისეულ კანონზომიერებას ებრძვის. ამიტომ გვხიბლავს ჩვენ

მინდიასა თუ დორიან გრეის მეტაბუნებისეული საწყისი, რომელიც ერკინება ბუნების კანონზომიერებას. თუმცა მათი ბრძოლა არა მარტო გარემომცველ სამყაროსთან მიმდინარეობს, არამედ საკუთარ გაორებულ მე-სთანაც. თუ საზოგადოება ასე თუ ისე წვდება ბუნების კანონზომიერებას, მისთვის სრულიად უცნობია მეტაბუნების კანონზომიერება. ამიტომ ვერ უგებს საზოგადოება იმ ადამიანს, ვინც თუნდაც გუმანით იგრძნო მეტაბუნების კანონზომიერება. როცა დადგება დრო და საზოგადოება მეტაბუნების კანონზომიერების ცოდნას მეტნაკლებად შეიძენს, მაშინ მინდიას, დორიან გრეის და მათ მსგავსთა ცხოვრება მარცხით აღარ დამთავრდება. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ ბუნების კანონზომიერების შეცნობა და მიღება ადამიანს იმედით აღავსებს (ვაჟას — „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო...“). კიდევ მეტი ოპტიმიზმის საფუძველი გახდება მეტაბუნების კანონზომიერების შეცნობა-მიღება და გალაკტიონის შეძახილი — „ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“ — აღარ იქნება სასოწარკვეთილი ადამიანის აუხდენელი ოცნება.

1981 წ.

არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა

დანაშაული მოხდა.

პატიოსნებას გულისთქმამ სძლია და საფარ-ბეგმა („გამზრდელი“) ძიძიშვილის ცოლი გააუპატიურა.

სიყვარულის თავდავიწყებამ წაიღო და ონისემ („ხევისბერი გოჩა“) გუშაგის მოვალეობა დაივიწყა. მტერი შემოეპარა.

უცხო ტომის ქალი შეუყვარდა და ანდრი („ტარას ბულბა“) დუშმანის მხარეს გადავიდა. ესეც არ იკმარა: თავისიანებს მედგარი ბრძოლა გაუმართა.

ბავშვურ სულწასულებას ვერ მოერია და ფორტუნატომ („მატეო ფალკონე“) ბანდიტი ჯანეტო სანპიერო გასცა.

არც ხევისბერმა გოჩამ, არც ტარას ბულბამ, არც მატეო ფალკონემ შვილებს დანაშაული არ შეუნდეს და სიკვდილით დასაჯეს. მხოლოდ ჰაჯიუსუბი („გამზრდელი“) მოიქცა სხვანაირად: საფარ-ბეგის დანაშაული თავად ზღო — თავი მოიკლა.

თითოეულმა მათგანმა — საფარ-ბეგმა, ონისემ, ანდრიმ, ფორტუნატომ — მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მკითხველი მაინც არ არის მათ მიმართ უარყოფითად განწყობილი, ებრალება ისინი და მათდამი თანაგრძნობის ნაპერწკალიც უღვივის გულში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ბუნებით პატიოსანი, კეთილი, გულწრფელი ადამიანები არიან. ისინი მზად არიან სიცოცხლის დათმობით

გამოისყიდონ დანაშაული. /მხოლოდ პატარა ფორ-
ტუნატო შედრკება სიკვდილის წინ. მამას შეევედ-
რება, ნუ მომკლავო, მაგრამ ეს სრულიად გასაგე-
ბია — ფორტუნატო ათი წლის ბიჭი იყო.

Ы საფარ-ბეგი, როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე
მიხვდა დანაშაულის მთელ სისაძაგლეს. როცა დი-
ლით მძინარე საფარ-ბეგი ბათუმ გააღვიძა, პირვე-
ლი, რამაც ბოროტმოქმედს გაუელვა თავში, იყო:

არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემს საქციელს სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?

ნაადრევი გამოდგა საფარ-ბეგის ცოდვილი სი-
ხარული. ბათუმ ყველაფერი იცოდა. თუმცა ძუძუ-
მტე სასიკვდილოდ არ გაიმეტა:

— არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია,
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...

ერთი შეხედვით, უმაღლესი ზნეობით აღჭურ-
ვილმა ბათუმ დაჯაბნა საფარ-ბეგი, მორალურად
გაანადგურა იგი. მაგრამ აკაკი წერეთელი გვიამ-
ბობს არა სინდისიანისა და უნამუსოს ბრძოლაზე,
არამედ ადამიანში აღორძინებული პატიოსნების
ტრაგედიას. საფარ-ბეგი ტოლს არ უდებს ბათუს:

...მართალი ხარ!
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვის ხელი!..

შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია..
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...
ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინდისი გამიმთელე!

აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი მშვინვიერი ღირსების კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენილი და მეორეს —არა. საფარ-ბეგმა გააცნობიერა თავისი დანაშაული და თავადვე გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი: მან არა მარტო ბათუს წინაშე დახარა თავი მორჩილად, არამედ — გამზრდელისაც. საფარმა ჰაჯი-უსუბს ალალად უამბო ყველაფერი, დაუმალავად და შეულამაზებლად.

მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზრდილი...

ასევე თავად აღიარა ონისემაც დანაშაული თემის სასამართლოს წინაშე. თუ ონისე გაჩუმდებოდა, სიმართლეს არ იტყოდა, დაისჯებოდა უდანაშაულო გუგუა. ამით კიდევ უფრო ცოდვილი გახდებოდა ონისეს სინდისი. იგი გამოუტყდა როგორც მამას, ისე საზოგადოებას.

„— შესდეგ, ხევისბერო. გუგუა მართალია! — დაიძახა ონისემ...

— სთქვი, რას ამბობდი?

— გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დას-

ჯით... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანეთის მოსისხლენი შევქმნილიყავით... ეგ მთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ.. მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა...“

ონისემ იცის, რაც ელის დანაშაულისათვის, მაგრამ მისთვის ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე.

არსებითად განსხვავდება ანდრი ბულბას საქციელი საფარ-ბეგისა და ონისეს ქმედებისაგან.

ანდრი ბულბა ბრძოლის დროს შეიპყრო მამამ. ანდრი პოლონელ ჰუსართა პოლკში იყო და კაზაკებს ებრძოდა. როცა ტარასმა შეამჩნია იგი, თავისიანებს სთხოვა, ტყეში შემოიტყუეთო. კაზაკმა გოლოკოპიტენკომ შეასრულა ტარასის დავალება. ის-ის იყო ანდრი გოლოკოპიტენკოს უნდა დასწეოდა, რომ ცხენის აღვირში უტაცა მამამ შვილს ხელი და გააჩერა. მამის დანახვაზე ანდრი გაფითრდა და აცახცახდა. ტარასმა ცხენიდან ჩამოსვლა უბრძანა. როგორც ბავშვი, მორჩილად ჩამოხტა იგი ცხენიდან და მკვდარ-ცოცხალი გაჩერდა ტარასის წინ. „იდექ, არ გაინძრე. მე გშობე, მევე უნდა მოგკლა!“ — თქვა ტარასმა, გადადგა ერთი ნაბიჯი უკან და მხრიდან თოფი გადმოიღო. ანდრის ნაცრისფერი დასდებოდა, ეტყობოდა, ჩუმად ტუჩებს ამოძრავებდა, ვიღაცის სახელს ახსენებდა, მაგრამ არ იყო იგი არც სამშობლოს, არც დედის, არც ძმების სახელი — არამედ ტურფა პოლონელი ქალისა.

დასცალა თოფი ტარასმა“ (ა. და ი. ახალშენიშვილების თარგმანი).

ანდრიმ უდრტვინველად მიიღო სასჯელი, მაგრამ არ განუცდია ღალატის გამო სინდისის ქენჯნა. დანაშაულის გაცნობიერება არ მომხდარა. ისევე როგორც ანდრის პოლონელი ქალი, ონისესაც თავდავიწყებით უყვარდა ძიძია. მაგრამ ხევისბერის შვილმა მაინც მოახერხა სიყვარულის ბანგისაგან განთავისუფლება. ანდრიმ ეს ვერ შეძლო. სიკვდილის წინ იგი მაინც მიჯნურობის მონა იყო.

სამივე პროტაგონისტი — საფარ-ბეგი, ონისე, ანდრი — პატიოსანი ადამიანია, მაგრამ ეს პატიოსნება სხვადასხვაგვარია.

საფარ-ბეგისა და ონისეს პატიოსნებას, მართალია, დანაშაულის თავიდან აცილება არ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ ძალუძს დანაშაულის გაცნობიერება, მონანიება და სასჯელის მიღებაც, თუნდ იგი სიკვდილიც იყოს.

ანდრი ბულბას პატიოსნება სხვაგვარად ფიქრობს: სიყვარულის ერთგულება უფრო მაღალ მოვალეობად მიაჩნია, ვიდრე — თანამოძმეებისა და თანამემამულეებისა. ანდრი არ ინანიებს თავის დანაშაულს. არც სასჯელს იღებს ნებაყოფლობით. ანდრი ბულბასთვის მამის სასჯელი გარდაუვალი აუცილებლობაა, რომლისგან თავის დაღწევა გამორიცხულია.

როცა აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გოგოლისა და პროსპერ მერიმეს პერსონაჟებს ვაკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანაშაული

არ უნდა მომხდარიყო, რამეთუ არც ერთს არ აკ-ლია არც პატიოსნება, არც ნებისყოფა, არც ვაჟკაცობა. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილებაა. მათი ხასიათის ღრმად შეცნობის დროს თანდათან გამოიკვეთება და გამომჟღავნდება მათი სულიერი სამყაროს ხარვეზი. ეს გახლავთ მორჩილება ვნებისადმი. საფარ-ბეგიც, ონისეც, ანდრიც ვნების მორჩილნი არიან, ფორტუნატო კი ბავშვური სიხარბის, უფრო სწორედ, სულწასულობის მსხვერპლია.

ეკაკი წერეთელი მაშინვე მიუთითებს და აღნიშნავს საფარ-ბეგის ხასიათის სუსტ მხარეს. საფარ-ბეგი მოსვლისთანავე ატყობინებს ბათუს, რა მიზნით ეწვია ძიძიშვილს სტუმრად და რატომ გადაწყვიტა მოიპაროს ალმასხიტ ინალიფას ცხენი. საფარ-ბეგს მზეთუნახავი ზია-ხანუმი შეჰყვარებია. მართალია, საფარი იცნობს ამ ქალის მზაკვარ ბუნებას, მაგრამ მის სილამაზეს ვერსად გაქცევია. საფარ-ბეგი ნანობს კიდეც ზია-ხანუმთან ურთიერთობას, მაგრამ სინანულს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, რადგან ვაჟი მთლიანად ემორჩილება ქალის ნება-სურვილს.

მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

ამ შემთხვევაში საფარი მთლად მართალს არ ამბობს. შეიძლება ეს გამოწვეულია იმით, რომ მან ზუსტად და მტკიცედ არ იცის, მართლა უყვარს თუ

არა ზია-ხანუმი. საფარ-ბეგი საერთოდ ვერ არის გულგრილი ქალის მშვენიერებისადმი, ამიტომ ვნება და სიყვარული ვერ განუსხვავებია ერთმანეთისაგან. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მარტო დარჩენილიყო ნაზიბროლასთან, რომ დავიწყებოდა სიყვარულიცა და მორდუობის ადათიც. ვნებით დაბრმავებულმა და ცნობაწართმეულმა არ დაინდო ძიძიშვილის ცოლი და ნამუსი ახადა მას.

საფარ-ბეგის საქციელს წარმართავს დაუოკებელი ვნება და არა სიყვარული.

ონისესა და ანდრის საქციელს კი აპირობებს სიყვარული, თუმცა ტრფობისადმი მათი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია.

ონისემ კარგად იცის, რომ არა აქვს ძიძიას სიყვარულის უფლება. ჯერ ერთი, ძიძია სხვისი ცოლია და, მეორეც, ონისე გუგუას ხელისმომკიდეა. ონისე ებრძვის გულში დაბუდებულ ტრფობას, ცდილობს გაექცეს, დაემალოს მას, მაგრამ ამაოდ. იგი ვერ ამართლებს მამის დარიგებასაც — „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი... ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...“

ძიძიას სიყვარული ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა და ონისემ დანაშაული ჩაიდინა.

ასეთივე ყოვლისმომცველი და ძლიერია ანდრის სიყვარულიც. მასაც თავდავიწყებით უყვარს პოლონელი ვოევოდას ასული. როცა ანდრი ალყაშემორტყმულ დუბნოში შეიპარა და საყვარელი ქალის ოჯახს საზრდელი მიუტანა, უარი თქვა, უკან, კაზაკთა ბანაკში დაბრუნებულიყო. „სამშობლო ის

არის, რასაც სული დაეძებს, რაც ყველაზე მეტად შეგყვარებია. ჩემი სამშობლო შენ ხარ“, — უთხრა ანდრიმ ნანდაურს. საერთოდ, რომანის კონცეფციით, სიყვარული უძლეველ ძალად არის მიჩნეული. ერთ-ერთი პერსონაჟი, ებრაელი იანკელი, ტარას ბულბას ეუბნება — როცა კაცს ქალი შეუყვარდება, იგი დაემსგავსება წყალში დამბალ ლანჩას, როგორც გინდა ისე მოღუნავ. ანდრის დანაშაულიც ამით არის გამოწვეული.

თუ ამ სამ პროტაგონისტს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ მათ შორის ყველაზე ტრაგიკულია ონისე.

იგი საფარ-ბეგზე უფრო ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მას გულწრფელად და ალალად უყვარს ძიძია. ონისეს სიყვარული ნამდვილია. ამიტომაც ვერ დააღწია თავი ამ ტრფობას.

საფარ-ბეგს კი ბრმა ვნება წარმართავდა მაშინ, როცა ნაზიბროლა გააუპატიურა.

ონისე ანდრი ბულბაზე ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მოვალეობას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე პირად გრძნობას. თანამემამულეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულს მძაფრად განიცდის და მზად არის ყოველგვარი სასჯელის მისაღებად. ანდრი ბულბა კი პირად გრძნობას ამჯობინებს სამშობლოს. სრულიად არ განიცდის თანამემამულეთა წინაშე ჩადენილ დანაშაულს. თუ, ბოლოს და ბოლოს, ონისეში მოყვასის სიყვარული იმარჯვებს, ანდრი სიკვდილამდეს სიყვარულით გამოწვეული. ეგოიზმის ერთგული რჩება.

რა თქმა უნდა, პატარა ფორტუნატო ვნებათა ამ სიმძაფრემდე ვერ მიდის. იგი ბავშვური სულწასულობის მსხვერპლი ხდება. როცა მას სერჟანტი გამბა საათის ჩუქებას შეჰპირდა — თუ იგი იტყოდა, სად იმალებოდა ჯანეტო — ბიჭმა ცდუნებას ვერ გაუძლო და თივის ბულულში დამალული ბანდიტი გაყიდა. ამ დანაშაულის საფუძველი სიხარბეა. ფორტუნატოს სიხარბე გაუცნობიერებელია და, ამდენად, მისი დანაშაულიც უნებლიეა. სამაგიეროდ ასე არ არის „გამზრდელში". ზია-ხანუმის სიხარბე გაცნობიერებულია. იგი გადამდებია და შეიძლება სხვასაც უბიძგოს ბოროტებისაკენ. ასე დაემართა საფარ-ბეგს. ალმასხიტ ინალიფას ცხენის მოპარვა ნაკარნახევია ზია-ხანუმის სიხარბით. ქალის სიხარბეს საფარმა ვერაფერი დაუპირისპირა. პირიქით, მან ზია-ხანუმის გულის მოგება სცადა არა ქალის სიხარბის უარყოფით, არამედ მისი დაკმაყოფილებით. გაჩნდა დანაშაული. ჯერ შედარებით უბრალო — ცხენის მოპარვა და შემდეგ უკვე უპატიებელი — ძუძუმტის ცოლის გაბახება.

სიხარბეა „ხევისბერ გოჩაშიც" ბოროტმოქმედების საფუძველი. ამჯერად ფეოდალის გაუმაძღრობით ვლინდება იგი. ნუგზარ ერისთავს არ ჰყოფნის უკიდეგანო მამული და თავისუფალი ხევის დაპყრობაც სურს. მზად არის ძმა ძმას გადაჰკიდოს და მეზობელს მეზობლის სისხლი აღვრევინოს, რათა სიხარბე დაიკმაყოფილოს, მტერ-მოყვარე დააშინოს და ყველა დაიმორჩილოს. მართალია, ნუგზარ ერისთავის მასშტაბისა არ არის, მაგრამ ზია-ხანუმ-

საც ძალაუფლებისმოყვარეობა აწამებს. ამ ქალს იმიტომ არ მოსწონს ალმასხიტ ინალიფა, რომ იცის, „სხვებსავით ის იმას ვერ იმსახურებს“. რაკი ალმასხიტი არ გახდება ზია-ხანუმის სიხარბის მსახური, ამიტომ ქალი სხვებს აქეზებს მის წინააღმდეგ. ცხადად ჩანს, რომ ზია-ხანუმის სიხარბე ადამიანთა ურთიერთობის იმ სახეობას ცნობს, რომელსაც მორჩილება ეწოდება. ასევეა ნუგზარ ერისთავიც. ოღონდ მისი სიხარბე გაცილებით დიდია და ვრცელი. მას ვერ დააკმაყოფილებს ცალკეულ პირთა მორჩილება. ნუგზარის მადა მთელი ხალხის მორჩილებას ითხოვს.

ნუგზარის უსაზღვრო სიხარბემ გამოიწვია ძმათამკვლელი ომი. ომმა კი გაამეღავნა ყველა დამალული ტკივილი.

„ტარას ბულბაშიც“ სიხარბე ამოქმედებს კაზაკთა სპასაც. „აქ მუდამ ჰპოვებდნენ საქმეს ომის, ოქროს თასების, ძვირფასი ფარჩების, ბაჯაღლო ოქროებისა და სხვა დიდების მოყვარულნი, — ყველა, გარდა ქალის თაყვანისმცემლებისა, რადგანაც ქალი სეჩის გარეუბანშიც კი ვერ გაბედავდა გამოჩენას“, — წერს გოგოლი. მართალია, ნათქვამია ისიც, რომ მართლმადიდებლობას იცავდნენ, ურჯულოებს — თურქებსა და თათრებს — ებრძოდნენო, მაგრამ ეს რომანში რიტორიკული განცხადებაა. საქმით კი ომის დამწყები კაზაკები არიან, ტარას ბულბას თავკაცობით.

მშვიდობიანობაა, კაზაკებს არავინ ემუქრება. ასე არ მოსწონდა ტარასს. „ამიტომაც მუდამ იმის

ფიქრში იყო, როგორმე სეჩი სალაშქროდ აღეძრა, სადაც ყველას შეეძლებოდა თავისი რაინდობა დაემტკიცებინა, საომარი ნიჭი გამოეჩინა. ბოლოს, ერთ დღეს მივიდა ტარასი კოშევოისთან და უთხრა პირდაპირ:

— რაო, კოშევოი, განა დრო არ არის, გაინავარდონ საითმე ზაპოროჟიელებმა?

— საით მერე? — მიუგო კოშევოიმ, პირიდან პატარა ჩიბუხი გამოიღო და გვერდზე გააფურთხა.

— როგორ თუ საით? შეიძლება თურქებზე ან თათრებზე გავილაშქროთ.

— არ შეიძლება არც თურქებზე, არც თათრებზე, — უპასუხა კოშევოიმ და ისევ გულგრილად ჩაიდო პირში ჩიბუხი.

— როგორ თუ არ შეიძლება?

— ისე, სულთანს მშვიდობიანობის პირობა მივეცით.

—მერე ის ხომ ბუსურმანია: ღმერთიც და საღმრთო წერილიც გვიბრძანებს მათ ამოწყვეტას.

— უფლება არა გვაქვს. სარწმუნოებაზე რომ არ შეგვეფიცნა, იქნებ კიდევ მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა არ შეიძლება.

— როგორ თუ არ შეიძლება? როგორ ამბობ, უფლება არა გვაქვსო? აი, მე ორი შვილი მყავს, ორივე ახალგაზრდა. არც ერთი ჯერ ომში არ ყოფილა. შენ კი ამბობ: ვერსად წავალთ ზაპოროჟიელებიო.

— ჰოდა, ასე, არ შეიძლება.

— მაშ აგრე უქმად უნდა იყოს კაზაკის ძალ-ღო-

ნე მინებებული, რომ ძაღლივით გადიღრძოს კაცი და ერთი კეთილი საქმე არ გააკეთოს, სამშობლოსა და საქრისტიანოს არაფერი სარგებლობა არ მოუტანოს? (რბევა-აწიოკება ჰგონია ტარას ბულბას სამშობლოსა და ქრისტიანობის სამსახური — ა. ბ.). მაშ, თუ აგრეა, მითხარი, რაღადა ვცოცხლობთ, ხიცოცხლეს რა ეშმაკად ვაქნევთ?"

ამ კითხვას კოშევოიმ არ უპასუხა, მაგრამ ომის გაჩაღებაზე კი მტკიცე უარი მოახსენა. გაბოროტებულმა ტარასმა კაზაკები წააქეზა — ძველი კოშევოი გადავაყენოთ და ახალი დავსვათო. ასეც გააკეთეს.

„მეორე დღეს ტარას ბულბა უკვე მოელაპარაკა ახლადამორჩეულ კოშევოის, ზაპოროჟიელნი როგორ უნდა ამხედრებულიყვნენ და ვის წინააღმდეგ. კოშევოი ჭკვიანი და ეშმაკი კაზაკი იყო, მასთან ზაპოროჟიელთა ზნე-ხასიათის მეტად კარგად მცოდნე. „არა, ფიცის დარღვევა არ შეიძლებაო", უპასუხა პირველად ბულბას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: „არა უშავს რა, ვინძლო ფიცს არ დავარღვევთ, ისე რასმე მოვიმიზეზებთ; ოღონდ ხალხი შეიკრიბოს, მაგრამ ჩემი ბრძანებით კი არა, თავისით, — ეს თქვენ უკეთ იცით, როგორ მოახერხოთ, — მაშინ ჩვენც სტარშინებთან ერთად უცბათ იქ გავჩნდებით მოედანზე, ვითომ არა ვიცით რა".

კაზაკობა მოედანზე შეიკრიბა. დაიწყო სჯა-ბაასი. მზაკვრულად ხლართავდა საქმის ვითარებას კოშევოი. თან ხალხს მშვიდობისაკენ მოუწოდებდა, თან ომისაკენ აქეზებდა. ამ დროს ტანსაცმელშემო-

ფლეთილ კაზაკთა ერთი ჯგუფი გამოჩნდა. ამბავი მოიტანეს — შავ ღღეში ჩაცვივდნენო გეტმანშჩინაში კაზაკები.

თურმე ურიებს იჯარით აუღიათ საყდრები და ბუ წინასწარ ქრისტიანი ფულს არ გადაიხდის, წირვა-ლოცვას ვერ ჩაატარებს.

თურმე, თუ ურია პასქას ნიშანს არ დაასვამს, მისი კურთხევა არ შეიძლება.

თურმე ქსენძები ტარატაიკებით დადიან უკრაინაში და, ცხენების მაგიერ, შიგ მართლმადიდებელ ქრისტიანებს აბამენ.

თურმე ურიის ქალები ქვედა კაბებს მღვდლის ფილონებისაგან იკერავენ.

თურმე გეტმანი სპილენძის ქვაბში მოუხრაკავთ და პოლკოვნიკებს მისი ხელ-ფეხი ბაზრობაზე დააქვთ.

ეს მტკნარი სიცრუია ბრბოს ასაღელვებლად გამოგონილი. მაგრამ რაც ეშმაკურად მოიფიქრეს, ეშმაკურად განახორციელეს. კაზაკთა სპა ქალაქ დუბნოს შეესია.

როგორც ვხედავთ, თუ „ხევისბერ გოჩაში“ მოხევეები თავს იცავენ მოძალადისაგან, „ტარას ბულბაში“ კაზაკები თავად პირველნი ესხმიან თავს მშვიდობიან ქალაქს.

თუ ნუგზარ ერისთავის სიხარბე სამფლობელოს გაფართოების სურვილით ვლინდება, ტარას ბულბასა და მისი ამხანაგების სიხარბე დავლის, ალაფის შოვნით გამოიხატება, რაც გარეგნულად ვაჟკაცობის სახელით არის შენიღბული.

როგორც ცნობილია, სიხარბე მხოლოდ ადამიანის თვისებაა. ბუნება ამ გრძნობას არ იცნობს, მან იცის მხოლოდ აუცილებელი. ადამიანი კი ყოველთვის ცდილობს აუცილებელს მიუმატოს სიხარბე და სწორედ აქ ჩნდება დანაშაული.

ყოველი ადამიანის მშვინვიერ სამყაროში არსებობს კონფლიქტი აუცილებელსა და სიხარბეს შორის. თუ ადამიანმა მოახერხა და სძლია სიხარბეს, დაკმაყოფილდა აუცილებლით, მაშინ იგი იძენს სულიერ წონასწორობას, ერწყმის ბუნების ჰარმონიას და მონოლითურად მთლიანია. მან ამ გზით უკვე მოკვეთა ბოროტი და, ბუნებრივია, გაემიჯნა დანაშაულს. თუ აუცილებლისა და სიხარბის კონფლიქტის დროს ადამიანმა დაუთმო სიხარბეს, ვერ დაჯაბნა იგი, მაშინ ბოროტი იმარჯვებს და დანაშაულიც გარდაუვალია.

აკაკის „გამზრდელის" პერსონაჟს ბათუს იმიტომ აქვს შენდობის დიდი უნარი, რომ თავისუფალია სიხარბისა და ამაოების გრძნობისაგან. აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს მას:

ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი მისებრ დანაბადი?

როცა შინმობრუნებულმა ბათუმ შერცხვენილი და გაბახებული ცოლი ნახა, თავზარი დაეცა, მაგრამ ეყო სულის სიმტკიცე, ნუგეში ეცა გაუბედურებული ქალისათვის:

ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს
რას უჩივი, რათ ემდური?
გადააგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი.

შეიძლება ვინმემ გაიფიქროს (ყოველგვარი ზნეობის კაცი არსებობს ამქვეყნად), რომ ბათუ წინდაუხედავად მოიქცა, როცა მარტო დატოვა ნაზიბროლა და საფარ-ბეგი. ეს ფიქრი უსამართლო შეურაცხყოფა იქნება ბათუსი. ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი თვისება გამოამჟღავნა — ნდობა. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ თქმულება, რომელიც სწორედ იმ კუთხეშია შექმნილი, საიდანაც ნაზიბროლა იყო.

ერთ ბაბუას ბედაური ჰყოლია. მეორეს შესშურებია ეს და დაჭკვეხნია — ცხენი ჩემი იქნებაო. რანაირად — გაოცებულან ტრაბახის გამგონენი — იმ ბედაურს ვერც იყიდი და ვერც მოპარვას მოახერხებო. მაშინ შურიანს ხრიკი მოუგონია. შემოუხვევია ტანზე, დაუხოკავს სახე, ნაცემ-ნაგვემის გამომეტყველება მიუღია და იმ გზაზე გაწოლილა, სადაც ცხენის პატრონს უნდა გაევლო. მართლაც

გამოუვლია ჭაბუკს. დაუნახავს უბედურ დღეში ჩავარდნილი კაცი და მისაშველებლად გადმომხტარა ცხენიდან. შურიანს მოუსაწყლებია თავი: ვიგინდარები დამესხნენ, გამძარცვეს, მცემეს, ძლივს გადავრჩი. ვაგდივარ ასე უპატრონოდ, მშიერ-მწყურვალი, იქნებ მიშველო და მახლობელ სოფელში მიმიყვანოო. აუყვანია ყმაწვილს, მატყუარა ცხენზე შეუსვამს და თავად ფეხით გაძღოლია წინ. სწორედ ეს უნდოდა ცრუსაც. ჰკრა თურმე ცხენს დეზი და გაქუსლა. თან ნიშნის მოგებით შემოჰყივლა თურმე ჭაბუკს — ხომ წაგართვიო ცხენი. გაოგნებული ყმაწვილი ერთხანს ჩუმად მდგარა და მერე მატყუარასთვის უთხოვნია — გემუდარები, არავის უამბო, როგორ მომტაცე ცხენი, თორემ ადამიანი ნდობას დაკარგავს. ყველა ყველას ეჭვის თვალით შეხედავს და უნდობლობა ქვეყანას დააქცევსო.

ადამიანთა ურთიერთობა ნდობის თვინიერ წარმოუდგენელია. თუ ადამიანი ძუძუმტესაც არ ენდო, როგორღა იცხოვროს მან? ან საზოგადოება როგორღა იარსებებს უნდობლად? ნდობის თვინიერ ადამიანთა საზოგადოება ბაკში შერეკილ ჯოგს დაემსგავსება და თუ არ იფანტება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალტა მაღალი მესრით არის შემორაგული.

ლამპარივით წმინდა სიყვარულმა და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაბადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობა. ალ. ყაზბეგის ელგუჯასაც ლამპარივით წმინდა სიყვარული შველის შეუნდოს მზაღოს „დანაშაული“. მზაღომ ვერაფრით დაიხსნა თავი „ნაჩალნიკისაგან“. უფროს-

მა სძლია ულონო ქალს და ნამუსი ახადა. როცა განკურნებული ელგუჯა ისევ შეხვდა მზაღოს, ქალის პირველი სიტყვები იყო:

„ — დამნაშავე ვარ... თავი უნდა მომეკლა, მაგრამ შენი ნახვის სურვილმა შემიშალა ხელი...

ამ სიტყვებზე ელგუჯა ხანჯალს მისწვდა, მაგრამ თავი შეიკავა, ისევ დაიკრიფა გულ-ხელი და ისე შეეშმუხვნილი უყურებდა.

— მითხარ, რაი ამბავია?

მზაღო მოუყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ უღირდა.

— ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი აღარა ვარ?

— ბარემ, ბარემ მინდოდა, აგრე მეთქვა, მაგრამ რაი ვქნა, რომ მიყვარხარ, ჩემ თავზედ მეტად... მიყვარხარ... — ელგუჯამ ძალზედ მიიკრა გულზედ მზაღო და დაუწყო გაშმაგებით კოცნა“.

ბათუსა და ელგუჯას საქციელი თანაბრად დიდსულოვანია. მაგრამ ყოველთვის არ ძალუძს მამაკაცს ამგვარი დამოკიდებულების გამოჩენა. უფრო ხშირად მას ეჭვი აწამებს და ამჟღავნებს მშვინვიერ სიღატაკეს. ამგვარი სულიერი სიდუხჭირის გამოვლენა აქვს აღწერილი ალექსანდრე კუპრინს მოთხრობაში „ზღვის ავადმყოფობა“.

არც ელენე ტრავინა ყოფილა დამნაშავე. ისიც მოტყუებითა და ძალდატანებით დაამცირეს.

ელენე ტრავინა ოდესიდან იალტაში მიდიოდა გემით. ქალი ზღვის სენმა შეაწუხა. მგზავრებით გაჭედილ გემში მყუდრო ადგილისა და საწოლის

შოვნა ვერაფრით მოახერხა. იძულებული გახდა გემბანზე, სკამზე ჩამომჯდარს გაეტარებინა რამდენიმე საათი. როცა ეს შეამჩნია კაპიტნის თანაშემწემ, სულგრძელად შესთავაზა თავისი კაიუტა. კაპიტნის თანაშემწე იმ ღამეს მორიგე იყო და კაიუტა არ სჭირდებოდა. ელენეს არ უნდოდა იქ შესვლა, მაგრამ იმდენად უჭირდა ზღვის ავადმყოფობასთან ბრძოლა, რომ დასთანხმდა. კაპიტნის თანაშემწეს ბზაკვრული განზრახვა ედო თურმე გულში: როგორც კი ზღვის ავადმყოფობითა და მგზავრობით დაღლილ-დაქანცული ქალი კაიუტაში დაიგულა, შეუვარდა და გააუპატიურა.

უსაშველოდ აწამებდა ქალს მომხდარი ამბავი. შინდაბრუნებულმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ეთქვა თუ არა ქმრისათვის ყველაფერი. ბოლოს მაინც თქმა ამჯობინა და სერგეის უამბო, რაც შეემთხვა.

ქმარმა მშვიდად მოისმინა ნაამბობი. ცოლს მოუალერსა, ტკბილი სიტყვით ანუგეშა და გაუქარწყლა შიში და ტკივილი. მაგრამ სერგეის სიმშვიდე ცრუ და მოჩვენებითი აღმოჩნდა. იგი იტანჯებოდა. მთელი ღამე არ უძინია. უცბად ლოგინიდან წამოხტა და წამოიძახა: ბავშვი, ბავშვი რომ გაჩნდეს, ელენე? იქნებ ის მეზღვაური სნეულია? ალკოჰოლიზმი, სიფილისი? და კაცმა მოსვენება დაკარგა. იგი ეხვეწებოდა ცოლს ეთქვა, რომ ყველაფერი ტყუილია, მოგონილია, მსგავსი არაფერი მომხდარა, რომ ამ ნაამბობით ქმრის გამოცდა ეწადა. ელენე მიხვდა, რომ სერგეის არ ეყოფოდა მხნეო-

ბა, სამშვინველის სიმტკიცე, სულდიდობა, მიეტევებინა ცოლისათვის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა.

დილით ელენე ტრავინა სახლიდან გაიპარა. სერგეის დაუტოვა წერილი, რომლითაც ატყობინებდა ქმარს: ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. თუმცა შენ ერთადერთი მაძიებელი ხარ, რომელიც მიყვარდა. ნუ დამიწყებ ძებნას, ნუ შეეცდები შერიგებას. შენ იცი, რომ მე გადაწყვეტილებას არ შევცვლი. ხოლო წუხელ რაც გიამბე, ის სიცრუეა, მე გამოვიგონე.

ლევ ტოლსტოის უთქვამს: „ადამიანი იტანს მიწისძვრებს, ეპიდემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და ყოველგვარ სულიერ წამებათ, მაგრამ ყოველ ხანაში მისთვის ყველაზე უმწვავესი ტრაგედია იყო, არის და იქნება — საწოლი ოთახის ტრაგედია". ვისაც ძალუძს ამ ტრაგედიას შეგნებულად შეხედოს, ემოციას არ აჰყვეს და რუასით[1] განსაჯოს, მას აქვს პატიების ღვთაებრივი უნარი. ეს უნარი გამოავლინა ბათუმ ნაზიბროლას მიმართ, ელგუჯამ — მზაღოსადმი. სერგეის კი იგი არ აღმოაჩნდა.

ნაზიბროლა მსხვერპლი იყო და ამდენად, თითქოს, ბათუს შედარებით იოლად შეეძლო მისი გაგებაც და პატიებაც. მაგრამ ეს რომ ადვილი არ არის, მკაფიოდ ჩანს ელენე ტრავინასა და სერგეის მაგალითით. ელენეც მსხვერპლი იყო, მაგრამ მის ქმარს ამის მიხვედრის ნიჭი არ გააჩნდა. აშიტომ ბა-

[1] რუასი — გონი, ჭკუა.

თუს ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია. ეს სიღრმე მოჩვენებითი და ცრუ კი არ არის, არამედ ხამდვილი, რადგან ბათუმ საფარ-ბეგის დანაშაულიც ასევე ბოლომდე შეიცნო. ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა და არც საფარ-ბეგი დასაჯა, რაკი დაინახა, რომ დამნაშავე ალალად ნანობს დანაშაულს და ესმის მისი საქციელის არსი. საყურადღებოა ის, რომ ბათუ დანაშაულს არ ურიგდება. მას შეუძლია დააფასოს დამნაშავის მონანიება, შეუძლია შეუნდოს, რაკი იგი თავად მიხვდა, რაც გააკეთა. დანაშაულთან შეურიგებლობამ გამოიწვია ის, რომ ბათუმ საფარ-ბეგი გამზრდელთან გაგზავნა.

დანაშაული შეგნებულია. შენდობის აქტიც აღსრულებულია, მაგრამ საფარ-ბეგის ბედი მაინც არ არის გადაწყვეტილი. იგი მოვალეა, ეახლოს გამზრდელს და შეულამაზებლად უამბოს ყველაფერი. ასეც მოიქცა საფარ-ბეგი.

როცა ჰაჯი-უსუბმა ნაამბობი მოისმინა, მან ნათლად დაინახა, რომ დაირღვა მოყვასის მოყვასისადმი სიყვარულის ჰარმონია. იგი ისევ რომ აღდგეს, აუცილებელია სასჯელი, რაც დაუვიწყარ გაკვეთილად დარჩება არა მარტო საფარ-ბეგს, არამედ ყოველ ადამიანს. ამიტომ სასჯელი სამაგიეროს მიზღვა კი არ უნდა იყოს, არამედ ზნეობრიობის დემონსტრაცია. ცხადია, ჰაჯი-უსუბს შეეძლო დაესაჯა საფარი, მოეკლა იგი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სამაგიეროს გადახდა, ერთი დანაშაულის შეცვლა მეორეთი, ბოროტების მოკვეთა ბოროტებით. სას-

ჯელი მაშინ გახდებოდა ზნეობრივი აქტი, როცა იგი გამოიხატებოდა არა ახალი დანაშაულით, არა ძალადატანებით, არა ბოროტებით, არამედ იმის მაგალითის ჩვენებით, როგორი უნდა იყოს პატიოსანი ადამიანის დამოკიდებულება დანაშაულისადმი. ჭეშმარიტად პატიოსანია მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც მიაჩნია, რომ თავადაც აგებს პასუხს სხვისგან ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო.

ჩვეულებრივ, როცა ერთი ადამიანი სჩადის სიკეთეს, მას სხვებიც ეტმასნებიან და ყოველგვარად ცდილობენ ამა თუ იმ დოზით იყენენ მისი თანაზიარი. კეთილის თანაზიარობაზე არავინ ამბობს უარს, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი კეთილის ქმედებას წარმოიდგენს კოლექტიურად, ერთიან საზოგადოებრივ აქტად. ბოროტის, დანაშაულის მიმართ ეს გრძნობა არ არსებობს. ბოროტი და დანაშაული ყოველთვის გვინდა წარმოვიდგინოთ, როგორც ინდივიდუალური ქმედება, გავემიჯნოთ მას. ჩავთვალოთ, რომ დანაშაულს სჩადის ერთი, ინდივიდი, სხვა ყველა კი უმწიკვლო ვართ. მთლად ასე არ არის. როგორც კეთილს ვერ მოიმოქმედებს ადამიანი მარტოდმარტო და მას მოყვასის თანადგომა სჭირდება, ასევეა ბოროტიც. ვერც მას ჩაიდენს ინდივიდი მარტოდმარტო. მასაც სხვათა მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომ ბოროტების ქმედების თანაზიარი ყოველთვის არის საზოგადოება. მართალია, იურიდიულად სამართლის წინაშე ბოროტმოქმედი მარტო დგას, მაგრამ ზნეობრივი გასამართლების დროს, ინდივიდის გვერდით, საზო-

გადოებაც იგულისხმება. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პიროვნების პასუხისმგებლობას ამცირებს და შეღავათს აძლევს. მართალია კონსტანტინე გამსახურდია, როცა ამბობს — „არის რაღაც საშინელი მოირა იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი, ათასების ვარამი ერთმა უნდა იგრძნოს, ასეთი იყო მოსე, ასეთი იყო ბუდა, ასეთი იყო ქრისტე“ (გაზ. „ლომისი“, 1922 წ., № 3). რა თქმა უნდა, ყოველ პიროვნებას არ ძალუძს მოსეს, ბუდას ან ქრისტეს ძალა შეიძინოს, მაგრამ მათი ცეცხლის პაწია ნაპერწკალი მაინც უნდა უღვივოდეს სულში. სხვაგვარად პიროვნება ვერ იქნება. ვერ ზიდავს ზნეობრივი პასუხისმგებლობის ტვირთს. ამის შეგნება კი ყოველ ინდივიდს უნდა ჰქონდეს.

საფარ-ბეგის მონანიების დროს ჰაჯი-უსუბმა თავის თავი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია და, ერთი შეხედვით, უცნაური და მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა:

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!

და ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა. როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ ჰაჯი-უსუბს გამოჰქონდა არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი განაჩენი, გასაგები გახდება მისი საქციელის სიმართლე და სისწორე. როგორც ვნახეთ, საფარ-ბეგის დანაშაულის

საფუძველი ჰაჯი-უსუბმა თავის თავში მოძებნა. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რომ ჰაჯი-უსუბი საფარის გამზრდელი იყო, არამედ უფრო მეტად იმის შეგნებამ, რომ ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ერთის კეთილი მეორის კეთილიც არის და ერთის ბოროტი მეორის ბოროტიც არის.

ამრიგად, ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავისთავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი.

არც ხევისბერ გოჩას, არც ტარას ბულბას, არც მატეო ფალკონეს ეს უნარი არ გააჩნია.

ხევისბერმა დააყვედრა კიდეც შვილს — „მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებული, დედმამის საფლავიდგან ,ბმომგდებო!...“ ვერც თემის თხოვნამ — „შენს შვილს ხევი არ გაუყიდია. მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...“ — შეანელა გოჩას მძვინვარება. მამამ შვილი სატევრით განგმირა.

სრულიად გულგრილად, ისე, რომ ხელიც არ აკანკალებია, მოკლა შვილი ტარას ბულბამ. იგი დაჰყურებს მკვდარ ანდრის და ამბობს: „რით არ იქნებოდა კაზაკი?.. ტანი მაღალი, შავი წარბები, სახე ნაზი, კეთილშობილი, მკლავი მაგარი ბრძოლაში — და დაიღუპა! ძაღლივით უსახელოდ დაიღუპა!...“ ასე შვილზე კი არა, მტერზეც ვერ ილაპარაკებ. როცა ოსტაპმა ანდრის დამარხვა სთხოვა მა-

:მას, ტარასმა უპასუხა: „უჩვენოდაც დამარხავენ. ჭირისუფლები და ნუგეშისმცემელნი გამოუჩნდებიან!..“ მართალია, მერე ორიოდე წუთით კი დაფიქრდა — დაემარხა თუ არა შვილი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ვეღარ მოასწრო, რადგან მტერი უტევდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო.

როცა ანდრის ვადანაშაულებთ, ერთი რამ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ: იგი შეაძრწუნა და შესძრა კაზაკების მიერ ალყაშემორტყმულ დუბნოში ნახულმა სურათმა.

„ანდრის სუსტი კვნესა შემოესმა თითქოს. მიმოავლო თვალი და შეამჩნია, რომ მოედნის მეორე მხარეს ორი თუ სამი ადამიანი იწვა მიწაზე, თითქმის სრულებით უძრავად. უფრო მიაშტერა თვალი ანდრიმ და ყურადღებით დაუწყო ცქერა, რათა გაერჩია, ეძინათ თუ მკვდრები იყვნენ, რომ ამ დროს რაღაც რბილს ფეხი წამოჰკრა. ეს იყო ალბათ ურიის ქალის გვამი. ეტყობოდა, ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, თუმცა დაუძლურებულ და განაწამებ სახეზე ეს აღარ ემჩნეოდა. თავზე წითელი აბრეშუმის თავშალი ჰქონდა მოხვეული, ყურსაფარზე ორ რიგად უბრალო მძივი თუ მარგალიტი ჰქონდა შემოვლებული. ორი-სამი გრძელი ჩაწნული კულული გამხმარ, ძარღვებდაჭიმულ ყელზე გადმოშლოდა. გვერდით ეწვა ბავშვი, რომელსაც გამშრალ და გამხმარ ძუძუსათვის წაევლო ხელი და უნებური ბრაზით მთლად მოეგრიხა თითებით, რახან რძე ვერ ეპოვნა. ბავშვი ახლა აღარ ტიროდა, აღარც ყვიროდა, მხოლოდ ოდნავ მფეთქავ მუცელ-

ზელა შეატყობდა ადამიანი, რომ ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო. სულსა ლევდა. ქუჩებში რომ შეუხვიეს, აქ უცებ ვიღაც შეშლილი დახვდათ, რომელმაც დაინახა თუ არა ძვირფასი ტვირთი, სტაცა გაშმაგებულმა ხელი და შეჰყვირა „პურიო“. მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა. ჰკრა ხელი ანდრიმ და შეშლილი მიწაზე გაიშხლართა. შეებრალა ანდრის გიჟი და ერთი პური გადაუგდო, რომელსაც იგი მაშინვე ცოფიანი ძაღლივით ეცა. დაღრღნა, დაკბინა პური გიჟმა და დაკრუნჩხულმა საშინელი ტანჯვით იქვე ქუჩაში დალია სული, რადგანაც საჭმელს უკვე გადაჩვეული იყო. თითქმის ყოველ ნაბიჯზე შიმშილის უბედურ მსხვერპლთ ხვდებოდნენ. თითქოს ტანჯვა სახლში ვეღარ აუტანიათო, ბევრი ქუჩაში გამოსულიყო: იქნება მასაზრდოებელი რამ ჰაერმა მაინც მოგვივლინოსო. ერთი სახლის კართან ბებერი დედაკაცი მიმჯდარიყო, მაგრამ ვერავინ შეატყობდა — ეძინა, მომკვდარიყო თუ თავდავიწყებას მისცემოდა; სმენით სრულიად აღარა ესმოდა რა და ვეღარას ხედავდა. ჩაეკიდა თავი და იჯდა უძრავად. მეორე სახლის ჩარდახიდან თოკი იყო ჩამოშვებული და ზედ ჩამომხრჩვალი კაცის ჩამომჭკნარი გვამი ეკიდა: საბრალოს შიმშილით ტანჯვა ვეღარ აეტანა და თვითმკვლელობა ემჯობინებინა. შიმშილობის ასეთი საზარლობა რომ ნახა, ვეღარ მოითმინა ანდრიმ და დაეკითხა თათრის ქალს:

— ნუთუ ვეღარაფრით მოახერხეთ თავის გატანა? კაცს რომ მეტისმეტად გაუჭირდება, ყველაფერი უნდა ჭამოს, რასაც წინათ იზიზღებდა, —

შეუძლია სჯულით აკრძალული ცხოველებიც კი ჭამოს; ერთი სიტყვით, ყველაფერი გამოიყენოს საზრდოდ.

— ყველაფერი შევჭამეთ, — უპასუხა თათრის ქალმა, — ვერაფერ ცხოველს, ვერც ცხენს, ვერც ძაღლს, ვერც თაგვს აქ ვეღარ იპოვით".

ასეთსავე საზარელ მდგომარეობაშია ანდრის საატრფოს ოჯახიც.

ერთი მხრივ, ამ მძიმე მდგომარეობამ და მეორე მხრივ, პოლონელი ქალის სიყვარულმა ანდრი დააბნია. თავგზადაკარგულმა ჭაბუკმა საბედისწერო ნაბიჯი გადადგა: თავისიანების წინააღმდეგ აღმართა მახვილი.

ტარას ბულბას კი არაფრის მხედველობაში მიღება არ სურს — არც იმის, რომ კაზაკები თავად იყვნენ თავდამსხმელნი, არც იმის, რომ ქალაქი საშიმშილოდ გაწირეს და იქ ჯოჯოხეთური პირობები შექმნეს, არც იმისა, რომ ანდრიმ დამშეული ადამიანები იხსნა.

ანდრი თავისი საქციელით უფრო კეთილშობილია, ვიდრე ტარასი. ტარასისათვის სრულიად უცნობია ადამიანის სამშვინველის რთული მოძრაობა. იგი კაზაკობის ბრმა ერთგულია და სხვისგანაც ამას მოითხოვს. ტარასის სჯერა, რომ, ვინც ამ ერთგულებას უღალატებს, იგი სიკვდილის ღირსია. შვილსაც ამიტომ კლავს.

არც მატეო ფალკონე უწევს ანგარიშს გარემოებას. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ფორტუნატო ბავშვია, რომ ბალღი იოლ

ლად გააბრიყვა გამოცდილმა და გაქნილმა ჟანდარ-
მმა. არც შვილის ვედრებამ იმოქმედა მატეო ფალ-
კონეზე. მან სრულიად მშვიდად მოკლა ფორტუნა-
ტო და ასევე აუღელვებლად უთხრა ცოლს —
„...ახლავე დავასაფლავებ, მოკვდა, როგორც ქრის-
ტიანი, მღვდელს ვაწირვინებ. ჩვენს სიძეს ტეო-
დორო ბინკის უნდა შევუთვალოთ, ჩვენთან გადმო-
ვიდეს საცხოვრებლად“ (გ. ქიქოძის თარგმანი).

შვილის მოკვლა მამის მიერ, რა პირობებშიც
უნდა მოხდეს ეს, ანტიბუნებრივი მოვლენაა. ამ-
გვარი პათოლოგიური შემთხვევა აღწერეს გო-
გოლმა, პროსპერ მერიმემ, ალ. ყაზბეგმა. თუმცა
ყაზბეგი უფრო დამაჯერებლად ხატავს მამის მიერ
შვილის მკვლელობის სურათს. ჯერ ერთი, ხევის-
ბერი აფექტის დროს კლავს ონისეს. ე. ი. გოჩას საქ-
ციელი ირაციონალურია. ტარას ბულბასა და მატეო
ფალკონეს ქმედება კი ცნობიერია. ისინი ამას წი-
ნასწარმოფიქრებულად აკეთებენ. მეორეც, რო-
გორც კი ხევისბერმა გააცნობიერა, რაც ჩაიდინა,
იგი გაგიჟდა. ბუნებრივია, ჩადენილი აქტის სივე-
ლურე თავზარდამცემია და ვერც ერთი ნორმალუ-
რი გონება ვერ გაუძლებს მას.

თუ ზნეობრიობის თვალსაზრისით შევხედავთ
ალ. ყაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწე-
რილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსე-
ბობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ
შვილის მოკვლაა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა).
„მაგრამ ხევისბერმა გოჩამ ზღო ეს დანაშაული, გა-
მოწვეული ელდის დაცემით. მან გონება დაკარგა,

თავადვე შეიქმნა თავისივე საქციელის მსხვერპლი. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილებისადმი თანაგრძნობის მისხალიც კი არ აღმოჩნდა.

ძველი აღთქმის დაბადების წიგნში (თავი 22) ნაამბობია: აბრაამს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა—წაიყვანე შვილი შენი ისააკი მაღალ ქვეყანას და შესწირე მსხვერპლად უფალს. ადგა ადრე დილით აბრაამი, დააპო შეშა, შეკაზმა სახედარი, იახლა ორი მონა და, ისააკთან ერთად, გაემართა ღმერთის მითითებულ ადგილისაკენ. მესამე დღეს დაინახა აბრაამმა ადგილი, რომელიც უჩვენეს. იქვე დატოვა მონები და ვირი. დაუბარა მათ: წავალთ მე და ისააკი, თაყვანს ვცემთ და დავბრუნდებით. წაიღეს შეშა, ცეცხლი და დანა. ბიჭმა იკითხა -- გვაქვს შეშა და ცეცხლი, მაგრამ სად არის სამსხვერპლო ცხვარი? მამამ უპასუხა: ღმერთმა თავად უწყის რომელია ტარიგი. მივიდნენ მინიშნებულ ადგილას. აბრაამმა გააკეთა საკურთხეველი, დააწყო ზედ შეშა, შეკრა ისააკი და დააწვინა სამსხვერპლოდ. აღმართა დანა შვილის დასაკლავად, მაგრამ უფლის ანგელოსმა მოუწოდა აბრაამს — ნუ მოკლავ ჭაბუკს. ვხედავ, როგორ გშინებია ღმერთის, რაკი არ შეიბრალე ერთადერთი ძეც. აღაპყრო თვალნი აბრაამმა და უკან დაინახა ვერძი, ჯაგნარში რქებით გაბმული. დაიჭირა იგი, შესწირა ღმერთს შვილის მაგიერ და უწოდა იმ ადგილს იეჰოვა-ირე, რაც ნიშნავს „უფალმა იხილა“.

ანდა ბერძნულ მითს დავაკვირდეთ.

ამბავი მაშინ მოხდა, როცა ბერძნები ტროაში მიდიოდნენ საომრად. ელინთა სარდალმა აგამემნონმა შველს ისარი ესროლა. შველი თურმე ქალღმერთ არტემიდეს ეკუთვნოდა. ატრევსის ძის თავხედობამ განარისხა ქალღმერთი. მან პირქარი მოუვლინა ბერძენთა ხომალდებსა და ტროასკენ წასვლის საშუალება მოუსპო. აგამემნონი იძულებული გახდა შეეედრებოდა არტემიდეს და საშინელი ფიცი მიეცა. იუ ზურგქარს მოგვივლენ და ომშიაც დაგვეხმარები, ღვიძლ ქალიშვილს იფიგენიას შემოგწირავო ზვარაკად. მამამ ავლიდში ჩამოიტყუა შვილი დაპირებით — აქილევსს უნდა გაგაყოლოო ცოლად. გათხოვების მაგიერ, აგამემნონმა არტემიდეს ბაგინზე გაგზავნა შვილი მსხვერპლად, მაგრამ ქალღმერთს შეებრალა უმანკო ასული და საკურთხეველზე შველით შეცვალა იგი. მერე იფიგენია ტავრიდში წაიყვანა ქალღმერთმა და ქურუმად გახადა.

სხვათა შორის, პომპეიში არსებობდა ანტიკური ფრესკო (ამჟამად ნეაპოლის ეროვნულ მუზეუმშია გადატანილი), რომელზეც ასახულია იფიგენიას ზვარაკად მიყვანა. იფიგენია ორ მონას უჭირავს ხელში და ბაგინისაკენ მიჰყავთ. მოშორებით, შვილისაკენ ზურგშექცეული დგას აგამემნონი. მას ხელი აქვს თვალზე აფარებული და სახე არ უჩანს. სპეციალისტები ამბობენ, რომ აგამემნონის ამგვარი გამოსახვა მხატვრის დიდ ნიჭიერებას მეტყველებსო. არავის ძალუძს გვიჩვენოს დამაჯერებლად მამის ტანჯვა, როცა იგი შვილის სიკვდილს უყურებს

(მით უმეტეს, მკვლელობას). ამიტომ როგორც უნდა დაეხატა მხატვარს აგამემნონის სახე, მაინც უკმარობის გრძნობას დაუტოვებდაო მაყურებელს. ახლა კი, როცა მის სახესა და თვალებს მნახველი ვერ ხედავს, თავად შეძლებისამებრ შეუძლია წარმოიდგინოს მამის ტანჯვა.

ალბათ, ამიტომ არის, რომ ყაზბეგმაც, გოგოლმაც, მერიმემაც მამების საქციელი აღწერეს, მაგრამ არ გადმოუციათ მათი სულის მოძრაობა შვილების მკვლელობის დროს. არც ერთი მათგანი არ შეეჭიდა შეუძლებელს.

დღესავით ნათელია ორივე მითის აზრი: მამის მიერ შვილის მოკვლა ღმერთისათვის არასასურველი საქციელია. არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ ისააკი და იფიგენია უდანაშაულონი იყვნენ. მართალია, ეს თითქოს აძლიერებს მამების ულმობელობას, მაგრამ ახლა ხომ იმის გამო არ ვმსჯელობთ — რომელი მამა უფრო შეუბრალებელია, ის, ვინც უდანაშულო შვილს იმეტებს მსხვერპლად, თუ ის, ვინც დამნაშავე შვილს ჰკლავს. უმთავრესად ის მიმაჩნია, რომ შვილის მოკვლით მამა არსებითად თვითმკვლელობას სჩადის, რამეთუ ანადგურებს საკუთარ მომავალს. ეს ნათლად იხატება ალ. ყაზბეგის მოთხრობაში, როცა ონისეს მოკვლის შემდეგ გოჩა გიჟდება. მართალია, „ტარას ბულბასა“ და „მატეო ფალკონეში“ მომავლის განადგურების მოტივი უშუალოდ არ ვლინდება, მაგრამ თავისთავად იგულისხმება. ტარას ბულბა მტრებს რომ არ დაეწვათ, სულერთია მაინც ძირ-

ამოგდებული, უმომავლო კაცია. იგი ქვეცნობიერად გრძნობს ამას, როცა ყველა ღონეს ხმარობს იხსნას მეორე შვილი. ასევეა დაქცეული მატეო ფალკონეს მომავალი. იგი იძულებულია ხეს ეზოუხმოს, ოჯახი რომ ჩააბაროს.

ამრიგად, მამამ, რომელმაც შვილი მოკლა, არსებითად ჩაიდინა თვითმკვლელობა (ე. ი. გაიმეორა ჰაჯი-უსუბის საქციელი), მოისპო მომავალი, დაარღვია ბუნების კანონი (მამა უნდა მოკვდეს, შვილი დარჩეს) და გაწყვიტა დროთა კავშირი.

ლიტერატურაში ამ პრობლემას ეწოდება ანტიდაბადება ან არსებობის მარადისობის დარღვევა.

ბაკაკი წერეთლის გამზრდელი სჯის დანაშაულს, მაგრამ არ არღვევს არსებობის მარადისობის კანონს. წარსულის სახელით არ ჰკლავს მომავალს.

თუ შვილების მიმართ ასე დაუნდობელი არიან ტარას ბულბა და მატეო ფალკონე, როგორიღა იქნება მათი დამოკიდებულება საერთოდ მოყვასისადმი?

მათ ქმედებას შეუბრალებლობა და დაუნდობლობა წარმართავს და არა სიყვარული. ორივე სრული უარყოფაა ზნეობრივი პრინციპისა — „უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმა მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“. უცოდველი კაცი კი ამქვეყნად არ არსებობს. გაიხსენეთ სახარების იგავი. ხალხს ერთი დედაკაცი შეეპყრო. ამ ქალს მრუშება ედებოდა ბრალად. იგი იესოს მიჰგვარეს და უთხრეს: მოძღვარო, ეს ქალი მეძავია. მოსეს სჯულის თანახმად

იგი ქვით უნდა ჩაიქოლოს. რას იტყვით? იესომ თავი ჩაქინდრა. იგი თითით მიწაზე რაღაცას წერდა და დუმდა. მერე თავი ასწია და ხალხს უთხრა: თქვენს შორის ვინც უცოდველია, პირველად მან ესროლოს ამ დედაკაცს ქვა. და ისევ ჩაღუნა თავი. არავინ აღმოჩნდა უცოდველი. ყველა ჩუმად გაიპარა. დარჩნენ მარტონი ქრისტე და ქალი იგი. როცა იესომ ისევ ასწია თავი, მიმოიხედა და ვერავინ იხილა, ჰკითხა მან მეძავს: სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ? დედაკაცმა მიუგო: არავინ, უფალო. მაშინ იესომ ეს თქვა: არც მე განგიკითხავ შენ. წარვედ და ამიერიდან ნუღარა სცოდავ (იოანე, VIII, 3—11).

თუ უფალიც კი ცდილობს არ განიკითხოს ცოდვილი, კაცს ვინ მისცა ამის უფლება? მაგრამ უსაზღვროა ადამიანის ამპარტავნება და მუდამ ცდილობს სხვათა მსაჯულის როლი იკისროს. ეს ხშირად ხდება დანაშაულის საფუძველი.

როგორც ონისეს მოკვლა არის ხევისბერის დასჯაც, ასევე იქნებოდა ჰაჯი-უსუბის დასჯაც საფარ-ბეგის მოკვლა. ამიტომაც ამჯობინა გამზრდელმა თვითმკვლელობა. ბაკაკი წერეთელი აქ ქრისტიანული მითის მოდელს იმეორებს. ადამიანთა ცოდვის გამოსყიდვის მიზნით ძე ღმერთმა თავი გაწირა — ჯვარს ეცვა. საკუთარი სისხლითა და ხორცით ზღო სხვათა დანაშაული. ასევე საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდა ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგის დანაშაული. შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა აორკეცებს საფარ-ბეგის დანა-

შაულს. ეს თვითმკვლელობა საფარ-ბეგის სამშვინ-ველის განწმენდას იწვევს. კაცი, რომელსაც დანა-შაულის გაცნობიერება შეუძლია, ვერ დარჩება გულგრილი ჰაჯი-უსუბის საქციელისადმი. საფარ-ბეგს კი დანაშაულის გაცნობიერება ძალუძს. ამას მოწმობს ისიც, რომ იგი სასიკვდილოდ გამზადე-ბული, თავდახრილი იდგა ბათუს წინაშე და ისიც, რომ გამოცხადდა გამზრდელთან და თავად უამბო ყველაფერი. ასეთი ადამიანი ჰაჯი-უსუბის სიკვდი-ლის მერე სხვანაირად და სხვა ზნეობით იცხოვ-რებს. ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ — სიკვდილშიაც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე ალბათ ცხოვრებით. წარსულმა (ჰაჯი-უსუბმა) მომავალს (საფარ-ბეგს) პატიოსანი არსე-ბობის უკვდავი გაკვეთილი მისცა.

ამ მოდელს დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ვლინ-დება, რა პრინციპით ცხოვრობს ადამიანი — და-ნაშაულის გამოსყიდვისა თუ შურისგების? ცალ-კეული პიროვნება იქნება თუ მთელი საზოგადოება არ შეიძლება ცხოვრობდეს შურისგების პრინცი-პით. ასეთი პიროვნება და საზოგადოება უმო-მავლოა. დანაშაულის შენდობა-პატიებისა და გამოსყიდვის პრინციპი კი მეტყველებს მოყვასის სიყვარულზე. სიყვარულით შედუღაბებული საზო-გადოება კი მტკიცეა და მომავალიანი.

„გამზრდელის“ პერსონაჟებისათვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძ-

ლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატიებითაც (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი). შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება. როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი. ამიტომ ჰაჯი-უსუბის ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხევისბერის, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონესი.

1981 წ.

სა ი თ ?

„ხელოვნებაში სულ უფრო მძლავრობს ირონიული ყღერადობა, რაც საფუძველს აცლის რომანტიზმის მაღალ პოეტიკას, ტრადიციის ძალით ეგზომ განმტკიცებულს.

ირონიის სული განსაკუთრებული სიცხადით ლირიკაში იგრძნობა. „ზეშთაგონებული“ პოეტის, მგოსნის გვერდით ადგილს იკავებს პოეტი-არლეკინი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის თავისი უფლებების გამართლებისა და განმტკიცებისათვის. პოეტს თითქოს მოსწყინდა სიტყვათა მაგიის ძიება და ახლა მთელი გატაცებით „თამაშობს“, იცინის და გვაცინებს, იმ ღრმა რწმენით აღსავსე, რომ ჭეშმარიტება სილამაზეში კი არა, — სიცილშია. ჰაძლეტს მეტისმეტად გაუჭიანურდა „ყოფნა-არყოფნის“ დილემის გადაწყვეტა და სცენა დატოვა. მისი

ადგილი ხუმარამ დაიკავა, რომელიც „ბრძენისაგან“ ერთი ნიშნით განსხვავდება — ჭეშმარიტებას სიცილით ამბობს“.

ასე წერდა ირაკლი კენჭოშვილი წერილში „ჭეშმარიტება სიცილშია“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1981 წ. 25 დეკემბერი).

ფაქტის კონსტატაციას ვიზიარებ და სადავო არაფერი მაქვს, მაგრამ ერთი კითხვა მაწუხებს და მაშინებს — როგორი ჭეშმარიტებაა სიცილში?

პასუხად ერთი აღმოსავლური თქმულება მახსენდება.

რომელიღაც დამპყრობელს, მგონი თემურლენგს, სოფელში ხარკის ასაკრეფად ჩაფრები გაუგზავნია. იმათაც დავალება ზუსტად შეუსრულებიათ და ნაძარცვ-ნადავლით დატვირთული ბრძანებელთან გამოცხადებულან.

— როცა სოფელს ტოვებდით, იქაურები რას შვრებოდნენ? — უკითხავს ხელმწიფეს.

— სოფლელები ტიროდნენო, — მიუგიათ ჩაფრებს.

— ოო, ეს იმის ნიშანია, რომ სოფელში კიდევ დარჩენიათ საყოლელი და საქონელი. ახლავე უკან გაბრუნდით და, რაც გადაუმალავთ, წაართვით და მომიტანეთო, — უბრძანებია უკმაყოფილო დამპყრობელს.

ისევ შესევიან ჩაფრები სოფელს. ისევ გაუძარცვავთ იქაურობა. ახალი ალაფით დახუნძლული მობრუნებულან უკან.

— ახლა რაღას აკეთებდნენო?

— ისევ ტიროდნენო...

— მაინც ვერ გაგიყვლეფიათ ბოლომდე. ისევ შერჩენიათ ქონება. მოძებნეთ ის გადანახული და მომართვითო... — განრისხებულა კოჭლი თემური.

მესამედ მიბრუნებულან ჩაფრები სოფელში. ძირის ძირამდე მოუჩხრეკიათ კუთხე-კუნჭული. ძაფიც აღარ დაუტოვებიათ, ყველაფერი წამოუღიათ.

— როგორ არიან, რას შვრებიანო, — დაინტერესებულა მბრძანებელი.

— მთელი სოფელი სიცილით კვდებოდაო, — უპასუხებიათ გაკვირვებულ ჩაფრებს.

— მაშასადამე, ახლა მართლაც აღარაფერი შერჩენიათ, კუდის რიკამდე გაგიტყავებიათო, — უთქვამს კმაყოფილ დამპყრობელს და ჩაფრები მეოთხედ აღარ შეუგზავნია სოფელში.

ამ ბრძნული თქმულებიდან ერთი ფრიად დამაფიქრებელი დასკვნა გამოდის — სიცილით სასოწარკვეთილი ჭეშმარიტება ითქმის.

რა თქმა უნდა, არის სხვაგვარი სიცილიც. კოლა ბრონიონისა და ბათა ქექიას სიცილი. რწმენა— „ისევ ცოცხალია ძმაკაცი!“ — სიმტკიცითა და იმედით გავსებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ არათუ არლეკინებს, არამედ არც კოლა ბრონიონებს და არც ბათა ქექიებს საზოგადოება წინ არ უტარებიათ. საზოგადოება ვერ შეჩერდება. იგი განუწყვეტლივ წინ უნდა მოძრაობდეს. ასეთია არსებობის ურყევი კანონი. ამას კი ახორციელებს ის ჭეშმარიტება, რომელსაც ბრძენი ამბობს და

არა ის, რომელიც მასხარას უთქვამს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ საზოგადოება თავის ჭკუაზე ხშირად აუცეკვებიათ ტირანებს, რომელთაც ხუმარები აცინებდნენ და ართობდნენ თავიანთი „ჭეშმარიტებით“. ამიტომ ძალიან საშიშია თუ ჰამლეტმა ხცენა დატოვა და ადგილი არლეკინს დაუთმო. 20-იან წლებში გახარებული პეტრე სამსონიძე მეგობარ პოეტს მიმართავდა:

ჩემო იონა, მოწოდება ჩვენი დიდია!..
გავსწიოთ წინ და საქართველოს ცეცხლის პლაკატებს,
პოეზიაში ჩვენ გამოვჩრით და გავაკეთებთ...
ხედავ ჰამლეტებს? სამარეში როგორ მიდიან?!!

როგორც ჩანს, პ. სამსონიძემ არ იცოდა, რომ როცა ჰამლეტები წავლენ, მაშინ არამზადები მოვლენ. ჭეშმარიტების, კეთილის, პატიოსნების მაძიებელი კაცის ადგილს ქურდი, მეკრთამე, კომბინატორი, ხალტურისტი დაიჭერს. ამას ადასტურებს მუხრან მაჭავარიანის სტრიქონებიც:

უბედურება რა გინდა მეტი?! —
რომ დაიძახო — ქურდს ქუდი ეწვის!..
არ მეგულება მაძღრებში ერთიც,
რომ არ იტაცოს მყის ქუდზე ხელი.
უბედურება რა გინდა მეტი?!

„უბედურებას სასოწარკვეთილებით და სკეფსისით ვერ შეებრძოლები. მას იმედითა და რწმენით უნდა გაუწიო წინააღმდეგობა. მაგრამ იმედი და რწმენა არც დოლის ბაგაბუგით იბადება და არც ბუკ-ნაღარის ჭყვიტინით. იგი იბადება ადამია-

ნის სამშვინველის ტკივილის წვდომით, გაგებით, ახსნით. თუ ამ კუთხით დავაკვირდებით დღევანდელ ქართულ მწერლობას, შეუძლებელია არ შეგვემჩნია, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან პრობლემას იგი ჯერჯერობით გულგრილად ეკიდება.

ყურადღება მივაპყროთ მათ შორის რამდენიმეს.

მ ე რ ა ნ ი თ უ ს ა ხ ე დ ა რ ი?

ვინ უწყის, რამდენი საყვედური და მწარე სიტყვა მოუსმენია რაჟდენ გვეტაძეს ლექსების ციკლისათვის — ვირების მესია. დღესაც, თუ ვინმე რაიმეს იტყვის რ. გვეტაძის შემოქმედებაზე, ირონიით ახსენებენ ამ ციკლს. პოეტის ახალგაზრდულ კოკობზიკობასა და ორიგინალურობისადმი ტრფიალს მიაწერონ ამგვარი ლექსების დაწერა. არადა, ამ ციკლში საინტერესო და დამაფიქრებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მას გააზრება, ახსნა და ამოცნობა სჭირდება და არა მედიდური ღიმილით გვერდის ავლა. მართალია, „ვირების მესიის“ ციკლი, პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით, არ ეკუთვნის ქართული პოეზიის უკეთეს ნიმუშებს, მაგრამ ახლა მისი აზრობრივი შინაარსი იპყრობს ყურადღებას და არა მხატვრული ხარისხი.

სიმბოლიზმით გატაცებულმა ქართველმა პოეტებმა არა მარტო ახალი სალექსო ფორმებით გაამდიდრეს ჩვენი მწერლობა, არამედ ახალი თემებითაც და ძველის ახლებური გააზრებითაც. მართალია, ქართული მწერლობა უძველეს ქრისტიანულ ლიტერატურათა ოჯახის წევრია, მაგრამ, მი-

ხეზთა გამო სხვათა და სხვათა, ბევრი თემა, დამახასიათებელი ევროპული მწერლობისათვის, არ დაუმუშავებია. ამას ყურადღების მიქცევა სჭირდებოდა და ამ მიმართულებით გადადგეს კიდეც კარკვეული ნაბიჯი „ცისფერყანწელებმა“ და მათთან დაახლოებულმა პოეტებმა. ამ კუთხით მათი შემოქმედება ჯერ კიდევ ელის დაკვირვებულ შესწავლას. რ. გვეტაძის ლექსებიც ძველი თემის ახლებური გააზრების საინტერესო ნიმუშია.

საქმე ის გახლავთ, რომ, ჩემი აზრით, რ. გვეტაძის „ვირების მესია“ პოლემიკაა ნ. ბარათაშვილის „მერანთან“. რ. გვეტაძის ვირი ნ. ბარათაშვილის მერნის დაკნინებაა, დამცრობაა. ვფიქრობ, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, წინასწარ გამიზნულად, შეგნებულად გააკეთა ეს რ. გვეტაძემ, თუ შემოქმედებით პროცესში უნებლიეთ, თავისთავად წარმოიშვა კამათი. არსებითია ფაქტი, შედეგი, რაც „ვირების მესიის“ შექმნით მივიღეთ.

როგორც ევროპულ, ისე რუსულ ლიტერატურისმცოდნეობაში კარგად არის დადგენილი და გარკვეული, რომ ვირი, სახედარი, კარაული სიმბოლოა დამცირებისა და მორჩილების (ზოგჯერ აღორძინებისაც). იგი ამაღლებულისა და თავისუფალის, ანუ, სიმბოლურად, მერანის საპირისპიროა. სწორედ მოთმინების, დამცირების, მორჩილების შინაარსი აქვს სახედარს რ. გვეტაძის ლექსებში. სხვანაირად ვერც იქნებოდა სახედრის ხატი გააზრებული. იგი უშუალოდ სიმბოლისტური პოეზიით

არის შთაგონებული. ამას გარეგნული ფაქტიც ადასტურებს. „ვირების მესიის“ ციკლის ყველა ლექსი ცისფერყანწელებისადმია მიძღვნილი. არც ტიციან ტაბიძე წერდა ტყუილად — „ქართულ პოეზიაში უთუოდ დარჩება „ვირების“ ატირება ისე, როგორც ფრანგის ჟამმის ლოცვები სამოთხეში ვირებით შეწყვლაზე“. მართლაც, ფრანგის ჟამმის (1868—1938) ლექსში — Priére Pour aller au Paradis avec les ânes — ვირი სათნოების, მორჩილების, სიმშვიდის განსახიერებაა. გაგახსენებთ ამ ლექსის ბოლო სტრიქონებს სიტყვასიტყვით თარგმანით: ღმერთო ჩემო, სასაწულჰყავი, რომ ამ ვირებთან ერთად გეწვიო, რომ ანგელოსებმა მშვიდად წამოგვიყვანონ ხშირი ნაკადულებისაკენ, სადაც ალუბლები ისე ცახცახებენ, როგორც ქალწულის სხეული, რომ სულების საშყაროში, დახრილი შენს წმინდა წყლებზე, ვემსგავსო ვირებს, რომელთაც თავიანთი მოკრძალებული და კეთილი უბრალოება სურთ მარადიული სიყვარულის სინათლეს აზიარონ.

ასეთივე მოკრძალებული, მშვიდი, წყნარი, უბრალო და კეთილი არიან ვირები რ. გვეტაძის ლექსების ციკლშიც.

ვირების მხრებზე დაფრინავენ სერაფიმები,
ისინი უხმოდ უცქერიან საფლავზე სოსანს,
მათი საისრე წამწამები, როგორც სიმები,
თითქოს მღერიან გარინდებით უცხო ოსანას.

სახედართა განწყობილების დასახასიათებლად რ. გვეტაძე ყველაზე ხშირად ხმარობს სიტყვას — „სევდა“.

მაგრამ დღეს მათ სულში სევდების ალხია.
(„ვირების მესია“).

ვირების სევდა სამრეკლოზე აისის ახლოს.
(„ვირები აღდგომა ღამეს სოფელში“)

და თუ სევდები თქვენს ამაყ სულს დაუდარაჯდნენ.
(„ბარათი ვირებს“).

ამ სევდიან, თვინიერ და მორჩილ პირუტყვს ადარებს პოეტი თავის თავს. მაგრამ როდის გაუჩნდა მას ეს გრძნობა? დააკვირდით ლექსს — „მდაბიო ანუ სატირა საკუთარ თავზე“ (ნურც სიტყვა „სატირას“ დატოვებთ უყურადღებოდ).

როცა ერთხელ ბოქაულმა მამაჩემი გალახა
და მე სამაგიერო ვერ გავუბედე,
(ეს მოგონება გულს აწვევს ბარგად) —
როცა დედაჩემს ნავთი არ ჰქონდა ლამფაში
და მთვარეზე ვკითხულობდი აკაკის ლექსებს,
როცა ფუნაში ნახულ ჭიებს ვაგებდი ანკესებს
და მიედიოდი წყალწითელაზე,
რათა კვირას მაინც გვქონოდა თევზით ვახშამი.

გაჭირვებამ, უქონლობამ, სიღარიბემ, ჩაგვრამ, უსამართლობამ, გაუბედაობამ მიიყვანა პოეტი დასკვნამდე:

მინდა ვიყო ერთი აზრის:
არ ავყვე ცხოვრებას ქარიანს
და მოვესწრო შესული ხანში
წვერულვაშიან ვაჟებს —
(ეს იმედი გულს მიკაჟებს)
რომლებიც ეხლა სოფელში არიან
და ბაბუას ეხმარებიან თოხნაში.

თუმცა სხვა შეხედულებისა ვარ ცხოვრებაზე
და მეზარება ყველა, ვისაც მუცელი აქვს ტიკის,
ბაგრამ რადგან არაფერი მესმის მსოფლიო პოლიტიკის,
რასაც შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი,
გადაეწყვიტე ვიცხოვრო ასე:
ვირივით წყნარათ და შრომით.

არა ბრძოლა, არამედ მორჩილება, შრომა ვირივით წყნარად. მკაფიო კონცეფციაა შეგუების, მშვიდი ცხოვრების, მოთმინებისა, თუმცა პოეტს ეზიზღება ყველა ლუარსაბ თათქარიძე („ვისაც მუცელი აქვს ტიკის"). გამოდის, რომ ბოლმას, აჯანყების ცეცხლს იგი ძალით ახშობს. ამჯობინებს შეთვისება-შეგუებას. ალბათ იმიტომ, რომ აღარ აქვს გამარჯვების რწმენა.

ახლა რ. გვეტაძის ლექსი შევადაროთ ნ. ბარათაშვილის „მერანს".

ერთის სურვილია — „არ აყვეს ცხოვრებას ქარიანს", მეორის მოთხოვნილებაა — „ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა, ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!"

ერთის სურვილია — „მოესწროს შესული ხანში წვერულვაშიან ვაჟებს". მეორის მოთხოვნილებაა — „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის; ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის".

ერთის ოცნებაა იცხოვროს „ვირივით წყნარად და შრომით", მეორისა — ამცნოს გულის საიდუმ-

ლო ვარსკვლავთა თანამავალთა, გაკაფოს გზა, რომ შემდგომად მოძმეს გზის სიძნელე გაუადვილდეს.

ორი კონცეფციის უმძაფრესი პოლემიკაა. ერთი აღიარებს შეგუებას, მორჩილებას, სიმშვიდეს, არსებითად კონფორმიზმს. მეორე უმღერის ურჩობას, ქარიშხალს, შეუგუებლობას, ამბოხს, არსებითად რევოლუციას.

20-იან წლებში ქართულ პოეზიაში ნ. ბარათაშვილთან კამათი იყო რ. გვეტაძის ლექსები და არა ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) „მე და ბარათაშვილი". ეს უსაშველოდ გრძელი ლექსი გახლავთ „ბედი ქართლისას" ავტორის გაბიაბრუების ცდა. იგი სრული მარცხით დამთავრდა. ეს თავად ა. მირცხულავამაც დაინახა მკაფიოდ. ამიტომ გადააკეთა ძირეულად „მე და ბარათაშვილი". ამ ლექსში თანამედროვე მკითხველი უკვე ველარ წაიკითხავს, შაშინაც და დღესაც, ღიმილისმომგვრელ სტრიქონებს:

> რა იქნებოდა, რა სასაცილო
> საქართველოში მერნით სირბილი?!
>
> შენი მერანი? ჰო, არა უშავს,
> იქნებ ჩალანდრათ კლდე გადმოვიდეს,
> მაგრამ ტფილისში დღეს რომ გაუშვა,
> სადმე პროსპექტზე კისერს მოიტეხს.

ეს პოლემიკა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ლიტერატურული წარსულის ერთი ფურცელი. იგი ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემაა. თუ ამ კითხვას უპასუხებ „მერანით", მაშინ ყოფ-

ნისათვის იბრძვი. თუ ამ კითხვას უპასუხებ „ვირეების მესიით“, მაშინ ეთანხმები, ეგუები არყოფნას. რაკი ასე განსხვავებული და დაპირისპირებული ორი კონცეფცია შეიქმნა ჩვენს მწერლობაში, ბუნებრივია, ყოველმა ახალმა თაობამ უნდა გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება.

ვისაც თვალი უდევნებია ლიტერატურული ცხოვრებისათვის, იცის ამ ორი კონცეფციის აშკარა თუ მალული ჭიდილი. იცის, საით და როგორ იხრებოდა დროდადრო სასწორი. მაგრამ საინტერესოა დღეს როგორი სახე აქვს ამ დავას. არა მგონია დიდად საეჭვო აზრი გამოვიდეს, თუ ვიტყვი, რომ დღეს მწერლობას უჭირავს პოზიცია, რომელიც ამ ორი კონცეფციის შუა მდებარეობს: არც „მერანი“ და არც „ვირების მესია“. რაღაც საშუალო. ეს გულდასაწყვეტი ნიმუშია იმისა, როგორ შეწყდა და შეჩერდა ქართულ მწერლობაში დამშვიდება საკაცობრიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემისა. ალტერნატივა ბრძოლისა თუ მორჩილების, კონფორმიზმისა თუ ნონკონფორმიზმის ყოველთვის აწუხებდა და აწამებდა მოაზროვნე კაცობრიობას. რაღაც საშუალო არა მარტო გაურკვევლობას, უპოზიციობას მიუთითებს, არამედ სულერთია დამოკიდებულებასაც. სულერთია დამოკიდებულების დროს გულში დიდი სევდა და ტკივილი უდევს ადამიანს, მაგრამ ამაზე დუმს, რაკი კეთილის რწმენა დაუკარგავს. ამის უპირველესი დამადასტურებელი სწორედ პოეტი — არლეკინია.

ნუ დაგვავიწყდება, რომ არის ენერგია სიზიფისა და არის ენერგია პრომეთესი. ერთიც იხარჯება და მეორეც. მაგრამ ერთი უშედეგოდ შრომობს, მეორე კი ცეცხლის მომტანია, ე. ი. პროგრესის ფუძემდებელია. თუ სიზიფის ენერგია არყოფნის კაეშნის წყაროა, პრომეთეს ენერგია ყოფნის სიხარულის საზრდელია. თუმცა პრომეთე მიჯაჭვულია, არწივი უკორტნის გულღვიძლს, მარადიულად იტანჯვის. სიზიფი კი არც მიჯაჭვულია, არც არავინ უგლეჯს სხეულს. თავისუფლად ეწევა თავის უაზრო და უმიზნო შრომას. მაგრამ უმიზნობა და უაზროობაა საფუძველი იმ ტრაგიკულობისა, რომელიც უფრო შემზარავია, ვიდრე პრომეთეს ტანჯვა.

ნ. ბარათაშვილის „მერანში“ პრომეთეს ენერგიაა, რ. გვეტაძის „ვირების მესიაში“ კი — სიზიფისა. როცა ადამიანს არც პრომეთეს ენერგია აქვს და არც სიზიფის, ცხადია, იგი შუაშია გაჩხერილი. ეელარც წინ მიდის და ეელარც უკან. ერთადერთი რაც დარჩენია — სიცილია. და ისიც იცინის. დასცინის თავის თავსაც და სხვასაც. ეს კი შენიღბული სასოწარკვეთილების გამოვლენაა. ამიტომ არის მარად ცოცხალი და აქტუალური „მერანისა“ და „ვირების მესიის“ დავა. ყოველი კაცის წინაშე დგას ალტერნატივა: იცხოვრო ვირივით წყნარად და შრომით, თუ ყველა გასაჭირი გადალახო და მოყვასს სავალი გზა გაუადვილო. თუ არჩევანი ვერ მოახერხე, სასოწარკვეთილება შეგიპყრობს და ცხოვრება ცრემლიან გართობას დაემსგავსება, ოუმცა შეიძლება არლეკინის ზომაზე მეტად გაგრი-

მულ სახეზე ცრემლი ვერ შეამჩნიო. ეს შეუმჩნეველი ცრემლი არა მარტო სახეს ღარავს, არამედ გულშიც წვეთავს. იგი გულს უფრო მწვავედ და ულმობლად ღრღნის, ვიდრე პრომეთეს არწივი, არლეკინის ცრემლის სახელი უიმედობაა, ურწმუნოებაა და იმიტომ. საშინელებაა თუ ეს გაცნობიერებულია, მაგრამ უფრო შემზარავია, თუ გაუცნობიერებულია და ისე ვლინდება.

მართალია, ჰამლეტს ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა გაუჭიანურდა, უფრო მეტიც, ვერც ვერასოდეს გადაწყვეტს, მაგრამ არლეკინის სიცილით ნათქვამ ჭეშმარიტებას მაინც დანიის პრინცის მაძიებელი გონება სჯობს. სჯობს იმიტომ, რომ ჰამლეტში იმედიანი კაცის სევდაა, არლეკინში კი — უგინცო ადამიანის მხიარულება.

თუ ორ კონცეფციას შორის არჩევანი არ მოხდა, შტაიცედ არ განისაზღვრა პოზიცია, არც იქით და არც აქეთ, შუა ადგილას ყოფნა გამოიწვევს მწერლობის გაფილისტერებას.

ფილისტერული ლიტერატურა კი საშიშია. იგი აბნევს მკითხველს. ბოროკავს ლიტერატურის წინსვლას. მას არაფერი სტკივა, გვატყუებს კი ვიტანჯებიო.

ფილისტერი ყველაფრით კმაყოფილია. ყოფნა-არყოფნის პრობლემა მას საკუთარ კეთილდღეობად ესმის. როცა ამას მიაღწევს, მერე ხუმრობის ჯუნებაზე დგება და აღარაც სხვების გართობას თაკილობს.

ფილისტერული ლიტერატურა ყოველთვის

ცრუობს. სიცრუე კი წარმოშობს სასოწარკვეთილებას. ხოლო, თავის მხრივ, სასოწარკვეთილება მშობელია უენერგიობისა. აქედან მოდის ვნებაგაცლილი, მდორე, ერთსახოვანი და ერთფეროვანი მწერლობა, სადაც თითქოს ყველაფერი თავის ადგილას დგას, მაგრამ არ არის უმთავრესი — სიცოცხლე. არ ისმის არც გამარჯვებულის ყიჟინი და არც დამარცხებულის ქვითინი. არის მხოლოდ კმაყოფილება, რომელიც ერთ ხალხურ ლექსში ასეა გამოთქმული:

კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინმიტანილი ჰგონია.

ოთარაანთ გიორგი თუ კაცზეამბაია?

მკითხველს კარგად ეხსომება: ოთარაანთ გიორგი ტყეში იყო ჭიგოს საჭრელად („ოთარაანთ ქვრივი"). ომარაშვილის მოჯამაგირე ნახა, ჩრდილში არხეინად წამოწოლილი და მძინარე. ეს არაფერი. კამეჩები ურემზე მიება. იქვე ეყარნენ და უილაჯოდ იცოხნებოდნენ. გიორგი გააბრაზა მოჯამაგირის უნამუსობამ, უსულგულობამ. გიორგიმ იგი ლაზათიანად მიბეგვა. როცა სოფლის სასამართლოში ჰკითხეს — შენ ვინ გეკითხებოდა, რა შენი საქმე იყო? — გიორგიმ უპასუხა: ჯერ ერთი, „მაგისთანა ნამუსახდილი კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ველარა ნდობია", მეორეც,

„კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა“.

მეორედ გიორგი ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ეჩხუბა. ამას ურმით საფქვავი მიჰქონდა. ტვირთი თავმსუბუქად დაედო. კამეჩებს აპეურები ყელზე უჭერდა და ისინი საცოდავად ხრიალებდნენ. გიორგი ურემზე შეხტა, ტვირთი გაასწორა. ცხოველებს სული მოათქმევინა. მოჯამაგირეს კი თავში წაუთაქა.

მეჯინიბესაც პირუტყვისადმი უგულო დამოკიდებულებისათვის ეჩხუბა გიორგი. მეჯინიბემ გაოფლიანებული ცხენი ისე დაბა, რომ არ გაუტარ-გამოუტარებია, არც წყალი გადაუვლია ზურგზე. ასეთი უპატრონობა ცხოველს დახუთავდა ან ზურგზე ჰავას აართმევდა. გიორგიმ მეჯინიბესაც ჭკუა ასწავლა.

სოფელს უკვირს ოთარაანთ გიორგის საქციელი და გლეხები ერთმანეთში ამბობენ — „ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილიო“.

ცხადია, ოთარაანთ გიორგი არც გიჟი იყო და არც ღვთისაგან მოგზავნილი. იგი იყო კაცი, რომელსაც გლეხად ყოფნის ფუნქცია ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. მან, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ზედმიწევნით იცოდა, რას ნიშნავს იყო გლეხი. როცა გიორგი პირუტყვს ექომაგებოდა, მარტო კაიკაცობას კი არ ამჟღავნებდა, არამედ თავის თავს იცავდა, საკუთარ არსებობას უფრთხილდებოდა. ისე როგორც მიწა, ისე როგორც ვენახი, ისე როგორც ბაღ-ბოსტანი, პირუტყვიც, კა-

მეჩი იქნება, ცხენი, თხა თუ ცხვარი, გლეხის არსებობის ნაწილი და პირობაა, თუ მას არ ნოუვლი, უპატრონებ, იზრუნებ, მაშასადამე, არ უვლი საკუთარ თავს, არ ზრუნავ საკუთარ არსებობაზე, ამით კარგავ ფუნქციას. როცა ილია ოთარაანთ გიორგის სახეს ძერწავდა, უპირველეს ამოცანად მიაჩნია არა იმ პროტაგონისტის დახატვა, რომელიც მხოლოდ სოციალურად იყო გლეხი, არამედ იმ პიროვნებისა, ვინც მშვინვიერი არსით ავლენდა გლეხობას. არც გიორგის სიკვდილია შემთხვევითი: თივის ზვინიდან ჩამოვარდა, ურმის ჭალს დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა. გლეხად ყოფნა (გლეხობა) იყო გიორგის სიცოცხლე და სიკვდილშიაც გლეხად უნდა დარჩენილიყო. ადამიანმა ფუნქცია სიკვდილშიაც არ უნდა დაკარგოს. როგორ შეიძლება ენა მოგიბრუნდეს და თქვა, რომ სიკვდილშიც არისო მშვენიერება, მაგრამ, როცა ისეთი მეცნიერი, როგორიც ივანე ჯავახიშვილი იყო, ლექციის კითხვის დროს კვდება, გინდა თუ არა, უნდა აღიარო — ეს მშვენიერი სიკვდილია. მიუხედავად უღრმესი ტრაგიკულობისა, ოთარაანთ გიორგის სიკვდილიც მშვენიერია.

ყველა დროში იცოდნენ და მტკიცედ სჯეროდათ, რომ კაცობრიობა იმ ადამიანების მხრებზე დგას, ვინაც ზედმიწევნით იცის თავის ფუნქცია და ემსახურება მას. მაგრამ მარტო ამის სათქმელად არ გამიხსენებია ოთარაანთ გიორგი, გაივლის დრო და ფუნქციით ისეთივე გლეხი, როგორიც გიორგია, ნაჯახს აიღებს და თავის საყოლელს ულმობლად ამ-

ოელეტს. ამას გააკეთებს კაც ზვამბაია („მთვარის მოტაცება“).

„შეძრწუნებული გარბოდნენ კუდმოღერილი ხარები, დაფეთებული ფურკამეჩი ყროყინით ეხეთქებოდა ღობეებს, გარბოდა დაბორკილი თხა, თანაც კიკინებდა საწყალობლად... თვალი მოიფშვნიტა ხათუნამ და სწორედ ამ წუთში ფურკამეჩს თავი გააგდებინა კაც ზვამბაიამ კაკლის ქვეშ.

...აივნის მაგიდაზე ეყარა ძროხის, ფურკამეჩის და ხარების სისხლიანი თავები. და გამრჯელი ხარები, ლომა, წაბლა და ღვინიე, ქედმოდრეკილნი, ერთგულნი, უდრტვინველად შეგუებოდნენ თავიანთ მწარე ხვედრს.

„ რა გიქნია, ბატონო, ეს?“

დაიკვნესა ხათუნამ, ორივე ხელი სახეზე აიფაარა...

კაკლის ქვეშ ეკიდა თავწაჭრილი საქონელი პირქვე“.

ყველას ერთხმად აღუნიშნავს, რა შემაძრწუნებელი მხატვრული ენერგიით აქვს აღწერილი კ. გამსახურდიას კაც ზვამბაიას მიერ პირუტყვის გაჟუჟვა. მაგრამ, სამწუხაროდ, არავის უთქვამს, რას ნიშნავს ეს. კაც ზვამბაიას თავი რომ მოეკლა, არ იქნებოდა ისეთი თავზარდამცემი, როგორიც საყოლელის ამოწყვეტაა. არ იქნებოდა იმიტომ, რომ თვითმკვლელი კაცი ზვამბაია მაინც დარჩებოდა გლეხად. ცოცხალი აღარ იქნებოდა, მაგრამ არ უღალატებდა არსებობის ფუნქციას. საქონელის დახოცვით კი კაც ზვამბაიამ უარი თქვა თავის

გლეხობაზე, თავის ფუნქციაზე. ცოცხალი დარჩა, მაგრამ არსებობა შეწყვიტა, როგორც გლეხმა. თავი გასწირა უფუნქციო სიცოცხლისათვის. ხორცი შეინარჩუნა, მაგრამ მოკლა სამშვინველი. ეს იყო ყოფნა, რომელიც არყოფნაზე უარესია. ეს არ იყო მარტო კაც ზვამბაიას ტრაგედია. ეს იყო ქვეყნის დაქცევა. პროტესტის ნიშნად, გლეხი აუჯანყდა გლეხობას. თავის ფუნქციის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანი კი სოციალური და ეროვნული სიკვდილით იმუქრება. ეს თავსატეხი პრობლემა წამოჭრა კ. გამსახურდიამ კაც ზვამბაიას ბედით.

ისევე ალტერნატივული კითხვა, დასმული ქართული მწერლობის მიერ. მაგრამ არც ამ მიმართულებით გაგრძელებულა ფიქრი. თუმცა სინამდვილე, ცხოვრება ნათლად გვეუბნება, რომ პრობლემა ცოცხალია. იგი არ გადაწყვეტილა. პრესაში არცთუ იშვიათად წაიკითხავთ დამთრგუნველ ამბავს: გლეხები ჩეხავენ ვაზს და მის მაგიერ საზამთროს თესავენ. ეს ხომ კაც ზვამბაიას საქციელის გაგრძელებაა. ეს ხომ ოთარაანთ გიორგის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. და ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ქართველი გლეხი უარს ამბობს გლეხურ ფუნქციაზე. ნუ შევხედავთ ამ პრობლემას ზერელედ. ნუ გვგონია, რომ ეს ვიღაც უკეთურის სიხარბის შედეგია. საქმე უფრო რთულად არის. ეს უკვე კ. გამსახურდიამ გვითხრა კაც ზვამბაიას საქციელით. ეს უკვე რ. გვეტაძემ ვითხრა: „ჩვენც გვიპასუხე, თორემ ღმერთმანი სხვას მივცემ მამულს ან ავჭრი ძირზე“... ხედავთ, როდის გაჩენილა

პრობლემა? როდის დარეკილა გამაფრთხილებელი ზარი! მას შერე მოდის და თანადათან ღრმავდება. უყურებს ამას ჩვენი მწერლობა და დუმს. ნურავინ გაიღიმებს ირონიულად და იფიქრებს: პროპაგანდისტული თხზულების დაწერას ითხოვსო, რომლის პათოსი იქნება — არ გრცხვენია, ქართველო გლეხო, ვენახს ჩეხავ და საზამთროს თესავ?! ჭკუადამჯდარი მკითხველი მიხვდება, რომ სრულიად სხვა საკითხს ვსვამ: უნდა ამოვიცნოთ, რა მოხდა ქართველი გლეხის (თუნდაც ერთი კაცის) მშვინვიერ სამყაროში ისეთი, რომ მან დაგმო ოთარაანთ გიორგის გზა და კაც ზვამბაიას გადაწყვეტილებას მიემხრო. თუ ეს არ ამოვიცანით, თუ სატკივარი მთელი სიგრძე-სიგანით-სიღრმით არ დავინახეთ და არ ვუმკურნალეთ, ერთ უბედურ დღეს ეს ეროვნული მე-ს უარყოფამდე მიგვიყვანს. ის ქართველი, ვინც ვაზისაგან გამოჭრილი და ქალის თმებით შეკრული ჯვრის ლეგენდა შექმნა, საქართველოს უკეთ იცავდა ვიდრე ხმალშემართული ჯარისკაცი. მან იცოდა, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც ქართველს ვაზის მოსაჭრელად წალდს აღამართვინებს. ეს სიმართლე ისტორიამ დაამტკიცა. ამ ჭეშმარიტებას ეყრდნობოდა ისიც. მაგრამ, საუბედუროდ, მდგომარეობა შეიცვალა და გაჩნდნენ გლეხები, რომელნიც ვენახს ჩეხავენ. ეს არც სიხარბის შედეგია და არც გაჭირვების. ეს ნაყოფია გლეხური ფსიქიკის რღვევისა. ამ რღვევას უნდა აღუდგეს წინ მხატვრული სიტყვა.

ვისთან ვართ — ოთარაანთ გიორგისთან თუ კაც

ზვამბაიასთან? უყოყმანო არჩევანი უნდა გაკეთდეს. დუმილი აქაც სასოწარკვეთილებას ნიშნავს.

მ ა მ ა თ უ შ ვ ი ლ ი?

ვერ აიცდინა ოიდიპოსმა ბედისწერის განაჩენი— მამა მოჰკლა და დედა შეირთო. გაჩნდა მწერლობაში მამისმკვლელი შვილის პრობლემა. ბუნებრივია, არსებობს იგი ქართულ ლიტერატურაშიც.

არზაყან ზვამბაია კლავს მამას („მთვარის მოტაცება"). მართალია, მერე ეს ავტორს შეაცვლევინეს, მაგრამ დღეს ცხადია, რომ ამის გაკეთება აზრობრივად ამახინჯებდა რომანს. შეცვლა ეწინააღმდეგებოდა ისტორიულ სინამდვილესაც და მხატვრულ სიმართლესაც. შვილის მიერ მამისმკვლელობა ისევ რჩება „მთვარის მოტაცებაში". სხვანაირად რომანი გონჯდება.

გუდუ პერტიაც ჰკლავს მამას („დათა თუთაშხია").

იქმნება სიტუაცია, როცა ადამიანი, ნებით თუ უნებლიეთ, უდიდეს და გამოუსყიდავ დანაშაულს სჩადის. ასეთია მამის მკვლელობაც. მაგრამ ბედისწერას ვერავინ გაქცევია. ერთადერთი რაც დაგვრჩენია გახლავთ ის, რომ დავაკვირდეთ, ვინ როგორ იქცევა ამ ურთულეს მდგომარეობაში და ამოვიცნოთ მკვლელის ზნეობრივი ღირებულება. რა თქმა უნდა, თუ დავუშვებთ, რომ მამისმკვლელს შეიძლება ჰქონდეს ზნეობა.

თუ ზემორე მოხსენიებულ პერსონაჟებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ზნეობრივად ყველაზე მაღალი ოიდიპოსია. არა იმიტომ, რომ არ

იცოდა, ვის ჰკლავდა, არამედ იმიტომ, რომ მან თავად გამოუტანა თავისთავს განაჩენი. თვალები დაითხარა და უსინათლო არსებობისათვის გასწირა თავი. მან სრულიად გააცნობიერა დანაშაული და გამოძებნა, რამდენადაც შეიძლებოდა, სასტიკი სასჯელი. არსებობის უკანასკნელ დღემდე ტანჯვით უნდა ეცოცხლა. არც მას პირადად და არც სხვას, ვინც ამქვეყნად შეხვდებოდა, არ უნდა დავიწყებოდა, რა ცოდვა მიუძღოდა ოიდიპოსს. ოიდიპოსის სასჯელი არანაკლებ შემაძრწუნებელია, ვიდრე დანაშაული. ოიდიპოსის ზნეობრივი ძალაც ეს შეძრწუნებაა.

ყველაზე სულმოაბალი და ზნეობრივად ღატაკი არზაყან ზვამბაიაა. იგი არა მარტო მამას ჰკლავს, არამედ ცრუობს კიდეც. ტარბებმა ძოგვიკლესო მამა, ატყუებს თარაშ ემხვარს. იგი არ განიცდის სინდისის ქენჯნას. მშვიდად არის და არავითარი ძვრა არ ხდება მის სამშვინველში. გუდუ პერტიამ არ იცის, რომ მამას ჰკლავს. მისთვის უცნობია, რომ იგი დათას შვილია. მაგრამ მის ზნეობრივ სიმდაბლეს ის მეტყველებს, რომ კაცს სასიკვდილოდ დავალებით იმეტებს.

თუ ოიდიპოსი სულიერად გასპეტაკებს, არზაყან ზვამბაია და გუდუ პერტია გთრგუნავენ. მათ სამშვინველში არ ჩანს გაღვიძებული სინდისი. მაგრამ ახლა ზნეობრივი განსხვავების დასადგენად არ გამიხსენებია ეს პროტაგონისტები. სხვა გარემოებამ დამაფიქრა. ბერძნულ ტრაგედიაში, მამა ვერ სჯობს შვილს. მართალია, ოიდიპოსმა დანაშაული

ჩაიდინა, მაგრამ სასჯელით გვიჩვენა, რომ იგი ზნეობით, თუ არ სჯობდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა მამამისს — ლაიოსს.

ქართულ რომანებში კი მამები უკეთესი არიან შვილებზე.

კაც ზვამბაია ზნეობრივად და მშვინვიერად უფრო ღრმა, მდიდარი და სუფთაა, ვიდრე არზაყანი. მას ნათლად ესმის პასუხისმგებლობა შვილის წინაშე და ემსახურება კიდეც ამას. არზაყანს კი არასოდეს უგრძვნია ეს პასუხისმგებლობა მამის მიმართ.

დათა თუთაშხიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სად დათა და სად გუდუ? უპირატესობა სიკვდილის წინაშეც კი ცხადად გამოვლინდა. უპირველესი, რამაც დათას გაუელვა თავში, შვილის ღირსების გადარჩენა იყო. გააკეთა კიდეც ეს, ისე გაუჩინარდა, რომ მტერმა ვერც დათას გვამი იპოვნა და ვერც ის გაიგო, სად გაქრა იგი.

რით უპასუხეს მამებს შვილებმა? ვერაფრით. აჯობეს მამებმა შვილებს —ვაჟკაცობით, ზნეობით, სიმტკიცით. ერთი სიტყვით, ქართული მწერლობა, როცა იგი მამისა და შვილის კონფლიქტს ამუშავებს, სულიერად მამას უფრო დიდად წარმოგვიდგენს, ვიდრე—შვილს. ემოციურად მამის მხარეს ვართ და არა — შვილის. ემოციურადაც და ლოგიკურადაც მამები არიან მართალი და არა — შვილები.

საკითხის ამგვარი დასმით დაბნეულმა თუ შეც-

ბუნებულმა მკითხველმა შეიძლება იკითხოს — რით არის ცუდი, თუ მამები აჯობებენ შვილებს? ზერელე შეხედვით, არაფრით. მწერლობა ხატავს ზნესრულ ადამიანს და რა მნიშვნელობა აქვს, მამა იქნება ეს თუ შვილი? მაგრამ საქმე არც ასე იოლად არის. მამა-შვილის კონფლიქტს თავისი ღრმა ქვეტექსტი აქვს. ეს არის ბრძოლა წარსულსა და მომავალს შორის. მამა წარსულია, შვილი — მომავალი. როცა ყოველთვის მამები სჯობიან შვილებს, ამის ქვეტექსტი იკითხება — წარსული სჯობს მომავალს. მაშინ გულის სიღრმეში სკეფსისი გვიზის. რარიგ დიდი წარსული უნდა ჰქონდეს ხალხს, იგი მაინც მომავლით უნდა ცხოვრობდეს. თუ ეს რწმენა არ ამოძრავებს საზოგადოებას, იგი წინსვლას ძნელად მოახერხებს. დიდ წარსულს მაშინ აქვს ფასი, თუ ღრმად და მტკიცედ სჯერა ხალხს, რომ უფრო დიდ მომავალს შექმნის. პიროვნებას თუ საზოგადოებას, რომელსაც ჰგონია, რომ ყველაფერი წარსულში იყო, გაუჭირდება აწმყოს სამსახურიც და მომავლის წარმოდგენაც. დიადი წარსული დიადი მომავლისათვის გვჭირდება. ძველ კვარცხლბეკზე მდგარი მომავალს უნდა ვუმზერდეთ.

როცა ჩვენს მწერლობაში მამებისა და შვილების კონფლიქტის სურათს დავაკვირდი, მომეჩვენა, რომ ჩვენ მამების მეტად გვწამს, ვიდრე — შვილების. ამან დამაფიქრა, რადგან ესეც სასოწარკვეთილების ელფერს ატარებს. ტრაგედია ტკივილს იწვევს და არა რწმენის დაკარგვას. როცა

თვალებდათხრილ ოიდიპოსს ვუყურებთ, უზომო ტკივილი ხლეჩს გულს, მაგრამ რწმენითაც ივსებით — ადამიანი ვერ დააძაბუნა ბედისწერამ. ოიდიპოსმა (ე. ი. შვილმა) ბედისწერას უსინათლო თვალი გაუსწორა და მომავალში შეაბიჯა. ტკივილითა და იმედით მიჰყავდა სოფოკლეს ბერძნული საზოგადოება წინ.

თუ არ ვცდები, მგონი გასაგებად ვთქვი, რომ ჩემთვის მწერალი-არლეკინის არსებობა გულისხმობს სასოწარკვეთილი განწყობილების არსებობასაც. თუ ასეა, ისიც გასაგებია, რატომ გამოვყავი ზემორემოხსენიებული სამი პრობლემა. მწერალი-არლეკინი ცრემლიანი ირონიით უყურებს მერანსაც და სახედარსაც, ანუ ნონკონფორმისტსაც და კონფორმისტსაც, ოთარაანთ გიორგისაც და კაც-ზვამბაიასაც, ანუ ფუნქციის ერთგულსაც და ფუნქციადაკარგულსაც, მამასაც და შვილსაც, ანუ წარსულსაც და მომავალსაც. ამგვარი ირონია შეიძლება ზოგჯერ ეფექტურიც იყოს, მაგრამ იგი არსად მიდის. ერთ ადგილას დგას გაყინული. მისგან სიკვდილის სიცივე ჰქრის. არლეკინის კლასიკურ კოსტუმს ტყუილად არ ასხია ეჟვნები. ეს ნიშანდობლივი დეტალია. იგი სიტყვაჟღარუნა მწერლობით იმუქრება.

დიდი ხნის წინათ ალექსანდრე აბაშელმა ეკითხა — „რას გავაწყობ ლექსის ბეჭდვითა, თუ გულში ღველფი ამბოხების დამრჩა უხმარად?“

ამ კითხვას ვერც მწერალი-არლეკინი უპასუხებს
და ვერც სიტყვაჟღარუნა ლიტერატურა.
არჩევანი აუცილებელია.

1983 წ.

შედარება

1946 წელს გიორგი ჯიბლაძემ მკაცრად გააკრიტიკა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების წიგნი („მნათობი", № 9—10). ხოლო „ლილ" მოთხრობის გამო მოურიდებლად თქვა: „გამსახურდიას „ლილ" პირდაპირ გადმოწერილია გი დე მოპასანის ნოველიდან „კარები" (გვ. 190).

სიტუაციური სქემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ორი მოთხრობა მართლაც ჰგავს ერთმანეთს.

ჯერ მოპასანის „კარში" ნაამბობი გავიხსენოთ.

— რატომ ხუჭავენ თვალს ქმრები ცოლების ორგულობაზე? — გაკვირვებული სვამს კითხვას ამ მოთხრობის პერსონაჟი მასულინი. რით არის ეს გამოწვეული? ბრმები არიან და ვერაფერს ამჩნევენ? თუ გარკვეული მიზნით იყენებენ ცოლების საყვარლებს — კარიერის გასაკეთებლად, შემოსავლის გასაზრდელად? იქნებ მხდალი არიან და ეშინიათ სკანდალის? ალბათ სამგვარივე ქმრები არსებობენო, თავადვე აკეთებს დასკვნას.

ასეთი მსჯელობის მერე მასულინი ერთ კერძო

შემთხვევას ჰყვება, რომლის მონაწილე თვითონ ყოფილა.

ზეპურ საზოგადოებაში გასცნობია იგი ლუიზას და მის ქმარს. ქალი მოსწონებია და გატაცებით დაუწყია არშიყობა. არც ქალი მორიდებია თურმე სასიყვარულო ფათერაკს. ერთხელ მასულინის შეუმჩნევია კიდეც — როგორ უთვალთვალებდა მათ ლუიზას ქმარი. ქალი გაუფრთხილებია, მაგრამ ლუიზას იგი აინუნშიაც არ ჩაუგდია. ჩემი ქმარი არასოდეს ეჭვიანობსო — უთქვამს და არხეინად გაუგრძელებია აშიკობა. მასულინი დამშვიდებულა და უფრო მეტად გათამამებულა.

— უახლოეს ხანებში სოფელში მივემგზავრებით და თუ ერთი თვით გვეწვევით, დიდად გვასიამოვნებთო, — მიუპატიჟებია ლუიზას ქმარს მასულინი. მასულინის ეს მიპატიჟება უცნაურად მოსჩვენებია, მაგრამ იგი მიუღია და სტუმრებია კიდეც მათ.

მშვენივრად გაუტარებია რამდენიმე დღე სოფლად.

ერთხელ დილით კი მასულინი ლუიზას ქმარს თავის ოთახში შეუყვანია და გრავიურები უჩვენებია. მეტისმეტად მოსწონებია სტუმარს ეს გრავიურები. მაშინ მასპინძელს უთქვამს — სხვებიც მაქვს და იმათაც გაჩვენებო. კარი გაუღია და მეზობელ ოთახში გასულა.

მოულოდნელად, მასულინის ღია კარებში, შუა ოთახში მდგარი ლუიზა დაუნახავს.

იდგა მაღალი, კაფანდარა, თმაგაჩეჩილი ქალი.

ძველი, დაჭმუჭნული ქვედაკაბა მჭიდროდ ეკვროდა ჩამომხმარ თეძოებს. ივარცხნიდა მოკლე, უკვე გამეჩხერებულ თმებს. მოჩანდა უხეშად გამოჩრილი წვეტიანი იდაყვები. ტილოს პერანგი ფარავდა გაძვალტყავებულ ნეკნებს.

თურმე ტანსაცმელი და ბამბები მალავდნენ ქალის სხეულის სიგონჯეს.

ოთახში შემობრუნებულ ქმარს ბოდიში მოუხდია — ცოლი არასოდეს მაპატიებს ამ დაუდევრობას... კარი ღია დამრჩა.

ორი დღის შემდეგ მასულინი ცივად გამოთხოვებია ცოლ-ქმარს და პარიზში დაბრუნებულა.

ახლა „ლილში“ მომხდარ ამბავს დავუგდოთ ყური.

ბერლინს მიმავალ მატარებელში გაეცნობა ჯამლეთი ბერძენ ლიკიარდეპულოს. უცხოელმა ქალი თველი შეიცნო ჯამლეთში და მასთან გასაუბრება მოუნდა. მას თუთუნის პლანტაციები ჰქონია აფხაზეთში და ზედმიწევნით იცნობდა თურმე შავი ზღვის სანაპიროს. როცა ბერძენმა ჯამლეთს გერმანიის პეიზაჟით აღტაცება შეატყო, ურჩია, წელიწადის ამ დროს საქართველოს შავიზღვისპირეთში იმოგზაურეთ და ლანდშაფტის მშვენიერებას იქ იხილავთო. თავად ჯამლეთი, უცხოეთში ადრე, ყმაწვილკაცობაში, წასული, კარგად არ იცნობდა თურმე მამულს.

ყურადღება ლიკიარდეპულოს რჩევა ჯამლეთს და მეორე წლის სექტემბერში ჩამოსულა სამშობლოში. ბიძის ოჯახში ცხოვრობდა. მოგზაურობდა

და ნადირობით ირთობდა თავს. ერთხელ ნადირობისას გაცივებულა. ქარაოცა ბიცოლას დაეინებული თხოვნით, ჯამლეთი სოხუმში ექიმ შარუხიასთან მისულა. ექიმს გაუსინჯავს და ვერაფერი უნახავს სახიფათო. მაგრამ შარუხიას ოჯახში სხვა ფათერაკს გადაჰყრია ჯამლეთი: გაუცვნია ექიმის ცოლი ქრისტინე ლილ, ეროვნებით უნგრელი ქალი. ამ მანდილოსნის სიტურფით მოხიბლულა იგი. არც ქალი დარჩენილა გულგრილი.

„...ჩვენ სადმე მიყრუებულ ადგილას ვჯდებით, ლილის კალთაში ვდებ თავს და სანეტარო თავდავიწყებას ვეძლევი მისი ნაზი ამბორით გაბრუებული“.

ყველაზე უფრო ის აოცებდა ჯამლეთს, რომ შარუხია სრულიად არ ეჭვიანობდა. მშვიდად უყურებდა ცოლისა და ჯამლეთის ტრფობას.

ერთხელ ჯამლეთმა შინ მიაკითხა ლილს. ქალი ზღვისპირად წასულიყო. ერთად გამოვიდნენ სახლიდან შარუხია და ჯამლეთი. პლაჟს მიჰყვებოდნენ, მობანავეებს ათვალიერებდნენ და ლილს ეძებდნენ. განმარტოებით მყოფ ორ ქალს მოჰკრეს თვალი. ერთი მათგანი ლილი იყო. იგი იდგა დედაშობილა და ზღვას უყურებდა. ჯამლეთმა დაინახა: ქალს „ორივე ფერდებიდან, მოხრილი, საშუალო თითის სისხოდ ამობურცული ძვლები უჩანდა“. ექიმი შარუხია გესლიანად იცინოდა.

მეორე დღესვე დატოვა ჯამლეთმა სოხუმი და სტამბოლს მიმავალ გემს გაჰყვა.

როგორც ხედავთ, „კარისა“ და „ლილის“ მსგავსება ის არის, რომ ტანსაცმელი ფარავს გარეგ-

ნულად ლამაზი ქალის სხეულის სიმახინჯეს. ამის შეტყობას მამაკაცი ვერ უძლებს და მიჯნურობის ჟინი უქრება.

გაცილებით საყურადღებოა მათი განსხვავება. მაგრამ ვიდრე მასზე ვილაპარაკებდე, ერთი პატარა შენიშვნა უნდა გავაკეთო.

„ლილში“ ერთი ლაფსუსი გაპარვია მწერალს.

კ. გამსახურდიას მოთხრობაში მოქმედება 1919 წლის შემოდგომაზე ხდება („რა კავშირი აქვს... ბერძენ პლანტატორს და ჩემს სამიჯნურო თავგადასავალს 1919 წლის შემოდგომაზე სოხუმში?“ — წერია მოთხრობაში), ჯამლეთი ლიკიარდეპულოს მატარებელში, ერთი წლით ადრე, 1918 წლის შემოდგომაზე შეხვდა. სწორედ ბერძენთან მასლაათის მერე დაასკვნის ჯამლეთი: „გადავწყვიტე რათაც არ უნდა დამჯდომოდა, მომავალ შემოდგომას სოხუმში ჩავსულიყავი იხვების გადაფრენაზე“.

რაკი ასეა, ცხადია, რომ 1918 წლის შემოდგომაზე უსაფუძვლოა ლიკიარდეპულოს ჩივილი: „...დელიკატურად საყვედური შემომაპარა, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა ძვირფასი თამბაქოს პლანტაციები წაართვეს თურმე“.

ახლა კ. გამსახურდიას თხზულებაში ვერაფერს გავასწორებთ, მაგრამ მომავალ გამოცემებში, სათანადო კომენტარით, ლაფსუსი უნდა აღინიშნოს. ყველა ქვეყანაში მიღებულია და ასეც აკეთებენ: მწერლის ტექსტი უცვლელად რჩება, მაგრამ კომენტარებში უთუოდ მიუთითებენ, ნებით თუ უნე-

ბლიეთ, გაპარულ უზუსტობებს. სამწუხაროდ, ჩვენში მრავალტომეულები ისე იცემა, რომ კომენტარი მეტად იშვიათად ახლავს.

ახლა კი შეწყვეტილ საუბარს მივუბრუნდეთ.

„კარში“ დახატული არ არის ლუიზას ქმრის არც ხორციელი და არც სულიერი პორტრეტი. ამ კაცის სახელიც კი არ იცის მკითხველმა. ერთადერთი, რითაც ლუიზას ქმარს ვეცნობით, მისი საქციელია: განგებ დატოვა კარი ღია, რომ მასულინის დაენახა ლუიზას სხეულის სიგონჯე. გასაგებია, რომ ეს საქციელი ხერხია, რითაც იგი იოლად იშორებს თავიდან ცოლის აბეზარ მოტრფიალეებს.

„ლილში“ კი მკაფიოდ არის დახატული ავქსენტი შარუხიას ხორციელი და სულიერი პორტრეტი.

ხორციელი პორტრეტი: „დაბალი, მსუქანი, მოკლეფეხებიანი... მოხრილი, კეხიანი ცხვირი, ვიწრო შუბლი, წითური თმა. წითურივე წარბები. ლოპინარის ფერი, წვრილი თვალები, საკმაოდ ფართე, სატირის ყურები... ტუჩის კუთხეებთან საკმაოდ ღრმა ნაოჭები, ცხვრის ზემო ტუჩივით ამობურცვილი ტუჩკბილი და მის წვეტიან ნიკაპს აბოლოვებდა გრძელი, წითური, მეფისტოფელისებური წვერი“.

სულიერი პორტრეტი: შარუხიას „დაუძინებელი კრიტიკული ჭია ჰყავდა თავში. ასეთი ადამიანები ყოველ მოვლენაში გაცილებით მეტ მავნე მხარეებს ხედავენ, ვიდრე სასარგებლოს... ექიმი შარუხია გულგამოჭმული სკეპტიკოსია, რომელსაც ცაზე ღმერთი არად მიაჩნდა და ადამიანები სძაგდა ან ებრალებოდა... „რა შესაყვარებელია ადამიანი, რო-

მელსაც მირიად ნასვრეტებიდან ზინთი და თელგამი გამოსდის“, ჩასჩიჩინებს იგი ჯამლეთს.

ბიოგრაფიაც მიმზიდველი აქვს ავქსენტი შარუხიას.

„ამ თხუთმეტი წლის წინათ ციმბირიდან გაქცეულა ტოკიოში, იქიდან ევროპაში გადასულა.

ვენაში საექიმო ფაკულტეტი დაუსრულებია.

ხუთ წელს ექიმად უმსახურია ერთ ავსტრიულ სავაჭრო გემზე.

შემოუვლია თითქმის მთელი წყნარი ოკეანე და ახალ ზელანდიაში ერთ ფრანგ ექიმისათვის ცოლი წაურთმევია, და ორიოდე წლის წინათ სოხუმში გამოურიყავს ბედისწერას ეს საოცარი ოდისეი“.

ექიმი შარუხია კონსტანტინე გამსახურდიას დახატულ ტიპთა გალერეას ეკუთვნის სულითაცა და ხორცითაც. მოპასანის მოთხრობაში კი არავინ არის მისი მსგავსი.

ავქსენტი შარუხია არ ყოფილა უიდეალო კაცი.

„ჩემი ცხოვრების მიზნად მქონდა დასახული — სამეგრელოსა და აფხაზეთის ჭაობებს შევბრძოლებოდი... გადაწყვეტილი მქონდა, მთელი ჩემი სიცოცხლე მეარნა და ხალხი განმეკურნა ამ საშინელი სენისაგან, რომელიც ასე უწყალოდ მუსრავს ჩვენს მხარეში მცირეწლოვანებს და მოზრდილებს სამუდამოდ ასახიჩრებს“.

ამ კეთილშობილი მიზნის ადამიანი მერე კაცთმოძულე და ცინიკოსი გამხდარა. ამ მდგომარეობამდე იგი მიუყვანია ცოლის სხეულის სიმახინჯით გამოწვეულ სევდას და გაუმხელელ დარდს. როცა

ავქსენტი შარუხია პლაჟზე ლილს დაანახვებს ჯამლეთს, ნიშნისმოგებით ეტყვის: „ახლა ხომ ხედავთ, რა ძნელია რახიტიანი ცოლის ქმრობა...“

თუ შარუხიასათვის მძიმე განცდის საგანია ცოლის სხეულის დამალული სიმახინჯე, სრულიად არ ვიცით, რა დამოკიდებულება აქვს ლუიზას ქმარს თანამეცხედრის ხორციელი სიგონჯისადმი. იწვევს ეს მის სულიერ ტკივილს თუ არა. ერთადერთი, რაზეც ლუიზას ქმარი ჩივის, გახლავთ ის, რომ თუ ქალს განსაკუთრებული მიზეზი არა აქვს უყვარდეს კაცი, მალე ცივდებაო მის მიმართ. ეს ჯადოქრები თურმე მანამ მიმართავენ კეკლუცობას, სანამ გათხოვდებიან. მერე კი ყოველგვარი კეკლუცობა ავიწყდებათ. აღარ ყოფნით გაწაფულობა ქალურ ხელოვნებაში...

ამ სიტყვებს შეუძლიათ ერთადერთი დასკვნა ჭეიკარნახონ: ლუიზასა და მის ქმარს შორის მგზნებარე ტრფობა არ არის. ისინი გულგრილი არიან ერთმანეთის მიმართ. თუმცა ეს ხელს არ უშლით საზოგადოების თვალში დაიცვან ოჯახის მთლიანობა. და, როცა საჭირო გახდება, ქმარმა წინასწარ შემუშავებული ხერხით მოიცილოს ცოლის მაცდუნებელი („მე ვიცნობდი ერთ ორიგინალს, რომელიც ქმართა ჩვეულებრივი ხვედრისაგან თავს იცავდა ერთობ თავისებური და გონებმახვილური საშუალებით“).

„კარის“ პრობლემატიკა აქ იკეტება და სრულდება. „ლილის“ პრობლემატიკა და პირიქით, ფართოვდება და მრავალტოტიან აზრს იძენს სწორედ

ქალის სხეულის სიმახინჯის მხილების მერე. „ლილ-
ში“ აზრობრივ შინაარსს ორი მიმართულება
აქვს.

პირველი: ადამიანის თვალი მატყუარა ორგა-
ნოა.

მეორე: ხორციელი ადამიანის მშვენება უფრო
დიდია, ვიდრე ხელოვანის შექმნილი.

ექიმი შარუხია ასე აყალიბებს თავის კრედოს:

„იცით, ჯამლეთ, მე ჰელმჰოლცის დიდი თაყვა-
ნისმცემელი ვარ.

სწორედ ჰელმჰოლცი ეუბნებოდა თავის მოწა-
ფეებს ამ ასიოდე წლის წინათ და მას შემდეგ ეს
ჭეშმარიტება ძალაშია: მე რომ ის კაცი, ბუნება თუ
ღმერთი შეგირდად მომაბარონ, რომელმაც ეგზომ
ზადიანი ორგანო მიანიჭა ადამიანს, როგორიცაა
თვალი, უთუოდ ორს დავუწერდიო მას, რადგან
არაფერი ისე უმგვანოდ მოწყობილი არ არისო
ჩვენს აგებულებაში, როგორც თვალი.

არაფერი ისე არ ვვატყუებსო, როგორც თვა-
ლი“.

როცა ჯამლეთი შიშველ ლილს უყურებს, ავ-
ქსენტი შარუხია კმაყოფილი ხითხითებს: ხომ ხე-
დავთ, როგორ გვატყუებს ჩვენ თვალი.

შარუხია მარტო იმით არ არის გახარებული,
რომ მრწამსი ფაქტით დაადასტურა. არა, უფრო
ვრცელი და ზოგადი დასკვნის გაკეთების საშუალე-
ბა ეძლევა: „საგნის შეცნობა სხვა არაფერია, თუ
არ მისივე შეძაგება“. გამოდის, რომ ავქსენტი შა-

რუხიას არა მარტო ადამიანი სძულს, არამედ ცოდნაც. ცოდნა ხომ სხვა არაფერია, თუ არა საგნის შეცნობა. თუ საგნის შეცნობა სიძულვილს იწვევს, მაშინ ცოდნა სიძულვილის წყარო ყოფილა.

ვინ შეიძლება იყოს უფრო ტრაგიკული და საცოდავი, ვიდრე ის, ვისაც არც ადამიანის სჯერა და არც ცოდნის!

ეს შემზარავი კაცი შიშის ზარს სცემს ჯამლეთს.

„რა საჭიროა უფსკრულში ხელების ფათურით და ბნელი მეტაფიზიკით მოიწამლო ეს წუთისოფელი?

დასასრულ: /თქმისაგან იშხამება ნათელი შეგნება.

ხანაც: /თქმა მწუხარებას აორკეცებს“./

ამ დამოკიდებულებით ჯამლეთის პიროვნებაც ნათლად იხატება. იგი მტკიცე მრწამსის კაცი არ არის. ის შარუხიას სკეპტიციზმს მხოლოდ დუმილს უპირისპირებს და არა რაიმე კრედოს, რომლითაც უარყოფილი იქნებოდა ექიმის გულგამოჭმულობა.

ჯამლეთი ჯერ ფიქრობს: „რამდენი ხოტბა თქმულა ხორციელ მშვენიერების გამო, მაგრამ არც კალმით, არც წამლით, არც ყალმით, ხორციელი სილამაზის გადმოცემა სავსებით ჯერ არავის შესძლებია.

როგორ შეედრება ტილოზე და ქაღალდზე გადატანილი, ან მარმარილოში და ბრინჯაოში განსახიერებული სილამაზე იმ სილამაზეს, რომელსაც სული უდგია, რომელსაც პულსი უცემს, სისხლი და ხორცი აქვს შესხმული, რომელსაც შეგიძლიათ შეე-

ხოთ, სიტფო იგრძნოთ, იუნოსოთ და ნელსურნელებით დასტკბეთ".

თითქოს მტკიცე რწმენაა: ხორციელი სილამაზე სჯობს ხელოვნების მიერ შექმნილს. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ენახა ლილის ფიზიკური მანკიერება, რომ ჯამლეთი გაქცეულიყო.

ავქსენტი შარუხიას სკეპტიციზმმა დაამარცხა ჯამლეთის იდეალიზმი, შარუხიას მიზანთროპიამ — ჯამლეთის კაცთმოყვარეობა.

არც ამგვარ შეხედულებათა ჭიდილია „კარში".

ჯამლეთის სახით, მკითხველის წინაშეა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ მტკიცედ არ ჩამოუყალიბებია მრწამსი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ძალუძს საკუთარ შეხედულებათა დაცვა, რომელიც დუმილითა და გაქცევით ცდილობს უპასუხოს მოწინააღმდეგის შემოტევას.

ასე ხდება უბრალო შემთხვევა ნაირნაირი ფიქრისა და განსჯის საგანი. ასე ავლენს უბრალო შემთხვევა ადამიანების სხვადასხვაგვარ თვისებას, ბუნებას, შეხედულებას.

ერთი რამ, რაც მტკიცეა ჯამლეთის ხასიათში, არის მშვენიერების სიყვარული. ყოველივე, რაც მშვენიერია, იზიდავს მას: ქვემოსაქსონიის ლანდშაფტი, ქარის წისქვილები, შავიზღვისპირეთი, იხვების გადაფრენა და, რაც მთავარია, ლამაზი ქალი. ოქროს მშვენიერების გამო გამოელაპარაკა ლიკიარდეპულოსაც.

„და ასე, ლიკიარდეპულოს ოქროთი საოცრად

მოკირწყლულ კბილებს რომ არ მიეპყრო ჩემი ყურადღება, მე თქვენ გარწმუნებთ, მას არ გამოველაპარაკებოდი — და აღარც აფხაზეთში ჩასვლაზე ვიფიქრებდი ოდესმე.

და ვეღარც ლილს შევხვდებოდი“.

მშვენიერებისადმი ლტოლვამ დააკავშირა ერთმანეთთან სრულიად სხვადასხვა ამბავი: შემთხვევით მატარებელში შეხვედრილი მგზავრი და სოხუმელი ექიმის უტურფესი ცოლი, გერმანიისა და საქართველოს პეიზაჟები. მშვენიერება გახდა ჯამლეთის ქმედების წამმართველი მუხტი.

შარლ მასულინის ქმედებას კი ამოძრავებს სურვილი — ამოიცნოს ფსიქოლოგია იმ ქმრებისა, რომელთა ცოლებსაც საყვარლები ჰყავთ.

ამის გამოა „კარის“ პრობლემა ერთგანზომილებიანი, კლასიკური სიცხადითა და სისადავით, „ლილისა“ კი — მრავალგანზომილებიანი, განშტოებული საკითხებით — ოქროს ხიბლით, მატყუარა თვალით, ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეკოლოგიური წუხილითაც. „...დღეს ყოველ კაცი მონადირეა და ამგვარი, ახალი ყალიბის მონადირეები განუკითხავად ანადგურებენ გზად შეხვედრილ ფრინველსა და ნადირს... მოდით ახლა და საქართველოში გაუწიეთ კონტროლი მონადირეს, თუ რომელ ღრეში როდის რას მოჰკლავს იგი? ამგვარად, სახელმწიფოს არავითარი საშუალებით არ ძალუძს მართვეობის სეზონში ფრინველი დაიცვას — და ამის შედეგს ჩვენ სულ ათიოდე წლის შემდეგ დავინახავთ, როცა

ჩვენი მდიდარი ფლორა და ფაუნა სავსებით განადგურდება“, — გულდაწყვეტილი ეუბნება ექიმი შარუხია ჯამლეთს.

„ლილში“ მშვენიერების რღვევის შიში ანიჭებს ერთიანობასა და მთლიანობას ამ გაფანტულ საკითხებს.

„ისიც სათქმელია, რომ მშვენიერების რღვევის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა საერთოდ კ. გამსახურდიას აზროვნებისა. ამ მხრივაც „ლილ“ ორგანული ნაწილია მწერლის შემოქმედებისა.

სწორედ ქრისტინე ლილის სახეში ჩანს მკაფიოდ მშვენიერების რღვევის პრობლემა. იგი მართლაც უმშვენიერესი ქალია, მაგრამ ფიზიკური ნაკლი — რახიტი — არღვევს ამ ჰარმონიას.

მომჯადოებელი სილამაზისათვის მოსტაცა ლილ ფრანგ ექიმს ავქსენტი შარუხიამ.

ამ ქალის სილამაზით მონუსხულ გოგი მონიავას თავი მოუკლავს.

ჯამლეთი კი პირველი ნახვისთანავე დარწმუნდა, რომ ლილ ჯადოსნური სილამაზის პატრონი ყოფილა.

ადამიანის ხორციელ მშვენიერების სრული სურათი წარმოგვიდგება, მაგრამ ეს სისრულე და ჰარმონია მაშინვე იშლება, როგორც კი შევიტყობთ, რომ ლილ რახიტიანია.

ლილის სილამაზის თვისება ის ყოფილა, რომ, ავადმყოფობის გამო, იგი დისჰარმონიულია.

ასე არ არის „კარში“. ლუიზას სილამაზე მოჩვენებითია. მას არავითარი სენი არ სჭირს და არც რაიმე კონკრეტული ფიზიკური ნაკლი აქვს. უბრალოდ იგი ჩამომჭკნარ, გამხდარ, უშნო სხეულს ოსტატურად ნიღბავს და მალავს ბამბითა და ტანსაცმლით. საზოგადოებას თავს ისე აჩვენებს, თითქოს მოხდენილი, სიცოცხლით სავსე, მომხიბლავი ქალი იყოს. მაგრამ საკმარისია საზოგადოებას განშორდეს და იგი უკვე აღარ ზრუნავს თავის თავზე. ეს გულგრილობა ნათლად ვლინდება ეტლში, როცა ქმარი უსაყვედურებს — გთხოვთ, ძველ ფეხსაცმელს ნუ ჩაიცვამთ... არ მესმის, სოფელში რატომ უნდა აქცევდეთ თავის თავს ნაკლებ ყურადღებას, ვიდრე პარიზში. მასულინიმაც შეამჩნია, რომ ქალს მართლაც ძველი, დაღრეცილი ხამლი ეცვა და წინდებიც ჩაჩაჩული ჰქონდა.

საიდუმლოს გაგებით შედეგიც სხვადასხვა მივიღეთ:

მშვენიერების ჰარმონიის დარღვევამ გამოიწვია სინანული, სევდა, დარდი („ლილ“).

ტყუილის გაფანტვამ და სიმართლის დანახვამ შვა ზიზღი („კარი“).

ისიც უნდა დავსძინოთ, რომ კ. გამსახურდია ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელიც მრავლად და თამამად ხატავს ევროპელ ქალებს (ეს მისი შემოქმედების ერთ-ერთი თავისებურებაა). ქრისტინე ლილიც ამ ევროპელ ქალია რიცხვს ეკუთვნის.

ასე და ამრიგად, „კარი“ და „ლილ“ ორი სრუ-

ლიად სხვადასხვა მოთხრობაა და მხოლოდ სიტუაციური სქემის მსგავსება არ გამოდგება ულმობელი განაჩენის — „პირდაპირ გადმოწერილია“ — საფუძვლად.)

1983 წ.

შეუძლებელი

თეორიულად ყოველგვარი ინსცენირებისა და ეკრანიზაციის წინააღმდეგი ვარ. როგორც წესი, ინსცენირებული თუ ეკრანიზირებული თხზულება მახინჯდება. როგორც არავის ძალუძს ქალად დაბადებული ადამიანი მამაკაცად აქციოს ანდა პირიქით, ასევე არავის ხელეწიფება ხელოვნების ერთ დარგში, ერთ ჟანრში შექმნილი ნაწარმოები სრულყოფილად გადაიტანოს ხელოვნების მეორე დარგში, მეორე ჟანრში. არსებობს ესთეტიკის პატივსაცემი კანონი: ის, რაც ლექსად დაიბადა ლექსად უნდა დარჩეს, რაც პროზად — პროზად, რაც პიესად — პიესად.

მაგრამ ისიც კარგად ვუწყი, რომ ამ რწმენის პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, პუბლიკუმს ყოველთვის დიდი სურვილი აქვს სცენაზე თუ ეკრანზე განსახიერებული იხილოს საყვარელი პროტაგონისტები; მეორეც, თავად მსახიობებიც და რეჟისორებიც ოცნებობენ ითამაშონ და დადგან ეს თუ ის არადრამატურგიული თხზულება, რომელ-

საც მათ სამშვინველში წარუშლელი კვალი დაუტოვებია და, მესამეც, უბრალო ანგარიშის გამო, უმჯობესად მიაჩნიათ რომელიმე კარგი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოების სცენური თუ ეკრანული ვარიანტის შექმნა, ვიდრე უსუსური პიესის ან სცენარის დადგმა ან გადაღება.

და, გვინდა თუ არ გვინდა, ხდება ინსცენირებაც და ეკრანიზირებაც. ხდება, მაგრამ ყოველთვის სქემატურად, ილუსტრაციულად. ალბათ სხვაგვარად შეუძლებელიც არის.

ბუნებრივია, რომ ამას ვერ დააღწია თავი ვერც „ანა კარენინას“ ინსცენირებამ, რომელიც მარჯანიშვილის თეატრმა წარმოადგინა.

არაფერს ვიტყვი ახალს, თუ გაგახსენებთ, რომ ლევ ტოლსტოის რომანში არ არის არავითარი ალეგორია, არავითარი სიმბოლიკა. ერთადერთხელ ხაზგასმით აღნიშნულია წინათგრძნობა. როცა ძმისა და რძლის შესარიგებლად ანა კარენინა მოსკოვს ჩავიდა, იგი უნებლიე მოწმე გახდა მატარებლის ბორბლებში ადამიანის დაღუპვისა. ამან ძლიერ იმოქმედა ქალზე და ძმას, სტეფან ობლონსკის, აკანკალებული ხმით უთხრა — дурное предзнаменование. ეს არის და ეს. სხვა მხრივ, ტოლსტოი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ადამიანის სამშვინველის მოძრაობას, სკრუპულოზურად იკვლევს მას და აჩვენებს მკითხველს. ვერც ერთ სიტყვას, ვერც ერთ საქციელს, ვერც ერთ ქმედებას ვერ ნახავთ რომანში, რომელიც ზუსტად და უტყუარად არ გამომდი-

ნარეობდეს და არ შეესაბამებოდეს პერსონაჟის ბუნებასა და თვისებას.

ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იმიტომ მოგაგონეთ, რომ ამგვარი ნაწარმოების ინსცენირების დროს მეტისმეტად სახიფათოა რაიმე გამოტოვება, რაიმე გამოაკლოთ. უთუოდ დაირღვევა ჰარმონია და მთლიანობა. გაჩნდება სიყალბე, დაიკარგება სიმართლე. არადა, თუ არაფერი გამოტოვეთ, თუ არაფერი გამოაკელით, როგორ გინდათ უზარმაზარი რომანი ჩაატიოთ თუნდაც სამსაათიან სპექტაკლის ჩარჩოში? გადაულახავი წინააღმდეგობაა. როცა მისი მოგვარება ვეღარ ხერხდება, სამწუხაროდ, იწყება ეპიზოდების, სცენებისა თუ სურათების თვითნებური (უფრო სწორად, ინსცენატორების შეხედულებისამებრ) არჩევა და დალაგება. ცხადია, რომ ამგვარი ოპერაციით რომანი ღარიბდება აზრობრივადაც და მხატვრულადაც.

ვისაც მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენა „ანა კარენინა“ უნახავს, უთუოდ ეხსომება, რომ სპექტაკლი იწყება ეაგზლის ეპიზოდით: რუსი მოხალისეები მიემგზავრებიან სერბიაში თურქთა წინააღმდეგ საომრად. ვხედავთ და ვისმენთ გრაფინია ვრონსკაიას (დოდო ჭიჭინაძე) და სერგეი კოზნიშევის (გიორგი ტატიშვილი) საუბარს. ვიგებთ, რომ, სხვებთან ერთად, სერბიაში მიდის ალექსეი ვრონსკიც. თან თავის ხარჯით მთელი რაზმიც მიჰყავს. იმასაც შევიტყობთ, რომ ანას თვითმკვლელობა მძიმედ გადაუტანია ვრონსკის. ახლობლებს ეშინო-

დათ — მასაც არ მოეკლა თავი და ყოველ ნაბიჯზე უდარაჯებდნენ.

მაგრამ გამოტოვებულია, ამოღებულია ალექსეი ვრონსკისა და სერგეი კოზნიშევის დიალოგი. ამით დაიკარგა უმთავრესი — ვრონსკის მშვინვიერი მდგომარეობა. სწორედ ამ დიალოგით იგებს მკითხველი, რომ ანას თვითმკვლელობას ვრონსკიც მოუკლავს. ამ საუბრის დროს ალექსეი კირილეს ძე მისი მდგომარეობის გამსაზღვრელ ორ ფრაზას ამბობს: ჯერ ერთი, იმისათვის, რომ მოკვდე, რეკომენდაცია საჭირო არ არისო და, მეორეც, იარაღად ჯერ კიდევ შეიძლება გამოვდგე, ხოლო, როგორც ადამიანი, ნანგრევები ვარო. ამას დავუმატოთ ვრონსკის მწარე ქვითინი, როცა უნებლიეთ ახსენდება ანას დასახიჩრებული სხეული, და ტოლსტოის მიერ იქვე აღნიშნული დეტალი: ვრონსკი ცალარ გრძნობდა კბილის ტკივილს. ქვითინმა სახე დაუმანჭაო. ანას სიკვდილით გამოწვეულ მშვინვიერი ლმობა უფრო ძლიერია, ვიდრე ხორციელი ტკივილი.

ამით ტოლსტოი მკაფიოდ ამბობს, რომ ვრონსკი სულიერად უკვე მკვდარია, და თუ ხორციელად ჯერ კიდევ არსებობს, ეს არაფერს ნიშნავს. მის ხორციელ სიცოცხლეს სერბიაში რომელიმე თურქის ტყვია დაასრულებს.

რა გამოვიდა? დავტოვეთ სიუჟეტური ინფორმაცია (ვრონსკი სერბიაში მიდის საომრად) და გამოვტოვეთ პერსონაჟის მშვინვიერი მდგომარეობა, ურომლისოდაც არ არსებობს ვრონსკი, როგორც

ადამიანი, და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, არ არსებობს აგრეთვე ანას საქციელის ზნეობრივი ღირებულება: თვითმკვლელი სხვასაც ჰკლავს. ეს კი დაკავშირებულია რომანის ერთ-ერთ ძირითად კითხვასთან — აქვს თუ არა ადამიანს თვითმკვლელობის (მით უმეტეს, სხვისი მოკვლის) უფლება? იცით, „ანა კარენინას“ ეპიგრაფად უძღვის ძველი აღთქმის მეორე სჯულის წიგნიდან (თავი 31, მუხლი 35) აღებული სიტყვები — „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო“ (ეს ფრაზა წარმოდგენის ქვესათაურადაც ზის). ამ სიტყვების დანიშნულებას ვერ გავიგებთ, თუ არ გავიხსენებთ, რომ მათ იმეორებს პავლე მოციქული რომაელთადმი ეპისტოლეში (12, 19). ამ ეპისტოლეს თანახმად, ქრისტიანული მოძღვრება კრძალავს შურისძიებას. ღმერთის საქმეა, ვინ დასაჯოს და ვინ — არა. ეს ადამიანს არ ეკითხება. როგორც თავის თავის, ისე ვრონსკის მიმართ შურისძიების მიზნით ანა კარენინას მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა გაუმართლებელია და ამდენად, ქრისტიანული თვალსაზრისით, უზნეო აქტია იგი.

„ანა კარენინას“ ზნეობრივი მრწამსი მთლიანად გამსჭვალულია პავლე მოციქულის ზემორემოხსენიებულ ეპისტოლეში ჩამოყალიბებული ეთიკური კრედოთი.

სერგეი კოზნიშევთან საუბრისას გრაფინია ვრონსკაია ანაზე ამბობს — смерть гадкой женщины без религии (დააკვირდით სიტყვებს — без религии). ეს მომხდარი ფაქტისადმი მარტო

გრაფინია ვრონსკაიას დამოკიდებულება არ არის. აქ ნაწილობრივ ტოლსტოის შემფასებლური ხმაც ისმის.

ძ'ჭვინვ'ერად განადგურებული ალექსეი ვრონსკის ჩვენება ამ რთულ პრობლემას უკავშირდება. მისი გამოტოვება მთელი რომანის აზრობრივ შინაარსს აღარიბებს.

ამასთან ერთად, ისიც სათქმელია, რომ მსახიობს წავართვით საშუალება ურთულესი ფსიქოლოგიური სურათის დახატვისა. საერთოდ კი, ვრონსკის სახე ძალიან სქემატურია. სპექტაკლში არ არის ნაჩვენები ვრონსკის მიერ თვითმკვლელობის პირველი ცდა. არაფერს გვეუბნებიან იმაზე, რომ იგი ნიჭიერი კაცია (ხატვა ემარჯვება), საქმიანი და ენერგიული ადამიანია (ჩინებულად აქვს მოწყობილი მეურნეობა ვოზდვიჟენსკოეში). და, რაც მთავარია, არ ჩანს, რომ მთელი არსებით, ნამდვილად უყვარს ანა და არ თვალთმაქცობს. მართალია, წარმოდგენაში გადმოტანილია რომანის ერთ-ერთი უძლიერესი ეპიზოდი — ალექსეი კარენინისა და ალექსეი ვრონსკის შერიგება, მძიმედ სნეული ანას სარეცელთან, — მაგრამ, ნუ მიწყენენ სპექტაკლის ავტორები და, მეტად უფერულად მიმდინარეობს იგი. არ გააჩნია ის ემოციური ძალა, რაც რომანში აქვს მას.

გულდასაწყვეტია, რომ წარმოდგენაში ვრონსკის (მალხაზ გორგილაძე) ის ფუნქცია დარჩა, რომ დროდადრო რეპლიკები მიაწოდოს ანას.

რა თქმა უნდა, საერთოდ რომანის სამეტყველო

ენა არსებითად განსხვავებულია თეატრალური წარმოდგენის ენისაგან. პირველი შეხედვით, ისიც კი შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ გაცილებით ვრცელია რომანის შესაძლებლობა, ვიდრე სპექტაკლისა, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია: ადამიანის სამშვინველის მოძრაობა მათ თანაბარი ძალით შეუძლიათ გადმოსცენ. ოღონდ ზუსტად უნდა მივაგნოთ იმ ხერხებსა და საშუალებებს, რაც აუცილებელია ადამიანის გულისსკნელში დამალული საიდუმლოს გასამჟღავნებლად. რაკი რომანის ინსცენირება დავაპირეთ, ექვივალენტური შესატყვისებიც უნდა გამოგვენახა. კონკრეტული ნიმუშით შევეცდები ვაჩვენო, რას ვგულისხმობ.

ლევ ტოლსტოის თითქოს სხვათა შორის, მაგრამ მინიშნებული აქვს ანა კარენინას ხასიათის ერთი თვისება: თუ მოეწონა მამაკაცი, ცდილობს მის მონუსხვას. კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ლამაზი ქალია, იცის მისი ხიბლის ძალაც და სიამოვნებს, როცა უყურებს სხვაზე მისი სილამაზის ზემოქმედებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანაში გარკვეული დოზით მაცდური ქალი არსებობს.

როცა მოსკოვში ანა ბალზე დაპატიჟეს, იგი დიდი სიამოვნებით და ხალისით არ წასულა სტუმრად. უთხრა კიდეც კიტი შჩერბაცკაიას — ჩემთვის უკვე აღარ არსებობს ბალი, სადაც მხიარულებაა. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბალზე მისთვის საგანგებო ყურადღება მიექციათ და იგი მაშინვე გაბრუვდა მიღწეული წარმატებით. ეს არაფერი: ყოველ ქალს ახარებს სილამაზით გამოწვეული გამარ-

ჯვება. საყურადღებოა ერთი შტრიხი. ანასთან მოსკოვური ბალების პაპა ეგორუშკა კორსუნსკი მივიდა და საცეკვავოდ გაყოლა სთხოვა. ანამ უარი უთხრა: მე არ ვცეკვავო, როცა შესაძლებელია არ ვცეკვო... ამ საუბრისას მათ ვრონსკი მიუახლოვდა. ეს ანასა და ვრონსკის მეორე შეხვედრაა და არსებითად ისინი არც იცნობენ ერთმანეთს. მაგრამ საკმარისი გახდა ვრონსკის გამოჩენა, რომ ანამ მყისვე შეცვალა გადაწყვეტილება: კორსუნსკის მხარზე ხელი დაადო და ცეკვის ფერხულში ჩაება. ანას საქციელი მაშინვე დაიჭირა ვრონსკით დაინტერესებულმა მეორე ქალმა, კიტი შჩერბაცკაიამ და გაიფიქრა კიდეც — რატომ არის ანა უკმაყოფილო ვრონსკით? მაგრამ ეს არ იყო უკმაყოფილების გამოვლენა. ეს ქალური ფანდი იყო, რომლითაც ანა ვრონსკის აჯადოებდა და ნუსხავდა. მაშინ ანა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მათ ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდებოდათ. იმ წუთს მხოლოდ საკუთარი ქალური ხიბლის ძალას შინჯავდა. გაუმართლა კიდეც: ვრონსკი მაშინვე გაება ბადეში.

როცა ანა კარენინა კონსტანტინე ლევინს გაეცნო, მას უკვე უგონოდ უყვარდა ვრონსკი და მისთვის სხვა მამაკაცი არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, მაინც გაუჩნდა სურვილი ლევინის მოჯადოებისა. ამას ანა თავადაც აღიარებს და კიტიც შეაწუხა ამგვარმა ეჭვმა.

ანას ბუნებაში მაცდუნებლის არსებობა არ ამცირებს მის კეთილშობილებასა და სისპეტაკეს, უბრალოდ გვიჩვენებს მისი ხასიათის სირთულეს,

მრავალფეროვანებას. ამიტომ, როცა ანა კარენინას სცენურად ვანსახიერებთ, მის ხასიათს ეს საღებავი არ უნდა მოაკლდეს. სამწუხაროდ, სცენაზე ეს ფერი გახუნებულია. თუმცა სულ არ არის-მეთქი, ვერ ვიტყვი. როცა ანა ლევინს ეცნობა, სოფიკო ჭავურელის (ანა) გამომეტყველება და მოძრაობა გაგრძნობინებთ ქალის სამშვინველში მომხდარ ძვრას. ოღონდ მეტად ძნელი გასარჩევია, რა არის ეს — უბრალოდ ახლადგაცნობილი პიროვნებით დაინტერესება თუ მისი ცდუნების ქვეცნობიერი სურვილი?

ანა კარენინას ადამიანური ბუნების არც ერთი ნიუანსის მიფუჩეჩება არ შეიძლება, თორემ ვერც მისი დაღუპვის მიზეზს ამოვიცნობთ და ვერც კატასტროფის შინაგან აუცილებლობას დავინახავთ.

მართალია, ზეპური საზოგადოება ანას და ვრონსკის ურთიერთობას ცხვირაბზეკილი შეხვდა, მაგრამ ამას ქალის დაღუპვაში არსებითი როლი არ შეუსრულებია. მათზე ჭორაობა უქნარა, მოცლილი ხალხისათვის დროებითი გართობა იყო. მალე დაივიწყებდნენ კიდეც ისევე, როგორც უკვე აღარ ახსოვდათ და აინტერესებდათ ადრინდელი სხვა იმგვარი შემთხვევები. მაგრამ თუ ანა კარენინასა და ალექსეი ვრონსკის სიყვარული ტრაგიკულად დამთავრდა, ამის საფუძველი თვით ანას ბუნებაში იდო.

ტოლსტოი დაუნდობლად იხედება ადამიანის გულის უფსკრულში და შემაძრწუნებელ სიმართ-

ლეს გვეუბნება. დააკვიოდით: ანა კარენინას გაგიჟებით უყვარს ვრონსკი, ძაგრამ გულგრილია მის ხელში შეძენილი გოგონასადმი. მართალია, ეზიზღება ალექსეი კარენინი, მაგრამ უზომოდ უყვარს სერიოჟა, ვაჟიშვილი, გაჩენილი შეძულებული ქმრისაგან. სად არის ძალა, ნებისყოფა, გონიერება, რომელიც ადამიანის გულში აბობოქრებულ ამ გრძნობებს დაამშვიდებს? ანა ვერავითარ გზას, ვერავითარ საშუალებას ვერ პოულობს მათ დასაშოშმინებლად. პირიქით, რაც დრო გადის, წინააღმდეგობა უფრო და უფრო იზრდება. მეტად და მეტად გრძნობს ანა სერიოჟასადმი ღალატს. შვილთან განშორებით გამოწვეული მშვინვიერი სიცარიელე ყოვლისმომცველი ხდება. ვრონსკის სიყვარულს უკვე აღარ შეუძლია მისი შევსება. მით უმეტეს, რომ ამ სიყვარულს უკვე გაუჩნდა ჭია, რომელიც შიგნიდან ღრღნის. ჯერ ერთი, ანას უფრო ხშირად და ხშირად ახსენდება, რომ ვრონსკის გამო დატოვა სერიოჟა. ამის გახსენება ქალს საყვარელი მამაკაცის წინააღმდეგ განაწყობს. მეორეც, ვრონსკი უფრთხილდება თავის მამაკაცურ თავისუფლებას. აღარ უნდა სულ ქალის კაბის კალთას იყოს გამობმული. საქმიანობაც მოენატრა, დროსტარებაც, საზოგადოებაში ტრიალიც, ანას ღალატი აზრად არ მოსდის, მაგრამ არც იმაზე ამბობს უარს, თვალს რომ წყალი დაალევინოს. ნათლივ და დასანახად აღმოცენდა კონფლიქტი, რომლის მსხვერპლია ამქვეყნად ყველა სიყვარული. ეს კონფლიქტია იმთავითვე, ბუნების მიერ, დედაკაცსა და მამაკაცში ჩა-

ნერგილი ფუნქციური განსხვავება. ქალის არსებობისათვის სიყვარული ყოვლისმომცველია და დასაშვებად მიაჩნია ყველაფერი მას შეწიროს. მამაკაცისათვის სიყვარული არსებობის ერთი ნაწილია და იგი შეიძლება სრულიადაც არ იყოს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე, ვთქვათ, რაიმე საქმიანობა. როცა თავდავიწყების დრო გაივლის, მამაკაცი აგრძელებს მისი ფუნქციის შესაბამის არსებობას, რასაც ქალი სიყვარულის ჩაქრობად აღიქვამს. ეს არ არის მართალი: სიყვარული დარჩა, გაქრა თავდავიწყება. მაგრამ ქალის ცნობიერებაში იგივდება სიყვარული და თავდავიწყება. როცა თავდავიწყებას ვეღარ ხედავს, ქალი იწყებს ბრძოლას სიყვარულის გადასარჩენად. ამ ბრძოლას იგი მიჰყავს საბედისწერო შეცდომამდე — ქალის სიყვარული იქცევა სიყვარულ-ტერორად (ამგვარი რამ ემართებათ ზოგჯერ დედებსაც შვილების მიმართ). ეს კი მამაკაცს ერთადერთ გრძნობას უჩენს — გაექცეს სიყვარულ-ტერორს, თავი იხსნას მისგან. თუ მამაკაცი უნებისყოფოა, იგი მორჩილდება სიყვარულ-ტერორს და მთელი ცხოვრება წამებულია (ეს მამაკაცის ტრაგედიაა). თუ მამაკაცი ძლიერია, იგი გაურბის სიყვარულ--ტერორს, თავისუფლდება და ქალი ხდება თავისივე ტრფობის მსხვერპლი (ეს დედაკაცის ტრაგედიაა). ეს დაემართა ანა კარენინასაც. ალექსეი ვრონსკის ბუნებრივი მიდრეკილება მამაკაცურ თავისუფლებისაკენ ჩათვალა სიყვარულის გაციებად. ანას მიერ სიყვარულის შესანარჩუნებლად გადადგმული ყველა ნაბიჯი უკვე სიყვარული-

ტერორის გამოვლენა გახდა, რაც თრგუნავდა ვრონსკის. ბუნებრივად უჩენდა პროტესტის გრძნობას. ეს იწვევდა მათ შორის გამუდმებულ დავას, რაც ორივეს ტანჯვად ექცა.

ტოლსტოის ყოვლისმხილველი მზერა ხედავს და გვიჩვენებს, როგორ გაითიშა ანას გონება და გრძნობა. გონების თვალით ანა კარგად ამჩნევს, რომ შეცდომას სჩადის. აწყობს კიდეც გეგმას, როგორ მოიქცეს, როგორ იმოქმედოს. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, გონების თვალი უბნელდება და მთლიანად გრძნობის შესაბამისად მოქმედებს. ამ შინაგანმა შეურიგებელმა წინააღმდეგობამ მიიყვანა ანა სასოწარკვეთილ გადაწყვეტილებამდე.

ესოდენ გრძელი მსჯელობით თავი იმიტომ შეგაწყინეთ, რომ დამესკვნა: ანა კარენინას დაღუპვაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებს პიროვნების საზოგადოებრივი ზნეობისადმი დაპირისპირება. ანას ნებისყოფის ადამიანები ამგვარ კონფლიქტს უძლებენ. ისინი ვერ ერევიან საკუთარ სამშვინველში წარმოქმნილ კონფლიქტს, როცა ადამიანი ორად იყოფა. ვერც ანამ სძლია ამ წინააღმდეგობას. მან ვერ შეარიგა და შეათავსა დედური მოვალეობა და ქალური სიყვარული. აქ მისი გული გაიხლიჩა. ამან მის არსებაში გათიშა გრძნობა და გონება.

რაკი ასეა, მაშინ წარმოდგენაში ზედმეტად არის აქცენტირებული ანას საზოგადოებისადმი დაპირისპირებულობა. ალბათ შლაგბაუმი, რომელიც სცენაზე რამდენჯერმე ფიგურირებს, უნდა აღვიქვათ

როგორც სიმბოლო, მიმათითებელი ანასა და საზოგადოების გათიშვაზე. ამასვე უნდა აღნიშნავდეს გრაფინია ლიდიას, ბეტსი ტვერსკაიას და სხვათა ერთობლივი განკითხვა ანასი, როცა ისინი ცდილობენ მოგვევლინონ ბრალმდებლად. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს სცენები ილუსტრაციული ხასიათის არიან, ისინი ჩრდილავენ ანას მშვინვიერი წამების ფსიქოლოგიურ სურათს. ვერ ვხედავთ პროცესს — როგორ მივიდა დიდი, ამაღლებული, თავდავიწყებული სიყვარული თვითმკვლელობამდე. სცენაზე არსებობს ამ პროცესის ცალკეული ფრაგმენტები, რომელნიც მომხდარი ამბის შედეგს გვიჩვენებენ და არა თავად მოძრაობას.

თუ არ იქნება როგორ ემზადებოდა ანა შვილთან შესაყრელად, როგორ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, როგორ შეუსწრო მოალერსე დედა-შვილს ალექსეი კარენინმა, როგორ გავარდა შვილის ოთახიდან თავგზააბნეული ანა, როგორ დაავიწყდა სერიოჟასათვის მიეცა სათამაშოები, რომლის. საყიდლად მთელი დღე მაღაზია-მაღაზია დარბოდა, არ დაიხატება არც ანას ტანჯვა, და არც მისი სიხარული, არც ქვეცნობიერი კავშირი, რომლითაც დედა მიჯაჭვულია შვილზე. არ გამოჩნდება არც ალექსეი კარენინის გულისდუღილი და არც ის ელდა, რომელიც პატარა სერიოჟას დასცა დედის მოულოდნელმა ნახვამ.

რომანის ამ სულის გამყინავ ეპიზოდს ვერ შეცვლის ჩვენება იმისა, როგორ ამოაქვს ანა-ს. ჭიაურელს ჩანთიდან შვილის სათამაშოები. ეს სცენა

ფაქტის კონსტატაციის იქით ვერ მიდის (დედას ჩანთაში აქვს შვილის სათამაშოები).

შვილთან პაემანმა ანა კარენინას დაუტოვა მოლურჩენელი ტკივილი: იგი ამიერიდან ვეღარასოდეს ნახავს სერიოჟას. დედის ცნობიერებაში ჩარჩა შვილის თვალები და იქ ამოკითხული ჯერ გაუცნობიერებული დარდი ბიჭისა; მისი მშობლები არასოდეს შერიგდებიან.

ამ განცდას ტოლფასოვნად ვერ გადმოგვცემს წარმოდგენის მიზანსცენა. შორს, სცენის სიღრმეში, სცენაზე ჩამოშვებულ დოლბანდის უკან, ლოგინში დგას სერიოჟა. მაყურებლისაკენ ზურგმიქცეული, გამოსალმების ნიშნად ხელაღმართული, ნელ-ნელა უკან იხევს ანა-ს. ჭიაურელი. ესეც მეტს არ გვეუბნება, ვიდრე ფაქტის კონსტატაციაა: დედა ეთხოვება შვილს. სხვა რომ არა იყოს. რა, იმ წუთში ვერ ვხედავთ მსახიობის სახეს, თვალებს, მის გამომეტყველებას, რომელშიც ვინძლო დაგვენახა ანა კარენინას მშვინვიერი მდგომარეობა.

გულახდილად რომ გითხრათ, ჩემთვის გაუგებარი დარჩა, ვინ არის ან რისი სიმბოლოა ის მუჟიკი, რომელიც ავანსცენაზე გამოვარდება, რამპის წინ ჩაცუცქდება და ტომრიდან ამოღებულ სათამაშო ორთქლმავალს აწვდის ანას. რა — მან ის კაცი უნდა გაგვახსენოს, რომელიც მატარებელმა გასრისა მაშინ, როცა ანა მოსკოვში ჩამოვიდა ძმისა და რძლის შესარიგებლად? თუ იგი ზეპური საზოგადოების ფილისტერული ზნეობის სიმბოლოა? იმ საზოგადოებისა, რომელმაც ანას ხელი ჰკრა?

თუ თავად ანას სინდისის ტკივილია? მას ხომ ამ ტკივილმა უბიძგა მატარებლის ბორბლებში?

შეიძლება ერთიც იყოს, მეორეც, მესამეც, მაგრამ, რაც მართალი მართალია, მე ამ ალეგორიის აზრი არ მესმის.

საერთოდ კი, თუ არ ვცდები, ამგვარი სიმბოლიკა, ალეგორიულობა ტოლსტოის სცენური ინტერპრეტაციისათვის არ გამოდგება. ტოლსტოის პერსონაჟების სამშვინველის მოძრაობის გადმოსაცემად მხოლოდ მსახიობის ოსტატობასა და ნიჭს უნდა ვენდოთ. ტოლსტოი ხატავს ადამიანს, ოდენ ადამიანს, თავის ავ-კარგით. კეთილითა და ბოროტით, სიხარულითა და ტკივილით. მათი სულიერი სამყარო მსახიობმა უნდა მოქსოვოს იუველირის სინატიფით, სინაზითა და სიზუსტით. სხვაგვარად, თავად ადამიანი ხდება რაღაც აბსტრაქტული იდეის ალეგორია. ალეგორიას არ შეუძლია პროტესტის განცხადება. პროტესტს აცხადებს ადამიანი. მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენა კი პროტესტის განცხადებით მთავრდება. ანას-ს. ჰიაურელის შემზარავი შეძახილი — მძულხარ! — ხომ მიმართულია ღმერთის, ადამიანის, სიყვარულის წინააღმდეგ? თუ გძულს ღმერთი, თუ გძულს ადამიანი, თუ გძულს სიყვარული, მაშინ არსებობაც გძულს. რა შეიძლება იყოს უფრო დიდი და საშინელი პროტესტი! მაგრამ თუ მაყურებლის თვალწინ არ გათამაშდა, თუ თვალნათლივ არ ვნახეთ, როგორ მივიდა ადამიანი ამ პროტესტამდე, რამ წარმოშვა მასში არაარსებობისაკენ ლტოლვა, ძახილი—მძულ-

ხარ! — დარჩება უბრალო ყვირილად და არ იქნება მოწოდება, რომლის გარეგნულად უარყოფითი ფორმა მალავს სწორედ ღმერთის, ადამიანის, სიყვარულის უსაშველო ნატვრას.

ფრაგმენტულობა სქემატურს ხდის კონსტანტინე ლევინის პიროვნებასაც. იგი მაძიებელი კაცია და არსებობის აზრის ამოცნობას ცდილობს. მის ცხოვრებაში, ამ მხრივ, არსებითი მნიშვნელობა აქვს ძმის, ნიკოლაი ლევინის, სიკვდილს და შვილის დაბადებას. წარმოდგენაში მოქმედებს ნიკოლაი ლევინიც (ნოდარ მგალობლიშვილი) და ნაჩვენებია კიტისა და ლევინის ბიჭის დაბადების სცენაც. მაგრამ ორივე შემთხვევაში გამოკლებულია უმთავრესი — ნიკოლაის სიკვდილი და ლევინის რეაქცია, გამოწვეული ბავშვის დაბადებით. გახსოვთ, უზომო სიხარულით და ძრწოლით ელოდება ლევინი ბავშვის გაჩენას, მაგრამ, როცა პირველად ჩვილს დაინ ედა, მისდა გასაოცრად, იგრძნო მხოლოდ ზიზღი. ამან იგი საოცრად შეაშინა. ლევინის სამშვინველში წარმოქმნილი დამოკიდებულების ეს მრავალფეროვანება სრულიად არ არის სპექტაკლში. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ წარმოდგენის ლევინს აკლია რომანის ლევინის ერთი ძირითადი თვისება— ეჭვიანობა, რაც მას ერთგვარად აუტანელ პიროვნებად ხდის (სხვათა შორის, ლევინის აუტანლობას აღნიშნავდა სოფია ანდრეევნა ტოლსტაიაც). მაგრამ ლევინის ამ თვისების არარსებობა სპექტაკლში გასაგებია. პიესის მოცულობა მცირეა და ეჭვიანობისათვის ადგილი აღარ დარჩა. ხოლო, რაც შეეხე-

ბა დაბადება-სიკვდილის ურთიერთკავშირს, მი-
სი გამოტოვება ყოვლად დაუშვებელია. ფუნქცია
ეკარგება არა მარტო ლევინის სახეს, არამედ კნინ-
დება და ღარიბდება რომანის პრობლემატიკაც.

ლევ ტოლსტოი წერს — ლევინმა იცოდა და
გრძნობდა, რომ რაც მოხდა ცოტა ხმის წინათ (დარ-
ბადა ბავშვი), ჰგავდა იმას, რაც აღსრულდა ერთი
წლის უკან საგუბერნიო ქალაქის სასტუმროში
(გარდაიცვალა ნიკოლაი). ჰგავდა იმიტომ, რომ არ-
სებობის, სიცოცხლის საიდუმლოა დაბადებაც და
სიკვდილიც. მაგრამ ერთი სიხარულია და მეორე—
მწუხარება. რა აკავშირებთ მათ? რა აქვთ საერ-
თო? როგორ უნდა იარსებოს დაბადებასა და სიკვ-
დილს შორის გამომწყვდეულმა ადამიანმა? ეს კი-
თხვები აწამებენ ლევინს (უფრო ფართო გაგებით,
თვით ტოლსტოის). ამის პასუხს ეძებს იგი. ამ ძიე-
ბაში იბადება მისი სასოწარკვეთილება, რასაც ზოგ-
ჯერ ლევინი თვითმკვლელობის სურვილამდე მი-
ჰყავს. როცა ეს ვიცით, ბუნებრივია ლევინის დაბ-
ნეულობა, გაურკვევლობა, თვითმკვლელობის შიში.
მაგრამ, როცა წარმოდგენაში აღარ არის ძიებათა,
ეჭვთა, სასოწარკვეთილებათა საერთო ატმოსფერო,
მაშინ სრულიად აუხსნელია და ალოგიკურიც (ადა-
მიანთა გრძნობათა ჭიდილს თავისი მკაცრი ლოგი-
კა აქვს) წარმოდგენის ლევინის (გია ბურჯანაძე)
ფიქრი თვითმკვლელობაზე. ეს სპექტაკლში გად-
მოცემულია იმით, რომ ლევინს ხელში უჭირავს
მარყუჟგამოსკვნილი თოკი, რომელსაც ერმილი
(გიზო სიხარულიძე) წაართმევს.

ერმილის შეგონება — თვითმკვლელობით ღმერთს ჰკლავო — უზენაესი შეგონებაა, მაგრამ ლევინის მშვინვიერ ძიებათა პასუხი მაინც არ არის. იგი ვერ დაამშვიდებს ლევინს, რამეთუ მას სურს მიაგნოს არსებობის მიზანს და დანიშნულებას. როგორც ვიცით, რომანში ლევინის ძიების პასუხია — არსებობის (აქედან, ცხადია, ადამიანისაც) მიზანი და დანიშნულებაა კეთილის ქმნა. მიაგნო თუ არა ლევინმა ამ პასუხს, იგი დამშვიდდა და ამ ჰარმონიითაც მთავრდება რომანი. მაგრამ არის კიდევ ერთი კითხვა, რომელიც „ანა კარენინაშივეა" დასმული, მაგრამ უპასუხოდ არის დატოვებული. ეს გახლავთ ალექსეი კარენინის კითხვა — შეიძლება გიყვარდეს იგი, ვისაც სძულხარ, მაგრამ როგორ უნდა შეიყვარო ის, ვინც გძულს (წარმოდგენაში გამოტოვებულია ეს კითხვა)? ეს არის თავსატეხი. კეთილის ქმნა შეუძლებელია უსიყვარულოდ. თუ ვერ შეიყვარებ იმას, ვინც გძულს, მაშასადამე, ვერ იქმ კეთილს. ასე არღვევს ლევინის იმედის კოშკს კარენინის ეჭვიანი და უნდო კითხვა.

მართალია, რომანში უშუალოდ არაფერია ამაზე ნათქვამი, მაგრამ თუ ღრმად ჩავიხედავთ კარენინის, ანას და ლევინის სამშვინველში, დავინახავთ, რომ მათ ქვეცნობიერი კავშირი აქვთ. მათ ის აერთიანებთ, რომ სამივეს წინაშე დგას ალტერნატივა — რა არის ცხოვრება, ყოფიერებით ტკბობა თუ ზნეობრივი პასუხისმგებლობა? ეს ალტერნატივა, მაგალითად, არ აწუხებს ანას ძმას სტივა ობლონსკის. მისთვის ცხოვრება ყოფიერებით ტკბობაა და

ცხოვრობს კიდეც არხეინად. ანასა და ლევინს უჭირთ ამ ორი დამოკიდებულების გაერთიანებაც და მათ შორის არჩევანიც. ამიტომ იტანჯებიან. რაკი ანა ვერ პოულობს ამ ალტერნატივის გადაწყვეტას, იღუპება. ლევინი კეთილის ქმნის სახელით, ე. ი. ზნეობრივი პასუხისმგებლობის არჩევით, ნახულობს მშვინვიერი კრიზისიდან გამოსავალს. კარენინი არც ანას გზით მიდის და არც ლევინის. იგი ამჯობინებს მექანიკურ ცხოვრებას. ამიტომ საბოლოოდ კეთილი, გულგამოჭმული და იმედდაკარგული კაცია. ღრმად ტრაგიკული პიროვნება, ვისაც არ სჯერა, რომ სიმართლით, გულწრფელობით, პატიოსნებით შეიძლება ცხოვრების მოწყობა. ამის უმშვენელო დასტურია ის წინადადება, რომელიც ცოლს მისცა, როცა შეიტყო, ანას ვრონსკი უყვარსო. კარენინი ყაბულს იყო, ანას როგორც უნდოდა ისე ეცხოვრა, ოღონდ საზოგადოების თვალში შენარჩუნებინა ოჯახური მყუდროება, სიამტკბილობა და წესრიგი. ამ გულგამოჭმულობით, კაეშნით, უიმედობით თრგუნავდა იგი ანას. ამიტომ ეშინოდა ანას მისი.

კარენინი არა მარტო ანტიანაა, იგი ანტილევინიც არის. ანტილევინია იმიტომ, რომ კარენინის კითხვის პასუხი არც ერთ რელიგიას არ მოეპოვება. არც ტოლსტოის აქვს იგი. ადამიანი ძრწოლით არის მოსილი. ძას ლევინის მიერ ნაპოვნი სიმშვიდე ვერ სცემს ნუგეშს. თეორიულად კარენინმაც იცის, რომ კეთილი უნდა აკეთოს. პრაქტიკულადაც გადადგა მან ეს ნაბიჯი. კარენინმა წაიყვანა აღსაზრდელად

ანასა და ვრონსკის ქალიშვილი. მაგრამ მან, რაკი შეიძულა, ანა გასწირა, ვერ მოერია სიძულვილს. მოერევა კი ლევინი სიძულვილს, თუ ვინიცობაა მის წინაშეც აღიმართება ეს პრობლემა? ლევ ტოლსტოი დუმს. საკუთარივე კითხვას ვერ უპასუხა.

ასეა ერთმანეთზე ფესვებით გადაბმული სამი სრულიად სხვადასხვა ბუნებისა და თვისების ადამიანი.

ამ პრობლემატიკით მონაბერი სიო მაინც უნდა ჰქროდეს სპექტაკლში. თუმცა ის კი უნდა ითქვას, რომ კოტე მახარაძის კარენინი, მისი გარეგნული პორტრეტი, ძრწოლას უეჭველად გგვრით. მაგრამ არსებობს ერთი აუცილებლობა, რომელსაც უთუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება მსახიობმა. ტოლსტოი არ ხატავს ეგრეთწოდებულ დადებით და უარყოფით პერსონაჟებს. იგი ძერწავს ადამიანს, რომელშიც ყველაფერია — კეთილიც და ბოროტიც, ძლიერებაც და სისუსტეც, მართალიცა და ტყუილიც, სამართლიანობაც და უსამართლობაც, პატიებაც და შურისგებაც. კ. მახარაძის კარენინში სიცოცხლის ეს მრავალფეროვანი ძარღვი უფრო აშკარად უნდა ფეთქავდეს, უფრო გაბედულად უნდა გამომჟღავნდეს მისი ადამიანური მხარე. თორემ საკმაოდ არსებობს საშიშროება ცივი ნიღბის შექმნისა. ნიღბების არსებობა კი „ანა კარენინაში“ სასურველი არ არის.

ლევ ტოლსტოის რომანი ურთულესი პრობლემებით დაყურსული წიგნია და კარგად მესმის, რომ მათი სრულად გადმოტანა სპექტაკლში შეუძლებე-

ლია (ამიტომაც ვთქვი, ინსცენირებების წინაალმ-
დეგი ვარ-მეთქი). მაგრამ ერთი კი აუცილებლად
უნდა ყოფილიყო — ადამიანის დანიშნულების ძიე-
ბის მოუსვენარი სული. და ნუ მიწყენენ წარმოდ-
გენის ავტორები, დრამატურგი ლალი როსება და
რეჟისორი მედეა კუჭუხიძე, თუ მე იგი ვერ დავი-
ნახე.

ჩვენ ყველას შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ ეს-
პანური ანდაზით: მიყვარს შეუძლებელთან ბრძო-
ლა და დამარცხება. *

1983 წ.

წარსულით წინასწარმეტყველება

Der Historiker ist rückwerts
gewandte Prophet[1].
ფრიდრიხ შლეგელი

ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები" ყურად-
ღებით წავიკითხე. მაგრამ ისიც გულახდილად უნ-
და ვთქვა, რომ ჩემი ნიაზი გაანელა იმან, რაც ამო-
ვიკითხე მეოთხე წიგნის იმ თავში, რომელსაც
ეწოდება „დასასრული უქარქაშო ხმლებისა".

აქ წერია, რომ ქართველებმა სულ „შვიდასი
წლის მანძილზე 571 (მოიგეს 445, წააგეს 126)"
ბრძოლა გადიხადეს გარეშე მტრებთან (IV, 770)[2].

---

1 სიტყვასიტყვით: ისტორიკოსი არის უკან მიბრუნებუ-
ლი წინასწარმეტყველი.

2 რომაული ციფრი აღნიშნავს „უქარქაშო ხმლების"
ტომს, არაბული — გვერდს.

რა თქმა უნდა, სრულიად არ ვაპირებ იმის შემოწმებას, რამდენად ზუსტად არის დათვლილი ომების რაოდენობა. მე მგონია, ეს ნაკლებ საინტერესოა. საყურადღებო სხვა რამ არის, კერძოდ კითხვა ასეთი:

თუ შვიდასი წლის მანძილზე ქართველებმა 445 ბრძოლა მოიგეს და მხოლოდ 126 წააგეს, რატომ დამთავრდა მაშინ ფეოდალური საქართველოს ისტორია კატასტროფით?

თუ ეს არ აიხსნა, გაუგებარი იქნება, რას ვანიჭებთ მნიშვნელობას — უბრალოდ ბრძოლის მოგებას თუ მის საბოლოო, შორსმიმავალ შედეგს? განა დიდგორის ომის მოგება და ნიახურას ველზე გამარჯვება ერთნაირია? დიდგორის ომმა საქართველოს ბედი განსაზღვრა მთელი საუკუნით. ნიახურას გამარჯვებას კი არაფერი შეუცვლია. მხოლოდ ბრაგთა რაზმი მოიგერია. ქვეყნის ბედი თავდაყირა დადგება, კატასტროფა გარდაუვალი გახდება, თუ წააგე ეთი დიდგორი და მოიგე ასი ნიახურა. თუ ვატერლოოს ბრძოლა წააგე, ყველაფერი, რაც ადრე მოგიგია, ნაცარტუტად იქცევა.

ამიტომ მოგებული ომების რაოდენობას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ მოგებული ბრძოლის მასშტაბს, ხასიათს, თვისებას, საბოლოო შედეგს, გამარჯვების გამოყენებას. ეს მკაფიოდ უნდა ჩანდეს, როცა წაგებული და მოგებული ომების რაოდენობას ვუპირისპირებთ ერთმანეთს.

ზემოთ დასმული კითხვის პასუხი აუცილებელი იყო არა მარტო ფეოდალური საქართველოს უკანა-

სკნელი დღის გასაგებად, არამედ იმის ნათელსაყოფადაც, რასაც მერე ამბობს ავტორი.

„ახლა კი დამდგარიყო მეცხრამეტე საუკუნე და ქართულ უქარქაშო ხმლებს ყავლი გასვლოდათ, დრო-ჟამიდან გასულ ანაქრონიზმად ქცეულიყვნენ.

. . . .

და სამარადჟამოდ ჩაესვენენ ქარქაშებში ათასწლობით ქარქაშდავიწყებული ქართული ხმლები.

საქართველოს საისტორიო სახელიც — „უქარქაშო ხმლები“ — მეთვრამეტე საუკუნის დასასრულთანვე დასრულდა“ (IV, 770).

ასეთი დასკვნა ჩემთვის გაუგებარია. ახლავე მოგახსენებთ — რატომ.

ჯერ ერთი, საერთოდ, ჩემი ღრმა რწმენით, ერი, რომელმაც ხმალი ქარქაშში ჩააგდო, მკვდარი ერია. ცხადია, ლ. სანიკიძე ქართველებს მკვდარ ხალხად არ თვლის. მაშინ არ დაწერდა უზარმაზარ ოთხტომიან წიგნს. მკვდარ ხალხს ისტორია აღარ სჭირდება. ეტყობა, იგი რაღაც სხვას გულისხმობს, როცა ამბობს — „სამარადჟამოდ ჩაესვენენო ქარქაშებში ათასწლობით ქარქაშდავიწყებული ქართული ხმლები“. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ეს ჩემთვის მკაფიო არ არის.

მეორეც, ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ თითქმის ათი წელიწადი ებრძოდა იმიერსაქართველოს მეფე სოლომონ მეორე რუსეთის არმიას 1801—10 წლებში. მეცხრამეტე საუკუნის

პირველ ნახევარში საქართველოში აჯანყება იყო 1804, 1812, 1820, 1841 წლებში. მოეწყო შეთქმულება 1832 წელს.

განა ეს ქარქაშში ხმალჩაგებული ერის ცხოვრებაა?

მესამეც, 1801 წლიდან საქართველო მონაწილეობდა ყველა ომში, რომელიც რუსეთს ჰქონია წინა აზიასა, ევროპასა თუ შორეულ აღმოსავლეთში.

თუ შეიძლება ავღანთა წინააღმდეგ მებრძოლი სპარსეთის ჯარის მხედართმთავარი და ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე, თუ სხვანი, ქებითა და კრძალვით მოვიხსენიოთ, მაშინ რატომღა ვუწოდებთ რუსეთის უკიდეგანო იმპერიის დიდებისათვის მებრძოლ ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ქარქაშში ხმალჩაგებულს?

ერთგულება კი ვლინდებოდა ყოველნაირად.

იმ მხედართმთავართა შორის, რომელთაც 1812 წლის დიდი ომი მოიგეს, ერთი ქართველიც იყო— პეტრე ბაგრატიონი. იმ ოფიცრობაში, ვინც ევროპა ცხენითა და ხმლით გაიარა და პარიზში შევიდა, ქართველი პოეტიც ერია— ალექსანდრე ჭავჭავაძე.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს, 1904 წელს, ნიკოლოზ მეორეს მეჯოგე ძიკი კვარაცხელიამ ასი დარჩეული ხარი მიართვა ფეშქაშად. ყველა ერთი ასაკის, ერთნაირი წონის, ერთნაირად ოქროსფერი და ერთნაირად თეთრრქიანი. ჯარის გამოსაკვებად ინებეთო ჩემგან ძღვნად, — უთვლიდა გლეხი იმ-

პერატორს (ლიტერატურული კრებული „რიწა“, 1977 წ., გვ. 139).

როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, აკაკი წერეთელმა სტატია გამოაქვეყნა („კლდე“, 1914 წ., № 31, გვ. 7). იგი წერდა:

„ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერჯეროობით ამ პატარა საქართველომ და იძულებითი არა ყოფილა რა!

ყველა თავის სურვილ-ნებითა და სიხარულით მიისწრაფოდა რუსის ჯარებთან ერთად თავდასადებად შორეულ ქვეყანაში. დიდი ხნის გულის ნადებმა გრძნობამ სიმღერად ამოხეთქა და ტკბილი გუგუნი გადაეცა საქართველოს მთასა და ბარს...“

ჟურნალ „კლდისავე“ განმარტებით, ეს აღტაცება გამოწვეული ყოფილა იმით, რომ „ამ ომს ქართველებისათვის სხვა დიდი აზრიც აქვს. მთელი საქართველო არ შედის რუსეთის იმპერიაში; მთელი სამხრეთი ნაპირი შავი ზღვისა ტრაპიზონამდე დასახლებულია ლაზებით. ისინი ქართველები არიან და დიდი ხნიდანვე ჩამოშორებულნი საქართველოს ოსმალებისაგან. ისინი უკვე გამაჰმადიანებულნი არიან, მაგრამ ქართველებად დარჩნენ, რადგან შეინახეს ენა, ჩვეულებანი და სხვ. მათ არა ერთხელ მოუგონებიათ თავიანთი თავი ქართულ პრესაში.

ეხლა მათთვისაც დადგა საათი, როდესაც მთელი ქართველობა შეერთდება ერთ ოჯახად. დღეს ისინი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან, და ხვალ— ქართველ პატრიოტებად დარჩენილნი, — ისინი

რუსეთის ერთგული მოქალაქენი იქნებიან...“ (1914 წ., № 31, გვ. 9—10).

ალბათ, ამის გამო მოუწოდებდა ნიკო ნიკოლაძე:

„როგორც რუსეთის, აგრეთვე ევროპის თვალში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდულ ხალხად, იმისთანად, რომელიც პატივისცემის ღირსია სამხედრო მამაცობისათვის და ხეირიანი განწყობილების ღირსია მოქალაქეობრივი პატიოსნების და წესიერების დაცვისათვის. ერთი სიტყვით, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევარცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს, ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავაზაკობას, ნურც სიმხდალეს; ნუ ვეძებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთიერთის დახმარების საჭიროებას, ნუ დავიმალვით სოროში; მაშინ ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს. მტერსა და მოყვარეს დაანახვებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“ („კლდე“, 1914 წ., № 32, გვ. 12).

ნუთუ რუსეთის იმპერიისათვის თავდადების ამ განწყობილებას შეიძლება ქარქაშში ხმალჩაგებულობა ვუწოდოთ?

მეოთხეც, არც სოციალურ ბრძოლაში დაუხვევიათ უკან ქართველებს. 1905—7 წლების რევოლუციის დროს თუ სადმე ცეცხლის კერი დატრიალდა, ეს საქართველოშიც იყო.

განა 1905—7 წლებში საქართველოში ქარქაშში ხმალჩაგებული ერის ცხოვრებაა?

ტანში ერუანტელი დაგივლის და სხეულზე ეკლები გამოგესხმება, როცა გაიგებ, რომ მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებულ შტატებს ხუთასი ათასი მეომარი დაეღუპა, ხოლო საქართველოს — ოთხასი ათასი. თურმე პაწია, ორმილიონნახევრიანმა ქეეყანამ თითქმის იმდენივე მსხვერპლი გაიღო, რამდენიც ორასმილიონიანმა გიგანტმა!

ასე რომ, ქართველ ხალხს ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია და მშვიდად არც მეცხრამეტე საუკუნეში უცხოვრია და არც მეოცეში. იგი ყველა ქარიშხალს პირისპირ ხვდებოდა და თუ მაინც გადავრჩით და გავმრავლდით კიდეც, ეს იმიტომ, რომ „ჩვენ გლერტა ბალახივით ვართ, სამ წელიწადს რომ ყვავის ბუდედ იყო, მერე ძირს დავარდა, ფეხქვეშ მიწას მოსდო და აღმოხდა: — ეეხ, კინაღამ არ მოვკვდიო!“ (დ. შენგელაია — „ბათა ქექია“).

ქარქაშში ხმალჩაგებულობის პრობლემა კიდევ ერთი კითხვის ცხად პასუხს ითხოვს.

ჩააგო იმიტომ, რომ გაიმარჯვა, მიზანს მიაღწია და ბრძოლა დაასრულა?

თუ იმედი და რწმენა დაკარგა, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, დამარცხებულის ბედს დამორჩილდა და შეეგუა?

თუ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, ისვენებდა და ისტორიის იმ ზარს უცდიდა, რომელიც მისთვისაც დარეკავდა და მაშინ ისევ აღმართავდა მახვილს?

ამ კითხვის პირდაპირი პასუხი „უქარქაშო ხმლებში“ არ არის, მაგრამ ეს კია ნათქვამი:

„...ქართული მთიდან აღიმართება ქართველი მთა-კაცი და იერიქონის საყვირის ხმით დაამქუხარებს:

„ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის-გორზე შადგომა?!“

და მაშინვე პასუხად იქუხებს ქართული ჯიშის სკნელი ყოველი — ქვე-სკნელიცა და ზე-სკნელიც, უკანა-სკნელიც და წინა-სკნელიც:

„ეღირსება!!!“ (IV, 771).

თუ ასე იქნება, მაშინ ისიც უნდა გვწამდეს, რომ უქარქაშო ხმლების ისტორია არ დამთავრებულა მე-18 საუკუნის დასასრულს.

ისტორიის გახსენებას მაშინ აქვს ფასი, თუ წარსულით მომავლის წინასწარმეტყველება მოხდება.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ უპირველესად ისიც უნდა განვსაზღვროთ — ხელისუფალთა როგორი ტიპები ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიამ და როგორი პიროვნება შეგვიძლია მივიჩნიოთ ერის იდეალურ თავკაცად.

ალბათ, მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების შედეგად ძირითადად ხელისუფლის სამგვარი ტიპი გამოვლინდა.

პ ი რ ვ ე ლ ი: ეროვნული ენერგიის რწმენით შეპყრობილი, სრული ნაციონალური თავისუფლების ტრფიალი, რომლის ცხოვრების აზრია —

„ვიყვნეთ არავისა მონა, და არავისა ვმსახურეთ თუინიერ ღმრთისა დამბადებლისა“. ამის განსახორციელებლად გონებაც უჭრის, ენერგიაც აქვს და უნარიც. ზედმიწევნით ზუსტად იცის, რომელ სიტუაციაში როგორ მოიქცეს, ვის დაეყრდნოს და რას. შესწევს ძალა ოცნება საქმედ აქციოს. ვისშიაც ჰარმონიულად არის შერწყმული სულიერება და ხორციელება. ამგვარი ხელისუფლის კონკრეტული, ხორცშესხმული სახეა დავით აღმაშენებელი.

მ ე ო რ ე: სხვისი დანიშნული. პატრონის უსიტყვოდ მორჩილი, მისი ყოველი განკარგულების ერთგულად შემსრულებელი. მბრძანებლის თავგადადებული მეხოტბე და მადიდებელი. ვისაც სურს ერთდროულად იყოს ქართველთა მეფეც, ირანის ყულარაღასიც, ისპაჰანის ტარუღაც. ამგვარ მდგომარეობაში შეძლებისდაგვარად, თუ მას პირადად არაფერი დაუშავდება, საქართველოზე მზრუნველიც, მამულისათვის კეთილის მსურველიც. ასეთი ხელისუფლის ტიპობრივი სახეა, მაგალითად, ხოსრო-მირზა ბაგრატიონი, ანუ როსტომ ქართლის მეფე.

მ ე ს ა მ ე: ერისა და სამშობლოს მოყვარული, თავგამეტებული მებრძოლი, დაუმორჩილებელი, მაგრამ, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც ეროვნული ენერგიისადმი სკეპსისით შეპყრობილი, სხვისი იმედით მცხოვრები და კეთილი მფარველის მძებნელი. ასეთნი ბევრნი იყვნენ, თუნდაც თეიმურაზ

პირველი, ერეკლე მეორე, სოლომონ პირველი და სხვანი.

ხელისუფალთა ამ სამი ძირითადი ტიპიდან იდეალურად პირველი, ანუ დავით აღმაშენებლისებური მმართველი უნდა მივიჩნიოთ. როცა დავით აღმაშენებელს ვირჩევთ, მაშინ წარსულით მომავალსაც ვეკვრეტთ. წარსულში მომავლის ხატს ვხედავთ.

სხვათა შორის, ეს არის სწორედ არსებითი განსხვავება კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლისა“ სხვა ისტორიული რომანებისაგან, რომელნიც ჩვენს მწერლობას შეუქმნია. ქართულ მწერლობაში ბევრი ისტორიული რომანია დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, არსად, გარდა კ. გამსახურდიას რომანისა, არ არის მომავლის ხილვა. ამ ხილვას ის პიროვნება განაპირობებს, ვისაც ეძღვნება რომანი. როგორი პოზიციითაც უნდა დაწეროს მწერალმა მხატვრული თხზულება, თუ იგი დამარცხებულ პიროვნებას ეძღვნება, უნდა თუ არ უნდა ეს მას, ისტორიულ პერსპექტივას მაინც დახშულს გვიხატავს. ამდენად არც მომავალი ჩანს.)

საქმე ის გახლავთ, რომ არის ტრაგიკულობა პიროვნებისა და არის ტრაგიკულობა მისი საქმისა, თუ მათ ერთმანეთს შევუფარდებდით, შეიძლებოდა ორი ვარიანტი განგვეხილა.

დასაშვებია, ესა თუ ის ისტორიული პირი პიროვნულად დამარცხდეს, მაგრამ მისმა საქმემ გაიმარჯვოს. ამ შემთხვევაში, ცხადია, პიროვნება ტრაგიკულია, მაგრამ მისი ბედი იმედის, რწმენის შემ-

ცველია. დანტონიც, რობესპიერიც პიროვნულად ტრაგიკულად ამთავრებენ ცხოვრებას, მაგრამ იმარჯვებს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რასაც ისინი ემსახურებოდნენ. რა ტრაგიკული განწყობილებითაც უნდა დაიწეროს მათდამი მიძღვნილი რომანი, პოემა თუ პიესა, შინაგანი პათოსით მაინც ოპტიმისტური იქნება, რამეთუ ორივე ისტორიული პირი გამარჯვებული რევოლუციის, ანუ საქმის მსხვერპლია.

შესაძლებელია შებრუნებული ვარიანტიც. პიროვნება გადარჩეს, მაგრამ დამარცხდეს საქმე, რომელსაც იგი აკეთებდა. მართალია, მონღოლებთან ბრძოლაში სულთანი ჯალალედინი თავად გადარჩა, ჩინგის-ხანს გაექცა და ერთხანს ბრძოლასაც აგრძელებდა, მაგრამ დამარცხდა მისი ქვეყანა, ანუ მისი საქმე. ამიტომ როგორი მაჟორული დამოკიდებულებითაც უნდა აღწეროს მწერალმა ჯალალედინის ბრძოლა ჩინგის-ხანის წინააღმდეგ, როგორი მსუყე ფერებითაც უნდა დახატოს მისი პირადი გმირობა, სულერთია, თხზულების საერთო შინაგანი პათოსი მაინც პესიმისტური იქნება, რადგან ქვეყანა, ანუ საქმე, რომელსაც ჯალალედინი იცავდა, დამარცხდა. ის, რომ პიროვნულად ჯალადედინს არც ვაჟკაცობა აკლდა, არც მხედართმთავრული ნიჭი და არც ენერგია, ოპტიმისტურ პათოსს ვერ შექმნის. ისტორიული ოპტიმიზმიც და პესიმიზმიც ყოველთვის განპირობებულია თვით საქმის ბოლოთი, მისი დასასრულით.

ლაშა-გიორგი, ალექსანდრე ლევანის ძე, თეი-

მურაზ პირველი, სოლომონ პირველი თუ ხხვანი, ამ ტიპის მოღვაწენი, პირადი ტრაგიკული ბედის გამო, ბუნებრივად იპყრობენ მწერლობის ყურადღებას და არაფერია მოულოდნელი, რომ ისინი ქართული ისტორიული რომანისტიკის პროტაგონისტები არიან, მაგრამ ისიც სამართლიანი და ბუნებრივი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მათი ცხოვრების აღწერით საქართველოს წარსულს ოპტიმისტურად ვერ შესდავთ. საბოლოოდ მათ საქმე გამარჯვებით ვერ დაამთავრეს. ცხადია, ამას თავის ობიექტური ახსნა აქვს, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. უმთავრესი და ძირითადი, ისტორიული პერსპექტივის კუთხით, მათი მარცხია. რა დაჟინებითაც უნდა ვეძახოთ სოლომონ პირველს ან ერეკლე მეორეს „ქართველთა მეორე აღმაშენებელი", ეს მაინც ლიტონი სიტყვა იქნება და არც ერთი გონიერი კაცი არ დაიჯერებს. ამას საქმე, მისი შედეგი არ ადასტურებს და იმიტომ. ეს არ ამცირებს მათ ღვაწლს და ნურავინ შეიცხადებს ჩემს ნათქვამს. ძველი სიბრძნე — ღმერთს ღმრთისა და კეისარს კეისრისაო — ყოველ დროში უტყუარი საზომია. დავით აღმაშენებელმა თავად დაიტირა საკუთარი ბედი, როცა „გალობანი სინანულისანი" დაწერა, მაგრამ პირადი ტკივილის დათრგუნვით დატოვა დიდი, უდრეკი და გამარჯვებული საქართველო. იგი დიდი იმით კი არ იყო, რომ მისმა ბრძოლით დაღვარჭნილმა ხმალმა ქარქაში უარყო, არამედ ერთობილი, ძლიერი საქართველოს შექმნით. ამიტომ გვაძლევს იგი და მისთანანი, ბაგრატ მესამე

იქნება, გიორგი მესამე, თამარი, გიორგი ბრწყინვალე თუ სხვანი, მომავლის გაკვეთილს.

ამდენად აქვს პრინციპული მნიშვნელობა პრობლემას, რომელსაც პირობითად — ისტორიის მიერ ხელისუფალთა ტიპების გამოვლენა-დავარქვი.

ამბის ემოციურად მოყოლა უთუოდ სანაქებო საქმეა და იგი, ვინც ამას ახერხებს, მადლიერებას იმსახურებს, მაგრამ არც მოვლენისა და არც ისტორიული მოღვაწის შეფასება ემოციით არ შეიძლება. შეფასების მთავარ კრიტერიუმს — საქმესა და მის შედეგს — დავარღვევთ.

ლევან სანიკიძე საქართველოს ისტორიას ემოციურად გვიამბობს (მართალია, პათეთიკაშერეული ემოციით, რაც გემოვნებიან მკითხველს აღიზიანებს), მაგრამ ზოგჯერ ამა თუ იმ მოღვაწის დაფასებაც ემოციას ეყრდნობა.

რას ვგულისხმობ?

„უქარქაშო ხმლებში" ვკითხულობთ: „აღსრულებულიყო გიორგი მეთერთმეტე — უკანასკნელი „დიდი გიორგი" (გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი მესამის, გიორგი მეოთხელაშას, გიორგი მეხუთე ბრწყინვალისა და გიორგი სააკაძის შემდგომ). ასე დასრულდა, მისი სახელით, გამორჩეული „გიორგი-შვიდეული" საქართველოს ისტორიაში" (IV, 40).

ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ შესაძლებელია გიორგი ჭყონდიდლის, გიორგი მესამის ან გიორგი ბრწყინვალის თანაბრად ეუწოდოთ გიორგი მეთერთმეტეს „დიდი გიორგი".

მკითხველი რომ დაეჭვებული არ დავტოვოთ, სანიმუშოდ შევადაროთ ერთმანეთს გიორგი ბრწყინვალისა და გიორგი მეთერთმეტის ღვაწლი.

სამართლიანად წერს ლ. სანიკიძე გიორგი ბრწყინვალეზე:

„ასე „განასხნა თათარნი საქართველოსაგან“ მეფე გიორგი ბრწყინვალემ.

ეს ამბავი საქართველოში მონღოლთა გაბატონებიდან სწორედ 100 წლის თავზე მოხდა — 1335 წელს (გაიხსენე, მკითხველო: მონღოლთა ბატონობა საქართველოში 1235 წელს დამკვიდრდა).

ქართველთა მეფე ერთბაშად „მსოფლიო გმირად“ იქცა, რადგან მონღოლთა მბრძანებლობაში მყოფთაგან იგი აღმოჩნდა პირველი, რომლის მოთავეობითაც მისმა ხალხმა პირველმა დაამხო უბოროტესი „თათრული უღელი“ (II, 179—180).

გიორგი ბრწყინვალე საქართველოს მონღოლთა ბატონობისაგან დამხსნელია, დიდი და ერთობლივი ქართული სახელმწიფოს აღმდგენელია, რჯულმდებელია (არ მგონია, ქართული სახელმწიფო სამართლის კუთხით, რაიმე უფრო ძვირფასი მოგვეპოვებოდეს, ვიდრე მის დროს დაწერილი კანონებია).

ვინ არის გიორგი მეთერთმეტე?

ერთი ქართული პროვინციის — ქართლის — მეფე, რომელმაც არათუ ერთობილი საქართველოს აღდგენა ვერ მოახერხა (ეს ოცნებადაც კი არ ჰქონია), არამედ ქართლშიაც მაშინ დასვამდნენ ტახტზე და გადააყენებდნენ, როცა ეს ირანის შაჰს მოე-

პრიანებოდა. სახელით ქართლის მეფე, საქმით სპარსელი მოხელე — ბეგლარბეგი, ვინც მთელი სიცოცხლე, დაჩაგრული და დამონებული ბელუჯებისა და ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. დაიღუპა კიდეც ამ ომში. გაორებული კაცი, ვინც საქვეყნოდ და საჯაროდ მაჰმადიანი იყო, მალულად და ჩუმად კი — ქრისტიანი. საომარი აბჯრის ქვეშ ჯვარს ატარებდა.)

კი, ბატონო, თანახმა ვარ, რომ გიორგი XI იყო უბედური და ტრაგიკული კაცი, მამაცი და შეუპოვარი მეომარი, ქართული მწიგნობრობის მოყვარული, მაგრამ სად გავექცევით ფაქტს, რომ იყო აგრეთვე „მისი სამშობლოს მოსისხლე უცხო თესლთა“ ისტორიის მჭედელი“ (ეს ლ. სანიკიძის სიტყვებია). ე. ი. ყოფილა საქართველოს მტრის მსახური.

მერედა, დასაშვებია ერთნაირად დიდი ვუწოდოთ იმას, ვინც მამული, ერი, ქვეყანა დამპყრობელისაგან იხსნა და გაათავისუფლა და იმასაც, ვინც დამპყრობელს, მტერს ემსახურა და საკუთარი სამშობლოს დახსნა-გასათავისუფლებლად ხელიც ვერ გაანძრია?

ემოციურად გასაგებია გიორგი მეთერთმეტით აღტაცება. მისი, როგორც პიროვნების, ხვედრი იწვევს ჩვენს თანაგრძნობას. მაგრამ ემოცია მაინც უნდა შევიკავოთ, რომ დაუმსახურებლად მეტი არ მივაწეროთ ვისმეს და ასევე დაუმსახურებლად არ დავაკლოთ.

„უქარქაშო ხმლებში“ გიორგი XI მდგომარეობა და საქმიანობა იმით არის გამართლებული, რომ

თითქოს „ვახტანგ მეექვსემ დრო დაიხელთა და მისი დიდი ბიძისაგან „გათრეული“ ერანის ზურგს უკან მშობლიური ქართლი მკვდრეთით აღადგინა, ააღორძინა და ააყვავა“ (IV, 41).

მთლად ასე არ იყო და „ერანის ზურგს უკან“ არ ეწეოდა ვახტანგ VI კულტურულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობას. 1703 წელს დანიშნა ირანის შაჰმა ვახტანგ VI ქართლის ჯანიშინად და სანამ ვახტანგს ირანთან შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, სპარსელები მას ხელს არ უშლიდნენ საქმიანობაში.

ამქვეყნად არც ერთი დამპყრობელი გიჟი არ არის, რომ უმიზეზოდ ცეცხლი და მახვილი დაგატეხოს თავზე. თუ ემორჩილები და არ ებრძვი, ისიც წყნარად არის და ამა თუ იმ კულტურულ საქმიანობაში ხელსაც კი შეგიწყობს. ეს მის წისქვილზე ასხამს წყალს და იმიტომ. ამით გეუბნება: შეხედეთ რა მზრუნველი, მფარველი და კეთილი ვარო, ჩემი ერთადერთი საფიქრალი დამონებული ქვეყნის აღორძინებაა. ასე იყო მაშინაც: (სანამ ვახტანგი ახერხებდა ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას, იგი თავისუფლად მოქმედებდა, მაგრამ, როგორც კი პოლიტიკა შეცვალა და სპარსეთის საწინააღმდეგოდ დაიწყო საქმიანობა, მისი მეფობა კრახით დამთავრდა. იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. დამპყრობელს არ უყვარს ურჩი, მას მორჩილი უყვარს, მბრძანებლის საამებლად რომ აქიცინებს კუდს.)

რაც ზემოთ ვთქვი, ამის იშვიათი ილუსტრა-

ცია — საბუთი გვაქვს საქართველოს ისტორიაში: ურჩი ლუარსაბ პირველი და მორჩილი როსტომ მეფე.

თუ ვინმეს მადლიერი უნდა ვიყოთ, ეს თითქოს ხოსრო მირზა ბაგრატიონის, ანუ როსტომ მეფისაკ 26 წელიწადი იჯდა იგი ქართლში მეფედ და ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის სასარგებლო საქმე აკეთა.

„როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ეღირსა. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში. თავადების ურთიერთ მიხტომ-მოხტომაც თანდათან შენელდა. თავის სამფლობელოში როსტომმა წესიერება დაამყარა, გაბიზნული ხალხი უკან დაბრუნდა და სოფლებმა მოშენება იწყო. აქა-იქ ქალაქებიც აღდგა, ვაჭრობა-ხელოსნობა გამოცოცხლდა. ქვეყანაში დოვლათი დატრიალდა“ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, 1948 წ., გვ. 348).

არც კეთილშობილება აკლდა.

როცა თეიმურაზ პირველი დაამარცხა, დატყვევება არ აკადრა. თუმცა თეიმურაზის „ერთგული“ თავადები ემუდარებოდნენ — მეფეს ჭუკივით შეიპყრობთ და გაბაწრულს მოგგვრითო. მაშინაც გონივრული რჩევა მისცა თეიმურაზს და მის ოჯახს,

როცა მადლიერებით სავსე ხორეშან დედოფალმა ითხოვა — ალავერდის არემარე დაგვიტოვეთ და აქ დავსახლდებითო. შაჰს თქვენი დამარცხება უკვე ეცოდინება, ვაითუ ირანში გაგიწვიოთ და მაშინ შველა შეუძლებელი იქნებაო. უმჯობესია იმერეთს შეაფაროთო თავი — შეუთვალა როსტომმა თეიმურაზს. იმერეთში წასვლის საშუალებაც მისცა და თან ხუთასი თუმნის ფეშქეში მიართვა, ხუთასი ცხენი და ჯორი ათხოვა, კათალიკოსი აახლა ჯარით და კახელ დიდებულებსაც ნება დართო, ვისაც სურდა, ოჯახიანად გაჰყოლოდა თეიმურაზს.

ჭკუა ხომ ჰქონდა და ჰქონდა. ღრმა სიბერემდე იცოცხლა და პოლიტიკის ბეწვის ხიდზე ისე იარა, რომ ნაბიჯი ერთხელაც არ შეშლია. ხოსრო-მირზა ბაგრატიონი — ქართლის მეფე, ირანის ყულარაღასი და ისპაჰანის ტარუღა — სპარსელებს ისე უყვარდათ, რომ, როცა გარდაიცვალა, საქართველოში არ დატოვეს. ირანში წაასვენეს და წმინდა ქალაქ ყუმში (დღეს რომ აიატოლა ჰომეინი ზის) დაკრძალეს, შაჰ-აბას პირველის გვერდით.

ხოსრო-მირზა ბაგრატიონს არაფერი უშველიდა, არც ჭკუა, არც კეთილშობილება, არც სიმამაცე, არც ნაირნაირი თანამდებობა, მორჩილი რომ არ ყოფილიყო. მისი თავიც, ჯალათის ხელით წარკვეთილი, სადმე გაგორდებოდა, როგორც სხვათა მრავალთა, მაგრამ მორჩილება იყო როსტომის ის თვისება, რამაც წავკისელი გლეხის ქალის ნაშობი ქართველი უფლისწული ირანის პირველ სახელმწიფო კაცად აქცია და ყუმში განსვენების პატივი არგუნა.

სრულიად სხვა თვისების კაცი იყო ლუარსაბ პირველი — ურჩი, დამოუკიდებლობისმოყვარე, მოუდრეკელი და მოუსვენარი. იგი არც შაჰს ეყმო და არც ხონთქარს. მემატიანე განმარტავს — „თუმცა ესეცა დამორჩილებოდა, ქვეყანა გათათრდებოდა და სახარკოდ შეიქმნებოდა. ამისათვის მრავალჯერ ამოსწყვიტა ხვანთქრის და ყეენის ჯარი“. მართალია, დამარცხების სიმწარეც ბევრჯერ უგემნია, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. არც მოსვრა-აოხრება დაჰკლებია. ერთხელ დედაც კი ვერ გადაარჩინა ტყვეობას. ტყვე დედოფალმა თვითმკვლელობა ამჯობინა მორჩილებას და თავი მოიწამლა. ალბათ დედის საქციელი მუდამ აფხიზლებდა და სანამ ფეხზე იდგა, ვერაფერმა მოტეხა. სიკვდილი წაქცეულს ეწვია. ცხარე ომში მის ცხენს ფეხი თხრილში ჩაუვარდა და მხედრიანად დაეცა. მაშინ მივარდა მტერი და მახვილი ჩასცა.

ზერელე შეხედვით, თითქოს აშკარაა როსტომის უპირატესობა, მაგრამ ჩვენ ხალხს ლუარსაბი უფრო უყვარს და გულში უზის. იმიტომ, რომ ახსოვს ბერი ეგნატაშვილის ნათქვამი: უკეთუ საქართველოს სახელი დღესაც იხსენიება, ეს მისი ხმლის წყალობაა [მიუხედავად ამისა, ლუარსაბ პირველი ქართულ ეკლესიას წმინდანად არ უღიარებია, როგორც ეს აღნიშნულია „უქარქაშო ხმლებში“ (II, 349). წმინდანად შერაცხულია ლუარსაბ მეორე, მოწამებრივი სიკვდილისათვის]. კიდევ იმიტომ, რომ ურჩი იყო და თავის ცხოვრებით თავისუფლების სიყვარულს ასწავლიდა. ბრძოლით პიროვნუ-

ლი და ეროვნული ღირსების დაცვას ქადაგებდა. როსტომი კი მორჩილი ყმის ბაძღარი ცხოვრების გაკვეთილია. ეს კი მეტად საშიშია.

როსტომის მიერ დამკვიდრებულმა მშვიდობამ და მაძღარმა ცხოვრებამ ზნეობრივად გარყვნა საზოგადოება.

„...შემოიღო მოფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩენება და კეკელაობა. და მიიქცნენ სრულად წესსა ზედა ყიზილბაშისა და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომგომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა.

...და იყუნენ დღითი-დღე სმასა, განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ: მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბნი და აქებდენ ქართველნი დარბაისელნი და მათცა ეგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი მხევალნი და არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობისა.

და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჭამა ყიზილბაშური და დიდათ სირცხვილი უჩნდათ სერსა ზედა უფლაობა და არა-კეკელაობა. და, რომელსაცა არა შეეძლო ამ წესისა ქმნა და ულონო იყუნენ მონაგებთაგან, განყიდეს მამაპაპათაგან დაგდებული მამული და აგარაკები და იცვამდენ ტანთა და სჭამდენ და სმიდენ და არარას ზრუნვიდენ შვილისათვის“.

მშვენიერი იგავი თუ გახსოვთ, მშიერი მგელი რომ მაძღარ ძაღლს შეხვდა? გაკვირვებული მიაჩერდა გაძვალტყავებული მგელი ჩასუქებულ, ნაპატიებ ძაღლს და ჰკითხა: ჩვენ ერთი ჯიშის ვართ და

როგორ მოახერხე ესოდენ კეთილი ცხოვრების მოწყობაო? ძაღლმა უპასუხა: პატრონი მყავს, იგი ზრუნავს ჩემზე და მივლისო. მეც მიმგვარე იმ შენს პატრონს, იქნება მეშველოსო რაიმე, — შეეხვეწა მგელი. ძაღლი დათანხმდა და მგელი პატრონთან წაიყვანა. გზაზე მგელმა შეამჩნია, რომ ძაღლს კისერზე ბეწვი ჰქონდა გაცვივნული, ტყავი გახეხილი და დაკოჟრილი. ეს რა მოგსვლიაო, — ჰკითხა. ძაღლმა მიუგო: ეს ჯაჭვის ბრალია, პატრონს როცა მოესურვება დამაბამს და ასე ვარ მიჯაჭვული მანამ, სანამ ისევ არ ამიშვებსო. რკინამ გამიხეხაო კისერი. რაკი მივლის და მაჭმევს, პატრონის ნებაა, როდის დამაბამს და როდის ამიშვებსო. მგელი შეჩერდა, სიბრალულით შეხედა ძაღლს და უთხრა: — კარგად ბრძანდებოდე, ჩემო კეთილო, ტყეში მშიერი წანწალი და თავისუფლება მირჩევნია, ვიდრე შენი პატრონის მსუყე სალაფავი, რომლის ფასად ჯაჭვიდ დაბმა მელისო. მგელი მოტრიალდა და ტყისაკენ მიმავალ გზას დაადგა (სხვათა შორის, ეს იგავი ლევ ტოლსტოის ბავშვებისათვის დაწერილ სახელმძღვანელოში ჰქონდა შეტანილი. აქ ვლადიმერ სოლოუხინის ლექსის — „მგლების“ — გახსენებაც შეიძლებოდა).

ლუარსაბ პირველი მგლის ჯიშის იყო, როსტომი — ძაღლისა. ქართველი ხალხიც მგლის ჯიშის გახლდათ (ტყუილად ხომ არ შეთხზა — „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...“) და ამიტომ ნახულობდა მეტ საერთოს ლუარსაბთან, ვიდრე როსტომთან. ადამიანი სუსტი არსებაა და

ხშირად მიწიერი სიამენი წონასწორობას აკარგვინებენ, მაგრამ ერთი კანონზომიერება მაინც არსებობს — ყოველი კაცი გულისსკნელში ურჩ მგლებს სცემს თაყვანს. კარგია ეს, რამეთუ არც პიროვნებას და არც ხალხს მანამ არაფერი ემუქრება, სანამ მშიერი მგლის სიბრძნე არ დაავიწყდება.)

როცა გემი გრიგალში მოყვება, მის მდგომარეობას მარტო აბობოქრებული ზღვა არ აპირობებს. ბევრი რამ დამოკიდებულია თავად ხომალდის სიმტკიცესა და იმ კაცის უნარზე, ვინც გემს მართავს.

ამგვარ გრიგალში მოჰყვა საქართველო მონღოლთა შემოსევის ჟამს და იგი დამარცხდა. ეს არ იყო უბრალო დამარცხება, როცა ერთი ქვეყანა ომს აგებს მეორესთან და გარკვეული ხნით გამარჯვებულს ექვემდებარება. ამ დამარცხებამ ქართულ სამეფოს ხერხემალი გადაუტეხა, რომელიც აღარ გამართელდა. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ რაღაც სასწაულით ჩვენი ქვეყანა ისევ ფეხზე წამოაყენა და მცირე ხნით დავითის საქართველოს შარავანდედი დაუბრუნა, მაგრამ, როგორც ჩანს, გატეხილი ხერხემალი ისე არ განკურნებულა, რომ ახალი ტალღის დარტყმისათვის გაეძლო.

გიორგი ბრწყინვალის სიკვდილის მერე საქართველო მალე ისევ დაეცა. ამჯერად უკვე ახალი დამპყრობლის — თემურლენგის—ლაშქრობის შედეგად.

575 წელიწადი აშორებს ერთმანეთს 1795 წელს კრწანისის ველზე დამარცხებასა და 1220 წელს ქართველთა და მონღოლ-თათართა პირველ ბრძოლას,

მაგრამ მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში დარეკილი გლოვის ზარი მე-18 საუკუნის ბოლოსაც ისმის. ამიტომ მონღოლებთან დამარცხების მიზეზების ამოხსნა უპირველესი მოვალეობაა ყოველი მწერლის, ისტორიკოსის, თუმცა ეს უაღრესად რთულია ცნობების უკმარობის გამო. მაგრამ მაინც დავაკვირდეთ:

ქართველებმა არ იციან, ვინ არიან მონღოლები. „...ვარამ გაგელმან და ივანე ათაბაგმან აცნობეს მეფესა ლაშას უცხოსა ნათესავისა მოსვლა, უცხოთა ენითა...“ — წერს ჟამთააღმწერელი. ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ მაშინდელი ქართული დაზვერვა ცუდად მუშაობს და არაფერი იცის, რა ხდება აღმოსავლეთში?

1206 წელს აირჩიეს თემუჩინი მონღოლებმა თავის თავკაცად და ჩინგისხანი უწოდეს. მას მერე მათ თითქმის მთელი აზია დაიპყრეს. ხუხულებივით ანგრევდნენ სახელმწიფოებს. ნუთუ ამ გრიგალის ხმა საქართველოში არ აღწევდა? არც ქართველთათვის კარგად ცნობილი ხორეზმის დაცემის შემდეგ გაუგიათ არაფერი? როგორი თვითკმაყოფილება და უდარდელობა გაბატონებულა, თუკი თხუთმეტი წლის მანძილზე ვერაფერი შეიტყვეს, რაც აღმოსავლეთში ხდებოდა!

უცნაურ რამეს წერს ჟამთააღმწერელი: „...წარმოვიდეს ათთორმეტითა ათასითა მხედრითა, თუინიერ საჟურველისა და საზრდელისა ქონებისა, არამედ მშუილდი ოდენ, უხრმლოდ“. რა თქმა უნდა, 12.000-ზე მეტი იქნებოდნენ, რაკი ორი დუმანი

ჯარი ჰყავდათ. [ერთ დუმანში 10.000 კაცი შედიოდა]. მაგრამ ეს რაღას ნიშნავს — უსაჭურვლოდ და უხრმლოდ იყვნენო, მხოლოდ მშვილდით შეიარაღებულნი? ნუ დავიჯერებთ ამასაც. ვთქვათ, კბილებამდე იყვნენ აღჭურვილი, მაგრამ იმავე ჟამთააღმწერელის სიტყვით, ქართველთა ლაშქარი ხომ 90.000 მხედრისაგან შედგებოდა („ხოლო მეფემან მოუწოდა სპათა თუისთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი ათასი ცხენოსანი"). როგორ დაამარცხა თუნდაც ოცი ათასმა კარგად შეიარაღებულმა მარბიელმა თუ მზვერავმა ჯარისკაცმა იმდროინდელი უპირველესი და უძლიერესი სახელმწიფოს ოთხმოცდაათიათასიანი არმია?

მართალია, ლ. სანიკიძე ცოტას ამსუბუქებს ქართველთა მდგომარეობას და წერს — „უმძიმესი ბატალია დასრულდა. დამარცხებული მოდიოდნენ ქართველები. დამარცხებული მიდიოდნენ მონღოლები". (I, 517), — მაგრამ ჟამთააღმწერელი დაუნდობელი კაცია და უნუგეშოდ გვიამბობს: „...მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდმო ურჯულოებათა და ცოდვათა ჩვენთათუის და ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თუით მეფე ლაშა, და ურიცხუი სული ქრისტიანე მოკუდა". მონღოლებს სამშვილდემდეც კი მოუღწევიათ და მერე გაბრუნებულან და წასულან, დარუბანდის გზით, ყივჩაღეთისაკენ.

რომც გაემარჯვა ლაშა-გიორგის მონღოლებთან ბრძოლაში, ეს მაინც არ გამოდგებოდა ქართული სახელმწიფოს იმჟამინდელი სიმტკიცის საბუთად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მონღოლები მხოლოდ მე-

წინავე, მზვერავ რაზმს წარმოადგენდნენ და არა ძირითად ლაშქარს, ხოლო ქართველები მათ მრავალრიცხოვანი არმიით შეეგებნენ. ბუნებრივია, ძლიერების კანონზომიერების მიხედვით, ძლევაი ქართველებს უნდა დარჩენოდათ. მეორეც იმიტომ, რომ ამ დღიდან სულ ხუთი წლის შემდეგ ჯალალედინი სასტიკად დაამარცხებს ქართველთა ჯარს. მერე რომელი ჯალალედინი? მონღოლთაგან ძლეული და დევნილი, საკუთარი სამშობლოდან გამოქცეული, სახელდახელოდ შეკრებილი ლაშქრის სარდალი.

რა გამოდის— წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო სულ მცირე დროში ორჯერ დაამარცხეს და ორივეჯერ იმათ, ვისაც გამარჯვების არავითარი შანსი არ უნდა ჰქონოდათ. მაშასადამე, საქართველოს დამარცხების მიზეზი შიგნით იდო და არა — გარეთ. მართალია, „უქარქაშო ხმლებში“ გარნისის კრახი ივანე მხარგრძელს ბრალდება, მაგრამ ძლიერი სახელმწიფოს, ნამდვილად ძლიერის, ბედს ერთი კაცი ვერ განსაზღვრავს, თუნდაც იგი ათაბაგი იყოს.

„ივანე მხარგრძელმა „დიდ ჯალალადდინს“ გადამწყვეტ ბრძოლაში მხოლოდ მისი შურიანი თვალით ამორჩეული ახალციხელები შეაჟლიტა, ხოლო მთავარი ძალებით ხმლის ამოუღებლად უკან დაბრუნდა, გამოიქცა და საქართველოს სამხრეთული კარიბჭენი სავსებით პირმორღვეული შეატოვა მძვინვარე მტერს. მტერიო, მაგრამ ახლა ესეც ვიკითხოთ: რა მტერი და ვისი მტერი, ან ვინ ვისი

მტერი?! სწორედ მაშინ გახდა აშკარა: მხარგრძელისათვის საქართველოს მტერი მისი პირადი მტერი არა ყოფილა. „პირად მტრებად“ მხარგრძელს სხვანი ჰყავდა — „თანაქართველი ერთსისხლ და ერთხორც“ — ძმები ახალციხელები, და აკი ახლა, გარნისის შეტაკებაში, მან თავისი „პირადი მტრები“ საქართველოს „საერთო მტერს“ შეაკლა. შეაკლა და მაშინვე უკუიქცა, რადგან „თავისი საქმე“ (ახალციხელთა დაღუპვა) უკვე მოთავებული ჰქონდა, ხოლო „დიდ ჯალალთან“ ბრძოლა მხარგრძელს ხელს არ აძლევდა. ის კი არადა, უფრორე... ერთი სიტყვით, საქართველოს უდიდესი ტრაგედია — გარნისი — მხარგრძელის გვარის მქონე ქართველი ფეოდალის კისრად დარჩა!“ (II, 182—183).

მართალია, ყამთააღმწერელი იუწყება, რომ გარნისის ბრძოლაში „ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა“, რის გამოც დავმარცხებულვართ, მაგრამ რატომ მოხდა ეს? ნუთუ მარტო იმისათვის, რომ ივანე მხარგრძელს შური და მტრობა ჰქონდა ძმების ახალციხელების, შალვასი და ივანესი? დღეს შეუძლებელია უეჭველად დაადგინო, რა მოხდა იმ დღეს გარნისში, მაგრამ ძნელად სარწმუნოა, რომ საქართველოს ბედი გადაწყვიტა მხარგრძელისა და ახალციხელის მტრობამ.

ივანე მხარგრძელი ის კაცი იყო, ვინც ქართული სამეფოს მშენებლობას შეალია მთელი ცხოვრება. „უქარქაშო ხმლებშიაც“ არის ნათქვამი ეს:

„...ივანე მხარგრძელი განძიდან მომავალ აბუბაქარს დახვდა გელაქუნთან და დაამარცხა. იმავე 1196 წელს ივანემ გელაქუნთან ერთად ამბერდიც შემოუერთა საქართველოს, ხოლო ახალი საუკუნის დამდეგს, 1201 წელს, ივანე მხარგრძელმა ბიჯნისიც მოაქცია ქართულ სამანებში“ (I, 450). კიდევ ერთი ამბავიც მივუმატოთ ამას. „ერთ დღეს თამარს ეახლნენ ამირსპასალარი ზაქარია, მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი“ (ყველა მხარგრძელია — ა. ბ.) და დედოფალს მთელი ირანის დალაშქვრა შესთავაზეს. ხელმწიფე დათანხმდა და უზარმაზარი არმია შეიყარა. დიდი და ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად ქართველებს. ლამის ინდოეთამდე მიაღწიეს. და თუ წინ ვეღარ გაგრძელდა სვლა, ეს იმიტომ, რომ უთვალავი ალაფი ვერ ზიდეს და იძულებული გახდნენ შინ მობრუნებულიყვნენ (I, 470—474). ხომ ნიშნავს ეს იმას, რომ უბრძოლიათ მხარგრძელებს ქართული სამეფოს სადიდებლად? მართალია, ზოგჯერ მარცხდებოდნენ კიდეც, მაგრამ რა იყო მეტი — გამარჯვება თუ დამარცხება? გამარჯვება. ესეც „უქარქაშო ხმლებში“ წერია: XII საუკუნეში ქართველებმა 128 ომი გადაიხადეს, მოიგეს 124, წააგეს 4 (IV, 700). განა მხარგრძელთა გვარს, რომლის შვილებს სწორედ სამხედრო პოსტები ეკავათ, ამ გამარჯვებებში წილი არ ედო? მერედა, ივანემ ყველაფერს ღალატს წყალი გადაასხა ახალციხელთა შურით?

თუნდაც დავუშვათ, რომ ხანდაზმული ივანე მხარგრძელი შეიშალა, გონი აურია ახალციხელთა

მტრობამ, ნუთუ ეს არავინ იცოდა? თუ იცოდნენ, რატომღა მოუხმო მას რუსუდანმა სარდლად? იგი ხომ „მას ჟამსა მიმხცოვნებული იყო, არა განცხადებულად არამედ ფარულად მონაზონ ქმნილი“?

რას ნიშნავს ბერად აღკვეცა, თან ფარულად? ეს ხომ იმას მეტყველებს, რომ მიწიერი ცხოვრება დაუმძიმდა კაცს, ამქვეყნიური სიამენი მოსწყინდა და სულის სიმშვიდეს მიელტვის. სულზე ზრუნავს და არა ხორცზე. ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი, ისიც მოხუცი, უმძიმეს ზნეობრივ დანაშაულს — ღალატს — ჩაიდენს? სხვებისა არ ვიცი და პირადად მე ძალიან მეეჭვება ეს.

დიდი საქართველოს ათაბაგისათვის, ე. ი. ხელმწიფის შემდეგ პირველი კაცისათვის, რა ჯილდო, რა თანამდებობა, რა საჩუქარი უნდა მიეცა ჯალალედინს, უტახტოდ დარჩენილ, კარდაკარ მოხეტიალე ავანტურისტს, ისეთი, რომ ივანე მხარგრძელს მისი გაზრდილი რუსუდანიც გაეწირა და საქართველოც? თუ ივანემ არ იცოდა ჯალალედინის მაშინდელი მდგომარეობა და მისგან განსაკუთრებულ ნატვრისთვალს მოელოდა?

ივანე მხარგრძელი გარნისში დამარცხების ორი წლის შემდგომ გარდაიცვალა. ამირსპასალარობა მის ძეს ავაგს უბოძეს. რაც გარნისში მოხდა, იმის მოწმე მთელი ქართული არმია იყო. თუ ღალატი ივანემ ჩაიდინა, ნუთუ ყველა — რუსუდანიც, სამეფეო კარიც — უგუნური იყო და არავინ აღუდგა წინ ქვეგამხედვარის შვილის ამირსპასალარად და-

ნიშვნას? თუ ავაგს მამის წამხდარი საქმე უნდა გამოესწორებინა?

ამჯერად ივანე მხარგრძელის (საერთოდ მხარგრძელების) დაცვა ნაკლებ მაღელვებს (თუმცა ობიექტურობას არ უნდა ვუღალატოთ), უფრო სხვა რამ მაწუხებს: როგორ მივაგნოთ დღეს, რა იყო მაშინ შემზარავი ეროვნული კატასტროფის მიზეზი. აშკარაა მიზეზი იყო დიდი, ღრმა, სერიოზული, მაგრამ — რა?

ჯალალედინს მთელი საქართველო არ დაუპყრია. თბილისი ააოხრა და ამიერ-საქართველოს ზოგიერთი პროვინცია მოითარეშა. დასავლეთ საქართველოში იგი არ გადასულა. ვერ შეაღწევდა (ჯალალედინი კი არა, მონღოლებიც ვერ შევიდნენ იმერში). მალე უსახლკარო ხვარაზმელი სულტანი უკან გაბრუნდა. ამბავი შეიტყო, მონღოლები კავკასიას უახლოვდებიანო და თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა. მართალია, სადაც გაიარა, იქ სისხლის ზღვა დააყენა, მაგრამ ისეთი ღონიერი და მდიდარი ქვეყნისათვის, როგორიც მაშინდელი საქართველო იყო, ჯალალედინის თავდასხმას მომაკვდინებელი ლახვარი არ უნდა ჩაეცა. სხვა რომ არა იყოს რა, საქართველოს ნახევარზე ბევრად მეტი მტრის ფეხდაუბიჯებელი იყო და ძველებურად მოლხენილი ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, მონღოლთა მოსვლას არსებითად ქართველები უბრძოლველად შეხვდნენ და დამორჩილდნენ. „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქართველ ფეოდალთა უმრავლესობას მონღოლთა წინააღმდეგ

საერთოდ არ აუღია ხელში მახვილი“... („უქარქაშო ხმლები“, I, 183).

რამ გამოიწვია ეს? ნუთუ მონღოლთა შიშმა ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩაყარა ქართველები, რომ ძველი დიდება სულ დაავიწყდათ, თავმოყვარეობა დაკარგეს და უსიტყვოდ შეუშვირეს კისერი მონღოლთა უღელს? ჩანს, რაღაც უსაშველო სენმა გამოღრღნა ქართული სახელმწიფოს სხეული. რამ? პასუხის გაცემა არც თავად ძალმიძს და ამიტომ სხვებთან დავეძებ მას.

იქნებ მართალია ჟამთააღმწერელი, დაჟინებით და აკვიატებით რომ იმეორებს და იმეორებს — ზნეობრივი დაცემის ბრალიაო ჩვენი უბედურება. იქნებ მართლა ვერ გაუძლო ქართველი კაცის ბუნებამ სიმდიდრეს, ფუფუნებას, კეთილდღეობას? მოდუნდა და პასიური გახდა მისი ენერგია? მით უმეტეს, რომ ქართული ბუნების ხარვეზს ამ მხრივ მოურიდებლად აღნიშნავენ ჩვენი მემატიანენი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „ვინათგან ნათესავი ქართველთა... რაჟამს გასუქნენ და დიდება პოონ და განსუენება იწყებენ განზრახვად ბოროტისა...“

ბერი ეგნატაშვილი: „..და ყოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყვარება... შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყუის სყიდვა თავადებისაგან და, რომელნიც იყუნენ ობოლი და ქურივნი, გამოიყუანებდენ და გაჰყიდდენ...

იოანე ბატონიშვილი: „...საქვეყნო სარგებელთა არა მაძიებელნი, ოღონდ თვით ირგონ რაიმე; თვის-

თა უფროსთა მალე უარმყოფელნი გამორჩომისა მიზეზისა გამო, და ამასთან მეშურნენი და მბეზღებელნი ერთი მეორისა მეუფროსისადმი თვისისა, ჭორისა და ცუდ-მიმოთქმისა მოყვარენი, და ცუდის საქმის ამყოლნი და თავხედნიცა...“

დაბოლოს ალექსანდრე კახთა ნეფის ნატვრა: „ახ, ნეტარძი ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლად!“

• უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ზნეობრივად ადამიანი სიღარიბესა და გაჭირვებას უფრო უძლებს, ვიდრე სიმდიდრისა და კეთილდღეობის გამხრწნელ ძალას. მორალურად დაცემულსა და დაქვეითებულს უფრო ხშირად შეხვდებით მდიდრებში, ვიდრე ღარიბებში. თვითმკვლელობაც უფრო მეტია მდიდრებში, ვიდრე ღარიბებში. იმიტომ, რომ, თუ ადამიანი ზნეობრივად მეტად მტკიცე არ არის, მას იოლად იმორჩილებს ერთი საშინელი მშვინვიერი ავადმყოფობა — სიმდიდრით დაბადებული რეზინაცია, როცა კაცს აღარაფერი აინტერესებს და აღარაფრისკენ მიილტვის.

იქნებ ქართველებმაც ვერ გაუძლეს სიმდიდრით გამოწვეულ რეზინაციას?

ან იქნებ მრავალეროვნულობა იყო ქართული სამეფოს მარცხის საფუძველი? XII საუკუნის საქართველო მრავალეროვნულია და ყოველი მრავალეროვნული სახელმწიფო სუსტია, თუ იგი შედუღაბებული არ არის ერთიანი იდეოლოგიით. გიორგი მერჩულეს ფორმულა — „ქართლად ფრიადი ჭეეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართუ-

ლითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ — ეროვნული სახელმწიფოს გასამტკიცებლად უტყუარი იდეური ძალა იყო. მაგრამ კმაროდა იგი მრავალეროვანი ქვეყნისათვის? ქვეყნისათვის, სადაც ქრისტიანობის ორი ნაკადის — დიოფიზიტობისა და მონოფიზიტობის — აღმსარებელთა გვერდით მუსლიმანებიც ცხოვრობდნენ. რას უნდა გაენელებინა, დაესუსტებინა ის აშკარა თუ ფარული ბრძოლა, რომელიც დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის მიმდინარეობდა? მით უმეტეს, მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის. ხომ ამ ბრძოლის აშკარა გამოვლენაა ის, რომ ჯალალედინს თბილისის კარი ღალატით თბილელმა სპარსელებმა გაუღეს!

არ ვიცი, რა იდეოლოგიური ფორმულა ედო საფუძვლად ქართულ მრავალეროვნულ სახელმწიფოს. თუ მხოლოდ ძალას ეყრდნობოდა? თუ ოდენ ძალა იყო მისი ფუნდამენტი, მაშინ დანგრევაც იოლი იქნებოდა.

იქნებ ქართული ეროვნული ენერგიის ვულკანურმა ხასიათმა განაპირობა XII საუკუნის საქართველოს მარცხი? ისტორია, როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული, გვიდასტურებს, რომ ქართული ეროვნული ენერგია, როგორც ვულკანი, უცბათ მძლავრად ამოირფქვევა, მაგრამ მერე ჩაიფერფლება და დიდხანს, დიდხანს ჩამქრალი კრატერივით ბოლავს. მის მეორე ამოფრქვევას კი მეტად დიდი დრო სჭირდება. იქნება ქართული მე-12 საუკუნე ვულკანის ამორფქვევა იყო, რო-

მელსაც ხანგრძლივი მდუმარება და პასიურობა უნდა მოჰყოლოდა?

არ ვიცით და ბარე შვიდ საუკუნეზე მეტია მივჩერებივართ სფინქსს, რომელიც ჩვენს ეჭვიან კითხვას პასუხს არ აძლევს.

მონღოლთა ბატონობა კიდევ ერთი ავი ჩვეულების დამკვიდრებით იყო ჩვენთვის საბედისწერო. უმიზნოდ და უანგარიშოდ სხვისი კეთილდღეობისათვის ქართული სისხლის ღვრა ჰქვია ამ ჩვეულებას.

სხვათ გულისათვის ადრეც დაუღვრიათ ქართველებს სისხლი. მაგრამ ეს თხოვნით ხდებოდა. ისეთი თხოვნით, დავით კუროპალატსა და თორნიკე ერისთავს რომ მიმართა ბიზანტიის ხელისუფლებამ. არც უმიზნოდ დაქცეულა მაშინ ჩვენი სისხლი. გასამრჯელოდ მიწა-წყალი უბოძეს დავით კუროპალატს და დიდძალი განძი — თორნიკე ერისთავს. ქვეყნის საზღვრებიც გაფართოვდა და ქართული კულტურის უდიდესი კერაც აიგო ათონზე. ქართველმა მეომრებმა ბიზანტიის სამეფო კარიც იხსნეს მეამბოხეთაგან და საკუთარ ქვეყანასაც გაუწიეს სამსახური.

მონღოლების ჟამს თხოვნა მოვალეობად გადაიქცა, ქართველობა მოვალე გახდა დამპყრობლის დიდებისათვის სისხლი ეღვარა, მაგრამ სამაგიეროდ არაფერი მიეღო. პირიქით, ზოგჯერ მკაცრადაც დასჯილიყო. ამას ქართული ცნობიერების მოწამვლაც მოჰყვა: ვამაყობდით გამოწოვილი სისხლით და ვხარობდით გამქრალი წამით. ამგვარი

ცრუ სიამაყის და სიხარულის ნიმუში „უქარქაშო ხმლებშიაც“ არის მოტანილი.

აბალა ყაენი ეკითხება მაცნეს:

— როგორ იბრძოდა სარდალი მანგუ დემური?

— ვითარცა ვერძი.

— ალიყანი?

— ვითარცა შავარდენი.

— ებაგანი?

— ვითარცა ვეფხი.

— ხოლო, ქართველთა მეფე?

— ხოლო, ქართველთა მეფე ვითა ღმერთი გრგვინავდეს და ვითა აქლემი ბუღრაობდეს“ (II, 112).

ვისთვის იკლავს თავს ასე ქართველთა მეფე? მონღოლისათვის, უპირველესი მტრისათვის. თან ეს ის მეფეა, რომელიც მერე იძულებული გახდება ურდოში წავიდეს და თავი დასდოს. მოკვეთილი თავი იყო მისი ჯილდო ღმერთივით გრგვინვისა და აქლემივით ბუღრაობისათვის.

ეროვნული შეგნების დაკნინება თანდათან უფრო შორსაც წავიდა. მომდევნო ეპოქაში ის, რაც მონღოლთა მფლობელობის დროს მოვალეობა იყო, საკუთარ ნება-სურვილად გადაიქცევა. ყველანი — დაუთ-ხან ბაგრატიონები, კონსტანტინე ბატონიშვილები, როსტომ-ხან სააკაძეები თუ უამრავი კიკიანი-ფაშები და ალავერდი-ხანები — საკუთარი ნება-სურვილით მტრის სამსახურად დამდგარი ქართველები იყვნენ. ისინი მხოლოდ სამ-

შობლო ქვეყნის საწინააღმდეგო და მტრულ საქმეს აკეთებდნენ.

ასე წარიმართა ეროვნული ცნობიერების დაქვეითდება: თხოვნა-მოვალეობა —საკუთარი ნებასურვილი, ანუ სხვაგვარად, სხვისი დახმარება (მაგრამ მამულის სამსახურის მიზნით), —მტრის დიდებისათვის უმიზნო სისხლისღვრა—სამშობლოს დუშმანად გახდომა.

ამ პროცესში არა მარტო ქართული სახელმწიფოს დასუსტება აისახა, არამედ ქართველი ერისაც. როცა ერი ძლიერია, მის სამსახურში სხვა ხალხთა შვილებიც დგებიან. ასე იყო საქართველოშიც XI—XII საუკუნეებში. როცა ქართველი ერი დასუსტდა, პირიქით მოხდა: ჩვენ გავხდით სხვა ღონიერი ერების მსახურნი.

ამის გამო „უქარქაშო ხმლებში“ სინანულით აღწერილი ეპიზოდი არაფერს კეთილს არ მოუტანს და საქართველოს.

1722 წელს ირანის უკიდურესად დასუსტებული სამეფო კარი ავღანთა სათამაშო ტიკინა გახდა. ამ სისუსტით ქართველებსაც შეეძლოთ ესარგებლათ.

„ერან-საქართველოს ორასწლოვანი სისხლიანი ისტორიის მანძილზე საქართველოს პირველად მიემთხვია სანიშანსვეტო ბედისწერა, როცა მას გარდაუვალად შეეძლო ერთხელ მაინც დაეპყრო თავისი „მარადიული დამპყრობელი“. ერთჯერ მაინც დაუფლებოდნენ ქართველები ტფილისის მარად მაოხარ სპარსელთა სატახტო ქალაქს, ვითარცა „თავის ქალაქს“.

გერშით დაჭერა და მაშინვე ხმლით გადალახვა სჭირდებოდა ამ „საბედისწერო გამოცხადებას“.

მაგრამ ვაი, რომ ერისა და ქვეყნის ყოველ მეთაურს არ მოსდევს ასეთი სანატრელი „გერშიანობისა“ და „გადალახვის“ უნარი (IV, 149—150).

ვთქვათ, გაებედა ვახტანგ VI და ირანის ტახტი დაეჭირა, რა სიკეთე მოჰყვებოდა ამას საქართველოსათვის? არაფერი, გარდა იმისა, რომ ეროვნებით ქართველი გახდებოდა ირანის შაჰი, ვინც იძულებული იქნებოდა სპარსეთის ინტერესისათვის ეზრუნა დღედაღამ. თუ აუცილებელი შეიქნებოდა, ახალი არმია გამოეგზავნა საქართველოს ასაოხრებლად. თან უფრო მკაცრად და სასტიკად უნდა მოეხრა, ვიდრე ამას თვითონ ირანელები სჩადიოდნენ. ამით ქართველი შაჰი ირანის ერთგულებას დაამტკიცებდა. თუ ამას არ გააკეთებდა, ან საწამლავი მოუღებდა ბოლოს ან ორლესული სატევარი ან ღაშით დაახრჩობდნენ დიბა-ატლასში ნებიერად მძინარეს. ტომით ქართველი შაჰი უფრო დიდი უბედურება გახდებოდა საქართველოსათვის, ვიდრე ტომით სპარსი. ასეთია უცხოეთში გახელმწიფების კანონზომიერება.

ბიზანტიის ტახტზე, თუ არ ვცდები, სამჯერ იჯდა ეროვნებით სომეხი კეისრად, მაგრამ სომხეთისათვის მათ იოტისოდენა კეთილიც არ მოუტანიათ. იმპერატორისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ურწევდა მას აკვანს — სომეხი თუ ბერძენი. იმპერატორისათვის იმას აქვს მნიშვნელობა, ვისი იმპერატორია იგი. ის სამი სომეხი კეისარი

ბიზანტიის იმპერატორი იყო და ბიზანტიის საქმეს ემსახურებოდა.

ასე უნდა მოქცეულიყო ვახტანგ მეექვსეც, თუ იგი ირანის შაჰის ტახტს შეინარჩუნებდა.

სუფთა სისხლის გერმანელი იყო ეკატერინე მეორე, მაგრამ რუსეთის ხელმწიფედ იჯდა და რუსეთისათვის იღვწოდა. თუ გარემოება მოსთხოვდა, თანამოძმე გერმანელებს კუდით ქვას ასროლინებდა. თუ სხვაგვარად განიზრახავდა მოქმედებას, მაშინ 36 წელიწადს კი არა, 36 საათს ვერ იიმპერატრიცებდა.

ვახტანგ მეექვსეც ირანის ერთგული უნდა ყოფილიყო ... — საქართველოსი.

(ძლიერი ერი მაშინ აიტანს უცხოს მმართველად, როცა ეს უცხო თავგამეტებით და ერთგულად ემსახურება მას.)

სამჯერ გამოგზავნეს პოლონელებმა ცრუ დიმიტრები რუსეთის ტახტის მისასაკუთრებლად. ერთი აბობღდა კიდეც ზედ, მაგრამ როგორც კი ხალხმა გაიგო, რა მიზნით იყო მოსული, ზარბაზანში ჩატენა და იქით გაისროლა, საიდანაც მოვიდა.

1722 წელს ირანელი ხალხი კი არ იყო სუსტი, არამედ სამეფო კარი. ამიტომ, რა ეროვნების კაციც უნდა გამხდარიყო შაჰი, მას სპარსეთზე უნდა ეზრუნა. ასეც მოხდა.

(თუ ვახტანგ VI მართლა ჰქონდა ირანის დაუფლების საშუალება და მან ეს არ ჩაიდინა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი შეშინდა, არამედ იმას, რომ არ ისურვა საკუთარი ხალხის ჯალათი გამხდა-

რიყო. ეს კი იშვიათი მაგალითია მეფური სიხარ-ბის დათრგუნვისა და პიროვნული კეთილშობი-ლებისა.)

როცა ვახტანგ მეექვსესთან დაკავშირებული ეპიზოდის მსგავს ვითარებას ვიხსენებთ და აღვ-წერთ, ერთ გარემოებას აუცილებლად უნდა მივა-პყროთ ყურიცა და მზერაც. ეს გარემოება გახ-ლავთ საქართველოსა და ირან-თურქეთის საერთა-შორისო-სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებუ-ლება.

სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულების კუთხით, ჩვენს პოპულარულ მხატვრულ-ისტო-რიულ ნარკვევებსა თუ ისტორიულ რომანისტიკა-ში ხშირად საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ქართულ სამეფო-სამთავროებსა და ირან-თურქე-თის ურთიერთობა ტოლ, თანაბარუფლებიან სა-ხელმწიფოთა ურთიერთობა იყო და არ მბრძანებ-ლისა (ირან-თურქეთი) და ქვეშევრდომის (საქარ-თველო). თუ ეს საკითხი ნათლად არ გაშუქდა, დღევანდელი მკითხველი მკაფიოდ ვერ დაინახავს ჩიხს, რომელშიც საქართველო იყო მომწყვდეუ-ლი. გასაჭირსა და უბედურებას მარტო შემოსევა, რბევა-აწიოკება არ ქმნიდა. უფრო მძიმე იყო სა-მართლებრივი მორჩილების უღელი. იგი ხელ-ფეხს უბორკავდა ქართველ სახელმწიფო მოღვა-წეებს და ქართველი ხალხის ერთიან ეროვნულ შეგნებას შლიდა. ხელს უწყობდა ფეოდალურ ში-ნააშლილობას, რაც უმრავლესჯერ სტამბოლისა და ისპაჰანის მიერ იყო მოწყობილი. ბუნებრივია, ყო-

ველი დამპყრობელი დამონებული ქვეყნის დესტა-ბილიზაციისათვის იბრძვის.

ყოველი ქართველი მეფის ანტისპარსული ან ანტითურქული ქმედება მაშინვე ეროვნულ-სახელ-მწიფოებრივ ღალატად ცხადდებოდა, რაკი იურ-დიულად აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის პროვინციად ითვლებოდა, ხოლო დასავლეთ საქარ-თველო — თურქეთისად. სწორედ ეს სამართლებ-რივი მდგომარეობა დიდად აპირობებდა საქართვე-ლოს ბედისადმი თავშეკავებულ დამოკიდებულე-ბას დასავლეთ ევროპასა თუ რუსეთში. საქართვე-ლოსადმი აქტიური დახმარება ნიშნავდა ირან-თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევას. სანამ ხელ-საყრელი პირობები არ შეიქმნებოდა, მანამ ვერც დასავლეთი და ვერც ჩრდილოეთი ვერ ბედავდა ჩვენი ქვეყნის ქმედით დახმარებას. ხელსაყრელი დროის მოლოდინი კი მამასისხლად და ყოფნა-არ-ყოფნად უჯდებოდა ქართველ ხალხს. ისიც სათქმე-ლია, რომ დასავლეთში ქართული დიპლომატიის მარცხი სწორედ ამ სამართლებრივმა მდგომარეო-ბამ განსაზღვრა.

უფრო გვიან ეკატერინე მეორე აფრთხილებდა ერეკლეს:

«Отменить всякое знакомство с Императором (Римским) и другими христианскими державами... да и писем к Императору (Римскому) не писать“. (ლ. ალექსიძე — „საქართვე-ლო-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა XV—XVIII საუკუნეებში“, გვ. 167).

ამის უფლებას სამართლებრივი ურთიერთობა აძლევდა ეკატერინეს.

როცა პეტრე პირველისაგან მოტყუებული ვახტანგ მეექვსე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და რუსეთში გადახვეწილიყო, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ქართლის მეფის საქციელი ირანში, სამართლებრივი თვალსაზრისით, ღალატად შეფასდა. ვახტანგი ირანის შაჰის დანიშნული კაცი იყო და, ცხადია, ისპაჰანის ხელისუფლება მას არ აპატიებდა ანტიირანულ საქმიანობას.

მართალია, ყოველი მოღონიერებული ქართველი მეფე ცდილობდა სპარსეთისა და თურქეთისადმი იურიდიული მორჩილება ფორმალურად ექცია, მაგრამ ამით მდგომარეობა არსებითად არ იცვლებოდა. ისეთი კაციც კი, როგორიც იყო ერეკლე მეორე, სამართლებრივი თვალსაზრისით, ბოლომდე დარჩა ირანის შაჰის ვასალი. ირანელების თვალში იგი მათი მოხელე იყო და არა მეფე, ბარემ არ უნდოდა მაჰმადიანური ქუდის ტარება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, პატარა ინგილო გოგონამ ეს არ იცოდა, როცა ქართლ-კახეთის პატრონს ქლიავები გადააყარა თავზე და უსაყვედურა — ქართველი მეფე სპარსულ ქუდს რატომ ატარებო? (ი. გოგებაშვილი — „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“).

საერთაშორისო სამართლებრივი მორჩილების დასტურად აუცილებელი არ არის დიდძალი სპეციალური ლიტერატურის მოხმობა. ამისათვის

კმარა 1983 წელს გამოცემული წიგნის მოშველიებაც. ეს წიგნია, ჩემს მიერ უკვე მოხსენიებული, ლევან ალექსიძის „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა XV—XVIII საუკუნეებში“.

გარდა იურიდიული მორჩილების საკითხისა, გარკვეულად უნდა იყოს ნაჩვენები სულიერი მორჩილების პრობლემაც, ანუ რელიგიური ურთიერთდამოკიდებულება. ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწეები სულიერ მორჩილებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე პოლიტიკურს. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს გეორგიევსკის ტრაქტატშიც. ტრაქტატის მიხედვით, თუ ბაგრატიონთა დინასტია ინარჩუნებდა სამეფო ტახტს მემკვიდრეობით, საქართველოს კათალიკოსს, რუსეთის მღვდელმთავართა შორის, მერვე ადგილი ენიჭებოდა. იგი პირველი კლასიდან გადაჰყავდათ მეორეში და აყენებდნენ ტობოლსკის საარქიელო კათედრის შემდეგ. ე. ი. თუ პოლიტიკური მორჩილების თვალსაზრისით, ტრაქტატი [illegible] იყო, სულიერი მორჩილების კუთხით, [illegible] არ თმობდა. რისთვის იყო ეს საჭირო? ამ კითხვას ლ. ალექსიძე ასეთ პასუხს აძლევს: ამით „რუსეთის კარმა [illegible] ფეოდალება გავლენა მოეხდინა ქართლ-კახეთის (და მთელი საქართველოს) სულიერ ცხოვრებაზე, [illegible] არ შეიძლება არ ემოქმედა მთელ პოლიტიკურ და სამართლებრივ ზედნაშენზე“ (გვ. 133).

თუ ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის რელიგიურ დამოკიდებულებას ასეთი ყურადღება [illegible]

და, წარმოსადგენია, რა მწვავე იყო ორი მტრულად განწყობილ ეკლესიის (ქრისტიანულისა და ისლამურის) ურთიერთობა. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, არ ჩანს ჩვენს არც ისტორიულ რომანისტიკაში და არც მხატვრულ-პოპულარულ ნარკვევებში. არ არის იგი „უქარქაშო ხმლებშიც“.

სამართლებრივი და რელიგიური ურთიერთობის უგულებელყოფით მკითხველ საზოგადოებას ყალბი წარმოდგენა ექმნება წარსულ ისტორიულ ვითარებაზე. ამოცანა კი სწორედ ის არის, რამდენადაც შესაძლებელია მართლად და სწორად ვაჩვენოთ წარსული.

მე მგონია, აუცილებელია მტკიცედ გვახსოვდეს ის, რასაც ბოკლი ამბობს „ინგლისის ცივილიზაციის ისტორიაში“: ჭეშმარიტების წარმოსახვით დამახინჯების სხვადასხვა სახეობათა შორის არც ერთს არ ძალუძს იმდენი ზიანის მოტანა, რამდენიც გარდასული დროისადმი გადაჭარბებულ პატივისცემას.

ჩვენი წარსული ნაირნაირი ადამიანებით არის დასახლებული. მათ შორის წმინდანებიც არიან და გახრწნილ-ზნედაცემულებიც, გმირებიცა და ლაჩრებიც, ერთგულნიცა და მოღალატენიც, ლამაზებიც და მახინჯებიც... ისინი ჩვენი ეროვნული სხეულის ნაწილებია და ვერ მოვიკვეთთ. მათი თავგადასავალიც მძიმე, მწარე და ტრაგიკულია. ლაპარაკიც დაუსრულებლად შეიძლება მათზე. „უქარქაშო ხმლებიც“ ფართოდ იძლევა ამის საშუალებას. მაგრამ დადგა დრო საუბრის დამთავრებისა. მისი

განახლება კი ყოველთვის შეიძლება, თუკი ამის სურვილი იქნება, რამეთუ უმთავრესი გასაკეთებელია — წარსულით მომავლის წინასწარმეტყველება, ანუ გარკვევა და ნათელყოფა იმისა, რა გვასწავლა ისტორიამ უფრო მეტად — სულდიდობა თუ სულმოკლეობა, ვაჟკაცობა თუ სილაჩრე, გულწრფელობა თუ გაიძვერობა, უბრალოება თუ ცუდმედიდობა, სიმართლის სიყვარული თუ ტყუილის ტრფობა, შრომისმოყვარეობა თუ კვაჭური გაქნილობა... ერთი სიტყვით, ზნეობრივად საით ვიარეთ — ზნესრულობისა თუ ზნეკნინობისაკენ? ისტორია დინებადია და ის, რაც წავიდა, აღარასოდეს განმეორდება. წარსულის სოციალური მდგომარეობანი თუ პოლიტიკური ურთიერთობანი, სამხედრო გამარჯვებანი თუ დამარცხებანი სამარადჟამოდ განისვენებენ საფლავის ლოდქვეშ. მათ დღეს ღირებულება აღარ გააჩნიათ, თუ ქართულ ხასიათში ვერ აღმოვაჩენთ მათგან დატოვებულ ეთიკურ კვალს. თუ ჩვენი ისტორია ემსახურებოდა ქართველის ზნეობრივ ამაღლებას, მაშინ იგი მომავლის საძირკველია. თუ ჩვენმა ისტორიამ ქართველის ზნეობრივი დაქვეითება გამოიწვია, მაშინ იგი მომავლის ბალავარად არ გამოგვადგება. რა არის საქართველოს ისტორიაში ის, რაც ეთიკურად გვამაღლებს და რა არის ის, რაც ეთიკურად გვამცირებს?

ეს გასარკვევია, გულწრფელად და ხმამაღლაა სათქმელი. უამისოდ ისტორია ან კვეხნაა ან გლოვა.

1984 წ.

სულის ზრდა

„მწერლობა მხოლოდ მაშინ მაინტერესებს, როცა ის ცდილობს და ხელს უწყობს სულის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სევდას მგვრის“.

პოლ ვალერი

1. წინასწარი უწყება

მსჯელობის მასალად გამოყენებულია 1983 წელს დასტამბული ლექსები გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნალებში — „მნათობი“, „ცისკარი“, „ჰოროხი“, ალმანახებში — „განთიადი“, „რიწა“ და „პოეზია — 1983“.

თუ არ შემეშალა, დავთვალე და აღმოჩნდა, რომ 1983 წელს ლექსები გამოუქვეყნებია ორას ორმოც პოეტს, ზოგიერთს — თითო-ოროლა, ზოგიერთს — მთელი ციკლი. პოეტების ეს რაოდენობა უკვე იძლევა პირველი დასკვნის გაკეთების საშუალებას: ჩვენში ლექსის წერაც მეტისმეტად გაიოლებულია და მისი ბეჭდვაც.

1983 წელს დაბეჭდილ თითოეულ პოეტზე მსჯელობა არც შესაძლებლად მიმაჩნია და არც მიზანშეწონილად. შეუძლებელია იმიტომ, რომ მაშინ ეს წერილი უსაშველოდ გრძელი და დამღლელი გამოვა. მიზანშეწონილი არ არის იმიტომ, რომ ამ წელს არც ერთი ლექსი არ გამოქვეყნებულა, რო-

შელიც განუმეორებელ მხატვრულ ღირებულებას (ვთქვათ, „მერანის“ ან „განთიადის“ მსგავსს) წარმოადგენდეს, ანდა მის ავტორს გვიჩვენებდეს დღემდე პუბლიკუმისათვის უცნობი კუთხით.

1983 წლის ქართული პოეზია უპირველესად საყურადღებოა სხვა მხრით, კერძოდ, საერთო განწყობილებით და ამ განწყობილებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. ამიტომ შენიშვნა ამა თუ იმ ცალკეულ პოეტს არ ეხება. იგი ძირითადად გამოწვეულია საერთო განწყობილებით.

2. დამოკიდებულება კლასიკური ტრიადისადმი

სულ ძველად ესთეტიკოსები ამბობდნენ —, შწერლობის საგანიაო ღმერთი, ადამიანი და ბუნება, ე. ი. არსებითად, ყველაფერი, მაგრამ რაკი მაინც კონკრეტულად არიან საგნები დასახელებული, ჩვენც ვნახოთ, როგორ გამოიყურებიან ისინი 1983 წლის წყობილსიტყვაობაში.

ჩვენ ათეისტურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ამდენად სრულიად ბუნებრივი იქნებოდა თანამედროვე პოეტები არ დაინტერესებულიყვნენ ღმერთით. მაგრამ ფაქტობრივად ასე არ არის. სიტყვა — ღმერთი — ამჟამად პოეზიაში ხშირად შეგხვდებათ. ეს ვითარება, ცხადია, ითხოვს გავერკვეთ — რა შინაარსს დებენ დღეს პოეტები ამ უძველეს და ურთულეს ცნებაში.

მოგეხსენებათ, რელიგიური აზროვნებისათვის ღმერთი მიზეზიც აოის და მიზანიც. მიზეზია, რადგან იგია ყველაფრის შემქმნელი. მიზანია, რამეთუ ის არის სრულყოფილება — სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სამართლიანობა, ამაღლებულობა და ა. შ., ამ უსწორმასწორო წუთისოფელში ღმერთი იმედია, რასაც ადამიანის არსებობა ეყრდნობა. არსებობა კი ყოველთვის გულისხმობს მოძრაობას, სვლას უკეთესისაკენ. "რაკი უფრო სრულქმნილი, უფრო დიადი არაფერია, ადამიანის დანიშნულებაა ღმრთისდაგვარი სრულყოფილებისაკენ მისწრაფება. „ასე მკაფიოდ, უბრალოდ და გასაგებად არის ღმერთი გააზრებული კლასიკურ პოეზიაში.

რა თქმა უნდა, ამგვარ გაგებასთან არაფერი აქვს საერთო იმ ღმერთს, რომელსაც 1983 წლის პოეზიაში ნახავთ.

„ნეტავ პირველად სად შევცოდე?
იქნებ თამაშში
სულ პატარა, უმანკო ბავშვმა
ღმერთის რომელიმე რჩეულ ყვავილს დავადგი ფეხი
და დავიწყევლე.
და იქ დაედო
სათავე ჩემი სულის ხეტიალს,
რადგან დამწყევლა ღმერთმა,
რომელმაც
ჩემი მიზეზით საყვარელი სუნი დაკარგა".

(ბ. ხარანაული, 21 იანვრის „ლიტ. საქართველო")

„ის თოვლის ფიფქი, შენ რომ ღმერთმა
ზამთრად გარგუნა,

ლომიც რომ იყო, უეჭველად გაქცევს
თაგუნად".

(თ. ლანჩავა, „განთიადი", № 2)

„კვლავ ვიგრძენ წვეთი
წუთისა, როცა ახლოა ღმერთი!

მაგრამ იმ წამსაც ვგრძნობ —
ჩემი ღმერთი
ამ წამსაც რომ წამსვე მომისპობს
მწუხრით..."

(თ. აბულაძე, „ცისკარი", № 11)

„რომ შეგნიშნეს მძიმე ტვირთქვეშ
სიმწრისაგან სახედამანჭული,
მოსაშველებლად მოვიდა ერთი, ორი, სამი
და შვების ნაცვლად ტყვიასავით დამძიმდა ლოდი,
თურმე ნუ იტყვი, რის მიშველება, —
მოვიდნენ და მაგ შენს ტვირთზე ჩამოისვენეს!
...ის მეოთხე, ლოდი რომ აგხსნა,
ღმერთი იყო
და ახლაც სტკივა დაწეწკილი ხელისგულები!"

(ლ. ჯაფარაშვილი. „ცისკარი", № 10).

„გაჰყურებს წვიმით გაჟღენთილ ტკივილს
ღმერთივით რომ არსად იწყება,
ღმერთივით რომ არსად მთავრდება".

(თ. გაძაღუა. „მნათობი", № 3)

„ღმერთი კი ძერწავს საჩემო ნიღაბს
არარაობის უწყინარ სახით".

(ჯ. ჯანელიძე. „ცისკარი", № 9)

„ღმერთთან ღრუბლები ჰკიდია თოკით
და კაცად ქცეულთ სახლისკენ გზავნის“.

(რ. კაიშაური. 4 მარტის „ლიტ. საქართველო“).

„უკვე რამდენჯერ დავანგრიე,
რაც ავაშენე
და აღარ ვიცი,
რას დავარქვა
ნამდვილი ღმერთი“.

(ც. შალაშვილი. „განთიადი“, № 5)

ციტირებული სტრიქონების თანახმად, ღმერთს შეიძლება მრავალგვარი, ერთმანეთის გამომრიცხავი თვისებები მივაწეროთ. იგი შურისმგებელია: უმანკო ბავშვს ყვავილების უნებლიე გასრესაც არ აპატია. მონაწილეობს ადამიანის თაგვად გადაქცევაში. სიდიდეც არის, რომელიც არსად იწყება და არსად თავდება, თან უაღრესად კონკრეტულია — დნწეწკილი ხელისგულები აქვს და ძალიან სტკივა. რიგის მიხედვით კი რატომღაც მეოთხეა. ხან ნიღბების ძერწვით არის გართული, ხან კი ღრუბლების კაცად გადაქცევა აქვს ხელობად არჩეული. და ბოლოს, გულახდილი აღიარება — უკვე აღარ ვიცით, რას დავარქვათ ღმერთი.

ცხადად ჩანს, რომ ღმერთის ცნებამ დღევანდელ პოეზიაში დაკარგა კლასიკურად ჩამოყალიბებული შინაარსი. იგი დაიშალა. ახალი საერთო, მთლიანი შინაარსი კი ვერ შეიძინა. რამდენი პოეტიც არის, იმდენგვარი და იმდენჯერადი შინაარსი აქვს. ამიტომ მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობაც აღარ გააჩნია. უბრალოდ სიტყვის მასალად გა-

დაიქცა. ამისათვის კი ღმერთის შეწუხება არ ღირს.

კლასიკური რელიგიების ღმერთის რწმენის შერყევა შედეგია მეცნიერების არაჩვეულებრივი და უსაზღვრო განვითარებისა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების ეს განვითარება მეტყველებდა ადამიანის გონების შეუზღუდავ ძალმოსილებას, კაცი მაინც დაფრთხა და შიშით შეხედა გარემომცველ სამყაროს. ზიგმუნდ ფროიდს უთქვამს: ადამიანის კერძოდ და საერთოდ კაცობრიობის პატივმოყვარეობას და ამპარტავნებას მეცნიერებამ სამჯერ გააწნაო დამცირების სილა. პირველად მაშინ, როცა კოპერნიკმა ჰელიოცენტრული სისტემა დაასაბუთა და აღმოჩნდა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრი კი არ არის, არამედ მისი ერთი პაწია ნაწილი. მეორედ მაშინ, როცა დარვინმა ადამიანი ჩვეულებრივი ევოლუციის რეზულტატად მიიჩნია და განაცხადა, რომ იგი არავის შეუქმნია ხატად ღვთისად. და მესამედ მაშინ, როცა ქვეცნობიერს მიაგნეს. თურმე თავად ადამიანის ქმედებას ხშირად განაგებს რაღაც, რაც მას გაცნობიერებული არა აქვს.

თუ ძველად, ანტიკურ ეპოქაში, ბედისწერა დაუძლეველ ძალად იყო აღიარებული და ადამიანი მას ვერსად გაექცეოდა, მისი განაჩენი აუცილებლად აღსრულდებოდა, დღეს მეცნიერების სახით ახალი წერა-მწერელი მოევლინა კაცობრიობას. დაიბადა შიში, რომ ადამიანმა საკუთარი გონების ძალა თავისივე თავის წინააღმდეგ შემოატრიალა. ადამიანი საკუთარი რუასის ძალამ უფრო დააფრ-

თხო, ვიდრე რწმენა და ენერგია შთაუნერგა. სიტყვაკაზმულ ლიტერატურაშიც გაჩნდა ახალი პროტაგონისტი: საკუთარი გონების ძალმოსილების წინაშე დამფრთხალი და შეშინებული ადამიანი. ამ ადამიანმა თავი კნინად და მცირედ წარმოიდგინა.

ასეთი კაცი ქართულ პოეზიაშიც შემოვიდა. მას 1983 წლის ლექსებშიც შეხვდებით.

„მეც მავანის ბედი მელის.
მეც ხვინჭით მაქვს უბე სავსე,
და ბებერი ჯაგლაგივით
მიეჩანდრიკობ სოფლის გზაზე“.

(გ. კალანდია. „ცისკარი“, № 9)

„ავანთე შუქი — საკუთარი თავი შემზარდა,
ჩავაქრე — შიშმა ურჩხულივით ჩამყლაპა ისევ“.

(ხ. გაგუა. „განთიადი“, № 3)

„მიმაქვს თავქვეზე
იმედების ძვალი გახრული...“

(ი. ჯახუა. „პოეზია — 1983“)

„ახლა კი მარტო, ნერვებაშლილი
ლოგინში ვწევარ, როგორც ნაცემი
და არავინ ჩანს მთელ დუნიაზე
ჩემი გამგები და ხმის გამცემი.
მოდის საღამო, ჩუმი და ცივი
და კვლავ ამღვრეულ ფიქრში ვეფლობი...“

(ენ. ნიკარაძე. „ცისკარი“, № 11)

„არავინ არის გამკითხავი
და გამგებელი, —
მე თვითონ მიმაქვს ჩემი ჯვარი, ჩემი ლურსმნები...“

(ბ. არაბული. „ცისკარი“, № 5)

„საკუთარი გამოცდილების ღორღიან გზებზე
მივბორძიკობთ ქვეყნად ყველანი...
და მაინც,
უცებ რომ გვკითხოს ვინმემ —
— რა ვისწავლეთ ამდენი ხანი,
რა გაკვეთილი დავიზეპირეთ?
ვინ გასცემს პასუხს?
შავ ლიდერინის მძიმე ტომებში
სძინავთ ბრძენთა ნავლწაყრილ აზრებს,
ვით მიწაში დამარხულ ოქროს.
წყალი ნაყეს და უდაბნოში თესეს მარცვალი,
არ მოგვიმკია მათი ყანა,
არ შეგვისვამს მათი ზედაშე,
შუბლს არ შერჩა მათი მირონი“.

(თ. ბექიშვილი. „ცისკარი“, № 8)

სურათის დასანახად ეს ციტატებიც კმარა, თორემ სხვათა მოხმობაც შეიძლებოდა. მივიღეთ სუსტი, უძლური, მარტოსული ადამიანის პორტრეტი, ადამიანისა, ვისაც ვერაფერმა უშველა — ვერც გამოცდილებამ, ვერც ბრძენთა ნააზრევმა, ვერც დრომ და ცხოვრებამ რა თქმა უნდა, პოეზიას ყოველნაირი ადამიანის დახატვის უფლება აქვს — სუსტისაც და ძლიერისაც, ლაჩრისაც და ვაჟკაცისაც, სასოწარკვეთილისაც და იმედიანისაც, მაგრამ ერთი საშიშროება მოჩანს, რომელსაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. ხომ არ გავაუბრალოეთ, ერთფეროვანი, ცალმხრივი გავხადეთ დღევანდელი ადამიანიც და პრობლემაც? მე ვფიქრობ, რომ, ნებით თუ უნებლიეთ, ამგვარი შეცდომა მოგვივიდა.

გავიხსენოთ, რა ხდება ჩვენს თვალწინ.

ადამიანი ოცნებობდა ეფრინა (ვთქვათ, დედალუსისა და იკარუსის მითი). დღეს უკვე დაფრინავს და თან კოსმოსში.

ადამიანი ოცნებობდა ჯადოსნურ სარკეზე. მისი საშუალებით უნდოდა დაენახა, რა ხდებოდა ცხრა მთასა და ზღვას იქით. დღეს კი თითქმის ყოველი კაცი შინ, მხართეძოზე წამოწოლილი, უყურებს, რა ამბავია დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში. უფრო მეტიც, იმის ხილვაც შეუძლია, რა მდგომარეობაა სხვა პლანეტაზე.

ადამიანი ოცნებობდა ძალაზე, რომელიც მას შრომას გაუადვილებდა და შეუმსუბუქებდა. დღეს კი ავტომატიზაციასა და ნაირნაირ რობოტებს იქითკენ მივყავართ, რომ მოსალოდნელია ადამიანის ფიზიკური საქმიანობა საერთოდ გამოირიცხოს.

ნუთუ იგი, ვინც მხოლოდ ოცნებობდა, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის, ვინც ოცნება სინამდვილედ აქცია?

ნუთუ ის კაცი, ვინც თერმობირთვულ ენერგიას დაეუფლა, კოსმოსური ტექნიკა შექმნა, მთვარეზე გაისეირნა და ხვალ კიდევ, ვინ უწყის, რას იზამს, სუსტია და უძლური?

პირადად მე ეს არ მჯერა. არასოდეს გამოვლენილა ადამიანის ძალა ისე სრულად, როგორც დღეს. მაშინ შიში რაღამ დაბადა? იქნებ ევვისა და შიშის საფუძველი ის არის, რომ ცეცხლი პრომეთეს მოაქვს, მაგრამ მოსახმარად ჰეროსტრატეს ეძლევა? კი, ბევრჯერ მომხდარა კაცობრიობის ისტო-

რიაში, რომ ტიტანის მოტანილი ცეცხლით ტაძრები დაუწვავთ, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების წინსვლა ამას არ შეუჩერებია, შემოქმედებითი უნარი არ ჩაუკლავს, ახლის მაძიებელი რუასი არ დაუჩლუნგებია. ერთი დამწვარი ტაძრის მაგივრ ათეულობით და ასეულობით ახალი აშენებულა. ასე იყო, ასე იქნება. ადამიანს მარტო თერმობირთვული ენერგიის აღმოჩენის ნიჭი კი არ აქვს, არამედ მისი გონივრულად გამოყენების უნარიც. ამის საბუთია კაცთა მოდგმის ისტორია. ყოველი დიდი აღმოჩენა კეთილისათვის ყოფილა გამოყენებული. მართალია, ზოგჯერ იგი ბოროტსაც მოუხმარია, მაგრამ ეს ის აუცილებლობა იყო, რა აუცილებლობაც სიკვდილია სიცოცხლისათვის. ყოველი ადამიანი ტრაგიკულად აღიქვამს სიკვდილს, მაგრამ ისიც ზედმიწევნით იცის, რომ იგია განახლების პირობაც.

უგინცობისა და იმედიანობის ბრძოლა ადამიანის (აქედან მთელი კაცობრიობის) თვისებაა და ტექნიკური ცივილიზაცია არაფერ შუაშია. ან თერმობირთვული იარაღი სად იყო, ან კოპერნიკი, დარვინი და ფროიდი სად იყვნენ, როცა ამქვეყნად ყველაზე სასოწარკვეთილი თხზულება — ეკლეზიასტე — დაიწერა, რომელმაც ყველაფერი ამაოებად გამოაცხადა. ვერც ერთი დღევანდელი სკეპტიკური წიგნი ვერ შეედრება ეკლეზიასტეს ვერც აზრის სიღრმით და ვერც ემოციური ზემოქმედების ძალით, მაგრამ მას კაცობრიობის ბედზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ვინ უწყის რამდე-

ნი ხანია, რაც კაცობრიობა ეკლეზიასტეს კითხულობს, მაგრამ ისევ ისე ძველებურად ქორწინდება, შვილებს აჩენს, ხნავს, თესავს, საქონელს ამრავლებს, აშენებს... და აგერ, სადაც არის, სხვა პლანეტაზე გაფრინდება, რომ ცხოვრება იქაც ისე მოაწყოს, როგორც დედამიწაზეა.

მე არ შეგაწყენთ თავს იმის მოყოლით, რა ანიჭებს ამ ძალას კაცობრიობას. ეს დამაჯერებლად არის აღწერილი იაპონელი მწერლის ტოკუტომი როკას ესეიში „მიწათმოქმედება", რომლის ქართული თარგმანი 1982 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ჰორიზონტში" (№ 3).

ადამიანი არც წუწუნსა და ჩივილს მოიშლის, არც არსებობისა და წუთისოფლის დამუნათებას დაანებებს თავს. მუდამ რაღაცით უკმაყოფილო იქნება. ეს თვისებაა მისი და იმიტომ. მაგრამ აუცილებელია უკმაყოფილების არსის ამოცნობა, რამეთუ პროგრესის საფუძველი გონიერი კაცობრიობის უკმაყოფილებაა, ჩივილია; ოღონდ კარგად უნდა განვასხვავოთ, როდის არის უკმაყოფილება გონიერი და როდის — უგუნური.

ნურავინ იფიქრებს, დაკვეთილ ოპტიმიზმს ვქადაგებდე. მისი მომხრე არ ვარ. იგი საზიზღარია, რაკი არაგულწრფელია. მაგრამ არც შიშით შეპყრობილობას ვიზიარებ. იგი ადამიანს კნინად და მცირედ წარმოგვიდგენს. ადამიანს არსებობისათვის სიამაყე და თავმოყვარეობა სჭირდება. როცა მეცნიერებამ სიყალბესა და სიცრუეზე აგებული ამპარტავნება და პატივმოყვარეობა ადამიანისა დაან-

გრია, ამით მისი სიამაყე და თავმოყვარეობა არ გაუნადგურებია. პირიქით, ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე აშენებულ სიამაყეს და თავმოყვარეობას გაუკაფა გზა. ცხოვრება შემოქმედებაა და მას სულითა და ხორცით ძლიერი ადამიანი წარმართავს. ეს ღონიერი კაცის ინტელექტმა და ენერგიამ მიიყვანა კაცობრიობა აბაკუსიდან კომპიუტერამდე, ტალ-კვესის პატრონი თერმობირთვულ ენერგიის მფლობელი გახდა, ურმით მოარული კოსმოსში მონავარდედ აქცია... წინ კიდევ უფრო დიდი საოცრებანი გველიან. ყველაფერი ის, რაც კაცობრიობის ნიჭიერებამ შექმნა, ადამიანს გრანდიოზული მიზნების მისაღწევად სჭირდება და არა თვითგანადგურებისათვის. იგი, ვინც ფიქრობს, რომ კაცობრიობა ბრმად მიიწევს თვითგანადგურებისაკენ, ღრმად სცდება. არსებობის არსი სიცოცხლით გამოიხატება.

დავაკვირდეთ ერთ უბრალო და ნათელ მოვლენას.

როცა ადამიანები ხმლითა და მშვილდ-ისრით ებრძოდნენ ერთმანეთს, დედამიწის მოსახლეობა მცირე იყო.

როცა თოფი გამოიგონეს, დედამიწის მოსახლეობა ამ იარაღის დამანგრეველი ძალის შესაბამისად გაიზარდა, გამრავლდა.

როცა ტყვიამფრქვევი გააკეთეს, დედამიწის მოსახლეობამაც ისევ შესაბამისად მოიმატა,

მეორე მსოფლიო ომმა ადამიანთა უთვალავი რაოდენობა იმსხვერპლა, მაგრამ მას მერე დედამი-

წის მოსახლეობა ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ დღეს სწორედ მისი სიჭარბე აშინებთ.

ეს ფაქტი რომ სწორია, ამას დემოგრაფიის ყველა სტატისტიკოსი დაადასტურებს. რა დასკვნა შეგვიძლია აქედან მივიღოთ? მხოლოდ ერთადერთი: ყოველგვარ სიკვდილის იარაღს სამყარო სიცოცხლის ზრდით ებრძვის. ეს კანონზომიერება არასოდეს ირღვევა. ხალხმა ეს ქვეცნობიერად იცის. ეს არის მისი იმედის საფუძველიც. ამ გინცს კიდევ უფრო აძლიერებს ღონიერი ადამიანი. ამიტომ მისკენ ლტოლვა საზოგადოების ბუნებრივი მოთხოვნაა. ღონიერი ადამიანის თვინიერ საზოგადოებას დაეუფლება ერთფეროვნების, უმოქმედობის, სულერთიანობის, უზრუნველობის გულისმომკვლელი რუტინა.

1983 წლის წყობილსიტყვაობაში ბუნებისადმი მიძღვნილი ლექსები შედარებით მცირეა, მაგრამ ერთი რამ მაინც მკაფიოდ ჩანს: შიში, რომელიც ბუნებისადმი დამოკიდებულებაში ვლინდება, ემყარება სამ ფაქტორს — 1. თერმობირთვულ ომის მოლოდინს. 2. ტექნიკური ცივილიზაციის „დამანგრეველ“ გავლენას და 3. თავად ბუნების კანონს.

„მაგრამ ისიც ხომ კარგად ვიცი,
რომ ატომური ბომბების მარაგს
ეს დედამიწა შეუძლია
წამში გააქროს.
ესეც ხომაა საფიქრალი
და სავალალო“.

(ენ. ნიჟარაძე. „მნათობი“, № 10)

„ხატეთ და ხატეთ, მხატვრებო,
სანამ ნატურა არსებობს“.

(გ. ჯულუხიძე. 15 ივლისის „ლიტ. საქართველო“)

„ნუთუ მოხდება
რომ მზე ჩაქრეს,
და ზღვები დაშრეს,
საზარელ ომის
ცეცხლით
ცა და მიწა შეერთდეს,
ნუთუ მშობლები
გასწირავენ საკუთარ ბავშვებს
და ვერ შეხვდებით
საუკუნეს ოცდამეერთეს?!“

(ნ. გურეშიძე. 23 დეკემბრის „ლიტ. საქართველო“)

„წარსულზე, აწმყოზე ფიქრები კმარა,
კარებთან მომდგარა მომავლის შიში!
სული ვერ მოუთქვამს ბალახს და ფოთოლს,
ჩამჭკნარა მდელო ჰვარტლში და მტვერში“.

(თ. ბექიშვილი. 18 მარტის „ლიტ. საქართველო“)

„ცას დაეკარგა ფერი ნამდვილი, ვარდს—სურნელება,
ტირიფს ტირილი დაავიწყდა, მაფშალიებს კი —
ტკბილი გალობა“.

(ზ. მოლაშხია, „ცისკარი“, № 8)

„რისთვის ხმაურობ, მდინარის წყალო,
ან ჩქერალებით რისთვის ირთვები?
მაგ სილამაზის დღეებიც წავლენ,
შენც ჩახვალ ბარში და დამშვიდდები...
თავკომბალებით და ბაყაყებით
ამოივსება შენი ნაპირიც.

ან გაილევი
ან დამყაყდები,
ან ზღვა ჩაგყლაპავს გველეშაპივით...
და დაინთქმება შენი ჩქერების
ხმა და გუგუნი მთების მზარავი,
რადგან ბოლომდე ბედნიერება
ჯერ არ რგებია ქვეყნად არავის".

(ბ. არაბული. „ცისკარი", № 5)

მგონია, რომ ბუნებისადმი დამოკიდებულებაშიც ცალმხრივად არის წარმოდგენილი პრობლემა.

თუ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საერთო თვალსაზრისს გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ ბუნება არსებობდა კაცობრიობის ცხოვრებაში როგორც სავანე, სადაც ადამიანი იბადება, ცხოვრობს, საზრდელს შოულობს და ბოლოს კვდება. „ბუნება ყო სარეცელი, აკვანი, სახლი და საგოდებელი, ანუ კაცთა თავშესაფარი, ცხოვრების წყარო, იმედი, სიმშვიდე.

საზოგადოებრივი ცხოვრებით აფორიაქებული სამშვინველი ადამიანისა ბუნებაში ჰპოვებდა ნუგეშს.

მე-20 საუკუნეში ეს დამოკიდებულება შეიცვალა. თუ, ერთი მხრივ, ბუნება იქნა მიჩნეული უსამართლობის დედად, მეორე მხრივ, დაიკარგა მისი იმედიც, რაკი, თურმე, ადამიანს შეუძლია მისი განადგურება.

კლასიკურმა მწერლობამაც კარგად იცოდა, რომ ადამიანი ტრაგიკული არსებაა, ანუ ცოტა სხვანაი-

რად, ტრაგიკულობა ადამიანის თვისებაა. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ არსებობს და ყოველთვის იარსებებს ავადმყოფობა, სიბერე, სიკვდილი. მაგრამ კლასიკური მწერლობისათვის ეს არ გამხდარა უნუგეშობის წყაროდ, რამეთუ მისი მიზანი იყო ტრაგიკულობის დაძლევა და არა — მორჩილება. ეს პრინციპი ბადებდა აქტიურ, მებრძოლ ადამიანს. მებრძოლი ადამიანი, რარიგ ტრაგიკული ბედისაც უნდა ყოფილიყო იგი, მკითხველს აღავსებდა რწმენითა და იმედით. ყოფნა-არყოფნის ეჭვით შეპყრობილი ჰამლეტიც კი ნუგეშისმცემელია, რაკი სიმართლის შესაცნობად ბოლომდე იბრძვის.

მებრძოლი ადამიანის თვისება და პრინციპი იმიტომაც არის აუცილებელი ლიტერატურაში, რომ იგი ყოველთვის მოქმედებს რწმენით — ბუნება არც ბოროტების წყაროა და არც ადამიანს ძალუძს მისი განადგურება.

რაც ადამიანმა იცის, რასაც მან მიაღწია, რასაც იგი აკეთებს, ეს არის ბუნების საიდუმლოების ამოცნობის შედეგი. ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლებდა ბუნების განადგურებას, თუ იგი მის საიდუმლოს ბოლომდე ამოიცნობდა. მაგრამ ეს შეუძლებელია. შეუძლებელია, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ბუნების საიდუმლოება უსასრულოა (ადამიანმა ჯერჯერობით მისი საიდუმლოს ერთი პროცენტი თუ იცის) და, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ არსებობა გულისხმობს მარადიულ შემეცნებას. ყოველი ახალი თაობა ახალს ეძებს, ახალს შეიცნობს. რა ძალას შეუძლია შეზღუდოს უსასრულობა და

შეწყვიტოს მარადიული შემეცნების პროცესი? ასეთი ძალა არ არსებობს.

ადამიანი ბუნების ნაწილია. ეს ტრივიალური აზრია და, ცხადია, არც საკამათოა. ასეთივე ტრივიალურია იმის თქმაც, რომ ადამიანი მოაზროვნე არსებაა. თუ ასეა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ბუნებაც მოაზროვნეა, რადგან შეუძლებელია ნაწილს ჰქონდეს ის თვისება, რაც მთელს არა აქვს, ესეც ელემენტარული ლოგიკური დასკვნაა.

ბუნება რომ აზროვნებს, ამის საბუთია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ისტორიაც. ადამიანს არასოდეს არ აღმოუჩენია და გამოუგონია ის, რაც თავის დროისათვის აუცილებელი არ იყო, აუცილებელი იყო სწორედ სიცოცხლის არსებობისათვის. მაშასადამე, ესა თუ ის მეცნიერული აღმოჩენა, ესაა თუ ის ტექნიკური გამოგონება სჯობია არაფერია, თუ არა - არსებობის საშუალება, არსებობის იარაღი, რომელსაც ბუნება აწვდის ადამიანს. აწვდის მაშინ, როცა აუცილებელი და საჭიროა. ასეთი აუცილებელი და საჭირო იარაღია, საშუალებაა თერმობირთვული ენერგიაც დღევანდელი და ხვალინდელი არსებობისათვის.

რაკი ასეა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნებაში უკეთესი მდგომარეობა არასოდეს იცვლება უარესით. მასში ხდება ერთი მშვენიერების მეორეთი შენაცვლება. ბარის მდორე მდინარეც თავისთავად ისეთივე მშვენიერია, როგორც მთის ბობოქარი, ოღონდ ერთ კაცს პიროვნულად შეიძლება მთის მდინარე მოსწონდეს და მეორეს — ბარისა. ეს

ცალკეული ინდივიდის გემოვნების გამოვლენაა და არა — ობიექტური თვალთახედვით გარესამყაროს ხილვა. ნახეთ, რა მშვენიერია, მაგალითად, ჭაობი გენო ხოჯავას ფილმებში. ჩვენში ჭაობს გმობის მეტი არაფერი ხვდომია წილად. გ. ხოჯავამ კი მრავალი მშვენიერება დაგვანახვა. ყოველ პიროვნებას აქვს უფლება იმას უმღეროს, რაც მოსწონს. მე მხოლოდ იმ აზრს ვიცავ, რომ ბუნების კანონზომიერებაში (ერთი მშვენიერების შეცვლა მეორეთი) არ დავინახოთ უარყოფითი მოვლენა (უკეთესი მდგომარეობის უარესით შეცვლა) და აქედან უმართებულო საერთო დასკვნა არ გამოვიტანოთ.

ყოველივე ზემორეთქმული იმიტომ მოგახსენეთ, რომ დამესკვნა: ბუნებასა და ადამიანს შორის არსებული ჰარმონია არ ირღვევა (არც ოდესმე დაირღვევა). ბოროტების ცალკეული გამოვლინებანი, რარიგ მასშტაბურიც უნდა იყვნენ ისინი, ვერ მოახერხებენ ამ ჰარმონიის დაშლას. ეს უსაფუძვლო რწმენა კი არ არის, არამედ კაცობრიობის მთელი ისტორიით დადასტურებული კანონზომიერებაა. ბოროტებისა და კეთილის ბრძოლა საბოლოოდ და საერთოდ ყოველთვის კეთილის გამარჯვებით მთავრდება. კეთილი ყოველთვის საერთო და ყოვლისმომცველია, ბოროტი კი — კონკრეტული და ცალკეული. ასე რომ არ იყოს, არ მოხერხდებოდა იმ გზის აღმავალი გავლა, რაც კაცობრიობამ გაიარა უხსოვარი დროიდან დღემდე. კონკრეტული ტრაგიკული მსხვერპლიც საერთოდ და საბოლოო

გამარჯვებულ კეთილს ემსახურება, ამიტომაც ზვარაკი არასოდეს ყოფილა ამაო.

თუ კეთილის საერთოობა და ყოვლისმომცველობა და ბოროტის კონკრეტულობა და ცალკეულობა არ ვიწამეთ, არა მარტო ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის კანონზომიერებას ვერ დავინახავთ, არამედ ვერც ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას მოვახერხებთ. ადამიანი ბოროტს ყოველთვის სიკეთის აბსოლუტურობის რწმენით ამარცხებს. ამ რწმენით იბრძვის კაცის გადასარჩენად, ეძებს ჭეშმარიტებას, ცხოვრების აზრს, ცდილობს დროისა და ცვლილებების საიდუმლოს ამოცნობას, ტანჯვის ახსნას, სისასტიკისა და უსამართლობის უფსკრულში პოულობს სიყვარულს. ამ საქმეს ემსახურება პოეზიაც, როგორც ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგი.

8. ტრიბუნა თუ ჰობი?

თუ შემოქმედებას საერთოდ და კერძოდ პოეზიას კეთილის ღრმა რწმენა და ბოროტების მებრძოლი უარყოფა არ წარმართავს, მაშინ ლიანგური საზოგადოება კარგავს მისდამი ინტერესს. აღარ უსმენს. წყობილსიტყვაობას ემუქრება თავის თავში ჰერმეტულად ჩაკეტვა. უფრო მეტიც, არსებობს საშიშროება, გადაიქცეს უბრალო ჰობად.

„არავინა მყავს ძმებზე ძვირფასი,
ჩემი ორი ძმის მზეს გეფიცებით.

. . . .

თქვენი სიცოცხლე და აყვავება,
დებო, ძმებო და ბიძაშვილებო!.“

(შ. არაბული, 14 ოქტომბრის „ლიტ
საქართველო“)

„ოღონდ შენ მყავდე, შვილო, კეთილად,
მე სიხარულით ავიტან ჯვარცმას...“

(შ. ფორჩხიძე. „პოეზია — 1983“)

„ბაბილინას მოვუტანე სიხარული დედობის,
სიხარული მამობის მოვუტანე ვარდენს“.

(ტ. მებურიშვილი. „მნათობი“, № 5)

მშობლების, შვილების, და-ძმების, შვილიშვილებისა თუ ნათესავ-მეგობრების სიყვარული ჩვეულებრივი ბიოლოგიური გრძნობაა. პოეტს ვერავინ წაართმევს უფლებას ამ გრძნობაზე ილაპარაკოს, მაგრამ, თუ მასში რაიმე განზოგადებული აზრი არ ჩავდეთ, ვერც ვერაფერს ახალს ვიტყვით და ვერც საინტერესოს, საყურადღებოს. პოეტური ნაწარმოები ვეღარ გასცდება მოკითხვის ბარათის (ოღონდ გალექსილის) დონეს. დარჩება მეტისმეტად კონკრეტულის (მხოლოდ ავტორისათვის ღირებულის) საზღვარში. მართალია, შემოქმედს რაიმეს შესაქმნელად ბიძგს ყოველთვის კონკრეტული აძლევს, მაგრამ ესა თუ ის ნაწარმოები მხატვრულ ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა კონკრეტული განზოგადებულ აზრობრივ შინაარსში გადაიზრდება. ყველამ იცის, ნ. ბარათაშვილს „მერანი“ ბიძის — ილია ორბელიანის — დაღესტნელ-

თაგან დატყვევებამ შთააგონა, ე. ი. კონკრეტული პიროვნების კონკრეტულმა ბედმა. მაგრამ ამ კონკრეტულის კვალი ლექსში არც ჩანს, ხოლო „მერანს“ აზრობრივი შინაარსი ისეთი ღრმაა და განზოგადებული, რომ ყოველი ერისა და ყოველი დროის ადამიანს აღელვებს, გრძნობასა და გონებას უფორიაქებს.

კონკრეტულისა და ზოგადის ურთიერთობაში მტკიცე კანონზომიერება არსებობს: განზოგადებული აუცილებლად ნაკარნახევია კონკრეტულით, მაგრამ ასევე აუცილებლად კონკრეტულმა უნდა შეიძინოს განზოგადებული აზრი. ამ კანონზომიერების დარღვევა არ უნდა მოხდეს, რადგან, მხატვრული ნაწარმოებისადმი მკითხველის დამოკიდებულების თვალსაზრისით, კონკრეტული განუზოგადებლად და ზოგადი უკონკრეტულოდ ერთსა და იმავე შედეგს იძლევა — გულგრილობას, დაუინტერესებლობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როცა ნათესავებს, ახლობლებსა თუ მეგობრებს ლექსით სიყვარულს ვუცხადებთ, გვინდა თუ არ გვინდა, ვსვამთ, წამოვჭრით სიყვარულის პრობლემას საერთოდ.

ქართული მწერლობა მთელი ათას ხუთასი წლის მანძილზე ქრისტიანული ლიტერატურა იყო და, ბუნებრივია, ქრისტიანული სიყვარულის იდეალს ქადაგებდა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თუისი“, აქ მოყვასი საერთოდ ადამიანის სინონიმია. მაგრამ ჩვენმა მწერლობამ ესეც არ იკმარა

და, მინდიას სახით, უზოგადეს და უფართოეს კოსმოსურ სიყვარულამდე ამაღლდა: „რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო“. ახლა რა მოხდა? ვაჟას კოსმოსური სიყვარულიდან უკან შემოვბრუნდით, დავქვეითდით და ღედ-მამის, და-ძმის, შვილებისა თუ შვილიშვილების კეთილშობილური, მაგრამ ელემენტარული ბიოლოგიური გრძნობის მეხოტბეობამდე დავედით? მინდიას თვითმკვლელობამ ხომ არ შეგვაშინა?!

ნუ გამიწყრებით, თუ ამ პროცესში მე არა მარტო სიყვარულის თემისა და პრობლემის გაღარიბებას დავინახავ, არამედ, ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტის საშიშროებასაც.

ამ შიშის საბუთად გამოდგება 1983 წლის პოეზიაში სიყვარული-ეროსის სურათიც.

1983 წლის წყობილსიტყვაობის მიხედვით, პოეტები გულგრილი ჩანან ეროსისადმი. კაცმა რომ თქვას, ეროსისადმი მათი დამოკიდებულება არსებითად ამოიწურა განცხადებით: „ჩაიარა სიყვარულმა თეთრი გოგოს ზიარმა“ (ნ. ადეიშვილი, „პოეზია — 1983“). პოეტესებმა კი შედარებით უფრო გულთბილი დამოკიდებულება გამოავლინეს, მაგრამ აშკარად გაღიზიანების ელფერგადაკრული.

„კაცისთვის ქალი მხოლოდ ქალია,
ქალი კი კაცში სასწაულს ეძებს...“

(ლ. გულისაშვილი. 8 აპრილის „ლიტ. საქართველო“)

„მე ყველა კაცში
ოტელოს ვხედავ
და დასახრჩობად
ვარ განწირული“.

(ლ. ნუცუბიძე. „განთიადი“, № 2)

„დგება ვიღაცა ჩემი ხსნისათვის
მოდის ოტელოს მუქი ხელებით
და სიგიჟიდან სიგიჟისაკენ
მივყავარ უხმოდ და მეფერება“.

(ლ. თოთაძე. „ჟოროხი“, № 2)

როგორც ჩანს, ქართველ პოეტესებში ოტელო პოპულარული ხდება. მაგრამ მისი მოფერება, მაინცადამაინც, სანდო არ არის.

სხვა დარგში არ ვიცი და პოეზიაში კი ქართველმა ქალებმა ქართველ ვაჟებს ხელთათმანი ესროლეს. მკაცრი მუნათი დასდეს. ყველაზე მკაფიოდ ეს იზა ორჯონიკიძის ლექსით გამოითქვა (1984 წლის 13 აპრილის „ლიტ. საქართველო“, მაგრამ, რაკი მსჯელობის საგნად მხოლოდ 1983 წელს დასტამბულ ლექსებს ვიყენებ, ამჯერად მას არ შევეხები). ოღონდ ის კი უნდა ვაღიარო, რომ ეს საყვედური ჩვენ დავიმსახურეთ. თავის მართლება არ შეგვიძლია. თავს თუ არ დავიყრუებდით, დაცინვის კისკისი ადრე უნდა გაგვეგონა:

„ბუზღუნებენ, როგორც ოკეანის წყლები,
უაბჯროდ და უცხენოდ დარჩენილი ქმრები.
დიდგორსა და მარაბდას მორჩენილი ლომები,
ახლა ჩვენთან რომა აქვთ საკუთარი ომები.
სხვათა ომით დაღლილებს, შეიბრალებ სადღაც,

გმირებს დმანის-გარნისის, ამ ნიჟიერ სარდალთ,
ულაშქროდ და უღვთოდ, ნაღდად ბრძოლის მწვავის
არ ღირს გარდახდა და... კვლავ მართავენ კრწანისს...
ჩვენც ვმარცხდებით ვითომ,
ტყვედ ვნებდებით ნებით,
ბუზღუნებენ მაინც ქარებივით... ქმრები...“

(დ. ჭუმბურიძე. „ცისკარი“, № 2)

დავაკვირდეთ ირონიას: უაბჯროდ და უცხენოდ დარჩენილი, სხვისი ომით დაღლილი, დიდგორის, მარაბდის და გარნისის ომის მაგიერ მხოლოდღა ცოლისათვის კრწანისის გამმართველი მამაკაცი... (რაკი კრწანისს მართავს, ცხადია, აქაც დამარცხებულია, თუმცა ცოლი ნებდება ტყვედ). გამოვტყდეთ: მამაკაცის მეტად არასახარბიელო სურათია დახატული.

პოეტესების აზრით (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ნაწილის მაინც), მამაკაცი დაკნინდა. მაგრამ ასეთ ვითარებაში რა უნდა ჰქნას დედაკაცმა, რა როლი შეასრულოს, რისკენ მოგვიწოდოს?

„მე შენ იმიტომ დაგტოვე,
მთელი სიცოცხლე შენ რომ მიყვარდე,
და უშენობაც მიტომ გავბედე,
ჩემში არასდროს რომ არ დაბერდე“.

(ც. მელუა. „ჭოროხი“, № 2)

მართალია, ამ ლექსში მარადიული სიყვარულის სურვილია გამომჟღავნებული, მაგრამ მასში უნაყოფობის ხმა ისმის, რაც მიჯნურობას აზრს უკარგავს.

„ნეტავ ვინაა, ვისაც ისე მოეწონება ჩვენი კაბა
რომ აღარასოდეს აღარ გაგვიცვდეს?
და როდის გვეტყვის, რომ მოსწონს, მოსწონს?
აი, ესაა გოგოს ცხოვრება“.

(დ. ბედიანიძე. 19 აგვისტოს „ლიტ. საქართველო“)

განა გოგოს ცხოვრება მხოლოდ კაბის მოწონების მოლოდინია? თუ ასეა, ქალი ვაჟზე უფრო დაცემულა და დაკნინებულა. მას არა მარტო ამაღლებულისაკენ მისწრაფება დაუკარგავს, არამედ მისი ილუზიაც.

„სხვა რაღა უნდა ნეტავი დიაცს,
რომ იყოს მუდამ ერთგული ცოლი“.

(მ. გონაშვილი. „ცისკარი“, № 3)

როგორი მამაკაცის?

თუ არა ამ ვითარებაში, როდის უნდა გაგვახსენდეს ჩვენი კლასიკური მწერლობის კონცეფცია, რომელიც რუსთაველის აფორიზმით ასეა გამოთქმული: „სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“.

ყოველი ლიტერატურული ტრადიცია ერის სულიერი მოთხოვნილების შესაბამისად ყალიბდება. დროთა განმავლობაში, ცხადია, იგი შეიძლება შეიცვალოს: ან ძველი განვითარდეს და გაღრმავდეს, ან სრულიად ახალმა იდეალმა დაიკავოს მისი ადგილი. ჩვენი ლიტერატურული ტრადიციაც — ქალი მამაკაცს გმირობისაკენ მოუწოდებს — დრომ და ხალხის სულიერმა მოთხოვნილებამ შექმნა. თუ

პოეზია დაინახავს, რომ ეს ტრადიცია საჭირო აღარ არის, სრული უფლება აქვს იგი შეცვალოს, მაგრამ, საკითხავია, რით? ტოლფასი ან უკეთესი იდეალით თუ ნებისმიერი სურვილით? კმარა განა — ყველა მამაკაცის ოტელოდ ჩათვლა და ღალატრჩობის მოლოდინი, სიყვარულის შესანარჩუნებლად სატრფოს მიტოვება, კაბის მოწონება თუ განურჩეველი ერთგული ცოლობა? სიყვარულში უფრო ამაღლებული არაფერი გვჭირდება? მეტადრე მაშინ, როცა პოეტესები აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამენ დღევანდელი მამაკაცებით.

საერთო ხარვეზი, რაც 1983 წლის სატრფიალო ლირიკის კითხვისას მაშინვე თვალში გეცემათ, არის ის, რომ ლექსებში სიყვარულის პოეზიის ადგილი სიყვარულის დახასიათებამ დაიკავა. განცდა შეიცვალა მსჯელობით.

„სიყვარული უგონოა, ქალბატონო...
ის ძველ მელოდიასავით გვეუფლება
და დეკემბრის ბაღებში დაგვატარებს,
სადაც ყველაფერი ნაცნობია,
ყოველი ნაბიჯი მიახლოვებაა
იმ მელოდიასთან —
ჩვენს ფიქრებში რომ აეღერებს
უცხო მუსიკოსი...“

(ბ. ჯაჭელიანი. „მნათობი“, № 4)

„ჩემს სიყვარულს
ყორნისფერი თმები აქვს
და ვარსკვლავებივით დაჭორფლილი სახე.
სევდიანია იგი მარად და მოსაწყენი,

მარადის ბედის მომლოდინე
საწყალი ქვრივი“.

(ვ. ხარჩილავა. 26 აგვისტოს „ლიტ. საქართველო“)

არის კიდევ სიყვარულის ერთი გამოვლენა, რომლისთვისაც ჩვენს მწერლობას არასოდეს აუვლია გვერდი. არც დღევანდელი პოეზია ტოვებს უყურადღებოდ. ეს გახლავთ სამშობლოს სიყვარული.

„მერცხლებო, არა, არა მგონია, თქვენ ნახოთ სადმე
უფრო, უფრო, უფრო, უფრო თბილი ქვეყანა,
ვიდრე ჩემი საქართველოა“.

(რ. დანელია. „მნათობი“ № 8)

„ევროპის ცენტრი... ლუდი, ბარებით,
მაგრამ არცერთი მე არ მარგია...
ტკბილი „ურმულის“, ღვინის „გარეჯის“
და დედის პურის მწვავს ნოსტალგია...“

(ვ. ოთარაშვილი. „ცისკარი“, № 8)

„ერთს ვისურვებდი:
შენთვის ვიქცე დღესასწაულად,
რომ მის ნათელში
შენ ხმები და ჩუქურთმები
უფრო გაბრწყინდეს,
ჩემო მამულო,
თავდავიწყების მაღალ ტალღებად
რომ მოლივლივებ გულებისაკენ
და არ ილევი!...“

(ვ. ხორნაული. 25 მარტის „ლიტ. საქართველო“)

„არ წამლილიყოს
ხნულში, ვენახში,
ქართული გუთნის კვალი,
გქონდეს გაძლება
ენის შენახვის,
ბუხრებს ახრჩობდეს კვამლი“.

(მ. კახიძე. „პოეზია — 1983“)

იმ ადგილისადმი სიყვარული, სადაც ადამიანი იშვა და გაიზარდა, ბუნებრივი გრძნობაა. ამას, ამა თუ იმ სახით, ყოველი კაცი გამოხატავს. მაგრამ ამ გრძნობის გადაზრდა გარკვეულ კონცეფციაში მაშინ ხდება, როცა ყოველი პიროვნება ნათლად აყალიბებს — რატომ, რა მიზნით უყვარს სამშობლო, რას ნიშნავს მისთვის მამული. ზემორეციტირებულ სტრიქონებში არის აღტაცებაც, სევდაც, შიშიც, კმაყოფილებაც, თავდადების ფიციც, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ სიტყვებია, რომელნიც ვერ გვიჩვენებენ — როგორი სამშობლო სურთ იხილონ, რისთვის არიან მზად თავი გასწირონ.

სამშობლოზე მსჯელობა წყობილსიტყვაობაში მარტო მის ქება-დიდებას არ ნიშნავს. არ კმარა მარტო აღტაცება მისი პეიზაჟებით, მისი წარსულით თუ აწმყოთი. სამშობლოზე ლაპარაკი უპირველესად ნიშნავს ფიქრს, ოცნებას — როგორი გინდა გახდეს მშობელი ქვეყანა. ამისათვის ხშირად პოეტი შეიძლება დაუნდობლად ამხელდეს ყოველ ნაკლს, რასაც იგი ამჩნევს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში (მაგალითად, ილიას „ბედნიერი ერი“ ან აკაკის „ეჰ, ქართველო, აბა, მითხარ, ვინა ხარ...“),

ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება უფრო მეტად გამოხატავს სამშობლოს სიყვარულს და დარდს მის ბედზე, ვიდრე ხოტბა.

„...იჯდა მეშავრი და ჩუმად კვირობდა —
ამდენ ტკივილთა უსატკივრობას“.

(ზ. მოლაშხია, „ცისკარი“, № 8)

ტკივილთა უსატკივრობა იმითაც არის საშიში, რომ მას რიტორიკამდე მივყავართ. პოეზიას კი არ ჰყავს უფრო დაუძინებელი მტერი, ვიდრე რიტორიკულობაა. იგი უშრობს წყობილსიტყვაობას ემოციას და გრძნობას

ადამიანის, საზოგადოების, ბუნების არსებობა-ცხოვრებაში ბევრი რამ არის იდუმალი, აუხსნელი, მიუწვდომელი. დროთა განმავლობაში ზოგიერთის ამოცნობა ხერხდება, ზოგიერთი კი ისევ ბნელით ფოცული რჩება. ისინი აწუხებენ ადამიანს, იწვევენ მის ფიქრს, განსჯას. ეს ფიქრი თუ განსჯა შეიძლება საინტერესო იყოს, თუ მკითხველი დაინახავს მაძიებლის განცდის და აზრის სიღრმეს, შეიძლება ხელთ არაფერი შეგვრჩეს, თუ ძიება ოდენ რიტორიკული კითხვით ამოიწურება. ისიც შეიძლება პასუხს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ადამიანისათვის.

„ვარსკვლავებს შორის რომ
გრძლივი შუალედებია,
იქ რა არის ნაგულისხმევი?
ხუთუ სიყვარულის შეუვსებლობა
და ადამიანის სიმწირე?“

(ა. ბუაჩიძე. „ცისკარი“, № 4)

„სად იკარგება მთვარის შუქი გამთენიისას?
ან სიყვარული სიკვდილის შემდეგ?“

(ბ. არაბული. „ცისკარი“, № 5)

ეს რიტორიკული კითხვებია. ისინი იბადებიან ორი მიზეზით: პირველი, როცა არ ვითვალისწინებთ პოეზიისათვის რიტორიკულობის საშიშროებას და მეორე, როცა პოეტური მეტყველების სინათლესა და სიზუსტეს სათანადო ყურადღება არ მივაქციეთ. ამ მხრივ სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ხშირია ბუნდოვანი პოეტური მეტყველების მაგალითები. მრავალთაგან ორად ორ ნიმუშს მოვიტან:

„თუმც რას ნიშნავს სიმარტოვე,
როცა გერის გერად ჰყავხარ
საუკუნეს — ბებოსნაცვალს
თვალი დარჩა გასახელი...“

(რ. კალანდია. „რიწა“. № 2)

„მას შემდეგ იმდენი ხანი გასულა,
რომ დრო, რომელიც მაშინ აქ მხოლოდ სივრცე იყო—
სიმია დღეს ზედმეტად დაჭიმული —
ოდნავ ზიმაზე მეტად ჩამოკვრა გაწყვეტს...“

(ბ. დანელია. „ცისკარი“, № 5)

არა მგონია, რომელიმე მკითხველს ნათლად და გასაგებად ესმოდეს ციტირებული სტრიქონების აზრი.

პოეზიის აქტიურობა ბევრად არის განსაზღვრული მისი საზოგადოებრივი დანიშნულებით. მისი ემოციური ზემოქმედების ძალა მაშინ არის მძლავრი, როცა ვრცელ აუდიტორიუმს იზიდავს. თუ ჰერ-

მეტულად იკეტება, ჰობს ემსგავსება, მაშინ პუბლიკუმი კარგავს ინტერესს მისდამი. აღარ უსმენს So gläubig wie das Volk einst lauschte dem Gotteswort des Sinai[1] (რილკე). ვერც ადამიანის სულის ზრდას უწყობს ხელს. ასე არ უნდა მოხდეს, თორემ ეს პოეზიის დამარცხება იქნება.

4. ირონიული თუ ჰეროიკული?

ადამიანს სწყინდება ერთ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა, ეძებს სხვას. ის, რაც გუშინ მღელვარების საგნად მიაჩნდა, დღეს შეიძლება ირონიის ობიექტი გახადოს. და პირიქით: გუშინდელი სასაცილო დღეს ამაღლებულად ჩათვალოს და მოკრძალებულად უმღეროს, ასეთი მონცვლეობა ჩვეულებრივია. აქ არაფერია მოულოდნელი და უცნაური.

ლაიოშ მეშტერჰაზი რომანში — „პრომეთეს გამოცანა" — კითხვას სვამს: სად გაქრა, სად დაიკარგა პრომეთე იმის მერე, რაც იგი ჰერკულესმა გაათავისუფლა? რაც მანამდე შეემთხვა, ყველაფერი ვიცით. ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა, ადამიანებს მოუტანა, ამისათვის დასაჯეს — კლდეს მიაჯაჭვეს, არწივი უკორტნიდა გულ-ღვიძლს. ეს ტიტანი, რომელმაც კაცობრიობას ასეთი სიკეთე მოუტანა,

---

1 ისეთი რწმენით, როგორც ერთხელ ხალხი უსმენდა უფლის სიტყვას სინაზე.

ყველას დაავიწყდა გათავისუფლების შემდეგ. რატომ?

უნგრელი მწერალი ამტკიცებს: თავისუფლების მოპოვების მერე პრომეთე ბრბოში გაერია, რიგითი ობივატელი გახდა, ლიანგში გაითქვიფა. ე. ი. გმირი არარად იქცა. ეტყობა, პრომეთემ არსებობა ისე ვერ დაამთავრა, როგორც დაიწყო. მისი ცხოვრების მეორე ნაწილს ის ერგო, რაც ჩვეულებრივ ამგვარ ვითარებაში ხდება — დავიწყება.

მოსალოდნელია ირონიის მახვილი ყველაფერს მისწვდეს. პეტერ ვაისი ცნობილი ლოცვის პაროდიასაც კი ქმნის („ჟან პოლ მარატის დევნა და მკვლელობა").

> „სატანავ, მამაო ჩვენო, რომელი ხარ ჯოჯოხეთსა შინა.
> მოვედინ სუფევაი შენი, იყავნ ნებაი შენი,
> ვითარცა ჯოჯოხეთსა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა დ
> მომიტევენ ჩვენ უცოდველობა ჩვენი და შემიყვანე
> განსაცდელსა და მიხსენ სიკეთისაგან სამარადისოდ,
> ამინ!"

ირონიული ტოტალურად გაბატონდა უცხოეთშიც და ჩვენშიც, მაგრამ ამ ვითარებაში ერთი აუცილებლობა უთუოდ უნდა გავიხსენოთ. თუ ზომა-წონა დავარღვიეთ, ირონიულიც შეიძლება ისევე თავმომაბეზრებელი და მოსაწყენი გახდეს, როგორც ჰეროიკული. ადამიანს მოყვასის არა მარტო კვარცხლბეკიდან ჩამოგდება უყვარს, არამედ მისი პიედესტალზე აყვანის სურვილიც ხშირად უჩნდება. ეს წინააღმდეგობა ორ მიდრეკილებას შობს: ერთი მხრივ, მძლავრია ირონიულისადმი

ტრფიალი, მეორე მხრივ, ჩანს ჰეროიკულის ხილ-ვის წყურვილიც.

„მაგრამ ჩემი ბავშვობის
გულუბრყვილო სიზმარი
ახლა გაცრეცილია,
ქვაზე ზის და იჩიჩქნის
კბილებს თავჩაქინდრული
ჩემი პანჩო ვილია.
თვალებგახუნებული
თითქოს საფრთხობელაა
და ყვავების გუნდივით
ჭვარტლი თავს დასტრიალებს,
როცა ქარში ფრიალებს
დაგლეჯილი მუნდირი“.

(გ. გეგეჭკორი. 7 იანვრის „ლიტ. საქართველო“)

თქმა არ უნდა, ეს მძიმე მდგომარეობაა. იგი უნდა დაირღვეს. ამის გაკეთება კი მხოლოდ ჰეროიკულს შეუძლია. თავისთავად იბადება მოთხოვნილება პანჩო ვილია ისევ გაუძღვეს წინ ჩამოკონკილ პეონებს და ძველებურად დაატრიალოს გრიგალი.

„ამ ჩემს ერთფეროვნებას
სროლითა და ყიჟინით
ისევ შემოესევით
და კვლავ ფეხზე დადგება
უღიმღამო სტრიქონის
გადახრილი მესერი“.

(გ. გეგეჭკორი. 7 იანვრის „ლიტ. საქართველო“)

მართალია, ადამიანის უდარდელობა ზოგჯერ ირონიას იწვევს, მაგრამ პარალელურად იმის შეგნებაც მძაფრად არსებობს, რომ კაცური ღირსება ვალდებულია ყოველგვარ სიცოცხლეს კბილებიც არ ებღაუჭებოდეს.

„ქუჩებში იმნაირი
როკეა, პაკაპუკია,
თითქოს არც არსებობდეს —
მუხათგვერდი, კუკია...“

(ემ. კვიტაიშვილი. 18 ნოემბრის ლიტ. საქართველო“)

„მიგათრევს თავქვე უშნო დინება,
ლუღლუღი მისი გავს მთვრალის ღიღინს...
გაჩხოტილ მტევანს ეპოტინები,
რაც დარჩა, ნუთუ ამდენად გიღირს...“

(ემ. კვიტაიშვილი: „მნათობი“, № 9)

ადამიანს მხოლოდ ირონიულის ამარად ცხოვრება არ შეუძლია. ირონიულს გვერდით ჰეროიკული სჭირდება. ვინ უწყის, როცა ქრისტე ქადაგებდა, რამდენი ენაკვიმატი, ენამახვილი და ირონისტი იდგა იმ დროს დუნდგოში. ისინი თავშეყრილ ბრბოს გულიანად ახარხარებდნენ, თვალებიდან ცრემლებს ადენდნენ, სიცილით ფერდებს ატკივებდნენ, მაგრამ მათ კაცობრიობა არსაით წაუყვანიათ. ის პირქუში ყმაწვილი კაცი კი, რომელიც არც კი ღიმებოდა, აგერ ორი ათასი წელიწადია კაცობრიობის დიდ ნაწილს თავის ჭკუაზე ატარებს. ასეთივე იყვნენ ბუდაც და მუჰამედიც. პოეზია ...

რელიგია ერთი რამით ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს — ამაღლებულის, ჰეროიკულის ტრფიალით.

„კაცთა მოდგმას თუ რამ წინ სწევს,
დღეის დღეზე ხვალის მჯობინება...
გაანათებს დროთა სივრცეს
არსებულით უკმაყოფილება“.

(მ. ლებანიძე. 4 თებერვლის „ლიტ. საქართველო“)

რაკი კაცობრიობის ცხოვრება მარადიული წინსვლაა, ირონიულსა და ჰეროიკულს თავთავიანთი ფუნქცია, დანიშნულება და ადგილი აქვთ. ირონიული საამშენებლო მოედანს სწმენდს, ასუფთავებს. ჰეროიკული კი აშენებს. ამიტომ ორივე საჭიროა, ოღონდ ძალიან ზუსტად უნდა განვსაზღვრდთ — როდის რომელი. არც ირონიული უნდა ვაქციოთ მოსაწყენ ერთფეროვნებად და არც — ჰეროიკული. ეს ზომიერება კი დღევანდელ ჩვენს პოეზიაში დარღვეულია.

ჯ. შაქარი საშიშია

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, ოომ ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ლექსების მიხედვით მკაცრ დასკვნებს ვაკეთებ. მართალია, ყოველ წელს შედევრი ვერ დაიწერება. უფრო მეტიც, დაუშვებია წლების განმავლობაშიც არ შეიქმნას იგი. არც ამა თუ იმ წელს დაწერილი შედევრია იმის

საბუთი, რომ იმ წელიწადს საერთოდ მძლავრად ეღერდა პოეტური ჩანგი. მაგრამ ისიც სწორია, რომ სენს გამოჩენისთანავე უნდა ვუწამლოთ, თორემ, თუ წავუყრუეთ, მოსალოდნელია განკურნება შეუძლებელი გახდეს. ის ნაკლი კი, რაზეც ვილაპარაკე, კარგა ხანია შეეპარა ჩვენს წყობილსიტყვაობას და მხოლოდ 1983 წელს არ გამოჩენილა, ამასთან ერთად, ვიქტორ შკლოვსკის ერთი შეგონებაც უნდა გავიხსენოთ:

„ახლახან შევიტყვე, რომ 99 პროცენტზე მეტი დღეს დაბეჭდილი რეცენზიებისა და სტატიებისა — „დადებითია“.

გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას. 1918 წელს გეტმან სკოროპადსკისთან ვმსახურობდი ჯავშნოსან ჯარში. დაკავებული ვიყავი იმით, რომ ავტომობილების ბენზოავზში შაქაოს ვყრიდი. ამის მერე მანქანა ორ-სამჯერ ამოიხვნეშებდა და გაჩუმდებოდა, დიდი ხნით გაჩუმდებოდა. ნუ დავშაქრავთ მწერლებს. დაშაქრული ფუნოუშებია კარგი. მწერალმა კი უნდა იმუშაოს“.

1984 წ.

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

არსებობს ერთი შეხედულება, რომელსაც დღეს წამდაუწუმ გაიგონებთ — პიესა იწერება თეატრში. ამ აზრს არ უნდა ჩავებღაუჭოთ, რამეთუ პიესა შეიძლება დაიწეროს ყველგან, თეატრშიც და შინაც, ოღონდ გააჩნია, ვინ წერს. ცხადია, არაფერი განსაკუთრებული აღმოჩენა არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თეატრშიც დაწერილა ბევრი პიესა, რომელთაც არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ და — სახლშიც. მომხდარა პირიქითაც: თეატრშიაც შექმნილა მნიშვნელოვანი დრამატურგული ნაწარმოები და უთეატროდაც — მწერლის მაგიდაზე. ასე რომ, მთავარია მწერლის ნიჭიერება. ოღონდ ეს კია ანგარიშგასაწევი: თუ პროზაიკოსისა და პოეტისათვის ძირითადად ეს ნიჭიერება ადამიანის სულისა და სიტყვის საიდუმლოს წვდომას გულისხმობს, დრამატურგისათვის მესამეც ემატება — თეატრის საიდუმლო. როცა უზენაესი ამ საიდუმლოს წვდომის უნარით გაგაჩენს, უკვე სულერთია, სად წერ — თეატრში თუ საკუთარ ბინაში. თუ ასეა, რატომღა გვაშინებს ზემორე მოხსენიებული შეხედულება? აქ გასათვალისწინებელი ის გახლავთ, რომ თეატრი შემოქმედებასთან ერთად არის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობაც. ამიტომ, სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა პრაქტიკულ საქმიანობას მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე შემოქმედებას. სწორედ ამ დროს დებულება — პიესა იწერება თეატრში — ფრიად

მავნე როლს ასრულებს, გზას უხსნის თეატრის თვითნებობას დრამატურგიის საწინააღმდეგოდ. ამ თვითნებობამ დრამატურგია გადააქცია თეატრისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ხელობად. ამ-გვარი დამოკიდებულება იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ სოსო სიგუას უცნაური რამ ათქმევინა — „რაც შეეხება დრამატურგიას — მე მგონია, იგი არის არა ლიტერატურის დარგი, არამედ თეატრალური ხელოვნების ნაწილი. მან მეტამორფოზა განიცადა და სრულიად ახალი ელფერი შეიძინა. აბიტომაა, რომ პიესა აღარ გვიზიდავს, მაგრამ სპექტაკლს ინტერესით ვუყურებთ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ., 7 მარტი). ასე გულგრილად გამოვუტანეთ განაჩენი მწერლობის უმშვენიერესსა და ურთულეს დარგს. ზოგიერთი უნიჭო პიესამახერის ნაცოდვილარი მეტამორფოზად მივიჩნიეთ და ამის საფუძველზე დრამატურგიას სიტყვაკაზმული ლიტერატურიდან მივერეკებით. იმას კი აღარა ვფიქრობთ, რომ ამით, ერთი მხრივ, მწერლობას ვაღატაკებთ, ხოლო, მეორე მხრივ, თეატრს მხოლოდ და მხოლოდ თავშესაქცევის ფუნქციას ვუტოვებთ. უდრამატურგოდ თეატრს აზროვნების უნარს წავართმევთ.

ამ კუთხით თუ შევხედავდით ლალი როსებას პიესას „პროვინციული ამბავი“ შეიძლებოდა საყურადღებო დასკვნა გაგვეკეთებინა.

პუბლიცისტური გაგებით ეს პიესა აქტუალურ საკითხს არ ეხება. იგი გვიამბობს ოთხი პროვინციელი მსახიობის და ერთი გაურკვეველი პრო-

ფესიის ლოთის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ალბათ ამიტომაც მიაკერა მას პრესამ იარლიყი: პიესა პროვინციული თეატრის ცხოვრების შესახებ. მაგრამ ეს მწარე შეცდომაა. უმეცრების გამო გაიგივებულია პიესის მასალა და აზრობრივი შინაარსი. ავტორი, აღზრდილი რეჟისორისა და მსახიობის ოჯახში, კარგად იცნობს თეატრის სამყაროს, ცხოვრებას, იყენებს მას მასალად. როცა ამ მასალას ღრმად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ „პროვინციულ ამბავში“ არის ხუთი ადამიანის ბედი, რწმენა, იმედი, უგინცობა, ტკივილი, სიხარული, სევდა, სიყვარული, ტყუილი და სიმართლე, გატარებული ცხოვრების დარჯაკში. არის კიდევ განწყობილება, რაც აგრეთვე არსებითია და რასაც დღეს იშვიათად ნახავთ სცენაზე. ლაპარაკია იმ განწყობილებაზე, რომელიც მაყურებლის სულში სახლდება, დაგაფიქრებს და გულს აგიტკივებს. უბრალო დეტალს გაგახსენებთ, წვიმს, ჭერს ატანს და ოთახში წვეთავს. ნინო ტაშტს უდგამს. დროდადრო მაყურებელს ესმის—ტყაპ—წვეთის დაცემის ხმა. ამ მოლოდინით სავსე ატმოსფეროში ეს ხმა გაგონებთ დროის დათვლას. თითქოს ვიღაც, უხილავი და უჩინარი, ანგარიშობდეს ადამიანის ცხოვრების წუთებს.

ამ სახლში ყველა რაღაცას ელის: ლეო კინოსტუდიაში მიწვევას და როლს ფილმში; ნინოც — როლს, „ცეკვის მასწავლებელი“ უნდა დაიდგას თეატრში და ამჯერად მას ვერ აუვლიან გვერდს; ზიზიც — ახალ როლს, სიყვარულს, პროვინციიდან გაქცევას, ახალ ასპარეზზე გასვლას; მურმანი—

ძთელი ცხოვრების შეცვლას. მაგრამ ამაოა ეს მოლოდინი. არაფერი შეიცვლება. სიკვდილის დღემდე ყველაფერი ისევ ისე იქნება, როგორც დღეს არის. მხოლოდ ხანდახან, წვიმიან დღეს, ჭერიდან ჩამოვარდნილი წვეთი — ტყაპ— გაგახსენებს, რომ დრო ულმობლად მიდის. იმედი და ოცნება, ადამიანთან ერთად, თანდათან ქრება და კვდება.

აზრს, რომელიც „პროვინციულ ამბავშია" გატარებული, მე დავარქმევდი მოლოდინის ტკივილს, რომელიც ყოველ კაცს აწუხებს და აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, რა პროფესიის არის ეს ადამიანი. იგი საერთოადამიანური წუხილია. რაკი ასეა, ეს პიესა აქტუალურიც ყოფილა, მნიშვნელოვანიც და და საყურადღებოც. კარგია, რომ მასში ცრუაქტუალურობა არ არის, რომელსაც გაწაფული პიესამახერები თვალში ნაცრის შესაყრელად იყენებენ.

დრამატურგიის დაკნინება გამოიწვია იმ წონასწორობის დარღვევამაც, რომელიც დრამატურგს, რეჟისორსა და მსახიობს შორის არსებობს თეატრში. დღეს ხშირია ლაპარაკი მსახიობის თეატრზე, რეჟისორის თეატრზე, დრამატურგის თეატრზე. მართალია, დრამატურგის თეატრი ჯერჯერობით უცხოეთში არსებობს და ჩვენში არ გამოჩენილა, მაგრამ მალე ალბათ აქაც გაჩნდება. არის ცხარე კამათი, რომელი სჯობს, რომელი უფრო გამოხატავს დღევანდელ ტენდენციას. ხომ არ აჯობებდა გვეფიქრა, გვეოცნება, გვეზრუნა თეატრზე, რომელშიც მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი ერთად, ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული და მათი

საერთო შრომით დაიბადებოდა წარმოდგენა? ღრმად მჯერა, რომ ასეთი თეატრი იდეალური თეატრია. დღევანდელი თეატრის ერთ-ერთ საჭირბოროტო და მოსაგვარებელ საკითხად ეს ჰარმონიული შეთანხმებაც მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ამით ის არ მინდა ვთქვა, რომ წინათ არ ყოფილა ჰარმონიის დარღვევის შემთხვევები. ყოფილა, როგორ არ ყოფილა. საკმარისია გავიხსენოთ აკაკი წერეთლის მწარე ჩივილი: „რატომ ისე არ ადგენენ პიესას, როგორც ავტორებს უწერიათ? რა ნება აქვთ მოთამაშეებს, რომ ზოგს ჰკვეცავენ, ზოგს თავისას უმატებენ, ამახინჯებენ პიესებს და თავის საკუთარ გემოზე ადგენენ? და არა თუ სხვების, შექსპირის პიესებიც ვეღარ გვიცვნია: პეტრუჩიოს მაგიერ ვილაც კუდაბზიკა იმერელს გვიხატავენ და შტოკმანის ნაცვლად ჩვენებურ ბანკობიას მოთამაშეს, ენატარტალა, ზუთხის მაძიებელ მოკენჭეს“.

როგორც ვხედავთ, სრული ჰარმონია მწერალსა და თეატრს შორის წინათაც არ ყოფილა და, ალბათ, არც მომავალში იქნება. შეიძლება ზოგჯერ ეს წინააღმდეგობაც კი უწყობდეს ხელს კარგი სპექტაკლის დაბადებას, მაგრამ ეს წესად არ უნდა ვაქციოთ. გამონაკლისი კანონად არ უნდა გავხადოთ, რადგან მწერლისა და თეატრის ურთიერთობის კანონზომიერება ჰარმონიას, შეთანხმება-შეხმატკბილებას გულისხმობს. შრომის განაწილება პროფესიათა შორის დიდი ხანია მოხდა და მისი გადასინჯვა-ღრეევა სასურველი არ არის. ეს საქმის წახდენას შეუწყობს ხელს. ამიტომ დრამატურგმა თა-

ვისი ლიტერატურული საქმე უნდა აკეთოს — პიესა წეროს. თეატრმა თავის თეატრალურ საქმეს მოუაროს — წარმოდგენა დადგას.

ლ. როსებასა და მ. კუჭუხიძის სპექტაკლი „პროვინციული ამბავი“ ამ კუთხითაც იმსახურებს ყურადღებას.

რეჟისორი არ ერევა ავტორის ფუნქციაში. იგი პიესის აზრობრივ შინაარსს აღრმავებს რეჟისორული ხელოვნების საშუალებებით. საბუთად წარმოდგენის ფინალი გავიხსენოთ.

ლოთმა სტუმარმა თავისი მონოლოგი წარმოთქვა და გავიდა. მერე პიესაში წერია: „ზიზი მარტოა. წვიმამ ალბათ იმატა. დაახლოებით სტუმრის მონოლოგის შუაში ჭერიდან უკვე რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა ნინოს მიერ საგანგებოდ შედგმულ ტაშტში. ახლა, სრულ სიჩუმეში, ეს წკაპუნი ხშირდება და ძალზე მკაფიოდ ისმის. ფანჯრიდან ნათურის მბჟუტავი შუქი ეცემა ზიზის, მის სახეს. იგი მაგიდასთან დგას, უძრავი, წელგამართული და პირდაპირ დარბაზისაკენ იყურება“. ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად არის აღწერილი და თითქოს დასამატებელი არაფერი რჩება, მაგრამ არის დამატებული, ერთი შეხედვით, უბრალო რამ — გამხმარი ტოტი. ზიზი — ნ. ჩიქვინიძეს ხელში გამხმარი ტოტი უჭირავს. სხვისა არ ვიცი და მე ამ გამხმარმა ტოტმა ბევრგვარი ფიქრი აღმიძრა. კონტრასტია: ერთი მხრივ, ახალგაზრდა ქალის მხნე ფიგურა. ამ ქალმა ახლახან დააღწია თავი სასოწარკვეთილებას და იმედის სხივი აკიაფდა მის თვალებ-

ში. მეორე მხრივ — გამხმარი ტოტი, როგორც უგინცო მომავლის სიმბოლო. თითქოს ეს ქალი და მომავალი ჩუმად, მალულად ერთმანეთს ებრძვიან. ამ ჭიდილში მომავალი დარჩება გამარჯვებული, რამეთუ მარტოობა და სიბერე ისე უდარაჯებს ზიზის, როგორც გამხმარი ტოტი.

ნურავინ იფიქრებს, რომ აქ პესიმიზმია გამოვლენილი. არა. ცხოვრება ბრძოლაა და ჩვენ ყველამ ვიცით, რით დამთავრდება საწუთროსა და ადამიანს შორის ეს უთანასწორო საგრობა. მაგრამ მაინც არავინ იხევს უკან და ბოლომდე ეწევა ცხოვრების ჭაპანს. აქ არის ოპტიმიზმის წყარო. ზიზიც ბოლომდე დარჩება იმ პროვინციული თეატრის სცენაზე, რომელიც მას ასე სძულს და ურომლისოდაც არსებობა არ შეუძლია. მაინც იქ არის მისი სიხარულისა და ტკივილის ბუდე და მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებს მათ. ტყუილად ხომ არ ამბობს ლოთი სტუმარი — „საქმე მაინც საქმეა, რას იზამ, ჩვენი ვალია... ღირსების ამბავი...“

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის მონაწილე ხუთივე მსახიობი მკაფიოდ დადგენილი მიზანსცენების შესაბამისად მოქმედებს, სპექტაკლის ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ აქტიორს არავინ ზღუდავს და იგი სრულიად თავისუფალია. ამ თავისუფლების შექმნის საშუალება კარგად დაწერილმა პიესამ მისცა რეჟისორს, თორემ იძულებული გახდებოდა ცრუ თეატრალური ეფექტებისათვის მიემართა, რითაც მსახიობს შებოჭავდა და მანეკენს დაამსგავსებდა.

ყველა ჩვენთაგანს ბევრი უნახავს სპექტაკლი, სადაც ზოგჯერ იძულებით, ზოგჯერ ნებით რეჟისორი იგონებს მსახიობის მოქმედების სქემას. აიძულებს აქტიორს, არ დაარღვიოს იგი. ამით ინიციატივას ართმევს მსახიობს და რეჟისორული დავალების ბრმა შემსრულებლად ხდის. ეს უკარგავს აქტიორის თამაშს ემოციურ შინაარსს და მაყურებელი გულგრილია მის მიმართ. სამაგიეროდ აღტაცებულია რეჟისორის გამომგონებლობის ნიჭითა და უნარით. მაგრამ ეს არღვევს სპექტაკლში მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთშევსების ჰარმონიას, რაც უთუოდ უარყოფითად მოქმედებს წარმოდგენაზე. რაც მთავარია, ამგვარი სქემა ხელს უშლის მსახიობს აჩვენოს ადამიანის უთვალავფერიანი სულიერი სამყარო.

ახლა გავადევნოთ თვალი „პროვინციული ამბავის“ პერსონაჟების სულის მოძრაობას.

ოჯახური სკანდალი მოხდა. ლეო ცოლისდან ეჩხუბა. შეშინებული ნინო დას მიემხრო. გაბრაზებული ლეო სახლიდან წავიდა მუქარით — „სანამ მოვალ, იფიქრეთ... გესმით?!“ ამაყად წასვლის უფლებას იმედი აძლევდა: დარწმუნებული იყო, რომ კინოსტუდიაში მიიწვევდნენ. მოტყუვდა. უარი შემოუთვალეს. გაწბილებული ბრუნდება შინ. თუ ცოტა ხნის წინათ ლეო — ო. მეღვინეთუხუცესი საკუთარი ღირსების გრძნობით და თვითდარწმუნებული ტოვებდა ამ სახლს, ახლა ნირშეცვლილი, საქციელწამხდარი ბრუნდება უკან. ხელთ დეპეშა უჭირავს და ნინოსა და ზიზის ეუბნება — „თქვენი

გახარება მინდოდა, თორემ არ მოვიდოდი“. მერე ცოლს მიმართავს — „გაიხარე... წაიკითხე, წაიკითხე...“ აღარც წეღანდელი რიხიანი ხმა, აღარც თვითდაჯერება და სიამაყე. მაყურებლის თვალწინ ერთი საცოდავი კაცი დგას, რომელსაც გალახული ბავშვივით ეპოპრება ტუჩები და მთელი სხეულით თანაგრძნობას და მხარდაჭერას ითხოვს. მერე, ცოლთან ერთად, თეატრში გარბის. მართალია, ცდილობს ისევ ძველებურად რიხიანად ილაპარაკოს — „ნუ წუხდებით, მე თვითონ მოვუვლი ჩემს საქმეს“ — მაგრამ უკვე ყველაფერი ნათელია. არაფრის მომვლელი ეს კაცი არ არის. მისი პომპეზურობა და რიხი მხოლოდ ნიღაბია, რომელიც ხანდახან მალავს ხოლმე ერთი საწყალი კაცის სულის ტკივილს.

უსაშველოდ გაუხარდა ნინოს მურმანის ჩამოსვლა. ეს ქალი გულღია ადამიანია. მას არაფრის დამალვა არ შეუძლია. მურმანის დაბრუნება ორგვარად ახარებს: ერთი მხრივ იმიტომ, რომ უყვარს ეს კაცი, ძველ მეგობრად თვლის, მისი აქტიორული ნიჭიერების სჯერა და, მეორე მხრივ იმიტომ, რომ თეატრში ვეღარ დაჩაგრავენ. მურმანი გამოექომაგება, მხარს დაუჭერს, დააფასებს. მაგრამ ნინოც მოტყუვდა. „ცეკვის მასწავლებლის“ როლების განაწილების დროს მურმანი არც ნინოს და არც ზიზის არ მიემხრო. მათ სასარგებლოდ კრინტიც არ დასძრა და როლებიც სხვას მისცეს. ამ ორგულობამ ნინო აღაშფოთა, აქოთქოთდა, სულ უსინდისო, უნამუსო, საზიზღარი და ტურა ეძახა. მაგრამ რა!

როგორც კი ნინო — გ. გაბუნიას თვისებას მიწ-ვდებით, მაშინვე მიხვდებით, საკმარისია მურმანი ისევ ამ ოჯახში შემოვიდეს, გაუღიმოს, ტკბილი სიტყვა უთხრას, რომ ქალი კვლავ ფიანდაზად გაეფინოს. ნინო — გ. გაბუნიას ბოროტების ჩადენა არ შეუძლია. ამ ზერელე, ქარაფშუტა, მოფუსფუსე ქალში მხოლოდ კეთილი სუფევს. მართალია, როცა გააბრაზებენ, გაანჩხლდება, მაგრამ მალე ყველაფერი გაუვლის, დამშვიდდება და ყველას შეურიგდება. ეჩხუბება იგი ქმარსაც, დასაც, მაგრამ მაშინვე ყველაფერი ავიწყდება და მზად არის, ორივეს თავს შემოევლოს. როგორიც უნდა იყოს, ადმიანის ხასიათის გამოვლენა, მის არსებაში ერთი ძირითადი თვისება ცოცხლობს და იგი გარემოს გავლენით არ იცვლება. ოღონდ სიტუაციის შესაბამისად ხან მკაფიოდ გამომჟღავნდება და ხან ვერა. გ. გაბუნიას მიერ დახატული ნინოს ეს ძირითადი თვისება სიკეთეა და არავითარ პირობებში იგი არ შეიცვლება. ოღონდ გარეგნულად ეს სიკეთე დამალულია ქარიფანტიაობის უკან.

ერთი დეტალისთვისაც მინდოდა ყურადღება მიმექცია: როცა ლეო ნინოს დეპეშას გადასცემს, გ. გაბუნია ტექსტს რუსული ინტონაციით კითხულობს, მოგეხსენებათ, ქართული დეპეშები რუსული შრიფტით იწერება. ეს გარემოება ფონეტიკურად ქართულ სიტყვებს სასაცილოდ აჟღერებს. ამით სარგებლობს მსახიობი და მაყურებლის ღიმილსაც იწვევს. რაც მთავარია, გამოხატავს ზიზღსაც იმათ მიმართ, ვინც მის ქმარს როლი არ მისცა.

ფსიქოლოგიურად რთულ სურათს ქმნის ზიზისა და მურმანის ხანმოკლე ურთიერთობა. იგი იწყება თითქოს ნამდვილი სიყვარულით და მთავრდება გულგატეხილობით და გულაცრუებით. რამ ათქმევინა ზიზის — „ორი ცუდი ყოფაქცევის ადამიანი ხვდება ერთმანეთს ბინძურ სახლში და ერთმანეთში რაღაც იდეალს ეძებენ?“ რა არის ეს—მართლა მრუშობა თუ სასოწარკვეთილების გამოვლენა? ჩემი აზრით, სასოწარკვეთილების გამოვლენა. ამით არის გამოწვეული ზიზის თვითგვემა და მურმანის უნიათობა.

მათი წამიერი შეხვედრა შემთხვევის ბრალი არ არის. ისინი კანონზომიერად შეიყარნენ. ორივე მაძიებელი ბუნების ადამიანია, ორივეს დიდი პრეტენზია და სურვილი აქვს, ოღონდ არცერთს არ გააჩნია ნებისყოფა, აუცილებელი მათი მისწრაფების დასაკმაყოფილებლად. გზაკვალაბნეულობის შედეგად მურმანი ქურდი გახდა (საკონცერტო ბრიგადის ფული მიითვისა), ხოლო ზიზი — მეძავი. ორივე მათგანის ცხოვრება არის ტრაგედია ადამიანისა, რომლის მოთხოვნილება არ შეესაბამება მისსავე ნებისყოფას. ამის გამო რეალობის ადგილს მისტიფიკაცია იჭერს. ზიზი იგონებს ნამდვილ სიყვარულს, ნამდვილ იდეალს, ნამდვილ ხელოვნებას, ნამდვილ აღმაფრენას, რითაც თავს იტყუებს. როცა მისტიფიკაციის ბურუსი გაიფანტება და რეალობა გამოჩნდება, ზიზი სასოწარკვეთილებაში ვარდება, ყველა და ყველაფერი სძულს, თავისთავიც კი.

ასევე მისტიფიცირებულია მურმანის წარსუ-

ლიც, მისი ნიჭიერება, მისი უნარიანობა, მისი მამაკაცური ხიბლიც. ზიზისგან განსხვავებით, იგი ამას დიდი ხანია მიხვდა და მის სულში სასოწარკვეთილების ადგილი გულგრილობამ დაიჭირა. იგი გულწრფელად ებღაუჭება ზიზისთან ურთიერთობას, მაგრამ მისი შენარჩუნების ძალა არ შესწევს.

ამგვარად აღვიქვი მე ნ. ჩიქოვანის შესრულებული ზიზი და კ. მახარაძის — მურმანი.

ხშირად გამიგონია, იქნებ ხელოვანს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნისას ის არ უფიქრია, რასაც მას კრიტიკა ან პუბლიკუმი მიაწერსო. შეიძლება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ხელოვანი სრული უფლებამოსილია ქმნიდეს როგორც ცნობიერად, ისე არაცნობიერად. ამიტომ გამორიცხული არ არის, ზოგჯერ თავად ხელოვანიც ვერ მიხვდეს იმას, რომ ის, რაც კრიტიკამ ან პუბლიკუმმა დაინახა. მართლაც იდო მის ქმნილებაში. ოღონდ ერთი რამ არის ცხადი: ვერავითარი კრიტიკა, ვერავითარი პუბლიკუმი მხატვრულ ნაწარმოებში ვერ დაინახავს იმას, რაც იქ არ დევს. თუ დაინახა, მაშასადამე, იდო. თუმცა ყოველ ადამიანს თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული სამყარო აქვს და შეიძლება სხვადასხვაგვარად დაინახოს და აღიქვას ესა თუ ის მხატვრული ქმნილება. რამდენადაც მდიდარია ხელოვანი, იმდენად მრავალფეროვანია მისი ქმნილების აღქმაც. ამიტომ აზრთა სხვადასხვაობა მხატვრული ნაწარმოების სიმდიდრეზე მეტყველებს. ოღონდ ხელოვანმაც და პუბლიკუმმაც უნდა იწამოს, რომ აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია თა-

ვად მხატვრული ნაწარმოებით და არავინ არაფერს მიაწერს მას.

ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ „პროვინციულ ამბავში“ გამიჭირდა ლოთი სტუმრის წარსულის ამოცნობა. ამან კი მაიძულა, იგი ერთგვარ ქადაგად მიმეჩნია, რომელიც, დაცემულობის მიუხედავად, მაინც რწმენისა და იმედისაკენ მოუწოდებს ადამიანებს. მართალია, ასეთი პირები ცხოვრებაშიაც და ლიტერატურაშიაც გაღიზიანებას იწვევენ, მაგრამ კ. მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენაში ეს არ ხდება. ეს კი უპირველესად, თუ არ ვცდები, გ. სიხარულიძის დამსახურებაა, რომელიც ზომიერებას არ არღვევს და ბოროტად არ იყენებს შესაძლებლობას, რასაც სცენაზე ლოთის განსახიერება იძლევა.

ჩემი აზრით, ლ. როსებას ერთადერთი შეცდომა პიესაში ეს ლოთი სტუმარია, სადაც ადამიანი რეზონიორით არის შეცვლილი.

რეზონიორს აუცილებლად უნდა გავექცეთ. რეზონიორი ადამიანს სქემით ცვლის. სქემა ხშირად ხდება მაყურებლის პროვაცირების საფუძველი. თუ რეჟისორს აქვს უფლება ზოგჯერ მაყურებლის პროვაცირებისა, დრამატურგი მოკლებულია მას. მოკლებულია იმიტომ, რომ დრამატურგი მოვალეა ხელოვნების მარადიული ღირებულება შექმნას მაშინ, როცა, თეატრის სპეციფიკის გამო, რეჟისორის ნამუშევარი ეფემერული ხასიათის არის. რარიგ დიდებულიც უნდა იყოს წარმოდგენა, იგი დროებით ცხოვრობს და გარკვეული პერიოდის შემდეგ არსე-

ბობას წყვეტს. პიესა კი რჩება და თაობიდან თაობაში გადადის. საზოგადოების განწყობილების შესაბამისად, რეჟისორი ხშირად ქმნის სპექტაკლს, რომელიც სიტუაციას კარგად ეხმაურება და წარმატებას აღწევს. შეიძლება დარჩეს ლეგენდადაც, რამეთუ მომავალ თაობას მისი შემოწმების საშუალება არ ექნება. ამას ვეძახი მაყურებლის პროვაცირებას. დრამატურგს კი ამის არც საშუალება აქვს და არც უფლება, რაკი, როგორც ითქვა, მისი ნაწარმოები რჩება და მისი ავ-კარგის აწონ-დაწონა მომავალ თაობასაც შეეძლება. სამწუხაროდ, სუსტი ნებისყოფის დრამატურგს ხიბლავს ამა თუ იმ წარმოდგენის ეფემერული წარმატება და ცდილობს შექმნას გახმაურებული მოდელის მსგავსი პიესა. თუ ამ ცდუნებას თავი არ დააღწია, იგი ყოველთვის თეატრის ანკესზე გამობმული ივლის, ლიტერატურის დარგიდან გახდება თეატრის ნედლეულად. ამოცანა კი ის არის, რომ დრამატურგიამ შექმნას თეატრის მყარი წარმატების საფუძველი, ამიტომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ყოველ ახალ დრამატურგიულ ნაწარმოებს. ჩვენ ყველას, თეატრით დაინტერესებულ პუბლიკუმს, გვაწუხებს ტკივილი, მოლოდინი ისეთი თეატრისა, სადაც ჰარმონიულად იქნება შერწყმული დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი. ეს უნდა გახდეს კიდევ ერთი ახალი საფეხური ქართული თეატრის განახლებისა.

1981 წ.

რანაირია სამყარო?

ოთხი ენთუზიასტი-მკვლევარი, სამი ახალგაზრდა და ერთი ხანდაზმული, ხეთიანის ციხის საიდუმლოს მიაგნებს. მათ აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ის, რასაც ციხე მალავდა, მთლიანად შეცვლის საქართველოს ისტორიის დღევანდელ ცოდნას, დაუკავშირებს ჩვენს წარსულს წინა აზიის უძველეს ხალხებს. ერთი სიტყვით, ფარდა ეხდება ურთულეს პრობლემებს. ნათელი და მკაფიო გახდებიან ისინი. საკუთარი ძალით ენთუზიასტ-მკვლევარებს წამოჭრილი საკითხების გარკვევა არ ძალუძთ. გაჩნდა აუცილებლობა — ყველაფერი, თბილისში, მეცნიერ-სპეციალისტებს აცნობონ. მაგრამ აღმოჩენა იმდენად უცნაური და მოულოდნელია, რომ დაიბადება ეჭვი: „— კი, მაგრამ რომ არ დაგვიჯერონ? ზღაპარს ჰგავს რაღაც“. მაშინ ამ სიტყვების წარმოთქმელ ახალგაზრდას ხანდაზმული უპასუხებს: „— ჩემო იოთამ, ზღაპარიც რომ იყოს, რით არის სინამდვილე ზღაპარზე დასაჯერებელი?“ („ხეთიანის საიდუმლოება“).

ილიკო, პერსონაჟი მოთხრობისა „შეურაცხყოფილი“, მეგობრებს ეკითხება:

„— ამხანაგებო, არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად, ან როგორც გერმანელები იტყვიან an sich, თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია?

რანაირია იგი თავისთავად და რანაირია იგი, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?“

ამ კითხვის დასმის მერე ილიკო თავად ჰყვება ერთ ამბავს.

ილიკო მოსკოვში სწავლობდა. დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა. გვერდით ცარიელი ოთახი იყო. იგი არავის ეჭირა. ერთ დღეს ამ ოთახსაც გამოუჩნდა პატრონი — ყმაწვილი ქალი. ილიკოს ეს მაინცადამაინც არ გახარებია. ცდუნების შეეშინდა.

ილიკოსა და ქალის ოთახებს თხელი კედელი ჰყოფდა. რაც ხდებოდა ერთში, გარკვევით ისმოდა მეორეში. ერთხელ, საღამოთი, ქალის ოთახიდან ილიკოს ხმა მოესმა. უნებლიეთ ყური მიუგდო. მკაფიოდ ესმოდა და ხედავდა კიდეც: როგორ დალია ქალმა ჩაი, აალაგა სუფრა, გაშალა ლოგინი, გაიხადა ტანთ და დაწვა. სურათი იმდენად ცხადი იყო, რომ ილიკომ თავი ვერ შეიკავა და ქალის ოთახის კარებთან მიიპარა. ფრთხილად მოსინჯა იგი. კარი ღია აღმოჩნდა. ვაჟი ფეხაკრეფით შევიდა ოთახში. მაგრამ იქ არავინ დახვედრია. მეზობელი ქალი შინ არ იყო. მხოლოდ ღია ფანჯარაში ქარი არხევდა ფარდას.

ამბის დასასრულს ილიკო დასძენს: როცა დავინახე, რომ მოვტყუვდი, „რატომღაც ისე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, ისე საშინლად შეურაცხყოფილად, რომ მტერსაც კი შევეცოდებოდი...“

რამ გამოიწვია შეურაცხოფის გრძნობა? ცნობიერების ღალატმა. ის, რაც არ ყოფილა, სინამდვილედ ეჩვენა. თუკი ეს შესაძლებელია, მაშინ ვინ ვართ ჩვენ? „ვაი ჩვენ, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენც თავად...“ — აღარ ამთავრებს ილიკო აზრს. ეშინია

საკუთარი თავი მოჩვენებად, სიზმრად, არარეალურად წარმოიდგინოს. იგი ასკვნის: „არა, ამის აშკარად თქმის უფლება ჩვენს თავს არ უნდა მივცეთ. ვიყუჩოთ სჯობია. მით უმეტეს, სულ ნამდვილი სინამდვილე არავინ იცის“.

მაგრამ გაჩუმება ადვილი საქმე არ არის. როგორც კი ამგვარი აზრი შეგაწუხებს, იგი არც მოსვენებას მოგცემს. გინდა თუ არ გინდა, უტრიალებ გარშემო.

„Escalade“-ში სახალხო დღესასწაულია აღწერილი. ამბავი შვეიცარიაში ხდება. კარნავალში ერთი ქართველი კაციც მონაწილეობს. იგი გაოცებული შეჰყურებს, როგორ ზეიმობს, ერთობა, ილხენს, თავდავიწყებას ეძლევა ნიღაბაფარებული ქალი თუ კაცი. ამ ორომტრიალში ქართველთან ვიღაც ქალი მოვარდება. იგი შავი ნიღბით და წითელ-ყვითელი მოსასხამით არის მორთული. უცნობი ქალი ხელს წაავლებს ქართველს და შუა კარნავალში გაიტაცებს.

„— ეს თუ სინამდვილეა, წარმოდგენა რა უნდა იყოს? — ეკითხე ჩემს თანამგზავრს, რომელიც ჭინკასებრ გაჰკიოდა და სულ წინ მეზიდებოდა.

— ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა — სინამდვილე, მეგობარო! — მიპასუხა ნელი ხმით...“

შემდეგ ეს „წითელ-ყვითლიანი შავი ნიღაბი“ ელვის უსწრაფესად ხეზე შეხტა, ტოტს აჰყვა და კენწეროზე მოექცა. იქიდან დაიყვირა, ამოდით, დამიჭირეთ, ვინც ვაუკაცები ხართ. ცხადია, ქართველი

პირველი აიჭრება ხეზე, ნიღბამდე ვერ მიაღწევს. თუ ნიღბისაკენ წასვლას შეეცდებოდა, ტოტი ვეღარ გაუძლებდა და ჩამოვარდებოდა. შეცბუნებული იდგა ქართველი, როცა ისევე მოესმა ქალის ხმა. მოიხედა და დაინახა: ნიღბის პატრონი მის გვერდით იდგა. — იქ, კენწეროზე ვინღაა — ჩურჩულით იკითხა კაცმა. ასევე ჩუმად მიიღო ქალის პასუხი — კენწეროზე ჩემი შავი ნიღაბი და წითელ-ყვითლიანი მოსასხამი ჰკიდია. მერე დაუმატა: წავიდეთ აქედან და სეირს ვუყუროთ, ვნახოთ, რა მოხდება. აღგზნებული და აღტაცებული ხალხი კი ხეს აწყდებოდა. ცდილობდა მიწვდომოდა ნიღაბს. ზოგიერთი ჩამოვარდა კიდეც ხიდან.

გაოგნებულ ქართველს ქალი ეკითხება:

„— როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილა არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი!...“

ქალი ისევ ხალხისაკენ მიტრიალდა და მოუწოდა: ადით, ჩამოიყვანეთ, ვინ ხართ პირველი, ვინ ხართ ვაჟკაცი!..

ქართველმა ქალი შეაჩერა და ამაყად უთხრა: — პირველი მე ვიყავი. ხომ არ მოვტყუებულვარ? ქალმა ირონიულად მიუგო: — შენ იყავი, მაგრამ „მეც იგივე ვარ, რაც ჩემი ნიღაბი ხეზე!“

ქალი უეცრად სადღაც გაქრა. ქართველი სახტად დარჩა.

კიდევ შეიძლება ნიმუშების მოხმობა, მაგრამ აუცილებელი აღარ არის. ისედაც ნათლად ჩანს, რომ ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში ვრცელი ადგილი უჭირავს პრობლემას — რას წარმოადგენს ჩვენს გარშემო არსებული სამყარო — ნამდვილია იგი თუ მოჩვენებითი? სიზმარია თუ ცხადია? თუ ორივეა ერთად? ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ ზღვარი ვერ დაგვიდგენია — სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

კარგად ცნობილია, რომ ეს უძველესი ფილოსოფიური პრობლემაა და მისი ნაირნაირი პასუხი არსებობს. ამიტომ დასაშვებია კიდეც იფიქროს კაცმა— განა მწერლისათვის სულერთი არ არის დასმული კითხვის რომელ პასუხს აირჩევს? მწერლობის ყურადღებას ხომ თანაბრად იპყრობს ნამდვილიც და მოჩვენებითიც, ცხადიც და სიზმარიც, რეალურიც და ირეალურიც, ბუნებრივიც და ზებუნებრივიც. ჯადოსანი ტაგუც ისევე საინტერესოა როგორც ჩვეულებრივი ყალთაბანდი გვადი ბიგვა. ასეა, მაგრამ ლეო ქიაჩელი სხვა კითხვის პასუხს ეძებს: თუ სამყარო ირეალურია, მოჩვენებითია, სიზმარეულია, მაშინ როგორი უნდა იყოს ადამიანის ზნეობრივი დამოკიდებულება სინამდვილისადმი? ამ კითხვის პირდაპირ, უშუალო პასუხს ლ. ქიაჩელის ვერცერთ თხზულებაში ვერ იპოვნით. გარნა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალმა კითხვა უპასუ-

ხოდ დატოვა. პასუხი მოგვცა, ოღონდ ქარაგმულად, მოიარეებით.

დავაკვირდეთ ერთ გარემოებას.. მოთხრობათა იმ ციკლში, სადაც დასმულია პრობლემა — როგორია გარემომცველი სამყარო — პერსონაჟები ლანდებს ჰგვანან, ჩრდილებივით არიან. ვერცერთი მათგანის დახასიათებას ვერ შეძლებთ. ზოგიერთ მათგანს სახელიც კი არ აქვს. ხოლო თხზულებათა იმ რიგში, სადაც მწერალს ეს პრობლემა არ დაუსვამს, პროტაგონისტები მკაფიოდ, მკვეთრად, მსუყედ არიან დახატული. ტარიელ გოლუა, თავადის ქალი მაია, უჯუშ ემხა, ჰაკი აძბა, გვადი ბიგვა ყველა ჩვენთაგანს თვალწინ უდგას. მათი თვისებების, გარეგნობის, ხასიათის ყველა თავისებურებას ზედმიწევნით ვიცნობთ. ეს არც შემთხვევითია და არც იმისი თქმა შეიძლება, რომ ზოგადფილოსოფიური პრობლემა ლ. ქიაჩელს მხოლოდ შემოქმედების გარკვეულ პერიოდში აღელვებდა, მერე კი მას თავი დაანება და მწერლის გულისყური სხვ საკითხებმა მიიპყრეს. „ტარიელ გოლუა“ უკვე დაწერილი იყო, როცა ლ. ქიაჩელი „Escalade“-სა თუ „შეურაცხყოფილს“ ჰქმნიდა. „ხეთიანის საიდუმლოების“ ბოლო ვარიანტი 1945 წელს არის დასრულებული. ე. ი. „თავადის ქალი მაია“ და „ჰაკი აძბა“ კარგა ხანია გამოქვეყნებულია.

მაშასადამე, ლ. ქიაჩელის შემოქმედებაში პერსონაჟთა ზემოაღნიშნულ განსხვავებულებას სხვა საფუძველი აქვს.

თუ „შეურაცხოფილის“ პერსონაჟს ილიკოს

ფიქრისაც კი ეშინია — „ვაი ჩვენ, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენც თავად...“ მოჩვენება, სიზმარი ვართო, თავადის ქალ მაიას სრულიად არ აღელვებს — საერთოდ როგორია ეს სამყარო. როგორიც უნდა, ბეეთი იყოს. მისთვის რეალურად არსებობს წოდებრივი უპირატესობაც, ქალური მშვენიერებაც და დედაკაცური პატივმოყვარეობაც. ყველაფერი ეს ღირებული და ფასეულია მაიასათვის. უბედურება ის არის, რომ დრო სოციალურადაც და ბიოლოგიურადაც ამხედრებულა თავადის ქალის წინააღმდეგ. მისი წოდებრივი უპირატესობა დამხობილია. გლეხები მას ირონიულად უყურებენ და მეურმე ამბაკო ისე ელაპარაკება, როგორც ტოლი ტოლს. დამჭკნარა მაიას სწორუპოვარი მშვენიერებაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ არშიყი ბონდო გლეხის გოგოს ამჯობინებს თავადის ქალს, რაკი დაფინო ახალგაზრდაა. წაგებულ ცხოვრებას სიკვდილი ურჩევნია და მაია თავს იხრჩობს.

თუ გაქრება მაიასათვის სანუკვარი წოდებრივი უპირატესობა, ქალური სილამაზის ძალა, დედაკაცური პატივმოყვარეობა, მაშინ ეს სამყარო გინდ რეალური ყოფილა და გინდ — ირეალური, ეს უკვე თავადის ქალს აღარ ადარდებს. მას კონკრეტული ფასეულობანი უყვარს და სწამს. აბსტრაქტული იდეის გამო ტვინის ჭყლეტა მისთვის უცხოა. ეს მაიას ძალაა. იგი კონკრეტულისათვის იბრძვის, სანამ ძალ-ღონე ეყოფა. ამ ბრძოლაში თავის ბუნება-თვისებასაც ავლენს.

აბსტრაქტულისათვის ბრძოლაც შეუძლე-

ბელია და ადამიანური ბუნება-თვისების გამოვლენაც. ჯერ იმაშიაც ვერ გარკვეულხარ — როგორია სამყარო — და საიდან გეცოდინება ან შეგეძლება რა ფასეულობისათვის იბრძვი? დრო ფიქრში მიდის და სანამ კითხვაზე პასუხს მიაგნებდე, თავად იქცევი ლანდად.

იქნებ იდეალი ისევე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი? — სწუხს „Escalade-ს“ პერსონაჟი ქალი. ჰაკი აძბა ერთი წუთითაც არ ფიქრობს — მორდუობის ადათი ღირებული იდეალია თუ არა. მისთვის ეს უკვდავი ფასეულობაა და სწირავს მისთვის კიდეც თავს. უჯუშ ემხასათვისაც ვაჟკაცობის, თავმოყვარეობის იდეალი რეალობაა და ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი მისთვის თავდადებაში. სწორედ ეს თავდადება და თავგანწირულობაა უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას ძალა და ხიბლი. ეს თვისება ანდამატივით იზიდავს მკითხველს.

„რით არის სინამდვილე ზღაპარზე დასაჯერებელი?“ — გაკვირვებული კითხულობს „ხეთიანის საიდუმლოების“ პერსონაჟი. თუ ზღაპარი ისევე დამაჯერებელია, როგორც სინამდვილე, მაშინ კიდევ უფრო მეტად უნდა ვაფასებდეთ რეალურ, კონკრეტულ, ხელშესახებ საგნებს. მათი ღირებულება კიდევ უფრო ღრმად უნდა გვესმოდეს.

ქვეცნობიერად ამას მიხვდა გვადი ბიგვა. მისთვის ხე-ტყის სახერხი ქარხანა უბრალო საწარმო კი აღარ იყო, არამედ ფაქტორი, რომელიც გვადისა და მის შვილებს ცნობიერ სამყაროში არსებობის ძა-

ლას ანიჭებდა. ამიტომ ეკვეთა გვადი ბიგვა თავგანწირული არჩილ ფორიას.

უხსოვარი დროიდან აწუხებს კაცობრიობას ფიქრი — როგორია გარემომცველი სამყარო? მაგრამ ამ წუხილის გამო არცერთი კაცის ბედი არ გამხდარა ტრაგიკული. ტრაგიკულობის საფუძველი ყოველთვის კონკრეტული იყო — ახლობელის. სიკვდილი, საყვარელი ქალის ღალატი, უსამშობლობა, უსახლკარობა, ულუკმაპურობა... კაცობრიობის ცხოვრება ჰგავს ალამსგირ კიბულანის უკანასკნელ დღეს. როცა გივერგილი ენგურმა გაიტაცა, მოხუცი მამა შვილს გადასარჩენად გამოეკიდა. ბერიკაცმა მანამ ირბინა, სანამ ენგური ზღვას არ შეერწყა. ამ უზარმაზარი სივრცის დანახვამ წამით ალმასგირი გააოგნა, და შეაჩერა, მაგრამ მალე მან დაუფიქრებლად შეაბიჯა უსასრულობაში იმ კონკრეტულის საპოვნელად, რომელსაც ამ შემთხვევაში შვილი ერქვა.

ასე მისდევს მთელი კაცობრიობა და თუ ცალკეული პირი რაღაც კონკრეტულს მანამ, სანამ ერთმშვენიერ თუ უბედურ დღეს უსასრულებაში არ შეაბიჯებს. იმ უსასრულობაში, სადაც აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, რანაირია ხილული სამყარო — რეალური თუ ირეალური, ნამდვილი თუ მოჩვენებითი.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ქუჩაში, ხანდაზმული ლეო ქიაჩელი წყნარად, დინჯად, ნელი ნაბიჯებით დადიოდა. მალიმალ ჩერდებოდა და დაფიქრებული შორეულ სივრცეს უყურებდა. სათვა-

ლეებში ძნელი დასანახი იყო მისი გამომეტყველება, მაგრამ იმ წუთს უთუოდ გეგონებოდათ, რომ მას ეს სამყარო სიზმარეულ ჩვენებად მიაჩნდა, რომელშიც კონკრეტულ საგნებს თუ მოვლენებს დიდი, ფასდაუდებელი ღირებულება აქვს და ამ ხილულეთს იმ მშვენიერებას ანიჭებენ, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლეც, ბრძოლაც და თავდადებაც.

1984 წ.

სარჩევი

ლეგენდა 3
მკვახე შეძახილი 24
იყიდენ მახუილი 65
„სურამის ციხის“ გამო 109
ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი 128
სევდა ისტორიისა 145
ერსებობის შიში 171
ბუნების კანონზომიერება და უკვდავების მაძიებელი კაცი 192
ერსებობის მარადისობის რღვევა ანუ შვილის ძკვლელ მამა 217
საით? 250
შედარება 271
შეუძლებელი 288
წარსულით წინასწარმეტყველება 308
სულის ზრდა 351
მოლოდინი 387
რაა ერია სამყარო? 401